სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო

(გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის)

**ავტორები
და კონტრიბუტორები:**

კაროლინ ედგერტონი
თამარ დეკანოსიძე
გოგა ხატიაშვილი
ნათია ბარბაქაძე
ლონდა ბიჭიკაშვილი

სექტემბერი 2021

UN JOINT PROGRAMME FOR GENDER EQUALITY

Equality Now
A just world for women and girls.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო

(გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის)

ავტორები და კონტრიბუტორები:

კაროლინ ედგერტონი

თამარ დეკანოსიძე

გოგა ხატიაშვილი

ნათია ბარბაქაძე

ლონდა ბიჭიკაშვილი

ევროპის საბჭო

გაეროს ქალთა ორგანიზაცია

Equality Now

პუბლიკაცია მომზადდა გაეროს
გენდერული თანასწორობის ერთობლივი
პროგრამის (UNJP) ფარგლებში,
შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით
და ევროპის საბჭოს პროექტის „ქალთა
მიმართ ძალადობის აღსაკვეთად
ინტეგრირებული მიდგომის ხელშეწყობა
და გენდერული თანასწორობის
გაძლიერება საქართველოში“
ფარგლებში.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები
ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება
არ გამოხატავდეს ევროპის საბჭოს
ოფიციალურ პოლიტიკას.

ამ დოკუმენტის ან მისი ნაწილის
რეპროდუქციასა ან თარგმანთან
დაკავშირებით მიმართეთ
კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075
Strasbourg Cedex or publishing@coe.int).

დოკუმენტთან დაკავშირებული
ნებისმიერი სხვა კორესპონდენცია უნდა
გაიგზავნოს დემოკრატიის გენერალური
დირექტორატის გენდერული
თანასწორობის განყოფილებაში.

დიზაინი: გიორგი ქინქლაძე

© ევროპის საბჭო, გაეროს ქალთა
ორგანიზაცია, თანასწორობა ახლა/
Equality Now

2021 წელი

მადლობა

ამ სახელმძღვანელოს ავტორები არიან კაროლინ ედგერტონი, თამარ დეკანოსიძე, გოგა ხატიაშვილი, ნათია ბარბაქაძე და ლონდა ბიჭიკაშვილი და მომზადებულია თანასწორობა ახლა-ს/Equality Now, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს მიერ.

განსაკუთრებული მადლობა ჯეკი ჰანტს და ალექსანდრა პაცალიდესს თანასწორობა ახლა/Equality Now-დან; სარა ჰააპალაინენს, მარტა ბეკერას, თეა მაჩაიძეს და მარიამ ჯაჯანიძეს ევროპის საბჭოდან; ირინა ჯაფარიძეს, ლიკა სიდამონიძეს და თინათინ ავალიანს გაეროს ქალთა ორგანიზაციიდან; პატივცემულ ელიზაბეტ ევატ AC-ს - ავსტრალიის საოჯახო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს და გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს; ასევე ვალენტინა ფროლოვას, აგუსტინა როდრიგესს - იურისტს, არგენტინის პროკურატურის ქალთა მიმართ ძალადობის სპეციალური ფისკალური განყოფილების კოორდინატორს, AEquitas აღმასრულებელ დირექტორს ჯენიფერ ლონგს; მაკა გაგიევს და ქეთევან ბახტაძეს ამ სახელმძღვანელოს მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის. მადლობა ქეთევან ვაშაკიძეს ტექსტის ტექნიკური რედაქტირებისა და კორექტირებისთვის.

სარჩევი

I. სექსუალური ძალადობის ცნების განმარტება 3

1. სექსუალური ძალადობის განმარტება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 3
2. სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედებების განმარტება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად 6
   2.1. ზედმეტი ფორმალიზმი, როგორც მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერი 6
   2.2. სქესობრივი დანაშაულები საქართველოს კანონმდებლობაში 8
3. თანხმობის ანუ ნამდვილი ნების არარსებობის პრეზუმფცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 16
4. თანხმობის გარეშე ჩადენილი ქმედებების ფართო განმარტება 18
   4.1 ფსიქოლოგიური ძალადობა და ძალადობის მუქარა, რომელიც ზღუდავს თანხმობის გაცემის შესაძლებლობას 18
   4.2 იძულება და მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებები, რომლებიც გამორიცხავს თანხმობას 21
5. მსხვერპლის მიერ თანხმობის არარსებობის გამოხატვა 26
6. მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებზე მსჯელობა მოწყვლადი ქალების შემთხვევაში 28
   6.1. ზოგადი მოსაზრებები 28
   6.2. არასრულწლოვნები 29
   6.3. ოჯახში ძალადობის მსხვერპლები 31
   6.4. ეთნიკური უმცირესობები 33
   6.5. ქორწინების იძულების მსხვერპლები 34
   6.6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები 34
   6.7. ნარკოტიკების მომხმარებელი, უსახლკარო, დაუდგენელი ბინადრობის სტატუსის მქონე ქალები 38
   6.8. პროსტიტუციაში ჩაბმული ქალები 39
   6.9 სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული მოწყვლადობა 40
7. სექსუალური ძალადობის უარყოფითი ზემოქმედების გაცნობიერება 42

II. სექსუალური ძალადობის გამოძიება 44

1. სექსუალური ძალადობის მსხვერპლზე ორიენტირებული გამოძიება - ზოგადი საკითხები 44
2. სექსუალური ძალადობის შესახებ გაცხადება და გამოძიების დაწყება 48
3. გამოძიების დაწყებისას დაუყოვნებლივ მოსაპოვებელი ინფორმაცია 52
   3.1. მოწყვლადობა 52
   3.2. სამედიცინო დახმარება 53
   3.3. ფიზიკური დაზიანებები 53
   3.4. ნივთიერების ზემოქმედებით გამოწვეული უუნარობა 54
   3.5. იარაღის გამოყენება ან იარაღის გამოყენების მუქარა 54
   3.6. დაზარალებული ან მოწმე ბავშვები 55
   3.7. კომუნიკაციის ბარიერები 55
   3.8. ინფორმაცია სავარაუდო დამნაშავის/დამნაშავეების შესახებ 56
4. მტკიცებულებათა კატეგორიები 57
   4.1. მოწმეთა ჩვენებები 57

4.2. მტკიცებულებები, რომლებიც დამნაშავის ან დაცვის მხარის მოწმეების სანდოობას გააქარწყლებს 58
4.3. მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების, ძალადობის და ძალადობის მუქარის ცალკეული ფორმების მტკიცებულებები 58
4.4. სექსუალური ძალადობის მავნე ზემოქმედების დამადასტურებელი მტკიცებულებები 60
4.5. სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, რომელიც რელევანტურია სექსუალური ძალადობის საქმეებზე 61
5. მტკიცებულებათა საკითხები: რელევანტურობა, კონტექსტზე დაფუძნებული მიდგომის მნიშვნელობა და მტკიცებულების გამყარების პრობლემები 67
6. გაუპატიურებასთან დაკავშირებული ცრუ წარმოდგენებისა და სტერეოტიპების დაძლევა 80
6.1. ზოგადი მოსაზრებები 80
6.2. სანდოობასთან დაკავშირებული შეცდომების თავიდან აცილება 81
6.3. დაზარალებულის ქცევა სექსუალურ ძალადობამდე, ძალადობისას და მის შემდეგ 83
6.4. მცდარ წარმოდგენებზე, მიკერძოებასა და მსხვერპლის დადანაშაულებაზე დაფუძნებული კითხვებისა და მიდგომების თავიდან აცილება 85
6.5. წარსული სექსუალური ცხოვრება 86
7. დისკრიმინაციული მოტივის გამოვლენა 88
7.1. სექსუალური ძალადობა, როგორც ქალების მიმართ დისკრიმინაციის გამოვლინება 88
7.2. სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და ურთიერთგადამკვეთი მოწყვლადობა 89
7.3. ძალადობრივი ქმედებების წინაისტორია და განმეორებით ჩადენილი დანაშაული 91
8. გამოკითხვა 92
9. მსხვერპლის დაცვა და მხარდაჭერა 102
9.1. მომსახურებების მისაღებად გადამისამართება 102
9.2. რისკების შეფასება და მართვა 103

III. სექსუალური ძალადობის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება 109

1. სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები 109
2. გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა 109
2.1. მსხვერპლის მოთხოვნა, რეაგირების გარეშე დარჩეს მისი განცხადება და სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმა 109
2.2. განცხადების რეაგირების გარეშე დატოვების მოთხოვნის მიზეზები 110
2.3. „ცრუ ბრალდებების“ არგუმენტთან გამკლავება 114

IV. სასამართლო პროცესი 116

1. მოსამართლის როლი სექსუალური ძალადობის საქმეების განხილვისას 116
2. მსხვერპლზე/დაზარალებულზე ორიენტირებული სასამართლო პროცედურები 116
2.1 სექსუალური ძალადობის საქმეების პრიორიტეტულობა 116
2.2 კონფიდენციალურობის დაცვა სასამართლოში 117
2.3 ჯვარედინ დაკითხვასთან დაკავშირებული შეზღუდვები 117
2.4 დაზარალებულისა და ბრალდებულის დაპირისპირების თავიდან აცილება 118
2.5 დაზარალებულის სტრესისგან დაცვა 119
2.6 არასათანადო მოპყრობისგან დაზარალებულის დაცვა 120
3. გადაწყვეტილების გამოტანა და სასჯელის შეფარდება 120
3.1 პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გამოკვლევა 121
3.2 საპროცესო შეთანხმება და პირობითი მსჯავრი 126

შესავალი

ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს მართლმსაჯულების სისტემისთვის. იგი წარმოგვიდგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით შემუშავებულ ტექნიკებსა და მეთოდოლოგიას გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის შესახებ. სახელმძღვანელო ცოცხალი დოკუმენტია, რომელიც ავითარებს გენდერულ მიდგომებს და შეესაბამება საქართველოს კონტექსტს, რისი მიღწევაც შესაძლებელი გახდა სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით. სახელმძღვანელოს მიზანია, უსაფრთხო და მხარდაჭერაზე ორიენტირებულ გარემოში, სისხლის სამართლის საქმეების შეუფერხებლად და ეფექტიანად წარმოების ხელშეწყობით უკეთესი შედეგების მიღწევა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

სექსუალური ძალადობა, გენდერული ნიშნით ძალადობის სხვა ფორმების მსგავსად, ქალებსა და მამაკაცებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილების გამოვლინება და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმაა. სექსუალური ძალადობა არის სოციალური მექანიზმი, რომელიც ქალებს ამყოფებს დაქვემდებარებულ მდგომარეობაში და არსებითი თანასწორობის მიღწევისთვის მნიშვნელოვან ბარიერს უქმნის. მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ძალადობა შეიძლება ნებისმიერი სქესის ადამიანის მიმართ განხორციელდეს, მისი მსხვერპლები უმეტესწილად ქალები და გოგოები ხდებიან, ან/და იგი მიმართულია ქალისკენ იმის გამო, რომ ქალია. შესაბამისად, ის გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულია.[1]

სახელმძღვანელოში ძირითადი ყურადღება ეთმობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სექსუალური ძალადობის შემდეგი დანაშაულების გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნასა და სასამართლო განხილვას:

მუხლი 137 – გაუპატიურება

- მუხლი 138 – სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება
- მუხლი 139 – პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება
- სახელმძღვანელოში გადმოცემული საუკეთესო პრაქტიკა და პრინციპები ასევე რელევანტურია შემდეგი ქმედებებისთვის:
- მუხლი 140 – სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში
- მუხლი 141 – გარყვნილი ქმედება
- სახელმძღვანელო ძირითადად მიემართება 18 წელს მიღწეული ქალების მიმართ ჩადენილ სექსუალური ხასიათის ძალადობრივ ქმედებებს. იგი

1 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (შემდგომში სტამბოლის კონვენცია), 2011, CETS N210 პრეამბულა.

არ მოიცავს სექსუალურ ძალადობას არასრულწლოვანთა მიმართ (რაც განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს და სცდება წინამდებარე დოკუმენტში მოცემულ საკითხებს). ამის მიუხედავად, სახელმძღვანელოში განხილული სხვადასხვა მიდგომის გამოყენება, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საქმეებზეც. სახელმძღვანელო აქცენტს აკეთებს დანაშაულებზე, სადაც მოძალადეები არიან მამრობითი სქესის წარმომადგენლები, ხოლო მსხვერპლები - ქალები. თუმცა, აღიარებს, რომ სექსუალური ძალადობის ჩადენა შესაძლებელია ნებისმიერი სქესის/გენდერის ადამიანის მიერ და მიმართ.

სახელმძღვანელო დაეხმარება საქართველოში მომუშავე გამომძიებლებს, პროკურორებსა და მოსამართლეებს პრაქტიკულ საქმიანობაში. რეკომენდებულია, რომ ხსენებული პროფესიონალები გაეცნონ სახელმძღვანელოს სრული მოცულობით და, იმავდროულად, განსაკუთრებულად გაამახვილონ ყურადღება გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის განკუთვნილ და მათთვის საყურადღებო ნაწილებზე.

I. სექსუალური ძალადობის ცნების განმარტება

1. სექსუალური ძალადობის განმარტება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

წინამდებარე სახელმძღვანელო სექსუალურ ძალადობას, მათ შორის, გაუპატიურებას განმარტავს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად (სტამბოლის კონვენცია), რომლის მხარეც არის საქართველო.[2] სტამბოლის კონვენციის ანალოგიური სტანდარტები შემუშავებულია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW კომიტეტი), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო და რეგიონული მექანიზმების მიერ.[3]

სექსუალური ძალადობა, მათ შორის, გაუპატიურება არის დანაშაული, რომელიც სტამბოლის კონვენციაში შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

ა. სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით;
ბ. ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის სხვა აქტების განხორციელება;
გ. სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გარეშე, მესამე პირთან განახორციელოს სექსუალური ხასიათის აქტები.[4]

2 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 36.

3 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 36; იხ. ასევე: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v Bulgaria, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 181; იხ. ასევე: ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (შემდგომში CEDAW-ს კომიტეტი), ზოგადი რეკომენდაცია No. 35 ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ, CEDAW/C/GC/35; იხ. ასევე: CEDAW-ს კომიტეტი საქმეზე Vertido v. Philippines, კომუნიკაცია No.18/2008, UN Doc CEDAW/C/46/D/18/2008(2010); ასევე საქმეზე R.P.B. v. Philippines, კომუნიკაცია No. 34/2011, UN Doc. CEDAW/C/57/D/34/2011 (2014); იხ. ასევე: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC) „სასამართლოს რეგლამენტი და მტკიცების წესი"; „დანაშაულის ელემენტები" მუხლები 7((1)(g)-1, 7(2) და 8(2); ასევე: Katanga-ს საქმეზე ICC-01/04-01/07, 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება ბრალის დადასტურების შესახებ, პარ. 440; ასევე Bemba-ს საქმეზე ICC-01/05-01/08-3343, 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, პარ. 105-106; იხ. ასევე: ინტერამერიკული სასამართლო საქმეზე Fernandez Ortega et al v Mexico, 2011 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება; იხ. ასევე: რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი (ICTR) საქმეზე The Prosecutor v. Jean-Paul Akayesu, ICTR-96-4-T, 1998 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება; იხ. ასევე: იუგოსლავიის ტრიბუნალი (ICTY), საქმეზე Prosecutor v Kunarac, Kovac & Vukovic , No. IT-96-23& IT-96-23/1-A, 2002 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება; იხ. ასევე: Belém do Pará კონვენციის განხორციელების შესახებ ნახევარსფეროს ანგარიში (MESECVI), 2012 წ.; იხ. ასევე: დეკლარაცია ქალთა, გოგონათა და მოზარდთა მიმართ ძალადობის, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების შესახებ. გაეროს ქალთა სახელმძღვანელო მითითებებში ასევე ხაზგასმულია, რომ გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის შესახებ კანონმდებლობა არ უნდა მოითხოვდეს დამატებითი ძალის გამოყენების დამადასტურებელ მტკიცებულებებს, რადგან თავად გაუპატიურება არის ძალადობრივი ქმედება, ხოლო დამატებითი ძალადობა უნდა განიხილებოდეს დამამძიმებელ გარემოებად.

4 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 36 (1).

თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით.[5]

ვინაიდან საქართველოს სტამბოლის კონვენცია რატიფიცირებული აქვს, ზემოხსენებული განმარტება საქართველოსთვის სავალდებულო იურიდიული ძალის მქონეა,[6] შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი გამოყენება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ჩამდენ პირს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სექსუალური ძალადობისთვის,[7] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებზე დაყრდნობით (პრაქტიკაში ეს როგორ უნდა განხორციელდეს, განხილულია პირველი თავის მე-2, მე-3 და მე-4 ქვეთავებში).

სექსუალური ძალადობა მოიცავს ერთჯერად, მრავალჯერად, განგრძობად ან ერთმანეთთან დაუკავშირებელ აქტებს, რომლებიც კონკრეტულ კონტექსტში აღიქმება, როგორც სექსუალური ხასიათის ქმედებები მსხვერპლის, მოძალადის, და/ან, ზოგადად, საზოგადოების მიერ.[8] სექსუალურ ძალადობად სხვადასხვა ტიპის ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს.[9] ის შეიძლება იყოს სექსუალური ხასიათის, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა მოძალადეს სექსუალური კმაყოფილების მიღების მიზანი, ან განიცადა თუ არა მან სექსუალური კმაყოფილება.[10] ამასთან, სექსუალური ძალადობა შეიძლება მრავალი სხვადასხვა მოტივით და მიზნით იყოს ჩადენილი, მათ შორისაა: დომინირება, დასჯა, დამცირება ან დაშინება.[11]

არანებაყოფლობითი სექსუალური ხასიათის ქმედებების მაგალითებია: სექსუალური შინაარსის მუქარა, დამცირება ან დაცინვა სქესის, გენდერული იდენტობის ან/და სექსუალური ორიენტაციის გამო; სექსუალური შევიწროება, რომელიც გამოიხატება არასასურველი სექსუალური ქცევით, შეხებით, კომენტარებით და ა.შ. დამცირება, შეურაცხყოფა, დაშინება სექსუალური ტონალობის შემცველი ხმების გამოცემით ან ჟესტების გამოყენებით; კიბერ-ძალადობა სექსუალური შინაარსის შეტყობინებების გაგზავნით; პირისთვის სხეულის სექსუალური ნაწილის ან სექსუალური ხასიათის ქმედებების ჩვენება; პირის იძულება, სხვების თანდასწრებით დაიკმაყოფილოს ორგანიზმის ბუნებრივი მოთხოვნილებები, რასაც, ჩვეულებრივ, ადამიანი განმარტოებით აკეთებს, როგორიცაა, მაგალითად, მენსტრუაციასთან დაკავშირებული მოქმედებები; სამედიცინო ან სხვა ამგვარი საჭიროების გარეშე პირის სასქესო ორგანოების, მკერდის ან საქალწულე აპკის შემოწმება; კოცნა ან ლოკვა სხეულზე ან სხეულის სექსუალურ

5 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 36 (2).

6 საქართველომ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 2017 წელს, ხოლო CEDAW-ს კონვენციისა - 1994 წელს.

7 გენდერული ძალადობის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ვალდებულებაზე: იხ. CEDAW-ს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N28, პარ. 19; იხ. ასევე: დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 4 (c); იხ. ასევე: ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში „ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზების და შედეგების შესახებ", A/66/215, სექცია C, პარ. 47-50, 57-63; იხ. ასევე: კომპლექსური სამართლებრივი ანალიზი, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ინსტრუმენტი - სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ E/CN.4/2006/61.

8 ჰააგის პრინციპები სექსუალური ძალადობის შესახებ (შემდეგში ჰააგის პრინციპები), გვ. 8.

9 „სექსუალური ძალადობის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა", კიმ თაი სელინჯერი და სხვები, კალიფორნიის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ცენტრის სექსუალური ძალადობისა და პასუხისმგებლობის პროექტის სამუშაო ჟურნალი, 2011, გვ. 6.

10 ჰააგის პრინციპები, გვ. 6, 14-15.

11 ჰააგის პრინციპები, გვ. 14-15, იხ. ასევე: იუგოსლავიის ტრიბუნალი საქმეზე Prosecutor v. Milan Milutinović et al., IT-05-87-T, 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება, ტომი 1, პარ. 199.

ნაწილებზე; მსხვერპლის იძულება, განახორციელოს მასტურბაცია სხვა პირის წინაშე; იძულებით გაშიშვლება, სხეულის სექსუალური ნაწილის დასახიჩრება ან დაზიანება, მათ შორის, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება (FGM). მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.[12] ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებებიდან ყველა არ არის და ვერც იქნება სისხლისსამართლებრივად დასჯადი. ზოგიერთი ნაკლები სიმძიმის ქმედება შეიძლება იყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ან სხვა სახის სამართლებრივი ზომის მიღების საფუძველი.

გაუპატიურებასა და სხვა სახის სექსუალურ ძალადობასთან მიმართებით, სტამბოლის კონვენციის განმარტებით ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ამ დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნისთვის საჭიროა მტკიცებულებების შეფასება კონტექსტის გათვალისწინებით, რათა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდეს, გასცა თუ არა მსხვერპლმა თავისუფალი თანხმობა სექსუალურ აქტზე.

მსხვერპლის თავისუფალი თანხმობის დასადგენად გათვალისწინებული უნდა იყოს სექსუალურ ძალადობასა და გაუპატიურებაზე მსხვერპლის საპასუხო ქცევითი რეაქციების ფართო სპექტრი და შეფასება არ უნდა ემყარებოდეს ვარაუდებს ასეთ სიტუაციებში ტიპურ ქცევასთან დაკავშირებით. გაუპატიურების შესახებ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისა და გაუპატიურების საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას გავლენა არ უნდა იქონიოს გენდერულმა სტერეოტიპებმა და მითებმა მამაკაცთა და ქალთა სექსუალობის შესახებ“.[13]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელიც განმარტავს ევროპულ კონვენციას, სამართლებრივად სავალდებულო ძალის მქონეა საქართველოსთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მსხვერპლის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოთხოვნის საკითხზე იმსჯელა საქმეში *M.C. v. Bulgaria* (2003). სასამართლო „დარწმუნდა, რომ სექსუალური დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნისადმი ნებისმიერი ხისტი მიდგომა, მაგალითად, ყველანაირ გარემოებაში ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოთხოვნა იმის საფრთხეს ქმნის, რომ გაუპატიურების გარკვეული სახეები შეიძლება დაუსჯელი დარჩეს. ეს კი საფრთხეს უქმნის ადამიანის ინდივიდუალური სექსუალური ავტონომიის ეფექტიან დაცვას“.[14] სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები „უნდა განიხილებოდეს, როგორც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და თანხმობის გარეშე ნებისმიერი სექსუალური ქმედების ეფექტიანი დევნის ვალდებულება, მათ შორის, მსხვერპლის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის გაუწევლობის შემთხვევაში“.[15] სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „თანხმობა გაცემული უნდა იყოს ნებაყოფლობით, მსხვერპლის თავისუფალი ნების გამოხატვის შედეგად და ეს საკითხი არსებული გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს“.[16]

12 იხ. ვრცელი ჩამონათვალი, ჰაგის პრინციპები, გვ. 8-11, 40-42.
13 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 192.
14 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე *M.C. v. Bulgaria*, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 166.
15 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე *M.C. v. Bulgaria*, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 166.
16 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე *M.C. v. Bulgaria*, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 102-107, 163.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში თანხმობის გარეშე სექსუალური ქმედებების დასჯადობა გათვალისწინებულია კანონით განსაზღვრული შესაბამისი ტერმინების („იძულებითი", „ძალადობა", „იძულება", „მუქარა", „მოტყუება", „მოულოდნელი ქმედება" და სხვა) ინტერპრეტაციის გზით. შესაბამისად, კანონმდებლის მიერ არჩეული კონკრეტული ფორმულირების მიუხედავად, ნებისმიერ ვითარებაში მტკიცებულებები კონტექსტის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს.[17]

CEDAW-ს კომიტეტი ასევე ადასტურებს, რომ სექსუალური ძალადობის განმარტება უნდა ემყარებოდეს მსხვერპლის მხრიდან თავისუფლად გაცემული თანხმობის არარსებობას და გათვალისწინებული უნდა იყოს ნების დამთრგუნველი გარემოებები. ამგვარი მიდგომა და განმარტება თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს, მათ შორის, ცოლ-ქმრულ ურთიერთობებსა და ნაცნობის/პარტნიორის მხრიდან არანებაყოფლობითი სექსუალური ქმედების შეფასებაზე (CEDAW-ს ზოგადი რეკომენდაცია No35).[18] ზემოხსენებული მოთხოვნები სრულად შეესაბამება საერთაშორისო სისხლის სამართლის სტანდარტებს, რომლებიც უფრო დაწვრილებით სახელმძღვანელოს შემდეგ ნაწილებში იქნება განხილული.

საქართველოს კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე, ამ სტანდარტების საქართველოსთვის სავალდებულო ძალის გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემულ თავებში განხილულია, თუ როგორ უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია იმგვარად, რომ უფრო მეტად შეესაბამებოდეს კონვენციასა და ადამიანის უფლებათა სტანდარტებს. წარმოდგენილი მიდგომები არ ასახავს საქართველოში გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეების მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას, არამედ ეს არის რეკომენდაციები სისხლის სამართლის პროცესის გასაუმჯობესებლად დღეს არსებული კანონმდებლობის პირობებში, ვიდრე სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები განხორციელდება. ამასთან, ეს სახელმძღვანელო სრულად იზიარებს მოსაზრებას, რომ საკანონმდებლო რეფორმა მნიშვნელოვნად დაეხმარება პროფესიონალებს, რათა თავიანთი პრაქტიკა შეუსაბამონ სტამბოლის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ შემოთავაზებულ ყოვლისმომცველ მიდგომებს და უკეთესად აწარმოონ საქმეები.

2. სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედებების განმარტება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად

2.1. ზედმეტი ფორმალიზმი, როგორც მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერი

პროკურორებმა და მოსამართლეებმა არ უნდა გამოიყენონ ზედმეტად ხისტი და ფორმალისტური მიდგომები სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებისა და საპროცესო კანონმდებლობის განმარტების დროს. შეზღუდული ინტერპრეტაციები, რომლებიც სათავეს საბჭოთა კავშირის პერიოდიდან იღებს, არ ასახავს სექსუალური ძალადობის

17 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე *M.C. v. Bulgaria*, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 161.

18 CEDAW-ს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N35, CEDAW/C/GC/35, პარ. 33.

მსხვერპლთა უმეტესობის გამოცდილებას.

გამომძიებლებს, პროკურორებსა და მოსამართლეებს აქვთ ვალდებულება, უზრუნველყონ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის. ეს მოიცავს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებების ხელმისაწვდომობასაც, რასაც ითვალისწინებს სტამბოლის კონვენცია,[19] ევროპული კონვენცია,[20] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი[21] და სხვა ინსტრუმენტები, რომლებიც სავალდებულოა საქართველოსთვის. გადაჭარბებული ფორმალიზმი ამ უფლების განხორციელებას უშლის ხელს, ვინაიდან, ევროპული კონვენციის თანახმად, უფლებები უნდა იყოს „პრაქტიკული და ეფექტიანი და არა - თეორიული და ილუზორული.''[22]

ფორმალიზმი ეყრდნობა იდეას, რომ სამართალი სტატიკურია და არ ვითარდება. გადაჭარბებული ფორმალიზმის დროს ხდება კანონის ნორმების ხისტი დაცვა მაშინაც კი, როდესაც შედეგი არასამართლიანია და ლოგიკას არ ექვემდებარება. კანონმდებლობის შეზღუდული, ხისტი, ფორმალისტური ინტერპრეტაციები საქართველოში სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას უზღუდავს.

მნიშვნელოვანია, პროკურორებმა და მოსამართლეებმა უარყონ სქესობრივი დანაშაულების შეზღუდული და ფორმალისტური ინტერპრეტაციები, რადგან ისინი არ ასახავს მსხვერპლთა სხვადასხვა გამოცდილებას და იმ გარემოებათა ფართო სპექტრს, რომელშიც სექსუალური ძალადობის ჩადენა ხდება. ამგვარი მიდგომები მართლმსაჯულების მიღმა ტოვებს ისეთ საქმეებს, რომლებშიც არ არის, მაგალითად, ფიზიკური ძალადობის მტკიცებულებები, ან მსხვერპლის ჩვენება არ არის გამყარებული სხვა წყაროებიდან მოპოვებული არგუმენტებით.

გადაჭარბებული ფორმალიზმი სისხლის სამართლის საქმეებზე ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა სხვადასხვა ქვეყანასთან მიმართებით, როგორც ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა. ეს პრინციპები, შესაძლოა, ასევე რელევანტური იყოს კონვენციის მე-13 მუხლთან - ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით:

- საქმეში Walchli v. France ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პროცედურული კანონმდებლობის გამოყენების დროს სასამართლოებმა თავი უნდა აარიდონ ზედმეტ ფორმალიზმს, რომელიც შელახავს ადამიანის უფლებებს და, იმავდროულად - გადამეტებულ მოქნილობას, რომელიც უგულებელყოფს კანონით განმტკიცებულ პროცედურულ გარანტიებს. ამგვარი ბალანსი საქართველოში დარღვეულია.[23]
- Walchi-ს პრინციპის გამოყენებით, საქმეში Evaggelou v. Greece, ევროპულმა სასამართლომ დაამატა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება

19 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 49.
20 ევროპული კონვენცია, მუხლი 13.
21 სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 2(3).
22 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე Airey v. Ireland, App. no. 6289/73, 9 ოქტომბერი 1979, პარ. 24; იხ. ასევე: Mehmet Eren v. Turkey, App. no. 32347/02, 14 ოქტომბერი 2009.
23 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე Walchli v. France, App. no. 35787/03, 26 ივლისი 2007, პარ. 29.

ირღვევა, როდესაც რეგულაციები არ ემსახურება სამართლებრივ სიცხადეს, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას და ქმნის ბარიერს პირისთვის, რომელსაც დავის გადაჭრა სასამართლოს გზით სურს.[24]

- საქმეში Labergère v. France სასამართლომ დაადგინა, რომ პროცედურული წესების განსაკუთრებით მკაცრმა გამოყენებამ შეიძლება ზოგჯერ დაარღვიოს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ძირითადი არსი.[25]

პროკურორებმა და მოსამართლეებმა თავი უნდა აარიდონ გადამეტებულ ფორმალიზმს სისხლის სამართლის კოდექსის სექსუალური ძალადობის მუხლების ინტერპრეტაციის დროს და მიმართონ ნაკლებად ხისტ მიდგომებს, რაც დააახლოებს საქართველოს პრაქტიკას სტამბოლის კონვენციის, ევროპული სასამართლოს, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტისა და სხვა სავალდებულო ინსტრუმენტებით დადგენილ სტანდარტებთან.

2.2. სქესობრივი დანაშაულები საქართველოს კანონმდებლობაში

2.2.1. მუხლი 137 – გაუპატიურება

ამ დანაშაულის შემადგენლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

გაუპატიურება, ესე იგი, პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით.

მუხლის შემოთავაზებული განმარტება და ინტერპრეტაცია შემდეგია:

სექსუალური ხასიათის შეღწევა:

- მუხლი მხოლოდ სხეულში შეღწევასთან დაკავშირებულ ქმედებებს გულისხმობს. იგი არ მოიცავს სექსუალურ ძალადობას, რომელიც სხეულში შეღწევის გარეშეა ჩადენილი;

იგი გულისხმობს დაზარალებულის სხეულის ნებისმიერ ნაწილში შეღწევას ნებისმიერი საგნის ან სხეულის ნებისმიერი ნაწილის გამოყენებით. ასეთებია ვაგინალური, ანალური ან ორალური გზით შეღწევა, სასქესო ორგანოს, სხეულის ნებისმიერი სხვა ნაწილის ან საგნის გამოყენებით;

- ქმედების გაუპატიურებად დასაკვალიფიცირებლად სრული (ბოლომდე) შეღწევა არ არის აუცილებელი. პენეტრაციის სიღრმეს არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. ნებისმიერი ტიპის შეღწევა, თუნდაც მცირედი, საკმარისია, რომ დანაშაულის შემადგენლობა იყოს სახეზე.[26] ქალის სასქესო

24 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე Evaggelou v. Greece, App. no, 44078/07, 13 იანვარი 2011, პარ. 23.

25 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე Labergère v. France, App. no. 16846/02, 26 სექტემბერი 2006, პარ. 23.

26 რომის წესდება, მუხლი 7(1)(g)(1); იხ. ასევე: გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) დეფინიცია, 2012 წლის 6 იანვრის ვერსია; ასევე: გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) დეფინიცია, 2013 წლის ვერსია; იხ. ასევე: იუგოსლავიის ტრიბუნალი საქმეზე Kunarac et al., IT-96-23 & IT-96-23/1-A, სააპელაციო პალატის 2002 წლის

ორგანოს დიდ ბაგეებს შორის, ანუსის შესასვლელში, ხოლო ორალური პენეტრაციისას ტუჩებს შორის შეღწევა საკმარისია ქმედების გაუპატიურებად დასაკვალიფიცირებლად;[27]

- სექსუალური ხასიათის შეღწევის დასადასტურებლად არ არის საჭირო, სავარაუდო დამნაშავემ განიცადოს ეაკულაცია, მოხდეს ფიზიკური დაზიანების მიყენება, ან დარჩეს სპერმის კვალი დაზარალებულის სხეულზე/სხეულში ან მის ტანსაცმელზე.

მოძალადე და მსხვერპლი:

- მოძალადე შეიძლება იყოს ნებისმიერი სქესის/გენდერის ადამიანი;
- მსხვერპლი შეიძლება იყოს ნებისმიერი სქესის/გენდერის ადამიანი;
- მოძალადე და მსხვერპლი შეიძლება იყვნენ ერთი და იმავე სქესის/გენდერის ადამიანები. მოძალადეების წრე არ შემოიფარგლება უცხო პირებით. მათი წრე გაცილებით ფართოა და მოიცავს იმ ადამიანებსაც, რომელთა მიმართაც მსხვერპლს აქვს ნდობა ან, რომლებსაც აქვთ მსხვერპლის კონტროლის შესაძლებლობა. მათ შორის არიან: მეუღლეები ან ინტიმური პარტნიორები; მშობლები, მშობლების მეუღლეები, მინდობით აღმზრდელები; ბავშვის ძიძები ან ბავშვზე მზრუნველები; სასულიერო პირები (მოძღვრები); პოლიციის ოფიცრები; მცველები ან სახელმწიფო თანამდებობის სხვა პირები, რომლებიც დაკავების ადგილებსა ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობენ; მასწავლებლები; დამსაქმებლები; ხელმძღვანელები; სამედიცინო სფეროს მუშაკები; ხანდაზმულებსა ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებზე მზრუნველები, ტურისტული გიდები. ეს სია არ არის ამომწურავი. ასეთ შემთხვევებში დაზარალებულები შეიძლება განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიაშიც მოექცნენ, რაც უფრო დეტალურად პირველი თავის მე-6 ქვეთავსა და პირველი თავის 2.2. ქვეთავში, 139-ე მუხლის განმარტებაშია განხილული.

ძალადობის განმარტება:

- ძალადობის დასამტკიცებლად **არ არის აუცილებელი, რომ დაზარალებულს ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდეს,** მაშინაც კი, თუ გაუპატიურება ჩადენილია ფიზიკური ძალის გამოყენებით. ძალადობა ყოველთვის არ იწვევს ფიზიკურ დაზიანებებს და, შესაძლოა, მსხვერპლს სხეულზე არ დარჩეს რაიმე ხილული კვალი,[28] ანდა, შესაძლებელია, დანაშაულის შესახებ შეტყობინების გაკეთების მომენტისთვის კვალი გამქრალი იყოს. ფიზიკური დაზიანებების არარსებობა არ ნიშნავს, რომ გაუპატიურება არ არის ჩადენილი. ამ საფუძვლით მსხვერპლის სანდოობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება;

---

12 ივნისის გადაწყვეტილება, პარ. 127; იხ. ასევე: გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 8.

27 სქესობრივი დანაშაულები, თ. გეგელია, ი. კელენჯერიძე, ბ. ჯიშკარიანი, იურისტების სამყარო, თბილისი, 2020, გვ. 27.

28 გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 11; იხ. ასევე: გლობალური ანგარიში ძალადობისა და ჯანდაცვის შესახებ, ჯანმო, 2002, თავი 6, გვ. 162.

- ძალადობის დასადასტურებლად აუცილებელი არ არის დაზარალებულის მიერ **ფიზიკური წინააღმდეგობის** გაწევის მტკიცებულების წარმოდგენა;[29]
- ფიზიკური ძალა არ უნდა განიმარტოს მისი პირდაპირი, ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ეს ნიშნავს, რომ საქმეებში, სადაც ფიზიკური ძალადობაა გამოყენებული, დანაშაულად ან გაუპატიურების დანაშაულის ელემენტად მისი მიჩნევისთვის **აუცილებელი არ არის, ძალადობის ხარისხმა კონკრეტულ ზღვარს მიაღწიოს, როგორიცაა „გადაჭარბებული ფიზიკური ძალა“ ან „სიცოცხლისთვის საშიში ფიზიკური ძალა“;**[30]
- ძალადობრივი აქტი არ შემოიფარგლება ფიზიკური ძალადობით. იგი ასევე მოიცავს ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას (ძალადობის დეტალური ანალიზისთვის იხილეთ პირველი თავის მე-4 ქვეთავი).
- **ძალადობის მუქარის განმარტება:**
- მუქარა ასევე შეიძლება განიმარტოს, როგორც ფსიქოლოგიური ძალადობა. ის მსხვერპლის დათრგუნვის საშუალებაა;[31]
- შესაძლოა, იგი გულისხმობდეს როგორც ფიზიკური ძალადობის, ისე სხვა ფორმის ძალადობის მუქარას, როგორიცაა, მაგალითად, სექსუალური ცხოვრების შესახებ ინფორმაციის სოციალური ქსელით გავრცელების ან ეკონომიკური ძალადობის მუქარა;
- იგი შეიძლება მიმართული იყოს მსხვერპლის ან ნებისმიერი სხვა პირის (მაგალითად, მსხვერპლის შვილის) მიმართ ან მათი ქონების წინააღმდეგ;[32]
- არ არის სავალდებულო, რომ საფრთხე იყოს მყისიერი. მომავლისკენ მიმართული მუქარა, რომელიც მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებს ქმნის, დანაშაულებრივი ქმედების შემადგენელი ელემენტია;
- არ არის სავალდებულო, მუქარა იყოს პირდაპირი. იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც სიტყვებით, ასევე არავერბალური მოქმედებით, როგორც ცალ-ცალკე, ისე კომბინირებულად;
- არ არის აუცილებელი, ბრალდებულმა მუქარა შეასრულოს, ან, თუნდაც მისი რეალურად განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდეს. საკმარისია, რომ მსხვერპლს კონკრეტულ მომენტში ამ მუქარის სჯეროდა, რამაც მისი ნების დათრგუნვა გამოიწვია.
- მაშასადამე, ,,ძალადობის მუქარის“ ცნება არ უნდა შემოიფარგლოს ისეთი მუქარით, რომელიც სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფის მყისიერ საფრთხეს შეიცავს. ასეთ მკაცრ მტკიცებულებით ბარიერს მხოლოდ ზოგიერთი შემთხვევა გადალახავს და მუქარის ცნების პრაქტიკაში გამოყენება ძლიერ შეიზღუდება.

29 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 191; იხ. ასევე: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v Bulgaria, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 166.

30 „გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა: ადამიანის უფლებათა სამართალი და საერთაშორისო სისხლის სამართლის სტანდარტები“, ამნესტი ინთერნეშენალი, 2011, გვ. 18.

31 სქესობრივი დანაშაულები, თ. გეგელია, ი. კელენჯერიძე, ბ. ჯიშკარიანი, იურისტების სამყარო, თბილისი, 2020, გვ. 37.

32 ჰაგის პრინციპები სექსუალური ძალადობის შესახებ, გვ. 45; იხ. ასევე: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC), დანაშაულის ელემენტები, მუხლები 7(1)(g)-6, 8(2)(b)(xxii)-6 და 8(2)(e)(vi)-6, პირველი ელემენტი. ასევე: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, Ntaganda-ს საქმეზე, ICC-01/04-02/06, 2019 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 944; იხ. ასევე: იუგოსლავიის ტრიბუნალი საქმეზე Kunarac et al., IT-96-23 & IT-96-23/1-A, სააპელაციო სასამართლოს 2002 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, პარ. 130.

დაზარალებულის უმწეობის განმარტება:

საქართველოში უმწეობა განიმარტება, როგორც უუნარობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უმწეო აღნიშნავს ადამიანს, რომელსაც არ აქვს ფიზიკური უნარი, გამოხატოს თანხმობა ან გაიაზროს სიტუაცია თავისი გონებრივი მდგომარეობის გამო. შიდასახელმწიფოებრივ სამართალში[33] ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს უმწეოდ, თუ დანაშაულის ჩადენის დროს მას წართმეული ჰქონდა ნების გამოხატვის ფიზიკური შესაძლებლობა ან მომხდარის შემეცნების უნარი. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ნარკოტიკის ან ალკოჰოლის ზემოქმედებით,[34] უგონოდ ყოფნით, ჯანმრთელობის მდგომარეობით[35] ან მისი დაზიანებით, ღრმა ძილით, აგრეთვე ხანდაზმული ასაკით განპირობებული მდგომარეობით.[36]

თუმცა, უმწეობა შეიძლება იყოს ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების ზემოქმედების შედეგი.[37] ოჯახში სისტემატური ძალადობის მსხვერპლი ქალები, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ამ მუხლით განსაზღვრულ უმწეო მდგომარეობაში მყოფებად იყვნენ მიჩნეულნი. მაგალითად, შესაძლებელია, მოძალადემ სცემოს მსხვერპლს, ხოლო რამდენიმე საათის შემდეგ მასთან დაამყაროს სქესობრივი კავშირი. ეს აქტი, კონტექსტზე დაფუძნებული ანალიზის შესაბამისად, დაკვალიფიცირდება გაუპატიურებად, რადგან მსხვერპლი ნების დამთრგუნველ გარემოებებში იმყოფებოდა მანამდე განცდილი ფიზიკური ძალადობის შედეგად. კონტექსტზე დაფუძნებული ანალიზის საფუძველზე, ასევე შეიძლება დადგინდეს, რომ მსხვერპლი უმწეო მდგომარეობაში იყო სისტემატური ოჯახური ძალადობის გამო.

სხვა შემთხვევაში მსხვერპლები შეიძლება მიიჩნეოდნენ ნების დამთრგუნველ გარემოებებში მყოფ პირებად, რომლებსაც არ შეუძლიათ თავისუფალი თანხმობის გამოხატვა. იძულება და ნების დამთრგუნველი გარემოებები უფრო ვრცლად განხილული იქნება პირველი თავის 4.2. ქვეთავში.

არ უნდა არსებობდეს პრეზუმფცია, რომ შშმ პირები, მათ შორის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ადამიანები უპირობოდ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, პირს არ აქვს შესაძლებლობა, გააცნობიეროს გარშემო მოვლენები, ან გამოხატოს

33 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., გვენეტაძე ნ., წიგნი I, მე-7 გამოცემა, 236-237.

34 საერთაშორისო პროტოკოლი კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის დოკუმენტირებისა და გამოძიების შესახებ: სექსუალური ძალადობის, როგორც საერთაშორისო სამართლის დარღვევის დოკუმენტირების საუკეთესო პრაქტიკა, მეორე გამოცემა, გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სამსახური (შემდგომში: საერთაშორისო პროტოკოლი), გვ. 59; იხ. ასევე: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v. Bulgaria, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 79, 150; იხ. ასევე: დაბრკოლებები მართლმსაჯულებაში: რატომ ვერ იცავს ევრაზიის კანონმდებლობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს. სქოლიო 22, გვ. 17; იხ. ასევე: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო საქმეზე: Prosecutor v. Bemba, ICC-01/05-01/08, სააპელაციო პალატის 2018 წლის 8 ივნისის სააპელაციო გადაწყვეტილება, პარ. 107.

35 იუგოსლავიის ტრიბუნალი საქმეზე: Prosecutor v Kunarac et al სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, 22 თებერვალი, 2001 წელი, პარ. 387: იხ. ასევე: სიერა-ლეონეს სპეციალური სასამართლო საქმეზე: Prosecutor v. Sesay et al., No. SCSL-04-15-T, 2009 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება, პარ. 148.

36 იხ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო საქმეზე Prosecutor v. Bemba, ICC-01/05-01/08, 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, პარ. 107; იხ. ასევე: ჰაგის პრინციპები სექსუალური ძალადობის შესახებ, გვ. 12.

37 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v. Bulgaria, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 102; შეიცავს მითითებას იუგოსლავიის ტრიბუნალის საქმეზე Prosecutor v. Anto Furundžija, IT-95-17/1-T, 1998 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თანხმობა ან უარი სქესობრივ აქტზე. ეს უნდა შეფასდეს პირის ინდივიდუალური და გარემომცველი ფაქტორების გათვალისწინებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებადაა მიჩნეული (იხ. თავი I – 6.4. ქვეთავი). შესაბამისად, უმწეობის საკითხის შეფასებისას, მნიშვნელოვანია, სწორად შეფასდეს შშმ პირის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის თითოეული შემთხვევა.

უმწეო მდგომარეობის გამოყენებად განიხილება შემთხვევა, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სხვა პირთა მზრუნველობას და მხარდაჭერას საჭიროებს, ხოლო მოძალადე მას სთავაზობს დახმარებას სექსუალურ ურთიერთობაზე დათანხმების პირობით.[38]

უმწეობა ასევე შეიძლება მოიცავდეს დაზარალებულის მდგომარეობას, როდესაც მას არ აქვს მოძალადისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა, არც საკუთარი თავის და არც სხვისი დახმარების იმედი და იმყოფება გამოუვალ მდგომარეობაში (მაგალითად, დაზარალებული მოძალადესთან ერთად მარტო იმყოფება დაუსახლებელ ადგილას და სიტუაციაზე კონტროლი მთლიანად მოძალადის ხელშია).

უმწეობა და ნების დამთრგუნველი გარემოებები ერთმანეთთან დაკავშირებული, თუმცა განსხვავებული ცნებებია. კერძოდ, უმწეო მდგომარეობაში მყოფ მსხვერპლს წართმეული აქვს თანხმობის გაცხადების, ნების გამოხატვის ან მდგომარეობაზე რეაგირების უნარი, ან ვერ აცნობიერებს, რა ხდება მის თავს. ხოლო ნების დამთრგუნველი გარემოებების არსებობისას, შესაძლოა, ეს უნარები მთლიანად არ ჰქონდეს წართმეული, მაგრამ მის ნებაზე ხდება ზემოქმედება, რაც მისი მხრიდან თავისუფალი თანხმობის გამოხატვის შესაძლებლობას გამორიცხავს. მაგალითად, მოძალადემ მსხვერპლს სასტიკად სცემა. ამის შემდეგ, რამდენიმე საათში, მასთან დაამყარა სქესობრივი კავშირი ისე, რომ დაზარალებულს არც უარი დაუფიქსირებია და არც აშკარა წინააღმდეგობა გაუწევია. ეს ქმედება უნდა შეფასდეს გაუპატიურებად, ვინაიდან დაზარალებული იმყოფებოდა ნების დამთრგუნველ გარემოებებში, ე.ი. წინარე ძალადობრივი ეპიზოდიდან გამომდინარე - ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ, რის გამოც, ვერ შეძლო მოძალადისთვის წინააღმდეგობის გაწევა მისი მხრიდან განმეორებითი და უფრო მძიმე ძალადობის ჩადენის შიშით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „უმწეო მდგომარეობა“ ფართოდ უნდა განიმარტოს და მასში უნდა მოიაზრებოდეს ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც უმწეობის ტრადიციული გაგების მიღმაა.

გაუპატიურების მცდელობა:

იმ შემთხვევაში, როდესაც არ დადასტურდა შეღწევის განხორციელება, მაგრამ არსებული მტკიცებულებებით დასტურდება შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის განზრახვა, სახეზეა გაუპატიურების მცდელობა და ის უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 137-ე მუხლით (გაუპატიურების მცდელობა). ასეთი ქმედება <u>არ უნდა</u> დაკვალიფიცირდეს 138-ე მუხლით

38 იხ. თოდუა ნ., კომენტარებში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., გვენეტაძე ნ., მე-7 გამოცემა, 255. მაგალითი მოყვანილია 139-ე მუხლით გათვალისწინებულ უმწეობასთან მიმართებით.

გათვალისწინებულ დანაშაულად, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.[39]

დამატებითი მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რა ქმედებებს უნდა მოიცავდეს 137-ე მუხლი, მოცემულია პირველი თავის მე-4 ქვეთავში.

2.2.2. მუხლი 138 - სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება

ამ დანაშაულის შემადგენლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რომელიც არ შეიცავს ამ კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით.

მოცემული მუხლი შემდეგნაირად უნდა განიმარტოს:

სექსუალური ხასიათის ფიზიკურ კონტაქტში გამოხატული ქმედებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული სხეულში შეღწევასთან[40] და ჩადენილია „ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით“.

ამ დანაშაულის შემადგენლობის სხვა ელემენტები ისევე განიმარტება, როგორც ზემოთაა მოცემული 137-ე მუხლთან მიმართებით.

ამ ტიპის დანაშაულების მაგალითებს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი ქმედებები, როგორებიცაა: დაკავებული პირის სხეულის სექსუალური ხასიათის ინვაზიური (ანალური და ვაგინალური ღრუების) შემოწმება; თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ჩადენილი დამამცირებელი და სექსუალური ხასიათის ქმედებები (მაგალითად, იძულებით გაშიშვლება); თავისუფლების აღკვეთის ადგილას ვაგინალური ან ანალური შემოწმების ჩატარება პოლიციის თანამშრომლის მიერ, ნაცვლად სამედიცინო პერსონალისა, მაშინ, როდესაც ამის უკიდურესი საჭიროება არ არსებობდა.

სექსუალური ხასიათის ქცევისთვის აუცილებელი არ არის შეხება მაინცდამაინც შიშველ სხეულზე. საკმარისია ამის ჩადენა ჩაცმულ ტანსაცმელზეც. ასევე, აუცილებელი არ არის შეხება მოხდეს ხელით ან სხეულის სხვა ნაწილით. შესაძლებელია, დამნაშავემ ამისთვის რაიმე ინსტრუმენტი გამოიყენოს.[41]

2.2.3. მუხლი 139 – პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება

ამ დანაშაულის შემადგენლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, ჩადენილი ქონებრივი დაზიანების, სახელის გამტეხი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარით,

39 სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, კავშირი საფარი, 2020, გვ. 98.

40 იხ. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 36(1)(ბ); იხ. ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 190.

41 სქესობრივი დანაშაულები, თ. გეგელია, ი. კელენჯერიძე, ბ. ჯიშკარიანი, იურისტების სამყარო, თბილისი, 2020, გვ. 59-60.

ჰომეღმაც შეიძღება ახსებითად ღააზიანოს ამ პიჰის უფღება, ანდა ღაზაჰაღებუღის უმწეობის ან მატეჰიაღუჰი, სამსახუჰებჰივი ან სხვაგვაჰი ღამოკიდებუღების გამოყენებით.

სქესობრივი დანაშაულების ფართო განმარტება, რომელსაც ევროპული სასამართლო ითვალისწინებს (და ქვემოთ დეტალურად არის განხილული), შესაძლებლობას იძლევა, 139-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება სრულად ექცეოდეს 137-ე და 138-ე მუხლებში.

გაუპატიურების ტოლფასი ქმედებები, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის ორი სხვადასხვა მუხლით ფასდება:

საქართველოს კანონმდებლობა ამჟამად გაუპატიურების ორ სხვადასხვა დანაშაულს ადგენს. ერთი მათგანი მძიმე დანაშაულია და ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში (მუხლი 137), ხოლო მეორე ნაკლებად მძიმე დანაშაულია და ითვალისწინებს ნაკლებად მკაცრ სასჯელს (მუხლი 139). 139-ე მუხლს ეწოდება იძულება და არა - გაუპატიურება. ის განიმარტება, როგორც ნაკლებად მძიმე დანაშაული, ჩადენილი ისეთ გარემოებებში, სადაც არ ვლინდება ფიზიკური ძალის, უმწეობის ანდა იმწუთიერი მუქარის გამოყენება. ამგვარი მიდგომა ასაზრდოებს მცდარ წარმოდგენას, თითქოს გაუპატიურება ყოველთვის ფიზიკური ძალის გამოყენებით უნდა იყოს ჩადენილი. გარდა ამისა, ალტერნატიული ბრალდების შექმნა ისეთი დანაშაულისთვის, როდესაც ფიზიკური ძალის გამოყენების დადასტურება **არ მოითხოვება,** უკუაგდებს თანხმობის მტკიცების ტვირთის იდეას.

ანალოგიურ მიდგომას იზიარებდა ესპანეთის კანონმდებლობა (განასხვავებდა გაუპატიურებასა და იდენტური ხასიათის სექსუალურ ძალადობას), რაც GREVIO-მ უარყოფითად შეაფასა[42] და მიუთითა, რომ ამგვარი მიდგომა ცხადყოფს მცდარ წარმოდგენას იმაზე, თუ რას ნიშნავს „ძალადობა და წნეხი და რა რეაქცია შეიძლება გამოიწვიოს ამან მსხვერპლში“ (პარ. 220).

GREVIO-მ დადებითად შეაფასა ესპანეთის უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომელიც ამჟამად გზამკვლევის როლს ასრულებს ქვედა ინსტანციის სასამართლოებისთვის. ამ განმარტების მიხედვით, გაუპატიურების მუხლის გამოყენება შესაძლებელია „არა მხოლოდ იმ საქმეებში, რომლებიც ფიზიკურ ძალას მოიცავს, არამედ იქაც, სადაც სხვა ფაქტორები, როგორიცაა ზეწოლა, აშკარად აჩვენებს, რომ მსხვერპლს არ გამოუხატავს თანხმობა“ (პარ. 220). GREVIO-მ ასევე გამოთქვა სინანული, რომ საქმეები, რომლებიც მოიცავდა სექსუალურ შეღწევას, კვალიფიცირდებოდა, როგორც სხვა დანაშაული (სექსუალური ხასიათის) და არა - როგორც გაუპატიურება, „რომელიც ჩადენილია ისეთ გარემოებებში, რაც ცალსახად მიანიშნებს ზეწოლაზე“. GREVIO-მ დამატებით აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება აშკარად მიუთითებს იმ გარემოებათა კონტექსტზე დაფუძნებული განმარტების საჭიროებაზე, რომელშიც მსხვერპლი იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის დროს (პარ. 220).

მიუხედავად ესპანეთის უზენაესი სასამართლოს ზემოხსენებული განმარტებისა, GREVIO-მ აღნიშნა, რომ ესპანეთის რაიონული სასამართლოები კვლავ იყენებდნენ „გადაჭარბებულად ფორმალისტურ განმარტებებს დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად” (პარ. 221). აქედან გამომდინარე, GREVIO

42 GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში ესპანეთთან მიმართებით, 2020.

მიესალმა კანონმდებლობის ცვლილების ინიცირებას ახალი დანაშაულის ცნების შესამუშავებლად, რომელიც ჩაანაცვლებდა არსებულ რეგულაციებს და გააკეთებდა გზავნილს, რომ „გაუპატიურება არის გაუპატიურება", ხოლო ნებისმიერი სექსუალური აქტი, რომელიც განხორციელებულია ადამიანის თავისუფალი ნების გამომხატველი თანხმობის გარეშე, არის სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება.

ზემოაღნიშნული დასაბუთება ცალსახად მიემართება და მიესადაგება საქართველოში არსებულ მდგომარეობას. პრობლემა განსაკუთრებით შემაშფოთებელია, ვინაიდან, 139-ე მუხლი, სხვა ქმედებების გარდა, შეეხება ისეთი ტიპის გაუპატიურებას ან სექსუალური ძალადობის სხვა არაპენეტრაციულ აქტს, რომელიც ჩადენილია მოძალადეზე მსხვერპლის მატერიალური, სამსახურებრივი **ან ნებისმიერი სხვა ტიპის დამოკიდებულების ბოროტად გამოყენებით.** როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლოა, ეს მოიცავდეს იმ პირთა ფართო წრეს, რომელთაც მსხვერპლი არის მინდობილი ან აქვთ მასზე გავლენა, მათ შორის არიან: მეუღლეები ან ინტიმური პარტნიორები; მშობლები, დედინაცვალი და მამინაცვალი, მინდობით აღმზრდელები; ძიძები, ბავშვის მეთვალყურეები; მოძღვრები, პოლიციელები; დაკავების ადგილებსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში მცველები და სხვა ოფიციალური პირები; მასწავლებლები; დამსაქმებლები; ზედამხედველები; სამედიცინო პერსონალი; ხანდაზმულ ან უძლურ პირებზე მზრუნველები.

მაღალია ამ ტიპის დანაშაულების სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯის საჯარო ინტერესი, განსაკუთრებით, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ბუნების გათვალისწინებით, რომელიც დამოკიდებულ და მასზე პასუხისმგებელ პირს შორის არსებობს.[43] სწორედ ამის გამო, დანაშაულებზე, რომლებიც ყველაზე მოწყვლადი პირების შევიწროებასა და ექსპლუატაციას ეხება, უფრო მკაცრი სასჯელები გამოიყენება.[44] ისინი არ უნდა ექცეოდეს „ნაკლებად მძიმე" დანაშაულების კატეგორიაში და მათი სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა ხორციელდებოდეს 139-ე მუხლის ფარგლებში მხოლოდ იმის გამო, რომ მსხვერპლს ფიზიკური დაზიანებები არ მიუღია.

შეუსაბამო სასჯელები გაუპატიურების ტოლფასი ქმედებისთვის

სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელია თავისუფლების აღკვეთა 6-დან 8 წლამდე ვადით. 138-ე მუხლისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 139-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მინიმალური სასჯელია ჯარიმა, მაქსიმალური - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ეს კი ნიშნავს, რომ 139-ე მუხლით გათვალისწინებული გაუპატიურებისა და სხვა, სხეულში შეღწევის გარეშე ჩადენილი სერიოზული დანაშაულებისთვის, თეორიულად, არსებობს ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც ანალოგიური აქტებისთვის პირს შეიძლება მსჯავრი დაედოს 137-ე მუხლით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისთვის .

მიუხედავად იმისა, რომ ყველა დანაშაულს ინდივიდუალური გარემოებები ახასიათებს, გაუპატიურების დანაშაულების ამგვარ გრადაციას არ აქვს გამართლება და იგი არღვევს კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.

43 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, გაუპატიურება და სექსუალური დანაშაულები. მეშვიდე თავი, კანონმდებლობა და დანაშაულები.

44 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 46(ა) და 46(ბ); საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლები 137(2)(ა),(ე); 138(2)(ბ),(დ),(ფ); 139(3)(ე); გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, გაუპატიურება და სექსუალური დანაშაულები. მეცხრე თავი, სასჯელები.

პირობითი მსჯავრი გაუპატიურების ტოლფასი ქმედებისთვის

სტამბოლის კონვენციის 45-ე მუხლი სახელმწიფოებისგან მოითხოვს აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებების გატარებას, რათა სექსუალური ძალადობის დანაშაულის სასჯელები იყოს „ეფექტიანი, პროპორციული და პრევენციული".

139-ე მუხლით დაწესებულ მსუბუქ სასჯელს გაუპატიურებისა და შეღწევის გარეშე ჩადენილი სექსუალური ძალადობის ტოლფასი სხვა აქტები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 (2) მუხლით გათვალისწინებული „ნაკლებად მძიმე დანაშაულების" კატეგორიაში გაჰყავს. პირს, რომელიც აღიარებს „ნაკლებად მძიმე დანაშაულის" ჩადენას, შესაძლებელია, დაენიშნოს პირობითი მსჯავრი. შესაბამისად, 139-ე მუხლი ტოვებს გაუპატიურების ტოლფასი ქმედების ჩადენისთვის მსჯავრდებული დამნაშავის მიმართ პირობითი მსჯავრის დაკისრების შესაძლებლობას.

გაუპატიურებისთვის პირობითი მსჯავრის დაკისრება არ არის ეფექტიანი, პროპორციული და პრევენციული. ასეთი მსუბუქი სასჯელი ცალსახად შემწყნარებლურია ამგვარი სერიოზული დანაშაულისთვის, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლის დაცვას და **დაუსჯელობის ატმოსფეროს წახალისებას უწყობს ხელს.** მეტიც, გაუპატიურებისთვის პირობითი სასჯელის დაწესება ეწინააღმდეგება სტამბოლის კონვენციის არსს და სულისკვეთებას,[45] ასევე, CEDAW-ს კომიტეტის 35-ე ზოგად რეკომენდაციას ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ.[46]

იძულების გამოყენებით გაუპატიურების და ისეთი გაუპატიურების მიმართ, რომელიც ფიზიკური ძალადობის მტკიცებულებას არ შეიცავს, სასამართლოს უნდა ჰქონდეს ისეთივე სერიოზული მიდგომა, როგორიც სხვა სახის გაუპატიურებების მიმართ აქვს.

აქედან გამომდინარე, იმისთვის, რომ დანაშაულების კვალიფიკაცია ადეკვატურად გამოხატავდეს ქმედების არსს, რეკომენდებულია შემდეგი პრაქტიკის გამოყენება:

- სექსუალური ხასიათის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მოიცავს სხეულში შეღწევას, უნდა დაკვალიფიცირდეს 137-ე მუხლით, ამავე მუხლში მოცემული ხერხების ზემოთ განმარტებულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით (და არა - 139-ე მუხლით);
- სექსუალური ხასიათის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მოიცავდა სექსუალური ხასიათის ფიზიკურ კონტაქტს შეღწევის გარეშე, უნდა დაკვალიფიცირდეს 138-ე მუხლით (და არა - 139-ე მუხლით);
- იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა მხოლოდ იძულებას, სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის ფიზიკური კონტაქტის გარეშე, ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც სსკ-ის 137-ე ან 138-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადება ან მცდელობა.

3. თანხმობის ანუ ნამდვილი ნების არარსებობის პრეზუმფცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში

როგორც I თავის პირველ ქვეთავში იყო განხილული, სტამბოლის კონვენცია და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ინსტრუმენტები გაუპატიურებას განმარტავენ, როგორც ქმედებას, რომელიც პირის თანხმობის გარეშე განხორციელდა, ხოლო

45 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 1 და 3.

46 CEDAW-ს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია No. 35 ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ, CEDAW/C/GC/35, პარ. 26(a), 29, იხ. ასევე გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, გაუპატიურება და სექსუალური დანაშაულები. მეცხრე თავი, სასჯელები.

ამგვარი დეფინიცია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში არ არის ასახული. სტამბოლის კონვენციის თანახმად, განზრახი ქმედება, რომელიც ითვალისწინებს „სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალურ, ანალურ ან ორალურ შეღწევას სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით“, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს (მუხლი 36). ამ მუხლის შესაბამისად, „თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით“. კონტექსტზე დაფუძნებული ამგვარი ანალიზი ასევე ასახავს საერთაშორისო სისხლის სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის საუკეთესო პრაქტიკას.

საერთაშორისო სისხლის სამართლითა და ადამიანის უფლებათა სამართლით[47] უპირობოდ მიიჩნევა, რომ მსხვერპლის მიერ თავისუფალი, ნებაყოფლობითი და ნამდვილი ნების გამომხატველი თანხმობა ვერ იარსებებს, როდესაც სექსუალური ქმედება ჩადენილია შემდეგი საშუალებებით:

- ძალის გამოყენებით ან ძალის გამოყენების მუქარით; იძულებით (როგორიცაა ძალადობის შიში, თავისუფალი ნების უკანონოდ შეზღუდვა (duress), დაკავება, დაშინება, შანტაჟი, ფსიქოლოგიური ზეწოლა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და იძულების სხვა ფორმები);
- ნების დამთრგუნველი გარემოებებით ბოროტად სარგებლობით;
- იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელსაც არ შეუძლია ნამდვილი ნების გამომხატველი თანხმობის გაცემა.

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან მხოლოდ ერთის არსებობაც კი საკმარისია სექსუალური აქტის არანებაყოფლობითობის დასადგენად. შესაბამისად, ასეთ გარემოებებში საჭირო აღარ არის დაზარალებულის სიტყვებითა და ქმედებებით გამოხატული თანხმობის დადასტურება და წარმოჩენა.[48] როდესაც დადგენილია იძულება ან ნამდვილი ნების გამომხატველი თანხმობის გაცემის უუნარობა, თანხმობის არსებობის გამოკვლევა აღარ არის საჭირო.

47 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v. Bulgaria, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 181; იხ. ასევე: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროცედურისა და მტკიცების წესები, წესი 70; ასევე: საერთაშორისო სისხლის სასამართლო საქმეზე: Prosecutor v. Germain Katanga & Mathieu Ngudjolo Chui, ICC-01/04-01/07, 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება, პარ. 440; იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, ევროპის საბჭო, 2020, გვ. 13; იხ. ასევე: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო საქმეზე Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo, ICC-01/05-01/08-3343, 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, პარ. 105-106: „პალატა აღნიშნავს, რომ წესდების თანახმად, დაზარალებულის თანხმობის არარსებობა არ წარმოადგენს გაუპატიურების დანაშაულის სამართლებრივ ელემენტს. წესდების მოსამზადებელი სამუშაოები ცხადყოფს, რომ ავტორებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, არ მოეთხოვათ ბრალდების მხარისგან დაზარალებულის თანხმობის არარსებობის დადასტურება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, იმ საფუძვლით, რომ ასეთი დათქმა, უმეტეს შემთხვევაში, ხელს უშლის დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემაზე მიმართულ ძალისხმევას. ამიტომ, იმ შემთხვევებში, როდესაც დადასტურებულია „ძალდატანება“, „ძალის გამოყენების საფრთხე ან იძულების საფრთხე“, ან „ნების დამთრგუნველი გარემოებებით ბოროტად სარგებლობა“, პალატა მიიჩნევს, რომ ბრალდებას არ სჭირდება დაზარალებულის თანხმობის არარსებობის დამტკიცება; იხ. ასევე: „ცხრა ევროპულმა საერთო და კოდიფიცირებული სამართლის ქვეყანამ შეიმუშავა თანხმობაზე დაფუძნებული გაუპატიურების შესახებ კანონმდებლობა“, ამნესტი ინთერნეშენალი, 25 ნოემბერი 2019 წ., იხ. ასევე: კანადის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები 271, 273.

48 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო Ntaganda-ს საქმეზე, ICC-01/04-02/06, 2019 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 934.

სწორედ დაზარალებულის **თანხმობის, ანუ ნამდვილი ნების** არარსებობა იგულისხმება ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით. შესაბამისად, ზემოთ აღწერილი დანაშაულის ელემენტებიდან რომელიმეს არსებობა გამორიცხავს თანხმობას და უპირობოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ დანაშაული ჩადენილია მსხვერპლის თანხმობის ანუ მისი ნამდვილი ნების გარეშე, თუნდაც კანონის კონკრეტული მუხლები არ შეიცავდეს მითითებას თანხმობის არარსებობის შესახებ.

ეს მიდგომა მსხვერპლის მოქმედებებისა და ქცევის ნაცვლად მოძალადის მოქმედებებსა და გარემოებებზე ფოკუსირდება. იგი მოითხოვს კონტექსტზე დაფუძნებულ ანალიზს.

შესაბამისად, ძალადობა (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, იძულება), ძალადობის მუქარა (სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების მუქარა) მსხვერპლის ან მესამე ადამიანის მიმართ,[49] მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენება მიუთითებს თანხმობის არარსებობაზე. ეს ქმედებები ასევე მოიცავს:

- ქონების დაზიანების მუქარას;
- ცილისმწამებლური ინფორმაციის გამჟღავნების მუქარას;
- პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გამჟღავნების მუქარას;
- ისეთი ინფორმაციის გამჟღავნების მუქარას, რამაც შეიძლება არსებითად იმოქმედოს მსხვერპლის უფლებებზე;
- მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას;
- მოძალადის მიერ მსხვერპლის მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების ბოროტად გამოყენებას (სხვაგვარი დამოკიდებულება ფართოდ უნდა იყოს განმარტებული).

ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა, მიუხედავად ზემოხსენებული მსჯელობისა, არ მოიცავს ნამდვილი ნების საწინააღმდეგოდ განხორციელებული აქტების სრულყოფილ ჩამონათვალს. სწორედ ამიტომ, საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებამდე საჭიროა სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის დებულებების განმარტება პროგრესულად, არაფორმალისტურად, რათა თანხმობის გარეშე ჩადენილი ყველა სახის სექსუალური ძალადობის დანაშაული დაისაჯოს საერთაშორისო კარგი პრაქტიკისა და საქართველოს მიერ ნაკისრი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებით. შემდეგ თავში ახსნილია, თუ როგორ უნდა იყოს გამოყენებული ასეთი ინტერპრეტაცია.

4. თანხმობის გარეშე ჩადენილი ქმედებების ფართო განმარტება

4.1 ფსიქოლოგიური ძალადობა და ძალადობის მუქარა, რომელიც ზღუდავს თანხმობის გაცემის შესაძლებლობას

როგორც პირველი თავის პირველ ქვეთავშია მოცემული, 137-ე და 138-ე მუხლებით გათვალისწინებული ძალადობა სტამბოლის კონვენციის შესაბამისად უნდა იყოს

49 ჰააგის პრინციპები, გვ. 45, საერთაშორისო სისხლის სასამართლოს დანაშაულის ელემენტები, მუხლები 7(1)(g)-6, 8(2)(b)(xxii)-6 და 8(2)(e)(vi)-6, ელემენტი ერთი; იხ. ასევე: Ntaganda-ს სასამართლო გადაწყვეტილება პარ. 944; Kunarac et al. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება, პარ. 130; Kunarac et al. სასამართლო გადაწყვეტილება, პარ. 711.

განმარტებული და არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ფიზიკური ძალადობით. იგი გაგებული უნდა იყოს, როგორც ყველა სახის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ძალადობა და იძულება. ამასთან, მუქარა და იძულება ფსიქოლოგიური ძალადობაა (როგორც ეს სტამბოლის კონვენციით და საერთაშორისო სისხლის სამართლით არის გათვალისწინებული). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს იძულებას, როგორც *ადამიანისთვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, ესე იგი, მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებას, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულება ან შესრულებისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება (მუხლი 150.1).*

ფიზიკურ ძალადობაზე აქცენტის ნაკლებად გაკეთება და თანხმობის გარეშე ჩადენილი აქტების ფართო განმარტება ხელს შეუწყობს სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმაზე პირის პასუხისგებაში მიცემის მაჩვენებლის გაზრდას, მათ შორის მაშინ, როდესაც მსგავსი დანაშაულების შესახებ შეტყობინება დაგვიანებით ხდება, რის გამოც, ფიზიკური ძალადობის დამადასტურებელი მტკიცებულებები ან ბიოლოგიური მასალა შეიძლება აღარ იყოს ხელმისაწვდომი. ამგვარი მიდგომით მოძალადეები ნაკლებად შეძლებენ პასუხისმგებლობისთვის თავის დაღწევას გაუპატიურებასა და სხვა სექსუალურ ქმედებებზე, რომლებზეც მეორე მხარეს არ გაუცია თანხმობა, ან, როცა ამგვარი ქმედებები ჩადენილი იყო ნების დამთრგუნველი გარემოებების გამოყენებით (იხ. მეორე თავის მე-5 ქვეთავი).

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, **ფსიქოლოგიური ძალადობა** შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

- ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას (ქალთა მიმართ ძალადობის და/ან ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ" პუნქტი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი დებულებების ინტერპრეტაციისთვის);
- ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ტანჯვა (სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლი).

ფსიქოლოგიური ძალადობის სხვა მაგალითები, რომლებიც ზღუდავს პირის მხრიდან თანხმობის გაცემის შესაძლებლობას

ფსიქოლოგიურმა ძალადობამ, რომელიც ასევე იძულების ერთ-ერთი სახეა, შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლის მოწყვლად მდგომარეობაში ჩაყენება, ან ხელი შეუწყოს მოძალადის მხრიდან მისი მოწყვლადობის გამოყენებას. შედეგად, შესაძლოა, მსხვერპლი გახდეს მოძალადეზე დამოკიდებული, ან მისი ზეგავლენის ქვეშ მოექცეს, ამან კი მასზე ძალიან მძიმე ზემოქმედება მოახდინოს. შესაბამისად, ამ სახის ძალადობა არ უნდა გამოირიცხოს დღეს არსებული კანონმდებლობის იმ ელემენტებიდან, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება განხორციელდეს სექსუალური ძალადობა.

ამგვარი ქმედებების ეფექტი უნდა შეფასდეს კონტექსტის გათვალისწინებით.

ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად, 137-ე და 138-ე მუხლებში არსებული ძალადობის ხერხი გაგებული უნდა იყოს ფართო მნიშვნელობით და, სხვა ქმედებებთან ერთად, უნდა მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებებს. შესაბამისად, ეს არის გარემოებები, რომლებიც, შესაძლოა, მსხვერპლის ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ ყოფნასა და, აქედან გამომდინარე, თანხმობის არარსებობაზე მიუთითებდეს:

- მსხვერპლის სოციალური იზოლაცია სხვებისგან (მეგობრები, ოჯახი, სამედიცინო ან სხვა სახის დახმარება) ან პატიმრობაში ყოფნა;
- საფრთხეები, რომლებიც შეიძლება არ იყოს დაუყოვნებელი ხასიათის (შესაძლოა, ეს დაკავშირებული იყოს მსხვერპლის შვილებსა ან ოჯახის სხვა წევრებთან; მათ გაურკვეველ საიმიგრაციო სტატუსთან; მათ შორის, საცხოვრებელთან, სხვა ფინანსურ დამოკიდებულებასთან და სხვა);
- მუქარის ჟესტები და ენა;
- დაშინება (მათ შორის, მაგალითად, ყვირილი და სხვა აგრესიული ქცევა, როგორიცაა ნივთების განადგურება);
- შევიწროება, მათ შორის:
  - ქუჩაში შევიწროება, მაგალითად, სექსუალური შინაარსის ჟესტებისა ან განცხადებების სახით, ჯგუფური ბულინგი;
  - კიბერ-შევიწროება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სოციალური მედიაპლატფორმების, ელ-ფოსტის ან მოკლე ტექსტური შეტყობინებების გამოყენებას მსხვერპლისთვის მუქარის შემცველი, სექსუალური ხასიათის ან შეურაცხმყოფელი შეტყობინებების გაგზავნის მიზნით.
- ადევნება (მათ შორის, კიბერ-ადევნება);
- მსხვერპლის შეურაცხყოფა ან დამცირება (პირადად ან სხვების წინაშე) დამამცირებელი სახელების დარქმევის გზით ან დაცინვით;
- კულტურული/რელიგიური ნიშნით დამცირება, მაგალითად, მსხვერპლისთვის თავსაბურავის მოხსნა ან იძულება, გაიხადოს სამოსი;
- ნებისმიერი სახის ძალადობის მუქარა, თუ მსხვერპლი არ შეასრულებს გარკვეულ სექსუალურ ქმედებებს;
- მსხვერპლის პერმანენტული დამცირება, მაგალითად, გამუდმებით იმის თქმა, რომ იგი არაფრის მაქნისია (კერძო სივრცეში, ან სხვების თანდასწრებით);
- მუქარა, რომ მსხვერპლის შვილებს ცუდი რამ დაემართებათ;
- პირადი ინფორმაციის გამჟღავნების მუქარა, როგორიცაა მსხვერპლის სექსუალური ორიენტაცია, აივ-სტატუსი, იმიგრაციის სტატუსი, პირადი ფოტოსურათების გასაჯაროების, ოჯახის წევრებისა და მეგობრებისთვის გამჟღავნების ან სოციალურ ქსელში გამოქვეყნების მუქარა;
- რეპუტაციის შელახვის მუქარა ისეთი ინფორმაციის გასაჯაროებით, რომელიც დაკავშირებულია განქორწინებული ქალების შესახებ საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებსა ან დაუქორწინებელი ქალის სქესობრივ ცხოვრებასთან;
- ოჯახის ღირსების შელახვის მუქარა.
- მორჩილების მოთხოვნა.[50]

50 გაუპატიურების, ფემიციდისა და ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის ტერმინთა განმარტება;

არ არის აუცილებელი, იძულების ქმედებები და გარემოებები, რომელთა მცირე ჩამონათვალი ზემოთ არის მოცემული, უშუალოდ თანხმობის გარეშე განხორციელებული სექსუალური აქტის დროს იყოს წარმოდგენილი, რათა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის რელევანტურად ჩაითვალოს.

დაზარალებულის მიმართ ჩადენილი წინარე ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და ფიზიკური ძალადობის გამო, მოძალადე უშუალოდ სექსუალური ძალადობის პროცესში შეიძლება აღარ იყენებდეს ფიზიკურ ძალას, ძალადობის მუქარას ან მის სხვა რომელიმე ფორმას. თუმცა, ასეთ ვითარებაში, უნდა ჩაითვალოს, რომ დაზარალებულის მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედებები ჩადენილია ძალადობით, ვინაიდან, წინარე ძალადობრივი ეპიზოდებიდან გამომდინარე, იგი იმყოფება ნების დამთრგუნველ გარემოებებში. ასევე, ძალადობად უნდა შეფასდეს შემთხვევები, როდესაც მოძალადე მსხვერპლს უქმნის ისეთ მდგომარეობას, როდესაც დამნაშავეს წინააღმდეგობის დასაძლევად აღარ სჭირდება ფიზიკური ძალის გამოყენება, მაგალითად, თუ მოძალადემ მსხვერპლი წაიყვანა დაუსახლებელ ადგილას, სადაც მის მიმართ განახორციელა სექსუალური ხასიათის ქმედებები.[51] როგორც ზემოთ იყო განხილული, ამგვარი ქმედება ასევე შეიძლება შეფასდეს, როგორც დაზარალებულის უმწეობის გამოყენება.

4.2 იძულება და მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებები, რომლებიც გამორიცხავს თანხმობას

ქალის მიმართ სექსუალური ძალადობისას გაცილებით მეტი სახის იძულების მეთოდი შეიძლება იყოს გამოყენებული, ვიდრე 139-ე მუხლშია ჩამოთვლილი. ზედმეტად ფორმალისტურია ნებისმიერი განმარტება, რომლის მიხედვითაც, იძულებითი სქესობრივი აქტისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ 139-ე მუხლში მითითებული საშუალებებით ჩადენის შემთხვევაში.

მსხვერპლის ნამდვილი ნების დამთრგუნველი გარემოებები და ქცევა შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს. სექსუალური ძალადობისას მოძალადეები მიმართავენ იძულების ისეთ ფორმებს, როგორიცაა თვალთვალი, წესების დადგენა, იზოლირება, მანიპულაცია, დამცირება, ღირსების შელახვა, შეურაცხყოფა, მუქარა. მათი ამოცანაა, მსხვერპლები ჩააყენონ მოწყვლად მდგომარეობაში, ან ისარგებლონ მათი მოწყვლადობით და გახადონ ისინი თავიანთზე დამოკიდებულნი და მორჩილნი. იძულების მიზანია ძალაუფლებისა და კონტროლის მოპოვება და შენარჩუნება. ოჯახში ძალადობის საქმეებში იგი ხშირად დომინაციის მჩაგვრელი კასკადის ნაწილია, რომელიც ლახავს ქალის უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის განცდას.

ასევე, ინტიმური პარტნიორების მხრიდან ძალადობის რისკის შეფასება და მართვა ევროკავშირში, გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი (EIGE), 2019, გვ. 26-27; იხ. ასევე: ქალთა მიმართ ძალადობის გაცნობიერება და დაძლევა, საინფორმაციო ბიულეტენი: ჯანმო, 2012; ასევე: ჯანდაცვის სისტემების გაძლიერება ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობას ან სექსუალურ ძალადობას დაქვემდებარებული ქალების მხარდასაჭერად, ჯანმო, 2017, ჰააგის პრინციპები; სტამბოლის კონვენცია, მუხლი 33 - ფსიქოლოგიური ძალადობა; იხ. ასევე: სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 179-186; იხ. ასევე: ევროკავშირში ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული საკითხები, FEMM კომიტეტის მოქალაქეთა უფლებებისა და კონსტიტუციური საკითხების პოლიტიკის დეპარტამენტი, 2016, გვ. 16-17.

51 სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, კავშირი საფარი, 2020, გვ. 96-97.

ნების დათრგუნვა, თავისი არსით, ზიანის მომტანია. ყოველთვის კონტექსტზე დაფუძნებით უნდა შეფასდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი მსხვერპლის ნების დათრგუნვას.

მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებები შეიძლება წარმოიშვას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ძალადობიდან ან უგულებელყოფის შედეგად, მაშინაც კი, როდესაც ამ ქმედებების დამადასტურებელი **პირდაპირი მტკიცებულებები არ მოიპოვება.**

მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებები შეიძლება გამოიხატოს დაკავებასთან დაკავშირებულ სიტუაციებში[52] ან, როდესაც სექსუალური ძალადობა ჩადენილია სხვა დანაშაულებთან ერთობლიობაში,[53] როგორიცაა ფიზიკური შეურაცხყოფა, ყაჩაღობა ან ადამიანებით ვაჭრობა.

წინა თავში განხილულ ქმედებებთან ერთად, მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი დაეხმარება პოლიციას, პროკურორებსა და მოსამართლეებს დამნაშავის ისეთი ქცევის გამოვლენაში, რომელიც შესაბამის **კონტექსტში** გამორიცხავს სექსუალურ კავშირზე თანხმობის არსებობას:

- მსხვერპლის ჩაყენება ისეთ მდგომარეობაში, რომ იფიქროს, თითქოს უარის თქმა დაგვიანებულია, ან თავი იგრძნოს ცუდად ან დამნაშავედ სექსზე უარის თქმის გამო;
- მსხვერპლის ჩაყენება ისეთ მდგომარეობაში, რომ იფიქროს, თითქოს ვალდებულია, ჰქონდეს სექსუალური კავშირი, მაგალითად, „ცოლ-ქმრულ მოვალეობებზე“ მითითება, ან მსხვერპლთან ურთიერთობის გაწყვეტის მუქარა სექსზე უარის თქმის შემთხვევაში;
- მსხვერპლისთვის პირობის მიცემა, რომ იგი ან მისი ახლობელი მიიღებს სარგებელს, თუ დაზარალებულს დამნაშავესთან სექსუალური კავშირი ექნება. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ვითარება, როდესაც, მაგალითად, მატერიალური პრობლემების შედეგად, პირი იმყოფება საცხოვრებლის დაკარგვის საფრთხის წინაშე, ან მისი შვილი დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით და სახსრების უქონლობის გამო, შეუძლებელია მისი მკურნალობა. თუ მოძალადეს გაცნობიერებული აქვს ეს გარემოება და, სწორედ მისი გამოყენებით, სექსუალური ურთიერთობის სანაცვლოდ სთავაზობს პირს მატერიალურ დახმარებას, რომელიც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, შეთავაზებული სარგებლის მიუხედავად, ამ ტიპის შეთავაზება უნდა შეფასდეს სექსუალური ხასიათის იძულებად;
- მსხვერპლის იზოლირება მისი მეგობრებისა ან ოჯახისგან;
- მსხვერპლისთვის ძირითად საჭიროებებზე წვდომის შეზღუდვა;
- მსხვერპლის საქმიანობასა და ამ საქმიანობაზე დახარჯული დროის კონტროლი;
- მსხვერპლის კომუნიკაციის კონტროლი;
- მსხვერპლის ყოველდღიური ცხოვრების კონტროლი, შეზღუდვა და მითითება, თუ როგორ მოიქცეს. მათ შორის, სახლიდან გასვლის აკრძალვა,

52 ჰააგის პრინციპები, გვ. 47.
53 ჰააგის პრინციპები, გვ. 47.

მოსანახულებელი ადგილებისა და პირთა წრის შეზღუდვა, სამოსის, დასაძინებელი ადგილის კონტროლი და შეზღუდვა;
- მსხვერპლისთვის მხარდაჭერის სერვისებზე, მათ შორის, სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის შეზღუდვა;
- მსხვერპლისთვის შეურაცხმყოფელი, ღირსების შემლახველი ან დამამცირებელი წესების დადგენა ან მოქმედებების განხორციელება;
- მსხვერპლის მიერ საკუთარი თავის დადანაშაულების მიზნით, მისი იძულება, ჩაერთოს უკანონო ქმედებაში, როგორიცაა მაღაზიიდან რაიმეს ქურდობა, ბავშვების მიმართ მოვალეობების შეუსრულებლობა ან ძალადობა, ხელისუფლების ორგანოებისთვის სექსუალური ძალადობის გამჟღავნების აკრძალვა;
- მსხვერპლის ფინანსების კონტროლი, მაგალითად, პირისთვის მხოლოდ მწირი საარსებო სახსრების გამოყოფა, მისი ხელფასის, შეღავათების ან შემწეობის ჩამორთმევა და სარგებლობა, მსხვერპლისთვის საკუთარი საბანკო ანგარიშის გახსნის აკრძალვა;
- მსხვერპლისთვის ან მისი ახლობელი ადამიანისთვის სკოლასა ან უნივერსიტეტში სწავლის აკრძალვა;
- მსხვერპლისთვის მუშაობის აკრძალვა;
- მსხვერპლისთვის ტრანსპორტზე წვდომის შეზღუდვა;
- მუქარა, რომ მოძალადე მსხვერპლს სამუშაოს დააკარგვინებს, ან ხელს შეუშლის სკოლაში წარმატების მიღწევაში;
- მსხვერპლის ან მისი ახლობელი პირის მიმართ მუქარა, რომ ხელს შეუშლის მატერიალური სიკეთის მიღებაში, როგორიცაა სამსახურში დაწინაურება ან კარგი შეფასების/ნიშნის მიღება;
- დამუქრება, რომ მსხვერპლის ბავშვებს გადაიყვანენ [სახელმწიფო] მზრუნველობაში;
- შინაური ცხოველისთვის ფიზიკური ზიანის მიყენების მუქარა;
- პირადი ინფორმაციის, მაგალითად, მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციის, აივ-სტატუსის ან საიმიგრაციო სტატუსის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მუქარა, ან პირადი ფოტოების გასაჯაროება, მისი ოჯახის წევრებისა და მეგობრებისთვის გაგზავნა ან სოციალურ მედიაში გაზიარება;
- ქონების, მაგალითად, საყოფაცხოვრებო საგნების დაზიანება ან განადგურება;
- რეპუტაციის შელახვის მუქარა, რაც დაკავშირებულია განქორწინებული ან დასაქორწინებელი ქალის სექსუალურ ცხოვრებასთან;
- ოჯახის ღირსების შელახვის მუქარა.[54]

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები და ქცევები კონტროლის ან იძულების კასკადის

54 „დაბრკოლებები მართლმსაჯულებაში: რატომ ვერ იცავს ევრაზიის კანონმდებლობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს“, თანასწორობა დღეს, 2019 წ., გვ. 11; იხ. ასევე: სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის თაობაზე, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2012წ., გვ. 25; იხ. ასევე: გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: დომინანტური ან მაიძულებელი ქცევა ინტიმურ ან საოჯახო ურთიერთობებში; იხ. ასევე: აშშ-ის ჯანმრთელობისა და ადამიანური მომსახურების დეპარტამენტი, სექსუალური იძულება; იხ. ასევე: გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე; იხ. ასევე: გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 6.

შემადგენელი ნაწილია, რომელიც აშკარად იკვეთება ინციდენტის ან გაუპატიურების შესახებ პირველი შეტყობინების წარდგენამდე. ხშირად ასეთი საქციელი შეიძლება უვნებელი ჩანდეს, განსაკუთრებით, თუ იგი სხვა ინციდენტებისგან განცალკევებულად იქნება განხილული. მსხვერპლი შეიძლება ვერ ხვდებოდეს, ან არ იყოს მზად, გააცნობიეროს, რომ ეს ძალადობრივი ქმედებაა.[55] თუმცა, იძულებითი და მაკონტროლებელი ქცევა ხშირად ძლიერდება და უფრო ინტენსიური ხდება.

სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინება არ უნდა იყოს განხილული, როგორც ცალკეული ინციდენტი მსხვერპლისა და მოძალადის პოზიციიდან. კონტროლსა ან იძულებაზე დაფუძნებული ქცევის კუმულაციური ზეგავლენის გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საოჯახო ან ინტიმურ პარტნიორებს შორის არსებული ურთიერთობების კონტექსტში, ვინაიდან ეს შეიძლება იყოს მტკიცებულება, რომელიც თანხმობის არარსებობას ადასტურებს.[56]

იძულება და ნების დამთრგუნველი გარემო ხშირად ვლინდება ისეთ შემთხვევებში, როცა მოძალადესა და მსხვერპლს შორის არსებობს **ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილება.**[57] ნების დამთრგუნველი გარემო, მათ შორის, ნებისმიერი სახის იძულების შედეგია. ძალაუფლების უთანასწორო გადანაწილება და მისგან გამომდინარე ნების დამთრგუნველი გარემოებები შეიძლება სხვადასხვა ფაქტორის გამო ჩამოყალიბდეს. მაგალითად:

- მოძალადის ინსტიტუციური ან სხვაგვარი უფლებამოსილება, მსხვერპლზე ძალაუფლების ან გავლენის ქონა;
- მსხვერპლი დამოკიდებულია მოძალადეზე ფინანსურად, იურიდიულად, რესურსებით, პირადი ან ოჯახური კავშირის გამო, ან მოძალადესთან ისეთ ურთიერთობაშია, რომელიც ექსპლუატაციის რისკს წარმოშობს;[58]
- მოძალადეს ადრეც უძალადია მსხვერპლის ან მესამე პირის მიმართ ცოლ-ქმრულ, ოჯახურ ან ინტიმურ ურთიერთობებში;[59]
- ლიდერსა ან კერპთან (მუსიკალური, პოლიტიკური, სასულიერო, რელიგიური და ა.შ.), საზოგადოებისთვის პატივსაცემ ან აღიარებულ პირთან ურთიერთობის ფარგლებში ჩადენილ სექსუალურ ძალადობას სპეციფიკური მახასიათებლები აქვს. ეს სავარაუდო მოძალადის გარშემო შექმნილ, განსაკუთრებული ღირსებებისა და ძალაუფლების მომცველ იმიჯს უკავშირდება. ლიდერს უყალიბდება ასიმეტრიული ურთიერთობა თავის მიმდევრებთან, რაც იწვევს მათი მხრიდან აღფრთოვანებას, იდეალიზაციას და სურვილს, კმაყოფილება და სიამოვნება მიანიჭონ მას. მოძალადე ლიდერი ან კერპი მანიპულირების საშუალებით იმორჩილებს ადამიანებს, სარგებლობს მათი ასაკობრივი და სოციალური უთანასწორობით, დაუცველი მდგომარეობით ან

55 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: დომინანტური ან მაიძულებელი ქცევა ინტიმურ ან საოჯახო ურთიერთობებში.

56 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: დომინანტური ან მაიძულებელი ქცევა ინტიმურ ან საოჯახო ურთიერთობებში.

57 ჰააგის პრინციპები, გვ. 11.

58 ჰააგის პრინციპები, გვ. 11, მაგ. სქესი, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, სიღარიბე, კლასობრივი ან სოციალური სტატუსი, კასტა, ეთნიკურობა, რასა, რელიგია, განათლების არქონა ან სხვა საფუძვლები.

59 ჰააგის პრინციპები, გვ. 11.

მსხვერპლის მხრიდან გარკვეული ჯგუფისადმი კუთვნილების სურვილით. ამ კონტექსტში არასათანადო მოპყრობა შეიძლება მოიცავდეს დამამცირებელ მდგომარეობაში ადამიანის ჩაყენებას, ან იწვევდეს სხვადასხვა უსიამოვნო შეგრძნებას, როგორიცაა დისკომფორტი, ტანჯვა, პანიკის შეტევები და დეპრესია. ფსიქოლოგიური მანიპულირების ამგვარი მეთოდების მიზანია მსხვერპლის ნების დათრგუნვა ისეთ დონემდე, რომ მან ვერ შეძლოს ძალადობის ხარისხის აღქმა და იდენტიფიცირება.

- მსხვერპლი, გარკვეული მახასიათებლების გამო, მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნება (იხ. პირველი თავის მე-4 ქვეთავი), რაც მას უფრო დაუცველს ხდის ნების დამთრგუნველი გარემოებების მიმართ.[60]

ძალაუფლების უთანასწორო გადანაწილებაზე დაფუძნებული ნების დამთრგუნველი გარემოებები შეიძლება წარმოიშვას ოჯახურ, ცოლ-ქმრულ, ინტიმურ, საზოგადოებრივ ან ინსტიტუციურ ურთიერთობებსა და ინტერაქციის პროცესში.[61]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნების დამთრგუნველი გარემოებები უნდა შეფასდეს სექსუალური ძალადობის ნებისმიერი ინციდენტის კონტექსტის სრული და ყოვლისმომცველი შესწავლის საფუძველზე.[62] ნების დამთრგუნველი გარემოებების დასადგენად საჭიროა ქვემოთ მოცემული საილუსტრაციო ჩამონათვალის გათვალისწინება. ჩამონათვალი არ არის ამომწურავი:

- დაზარალებულის ასაკი, სრულწლოვანება, ჩამოყალიბების დონე და მის მიმართ ჩადენილი ქმედებების გაცნობიერების უნარი (ეს არ გამორიცხავს, რომ ზრდასრული, ასაკით უფროსი პირი გახდეს მსხვერპლი);
- მსხვერპლსა და სავარაუდო მოძალადეს შორის არსებული ურთიერთობის წინარე ისტორია;
- რამდენად ჰქონდა ცოდნა ან აცნობიერებდა დაზარალებული მის მდგომარეობას ან იმ ქმედების არსს, რომელსაც მისგან მოითხოვდნენ;
- რამდენად იცოდა ან სჯეროდა დაზარალებულს, რომ სავარაუდო მოძალადე სხვებზე ძალადობდა;
- სავარაუდო მოძალადის სოციალურმა ან პოლიტიკურმა სტატუსმა რამდენად იქონია გავლენა მსხვერპლის აზრის ჩამოყალიბებაზე, რომ მას არ შეეძლო უარის თქმა;
- გამოყენებული იყო თუ არა ძალადობა ან ძალადობის მუქარა მსხვერპლის ან მესამე პირის მიმართ (მაგალითად, ოჯახის წევრის ან ახლობლის მიმართ);
- იყო თუ არა სავარაუდო მოძალადე ისეთ მდგომარეობაში, რომ შეეძლო, ძალაუფლება/გავლენა ჰქონოდა მსხვერპლზე;
- იყო თუ არა მსხვერპლი ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ;
- სავარაუდო დამნაშავე მსხვერპლს რამეს ხომ არ დაჰპირდა, მაგალითად, ბრალდებასთან დაკავშირებული გარემოებების განვითარების კვალდაკვალ ხომ არ შესთავაზა მას უფრო უსაფრთხო/უზრუნველყოფილი ცხოვრება.[63]

60 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53 1.

61 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 194; 209; გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: დომინანტური ან მაიძულებელი ქცევა ინტიმურ ან საოჯახო ურთიერთობებში; იხ. ასევე: აშშ-ის ჯანმრთელობისა და ადამიანური მომსახურების დეპარტამენტი; სექსუალური იძულება.

62 საერთაშორისო სისხლის სამართლის გაიდლაინები სექსუალური ძალადობის შესახებ, ქვეთავი 14 (b)(iv)(I), გვ. 46.

63 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, საინფორმაციო გზამკვლევი პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის, რა არის თანხმობა?

5. მსხვერპლის მიერ თანხმობის არარსებობის გამოხატვა

როგორც პირველი თავის პირველ და მე-2 ქვეთავებში იყო განხილული, გარკვეულ სიტუაციებსა და გარემოებებში თანხმობის ანუ მსხვერპლის ნამდვილი ნების არარსებობა დღეს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებშიც დგინდება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ არ არის საჭირო, მსხვერპლმა გარკვევით გამოხატოს უარი.[64]

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თანხმობის არარსებობა არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მსხვერპლი ვალდებული იყო, გამოეხატა/გადმოეცა/შეეტყობინებინა უარი, არამედ კონტექსტის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მსხვერპლი იმ მდგომარეობაში ვერ ან არ გამოხატავდა თავისუფალ და ნებაყოფლობით თანხმობას ამგვარ ქმედებებზე.[65] იმისთვის, რომ კავშირი მიჩნეული იყოს მსხვერპლის თანხმობის გარეშე ქმედებად, არ არის სავალდებულო, მსხვერპლს ეთქვა „არა“.

სამართლებრივად, ასევე საჭირო არ არის იმის ჩვენება, რომ მსხვერპლმა სექსუალური ძალადობის დროს მოძალადეს ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია (იხ. თავი II, ქვეთავი 6: გაქცევა, თავის დაღწევა ან გაშეშება). თუ დაზარალებულმა დამნაშავეს უარი განუცხადა, თუმცა ფიზიკური წინააღმდეგობა არ გაუწევია, ეს უკვე ნიშნავს თანხმობის არარსებობას. შესაბამისად, თუ მსხვერპლმა დააფიქსირა „არა“, ეს საკმარისია თანხმობის არარსებობის დასადასტურებლად და დამატებითი გარემოებების გამოკვლევა, მაგალითად, იმყოფებოდა თუ არა მსხვერპლი ნების დამთრგუნველ გარემოებებში, საჭირო აღარ არის.

თანხმობის გამოხატვა შეიძლება როგორც სიტყვიერად, ასევე საქციელით, რაც თითოეული საქმის გარემოებების გათვალისწინებით უნდა დადგინდეს. უნდა შეფასდეს ასევე გარკვეული პოზიტიური ქცევა ან კომუნიკაცია, რომელიც აჩვენებს, რომ მსხვერპლი თანახმა იყო ქმედებაზე. ანუ, უნდა არსებობდეს თანხმობის მტკიცებულება.[66]

ამასთან, მსხვერპლის აშკარა აქტიური მონაწილეობა სექსუალურ აქტში ან რაიმე ფიზიოლოგიური რეაქცია ავტომატურად არ ნიშნავს თანხმობას.[67] კონკრეტულ ვითარებაში არსებული გარემოებების დადგენას უფრო მეტი შესწავლა სჭირდება.

თანხმობა დინამიკურად უნდა გაანალიზდეს: იგი უნდა არსებობდეს სექსუალური აქტის (მოქმედებების) დაწყებისას და ამ აქტის მიმდინარეობის პროცესში. შესაძლოა, პირისთვის მისაღებია გარკვეული ხასიათის სექსუალური აქტი, მაგრამ მისი მსვლელობისას წარმოიშვას უთანხმოება კონკრეტულ ქმედებასთან, მისი

64 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე E.B. v. Romania, App. No 49089/10, 2019 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, პარ. 56; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v Bulgaria, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 156-158, 166; ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, ევროპის საბჭო, 2020, გვ. 5, 8, 14; საერთაშორისო სისხლის სასამართლოს „რეგლამენტი და მტკიცების წესი“; წესი 70(a).

65 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v. Bulgaria, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 143, 156-158, 166.

66 კანადის უზენაესი სასამართლო საქმეზე R. v. Goldfinch, 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, პარ. 44.

67 იუგოსლავიის ტრიბუნალი საქმეზე Kunarac et al., IT-96-23-T& IT-96-23/1-T, 2001 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, პარ. 644.

განხორციელების გზასა ან ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, ან პირმა აქტის მიმდინარეობის დროს უარი თქვას მის გაგრძელებაზე. ამ შემთხვევებში ცალ-ცალკე უნდა გაანალიზდეს სექსუალური აქტის შემადგენელი ქმედებები, რათა დადგინდეს, იყო თუ არა თანხმობა გაცემული თითოეულ ქმედებაზე. ეს არ ნიშნავს, რომ აღარ არის საჭირო საქმის კონტექსტის გათვალისწინებით შეფასება და მტკიცებულებების მოძიება, რომლებიც დაკავშირებულია მოძალადის მიერ ამ კონკრეტული მსხვერპლის მიმართ ჩადენილ ქმედებებსა ან ძალადობის სხვა შემთხვევებთან, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა მსხვერპლის თავისუფალ და ნებაყოფლობით თანხმობაზე ამ სექსუალური აქტის დროს.[68]

იმისათვის, რომ დადგინდეს, რას ნიშნავს მსხვერპლის თანხმობის არარსებობა, მნიშვნელოვანია სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული ყველა ასპექტის გათვალისწინება (ქვემოთ მოცემული მაგალითების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი):[69]

- რა თქვა დაზარალებულმა: მიუხედავად იმისა, რომ არ არის სავალდებულო, მსხვერპლმა სიტყვებით გამოხატოს თანხმობის არარსებობა და თქვას „არა“, თუ მან უარი სიტყვიერად გამოხატა, მნიშვნელოვანია ამის მხედველობაში მიღება;
- რა სიტყვები გამოიყენა სავარაუდო მოძალადემ: ნებისმიერი სიტყვა, რომელიც სავარაუდო მოძალადემ გამოიყენა, შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ მან გაიგონა ან გააცნობიერა მსხვერპლის მიერ ნათქვამი უარი. მაგალითად, თუ მსხვერპლმა თქვა „არა“ და სავარაუდო მოძალადემ უპასუხა „კარგი რა, ხომ ვიცი, რომ შენ ეს გინდა“, ეს მიუთითებს, რომ მან გაიგონა და გააცნობიერა, რომ მსხვერპლმა თქვა „არა“.

თუ მსხვერპლს გარკვევით არ უთქვამს „არა“, ან ფიზიკური წინააღმდეგობა არ გაუწევია, მნიშვნელოვანია იმის გამოკვლევა, თუ სხვა რა ფორმით შეიძლებოდა მას უარი გამოეხატა (იხ. თავი II, ქვეთავი 6: გაქცევა, თავის დაღწევა ან გაშეშება). ზოგი მსხვერპლი აცხადებს, რომ თავდასხმის დროს იგი უარის ნიშნად თავს აქნევდა; ან მზერას არიდებდა და სხვა რამეზე ცდილობდა ყურადღების გადატანას. ეს და სხვა მსგავსი ქცევა, კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლოა, მიუთითებდეს მსხვერპლის მხრიდან თანხმობის არარსებობაზე, რაც გამომძიებელსა და პროკურორს შეიძლება დაეხმაროს სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული გარემოებების დადგენაში.

თანხმობა ნებისმიერ მომენტში შეიძლება უკან იყოს გახმობილი. ამგვარად, თანხმობა არ არის სახეზე, თუ მსხვერპლი დათანხმდა სხვა ანალოგიურ მოქმედებაზე წარსულში, ასევე, თუ მან თავდაპირველად გამოხატა თანხმობა, მაგრამ შემდეგ უკან გაიხმო, ან, თუ სექსუალური მოქმედების ხასიათი/ფორმა იცვლება თანხმობის გარეშე.

68 „შეაჩერე ახლა“: თანხმობის გამოხმობის/შეწყვეტისას გაუპატიურების სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული მოსაზრებები, აკიტასი და ჯენიფერ ნიუმენი.

69 რეალურ დროში სექსუალური დანაშაულის დინამიკაზე დაფუძნებული ტექნიკები, მსხვერპლის გამოკითხვა, სერჟანტი ჯოან არქამბაულტი, დოქტორი კიმბერლი, ა. ლონსვეი, თებერვალი 2006, (განახლებული 2019), გვ. 21.

6. მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებზე მსჯელობა მოწყვლადი ქალების შემთხვევაში

6.1. ზოგადი მოსაზრებები

ქალები შეიძლება დაექვემდებარონ დისკრიმინაციის სხვადასხვა ურთიერთგადამკვეთ ფორმას,[70] რაც ჩადენილ სექსუალურ ძალადობას კიდევ უფრო სერიოზულს ხდის. სხვადასხვა სახის მოწყვლადობის ურთიერთგადაკვეთამ შეიძლება წარმოშვას ნების დამთრგუნველი გარემოებები სექსუალური ძალადობის შემთხვევებში. ზოგიერთი ასეთი გარემოებისთვის დამახასიათებელია მე-2 თავის მე-6 ქვეთავში აღწერილი ქცევა. ამასთან, ყოველი მათგანი უნიკალური იქნება მსხვერპლისთვის, მისი პირადი მდგომარეობიდან, მსხვერპლსა და მოძალადეს შორის არსებული ურთიერთობიდან და ძალაუფლების დინამიკიდან გამომდინარე.

მსხვერპლის მიერ განცდილი სექსუალური ძალადობის უგულებელყოფა არ უნდა მოხდეს მისი სხვადასხვა ჯგუფისადმი კუთვნილებისა და კონკრეტულ მდგომარეობაში ყოფნის გამო. პირიქით, აუცილებელია მისი ინდივიდუალური მოწყვლადობის სრული გათვალისწინება მის მიმართ ჩადენილი ქმედების სექსუალურ ძალადობად დასაკვალიფიცირებლად. დისკრიმინაციის ურთიერთგადამკვეთი ფორმები კიდევ ერთხელ მიუთითებს სექსუალური ძალადობის თითოეული შემთხვევის კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიების საჭიროებაზე[71] (იხ. მე-2 თავის 1-ლი და მე-5 ქვეთავები). განსაკუთრებული მოწყვლადობის მქონე მსხვერპლების საქმეების განხილვა მოითხოვს, რომ სათანადო ორგანომ განსაკუთრებული ყურადღებით გამოიყენოს

70 CEDAW-ს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N35, CEDAW/C/GC/35, პარ. 12, სქოლიო 12, ამონარიდი: ზოგადი რეკომენდაცია N33, პარ. 8 და 9. ურთიერთგადამკვეთ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სხვა ზოგადი რეკომენდაციებია: რეკომენდაცია N15 ქალებისა და შიდსის შესახებ; N18 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების შესახებ; N21 ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებში თანასწორობის შესახებ; N24 ქალებისა და ჯანმრთელობის შესახებ; N26 მიგრანტი ქალი დასაქმებულების შესახებ; N27 ხანდაზმული ქალებისა და მათი უფლებების დაცვის შესახებ; N30 ქალების როლი კონფლიქტების პრევენციაში, კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ ვითარებებში; N31 საზიანო პრაქტიკის შესახებ; N32 ლტოლვილის სტატუსის, თავშესაფრის და მოქალაქეობის გენდერთან დაკავშირებული ასპექტები და მოქალაქეობის არმქონე ქალები; N34 რეგიონებში მცხოვრები ქალების უფლებების შესახებ; კომიტეტმა ასევე განიხილა ურთიერთგადამკვეთ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხები თავის კომუნიკაციებში (Jallow v. Bulgaria, 2012; S.V.P. v. Bulgaria, 2012; Kell v. Canada, 2012; A.S. v. Hungary, 2006; R. P. B. v. the Philippines, 2014; M.W. v. Denmark, 2016 და სხვ.) და მოკვლევებში (კერძოდ, რომლებიც დაკავშირებულია მექსიკასთან (2005) და კანადასთან (2015)); იხ. ასევე: ლათინური ამერიკის სამოდელო ოქმი ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების გამოძიების თაობაზე, პარ. 61, გვ. 24; იხ. ასევე: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 531(1); იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, ევროპის საბჭო, 2020, გვ. 5.

71 CEDAW-ს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N35, CEDAW/C/GC/35 პარ. 12, სქოლიო 12, ამონარიდი: ზოგადი რეკომენდაცია N33, პარ. 8 და 9. ურთიერთგადამკვეთ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სხვა ზოგადი რეკომენდაციებია: რეკომენდაცია N15 ქალებისა და შიდსის შესახებ; N18 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების შესახებ; N21 ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებში თანასწორობის შესახებ; N24 ქალებისა და ჯანმრთელობის შესახებ; N26 მიგრანტი ქალი დასაქმებულების შესახებ; N27 ხანდაზმული ქალებისა და მათი უფლებების დაცვის შესახებ; N30 ქალების როლი კონფლიქტების პრევენციაში, კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ ვითარებებში; N31 საზიანო პრაქტიკის შესახებ; N32 ლტოლვილის სტატუსის, თავშესაფრის და მოქალაქეობის გენდერთან დაკავშირებული ასპექტები და მოქალაქეობის არმქონე ქალები; N34 რეგიონებში მცხოვრები ქალების უფლებების შესახებ; კომიტეტმა ასევე განიხილა ურთიერთგადამკვეთ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხები თავის კომუნიკაციებში (Jallow v. Bulgaria, 2012; S.V.P. v. Bulgaria, 2012; Kell v. Canada, 2012; A.S. v. Hungary, 2006; R. P. B. v. the Philippines, 2014; M.W. v. Denmark, 2016 და სხვ.) და მოკვლევებში (კერძოდ, რომლებიც დაკავშირებულია მექსიკასთან (2005) და კანადასთან (2015)); იხ. ასევე: ლათინური ამერიკის სამოდელო ოქმი, პარ. 61, გვ. 24; იხ. ასევე: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 531(1); იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 5.

მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა.[72]

ქვემოთ მოცემულია განსაკუთრებულად მოწყვლადი ქალების ზოგადი მდგომარეობის ანალიზი, რომლის გათვალისწინება რელევანტურია სექსუალური ძალადობის დროს პირის ნამდვილი ნების არსებობის შესაფასებლად გარემომცველი გარემოებების კონტექსტში.

6.2. არასრულწლოვნები[73]

თანხმობისა და მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების შეფასება ბავშვებთან მიმართებით სრულწლოვნებისგან განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს. ბავშვები, განვითარებადი ფსიქოლოგიური და ემოციური მდგომარეობის გამო, უფრო ადვილად ექცევიან ამგვარი გარემოებების გავლენის ქვეშ. ბავშვები შეიძლება არ ფლობდნენ საკმარის უნარებს იმისთვის, რომ გაუმკლავდნენ რთულ სოციალურ სიტუაციებს, ასევე, სექსუალური ხასიათის წნეხს ან იძულებას.[74] შესაძლოა, არ დგინდებოდეს ბავშვის მიმართ ძალადობა, ძალადობის მუქარა ან უმწეობა, მაგრამ ქმედება მაინც წარმოადგენდეს გაუპატიურებას. ის, რაც სრულწლოვანი ადამიანების შემთხვევაში თანხმობით განხორციელებული სქესობრივი კავშირია, არასრულწლოვანთან მიმართებით შეიძლება იყოს გაუპატიურება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოძალადესა და მსხვერპლს შორის არსებობს მნიშვნელოვანი ასაკობრივი სხვაობა/ განვითარების დონე ან ძალაუფლება, ან როდესაც ბავშვი ისეთ გარემოში ცხოვრობს, რომელიც მას ექსპლუატაციის რისკის ქვეშ აყენებს.

რაც უფრო მცირე ასაკის არის ბავშვი, მით უფრო მეტად შეიძლება დაექვემდებაროს იძულებას, მანიპულაციას ან გარყვნილ ქმედებას ზრდასრული პირებისა ან ასაკით უფროსი ბავშვების მხრიდან. ამგვარი ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, შესაძლოა, სათანადოდ ვერ აღიქვამდეს მის მიმართ განხორციელებული ქმედებას და ვერ აფასებდეს მას, როგორც ძალადობას ან ექსპლუატაციას[75].

72 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე; იხ. ასევე: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე E.B. v. Romania, App. no. 49089/10, 2019 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, პარ. 60.

73 ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის თაობაზე ძირითად სტანდარტებს ითვალისწინებს ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია; ადამიანის უფლებათა ევროპული სასმართლოს პრეცედენტული სამართალი (როგორციაა M.C. v. Bulgaria, no. 39272/98 and Y. v. Slovenia, no. 41107/10; P.M. v. Bulgaria no. 49669/07; I.G. v. the Republic of Moldova no. 53519/07); გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია და მისი არასავალდებულო ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის თაობაზე; გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N12, 13 და 14; გაეროს ეკონოიკური, სოციალური და კულტურული საბჭოს მართლმსაჯულების გაიდლაინები დაზარალებული და მოწმე ბავშვების საკითხებზე, რეზოლუცია 2005/20, 2005; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გაიდლაინები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების შესახებ, 2010; ბარნაჰუსის სტანდარტები, სახელმძღვანელო ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვების მულტიდისციპლინური და უწყებათაშორისი დაცვის შესახებ, 2017; კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის დოკუმენტირებისა და გამოძიების საერთაშორისო ოქმი - სექსუალური ძალადობის, როგორც დანაშაულის და საერთაშორისო სამართლის დარღვევის, დოკუმენტირების საუკეთესო პრაქტიკა, მეორე გამოცემა: 2017 წლის მარტი, მე-16 და მე-17 თავები. ადგილობრივ სტანდარტებს ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები 137-141; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; ბავშვის უფლებათა კოდექსი და ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი.

74 რისკფაქტორების ცვლილებები მოზარდებში თანატოლთაგან სექსუალური იძულების შედეგად: უკუკავშირის ციკლის მაჩვენებელი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, 2012.

75 ბავშვთა სექსუალური ექსპლოუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია, იგივე „ლანზაროტის კონვენცია,'' მუხლი მე-18.

ოჯახში ან სხვა სახის არათანასწორი ძალაუფლებრივი მდგომარეობის დროს ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლადი არიან. ასეთ შემთხვევებში, შესაძლოა, ბავშვი მოძალადეს ენდობოდეს, დამოკიდებული იყოს მასზე, ან მოძალადეს ჰქონდეს მასზე ძალაუფლება, რომლის ბოროტად გამოყენებაც მარტივად შეუძლია.[76]

დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ გამოთქმული თანხმობა არ არის ვალიდური და მასთან სქესობრივი კავშირი გაუპატიურებად მიიჩნევა (სსკ-ის მუხლი 140). თუ კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიების შედეგად დადგინდება, რომ სქესობრივი აქტი არ იყო თანხმობით განხორციელებული, და არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ძალადობა ან ძალადობის მუქარა იყო გამოყენებული, ის უნდა დაკვალიფიცირდეს გაუპატიურებად (სსკ-ის მუხლი 137) და არა თანხმობით ჩადენილ ქმედებად (სსკ-ის მუხლი 140).

ბავშვებთან მიმართებით ნების დამთრგუნველი გარემოებების შეფასების დროს, რომლებიც გამორიცხავს თანხმობის არსებობას, პროკურორებმა და მოსამართლეებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ფაქტორები, რომლებიც გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის მიერ არის შემუშავებული:[77]

- **შეზღუდული ფინანსური რესურსები და სოციალური კავშირები.** არასრულწლოვანი განსაკუთრებით მარტივად შეიძლება დაექვემდებაროს იძულებას და ნების დამთრგუნველ გარემოებებს, როდესაც არჩევანის გაკეთება შეზღუდული აქვს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მისი სოციალური/ეკონომიკური ან/და ემოციური მოწყვლადობით. ამასთან, სახლსა ან პატარა სოციალურ წრეში გამოკეტვა ბავშვს ართმევს მანიპულაციისგან თავის დაღწევის შესაძლებლობას და ხელს უწყობს მის მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტების დაფარვას.
- **სიტუაციები, რომლებიც, ერთი შეხედვით, თანხმობად შეიძლება მიიჩნეოდეს.** ბავშვი, შესაძლოა, ჩართული იყოს, ერთი შეხედვით, თანხმობაზე დაფუძნებულ სექსუალურ ურთიერთობაში, როდესაც ის, სანაცვლოდ, იღებს ყურადღებას, საცხოვრებელს, საჩუქრებს, რაიმე სახის ნივთებს ან დაპირებას სიყვარულისა და ზრუნვის თაობაზე. ასეთ დროს ბავშვი შეიძლება თავს არ მიიჩნევდეს სექსუალური ძალადობის მსხვერპლად და სჯეროდეს, რომ, ნების დამთრგუნველი გარემოებების ნაცვლად, ნამდვილ სასიყვარულო ურთიერთობაში იმყოფება. საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, ქორწინების დაპირება სექსის სანაცვლოდ შეიძლება, ერთი შეხედვით, თანხმობაზე დაფუძნებულ ურთიერთობად მიიჩნეოდეს, მაშინ, როდესაც იგი ნების დამთრგუნველი გარემოებაა, რაც არასრულწლოვნის ნამდვილ თანხმობას გამორიცხავს.
- **მოწყვლადობის ფაქტორები.** არასრულწლოვნები, შესაძლოა, განსაკუთრებით მოწყვლადი იყვნენ ნების დამთრგუნველი გარემოებების მიმართ, როდესაც:
    - არ ჰყავთ თავისი ასაკის მეგობრები;

76 ბავშვთა სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის პრევენცია და მათზე რეაგირება: მტკიცებულებათა მიმოხილვა, იუნისეფი, გვ. 26.

77 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ გაიდლაინები და თანხმობის საკითხის გადაწყვეტის სახელმძღვანელო პრინციპები.

- აქვთ დაბალი თვითშეფასება და საკუთარი თავის რწმენა;
- აქვთ სწავლის ან განვითარების შეფერხება;
- ეჭვქვეშ აყენებენ თავის სექსუალურ ორიენტაციას, ან არ შეუძლიათ ოჯახთან ამაზე საუბარი;
- ცხოვრობენ ქაოსურ, დისფუნქციურ ოჯახში (მშობლები იყენებენ ნარკოტიკებს, ოჯახში არის ძალადობრივი გარემო, მშობლებს აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ან კავშირი კრიმინალთან), არ აქვთ საცხოვრებელი;
- აქვთ ძალადობის წინარე ისტორია (მათ შორის, ოჯახში სექსუალური ძალადობა, ქორწინების იძულების რისკი, „ღირსების" სახელით ჩადენილი დანაშაულის რისკი, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა და უგულებელყოფა);
- კავშირი აქვთ კრიმინალურ დაჯგუფებებთან (რომლებიც ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციას ეწევიან) ნათესავების, თანატოლებისა ან ინტიმური ურთიერთობების მეშვეობით;
- მათი კლასელები ან მეგობრები სექსუალური ექსპლუატაციის ან ძალადობის მსხვერპლები არიან.

როდესაც ორივე მხარე არასრულწლოვანია, თანხმობის არსებობის დასადგენად, შესაძლოა, რელევანტური იყოს შემდეგი გარემოებები:

- მხარეთა ასაკობრივი სხვაობა;
- მათ შორის არსებული ურთიერთობა და ამ ურთიერთობის ბუნება;
- მხარეების სექსუალური და ემოციური განვითარება და სქესობრივ აქტთან დაკავშირებული ემოციური ან ფიზიკური შედეგები.[78]

როდესაც არასრულწლოვნები მსგავსი ასაკის და განვითარების დონის არიან და ერთმანეთთან სექსუალურ ექსპერიმენტებს ატარებენ, ასეთი შემთხვევები, როგორც წესი, არ წარმოადგენს გაუპატიურებას, თუ იქ არ არსებობს ნების დამთრგუნველი გარემოებები, იძულება, ექსპლუატაცია ან ნდობის ბოროტად გამოყენება.[79]

6.3. ოჯახში ძალადობის მსხვერპლები

ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ხშირად სექსუალურ ძალადობასაც განიცდიან. აღსანიშნავია, რომ ძალადობრივ ურთიერთობებში მყოფი ქალები შეიძლება ვერ აცნობიერებენ, ან მზად არ არიან, გააცნობიერონ, რომ მათ მიმართ სექსუალური ძალადობა ხორციელდება.[80] ეს შეიძლება სხვადასხვა გარემოებით იყოს გამოწვეული, მათ შორის:

- ზოგიერთი ქალი შეიძლება ნებისმიერი სახის სქესობრივ კავშირს (თანხმობით ან თანხმობის გარეშე) „ცოლ-ქმრულ მოვალეობად" მიიჩნევდეს და ვერ აცნობიერებდეს, რომ ძალადობა დანაშაულია;

78 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო გაუპატიურებასა და სექსუალურ დანაშაულებზე - თავი 12: სექსუალური დანაშაული ახალგაზრდებსა და მოზარდებში.

79 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო გაუპატიურებასა და სექსუალურ დანაშაულებზე - თავი 12: სექსუალური დანაშაული ახალგაზრდებსა და მოზარდებში.

80 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე; იხ. ასევე: კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 18.

- მსხვერპლი შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ მას არავინ დაუჯერებს, ან იფიქრებენ, რომ თავად მოახდინა ძალადობის პროვოცირება;
- მსხვერპლს შეიძლება რცხვენოდეს ან ეშინოდეს, რომ შემთხვევის შესახებ შეტყობინებით ოჯახს „ღირსებას'' შეულახავს;
- მსხვერპლმა შეიძლება მხოლოდ მაშინ მიმართოს სათანადო ორგანოებს, როდესაც ძალადობა გაუსაძლისი ხდება, ან უკიდურეს დონეს აღწევს.

როგორც წესი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები მხოლოდ ფიზიკური ძალადობის თაობაზე აკეთებენ შეტყობინებას სათანადო ორგანოებთან და თავს იკავებენ სექსუალური ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისგან, ან უარყოფენ ასეთი ძალადობის არსებობას.[81] ამასთან, სექსუალური ძალადობა, იქნება ეს ოჯახურ თუ სხვა ინტიმურ ურთიერთობაში, ხშირად ხორციელდება დომინანტური და დამამცირებელი ქცევის პირობებში. ეს შეიძლება მოიცავდეს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ ძალადობას, სექსუალურ შევიწროებას, ადევნებას ან სხვა სახის ძალადობას ინტიმური პარტნიორებისა ან ინტიმურ ურთიერთობაში მყოფი პირების მხრიდან.[82] დამნაშავეები შეიძლება მანიპულაციის უკიდურეს ფორმებს მიმართავდნენ.[83]

მსხვერპლმა შეიძლება არჩიოს ძალადობრივ ურთიერთობაში დაბრუნება ან მისი შენარჩუნება სხვადასხვა მიზეზის გამო. შესაძლებელია, ეს ასევე უკავშირდებოდეს მსხვერპლის ყოფნას ნების დამთრგუნველ გარემოში. შესაძლოა, მსხვერპლს ეშინოდეს დამნაშავის და არ სურდეს სიტუაციის გამწვავება, ან არ ჰქონდეს სხვა საცხოვრებელი, ფინანსურად იყოს დამოკიდებული მოძალადეზე, ან განიცდიდეს ზეწოლას ოჯახის წევრების მხრიდან.[84] სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთობის ფართო კონტექსტის შესწავლა და გააზრება.[85]

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობა „ძალადობის ციკლს" განიცდის, რომელიც ხასიათდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაძაბულობის გაზრდით. ამას მოსდევს ძალადობის ეპიზოდი და შემდეგ მოჰყვება შერიგების პერიოდი. იმის გამო, რომ ძალადობა ყოველთვის არ არის მუდმივი, მსხვერპლს სურს, დაიჯეროს მოძალადის დაპირება, რომ ძალადობა აღარ განმეორდება; მსხვერპლმა, შესაძლოა, დამნაშავედაც კი იგრძნოს თავი და ფიქრობდეს, რომ თავად გამოიწვია ამგვარი ქცევა. მას შეიძლება უყვარდეს მოძალადე პარტნიორი, სურდეს მასთან დაბრუნება და არ უნდოდეს, რომ პრობლემები შეუქმნას. ასევე, შეიძლება მსხვერპლი იძულებული იყოს, შეინარჩუნოს ეს ურთიერთობა, რათა შვილებთან ახლოს იყოს, ან იმის გამო, რომ მუდმივმა შეურაცხყოფამ მისი თვითშეფასება და თავდაჯერებულობა უკიდურესად შეამცირა.

81 კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 18.

82 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, მუხლები 42, 181; იხ. ასევე: ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, გვ. 12-13.

83 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: დომინანტური ან მაიძულებელი ქცევა ინტიმურ ან საოჯახო ურთიერთობებში.

84 ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენცია და აღმოფხვრა, სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების პროფესიონალთათვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი, ევროპის საბჭო, 2016, გვ. 51.

85 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე; იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 5, 17.

ის, რაც, ერთი შეხედვით, სექსუალურ კონტაქტზე მსხვერპლის თანხმობად აღიქმება, კონტექსტში შეიძლება შეფასდეს მსხვერპლის მიერ ნების დამთრგუნველ გარემოსთან გამკლავების, ადაპტირებისა და უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მექანიზმად.[86] ცხადია, ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ძალადობა იყოს ჩადენილი. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ გარემოებებში განხორციელებული ნებისმიერი სექსუალური ძალადობა მიჩნეული უნდა იყოს დანაშაულად. მეტიც, ის უნდა მიეკუთვნოს მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რომელზეც, ოჯახში ძალადობის სხვა ფორმების მსგავსად, აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

6.4. ეთნიკური უმცირესობები

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებთან დაკავშირებით ინტერსექციური დისკრიმინაციის გათვალისწინება აუცილებელია მათ მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის გასააზრებლად. ზოგიერთ შემთხვევაში სექსუალური ძალადობა, შესაძლოა, ჩადენილი იყოს ინტერსექციური/ჯვარედინი დისკრიმინაციის მოტივით (იხილეთ მე-2 თავი, მე-7 ქვეთავი), ან მასზე გავლენა მოახდინოს მოწყვლადობის კონტექსტმა, რომელშიც ქალები იმყოფებიან.

აღნიშნული მოიცავს ენობრივ ბარიერს, რომელიც აფერხებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და აბრკოლებს ან ზღუდავს სახელმწიფო ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე წვდომას.[87] ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების ენობრივი ბარიერით შეიძლება მოძალადეებმა ბოროტად ისარგებლონ.[88] ისინი შეიძლება ცხოვრობდნენ მოშორებულ სოფლებში, პოლიციის მდებარეობის ადგილებიდან შორს და შეზღუდული ჰქონდეთ წვდომა საზოგადოებრივ ტრანსპორტზეც.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალის თემს შეიძლება განსაკუთრებულად ახასიათებდეს კონსერვატიული კულტურა, მკაცრი სოციალური ნორმები და პატრიარქალურ ტრადიციებზე დაფუძნებული ოჯახები, რაც ხელს უშლის ქალს, განაცხადოს ძალადობის შესახებ. ასეთ გარემოში, და არა მხოლოდ უმცირესობებთან მიმართებით, ქალწულობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაც სექსუალური ძალადობის გარშემო არსებულ სტიგმას ახალისებს და აბრკოლებს ქალს, მის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ სამართალდამცავ ორგანოში განაცხადოს.

გარდა ამისა, მეუღლეებზე დამოკიდებულება (ფინანსური და სხვა), ადრეულ ასაკში ქორწინება, ხარისხიანი განათლებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის პრობლემები, დომინანტ ეთნიკურ ჯგუფთან ინტეგრაციის ნაკლებობა სხვადასხვა ბარიერს ქმნის სექსუალური ძალადობის გამოვლენის თვალსაზრისით. სექსუალური ძალადობის, მათ შორის, მეუღლის მხრიდან გაუპატიურების გაცხადებამ შეიძლება ქალის ოჯახიდან და თემიდან გარიყვა ან მის მიმართ ეგრეთ წოდებული „ღირსების

86 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

87 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

88 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

დანაშაულების“ ჩადენა გამოიწვიოს. ეს გარემოებები გათვალისწინებული უნდა იყოს თანხმობის არსებობის შეფასებისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტები შეიძლება მხოლოდ მაშინ გამოაშკარავდეს, როდესაც მსხვერპლს აღენიშნება ჯანმრთელობის ისეთი დაზიანებები, რომლებსაც სახელისუფლებო ორგანოები ყურადღების მიღმა ვერ დატოვებენ. ასეთ დროს რისკის შეფასება, მსხვერპლის უსაფრთხოების მიზნით სათანადო ზომების გატარება და ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა უაღრესად მნიშვნელოვანია.

6.5. ქორწინების იძულების მსხვერპლები

ქორწინების იძულების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, გოგონას/ქალის მოტაცება აყალიბებს მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოს, რომლის დროსაც შესაძლებელია სექსუალური ძალადობის ჩადენა.

გოგონას/ქალის მოტაცება ქორწინების იძულების მიზნით არის „საზიანო პრაქტიკა“ და იგი, თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან ერთად, იძულებითი ქორწინების ფორმას განეკუთვნება. ამგვარი ქმედება ქმნის მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოს, რასაც ხშირად ახასიათებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა და მსხვერპლის ნების უგულებელყოფა. სექსუალური ძალადობა ხშირად გამოიყენება ქორწინებაზე იძულებით დასათანხმებლად, მოტაცებული მსხვერპლის უკან დაბრუნებისა და პოლიციაში განცხადების თავიდან ასაცილებლად,, რადგან შეიძლება მიიჩნეოდეს, რომ სექსუალური კავშირის დამყარების შემდეგ მსხვერპლის „ღირებულება“ მცირდება, მისი ღირსება ილახება და ქალი სხვასთან ქორწინებისთვის შეუფერებელი ხდება.

იძულებითი ქორწინება, მათ შორის გოგონას/ქალის მოტაცების გზით, ავტომატურად ქმნის მსხვერპლის ნების დამთრგუნველ ისეთ გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავს სქესობრივ კავშირზე თანხმობის არსებობას სხვა დამატებითი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაშიც. აქედან გამომდინარე, დანაშაულის გარემოებების გათვალისწინებით, მოტაცებულ გოგონასთან/ქალთან სქესობრივი კავშირის დამყარება შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც გაუპატიურება, ჩადენილი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

6.6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ბევრად უფრო ხშირად განიცდიან სექსუალურ ძალადობას, ვიდრე პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობა.[89] ქალი შეიძლება სწორედ იმიტომ გახდეს სქესობრივი დანაშაულის სამიზნე, რომ მას გარკვეული ტიპის შეზღუდული შესაძლებლობა აქვს.[90] მოძალადემ შეიძლება სპეციალურად გადაწყვიტოს სექსუალური ძალადობის ჩადენა შეზღუდული

89 „პროკურორთა რესურსი სექსუალური ძალადობის საქმეებზე, რომელშიც მსხვერპლი ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია”, AEQUITAS, 2019, გვ. 1-2.

90 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

შესაძლებლობის მქონე ქალის მიმართ, რადგან ფიქრობდეს, რომ ასეთ შემთხვევაში ადვილად შეძლებს პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას, ვინაიდან მსხვერპლს დამატებითი ბარიერები შეექმნება დანაშაულის შესახებ გასაცხადებლად და მიყენებული ზიანის დასადასტურებლად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალზე მოძალადე პირი ხშირად შეიძლება იყოს მის მზრუნველობაზე პასუხისმგებელი პირიც.[91] მოძალადემ შეძლება ბოროტად ისარგებლოს მსხვერპლის კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობით და მასზე ზემოქმედებისა და კონტროლის მიზნით განახორციელოს ქმედებები, როგორიცაა უგულებელყოფა; ძალადობა და სხვა ფორმით ჩაგვრა; საკომუნიკაციო დამხმარე საშუალებების ჩამორთმევა ან კონტროლი ან კომუნიკაციაში დახმარების გაწევაზე უარი; მობილობისა და ხელმისაწვდომობის შეზღუდვა; უარი ყოველდღიურ საქმიანობაში დახმარებაზე, რაც მოიცავს დაბანას, მენსტრუალურ და/ან სანიტარიულ-ჰიგიენურ ზომებს, ჩაცმას, ჭამას; საკვების ან წყლის შეზღუდვა; ბულინგი, სიტყვიერი შეურაცხყოფა ან დაცინვა შეზღუდული შესაძლებლობის გამო; კონტროლი, მაგალითად, ოჯახის, მეგობრების ან სხვა ადამიანების პირისპირ ნახვისა ან ვირტუალური კომუნიკაციის შეზღუდვა.[92] ამ სახის შეზღუდვებისა და კონტროლის პირობებში მოძალადე ქმნის მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოს. ამგვარ გარემოებებში ჩადენილი სექსუალური ძალადობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს ძალადობად ფსიქოლოგიური ძალადობისა ან ეკონომიკური ძალადობის, უმწეობის გამოყენებით. ზოგ შემთხვევაში შეიძლება ძალადობის რამდენიმე ხერხი იყოს გამოყენებული.

დისკრიმინაციული და სტერეოტიპული აღქმის გამო, ფიზიკური, ფსიქიკური ან ინტელექტუალური შესაძლებლობების შეზღუდვის მქონე ქალის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ან სხვა სახის მტკიცებულება შეიძლება არასანდოდ ჩაითვალოს. ამის მაგალითი შეიძლება იყოს ვარაუდი, რომ მისი მდგომარეობის გამო მსხვერპლი ვერ შეძლებს საქმის გარემოებების თაობაზე ზუსტი ინფორმაციის გადმოცემას. ასევე, შეიძლება მიიჩნეოდეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი სექსუალურად არასაკმარისად მიმზიდველია, და ამიტომ იგი გაუპატიურების სამიზნე ვერ გახდებოდა.

მეორე მხრივ, გავრცელებულია ასევე მოსაზრება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები არიან ჰიპერსექსუალურები და ისინი, შესაძლოა, თავად ახდენდნენ სექსუალური კავშირის „პროვოცირებას“. ამ ცრურწმენებს ზოგ შემთხვევაში განამტკიცებს მსხვერპლების შესაძლებლობის არქონა, თანმიმდევრულად ან ამომწურავად გადმოსცენ ინფორმაცია ინციდენტისა ან მოვლენების შესახებ, ან შეიძლება ისინი ჰყვებოდნენ არსებითად განსხვავებულ დეტალებს, რომლებიც არ უკავშირდება მოცემულ ინციდენტს. ფსიქიკურმა ან/და ინტელექტუალური შესაძლებლობების შეზღუდვამ ასევე შეიძლება შექმნას დისკრიმინაციული აღქმა, რომ მსხვერპლებს არ ესმით ძალადობის არსი.

მსხვერპლის ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის შემთხვევაში გარკვეული საკითხები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. „პროკურორთა რესურსი

91 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

92 ზოგადი კომენტარი No.3 (2016) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების თაობაზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, CRPD/C/GC/3; პარ. 31; იხ. ასევე: გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

სექსუალური ძალადობის საქმეებზე, რომლებშიც მსხვერპლი ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია (შემდგომში AEQUITAS)"[93] წარმოგვიდგენს მითითებებს ცალკეულ პრობლემურ საკითხებზე. ისინი ასევე რელევანტურია ფსიქიკური შეზღუდვის მქონე პირებთან მიმართებით.

<u>ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა კომპეტენციისა და თანხმობის გამოთქმის უნარის შეფასება</u>

AEQUITAS-ის თანახმად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ ჩადენილ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით ორი მთავარი საკითხის შეფასებაა საჭირო:

1. რამდენად ახდენს გავლენას ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობა მსხვერპლის კომპეტენციაზე, მისცეს ჩვენება სასამართლოში;

2. რამდენად ახდენს გავლენას ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობა მსხვერპლის უნარზე, გამოთქვას თანხმობა სექსუალური ხასიათის ქმედებაზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსხვერპლს, შესაძლოა, ჰქონდეს უნარი, მისცეს ჩვენება, მაგრამ შემთხვევის დროს არ ჰქონდა უნარი, დათანხმებოდა სქესობრივ აქტს და - პირიქით.

„კომპეტენტურობა" ნიშნავს მსხვერპლის უნარს, განასხვაოს სიმართლე სიცრუისგან, აცნობიერებდეს სიმართლის თქმის მოვალეობას და იმგვარად გადმოსცემდეს, რომ მისი ნათქვამი იყოს გასაგები. არსებობს ზოგადი პრეზუმფცია, რომ ყველა ზრდასრული ადამიანი ჩვენების მისაცემად არის კომპეტენტური. თუმცაღა, როდესაც მსხვერპლს აქვს ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობა, შეიძლება საჭირო გახდეს ექსპერტიზა მისი კომპეტენციის დასადგენად. ამგვარი ექსპერტიზა არ უნდა ჩატარდეს ავტომატურად, ყველა შემთხვევაში, როდესაც პირს აქვს ინტელექტუალური/ ფსიქიკური შეზღუდვა, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ამგვარმა შეზღუდვამ შეიძლება გავლენა მოახდინოს პირის კომპეტენტურობაზე. ამასთან, კომპეტენციის დადგენა, არც ფორმალურად და არც არაფორმალურად, არ უნდა ნიშნავდეს „მოწმის სანდოობის'' შემოწმებას, რაც იკრძალება მოქმედი კანონმდებლობით.

თანხმობის გაცემის უნარის შესაფასებლად, განსხვავებით „კომპეტენციისგან", შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო:

1. რამდენად აცნობიერებს მსხვერპლი სექსუალური კონტაქტის ხასიათს;
2. რამდენად აცნობიერებს მსხვერპლი სექსუალური კონტაქტის შედეგებს.

იმის გასაანალიზებლად, ესმის თუ არა მსხვერპლს სექსუალური კონტაქტის ხასიათი, მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების შემოწმება:[94]

- რა იცის მსხვერპლმა, ზოგადად, სექსუალური აქტის შესახებ?
- რა იცის მსხვერპლმა განხორციელებული კონკრეტული სექსუალური ხასიათის მოქმედების შესახებ?

93 პროკურორთა რესურსი სექსუალური ძალადობის საქმეებზე, რომელშიც მსხვერპლი ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია (AEQUITAS) 2019.

94 პროკურორთა რესურსი სექსუალური ძალადობის საქმეებზე, რომელშიც მსხვერპლი ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია (AEQUITAS) 2019, გვ. 3.

- აქვს თუ არა მსხვერპლს მიღებული რაიმე სახის სექსუალური განათლება/ინფორმაცია?
- ჰყავს მსხვერპლს მხარდამჭერი ადამიანები (მაგალითად, ოჯახი, მეგობრები, ადვოკატები, სერვისის მიმწოდებლები), რომლებთანაც მას სექსუალობის საკითხების განხილვა შეუძლია?

იმის გასაანალიზებლად, მსხვერპლს რამდენად ესმის და აქვს უნარი, დათანხმდეს ან უარი თქვას სექსუალურ აქტზე, შემდეგი საკითხები უნდა შეფასდეს:[95]

- შეუძლია მსხვერპლს, გააცნობიეროს ფაქტები და არჩევანი, რომელიც მას აქვს სექსუალურ კონტაქტთან დაკავშირებულ კონკრეტულ გარემოებებში?
- ესმის მსხვერპლს, რომ მას შეუძლია, უარი განაცხადოს სექსუალურ აქტზე?
- აქვს მსხვერპლს უნარი, აწონ-დაწონოს საკუთარი არჩევანის თანმდევი შედეგები და გააცნობიეროს, რა გავლენა შეიძლება ამან იქონიოს მის ცხოვრებაზე?
- აქვს მსხვერპლს უნარი, დააიდენტიფიციროს არასასურველი სექსუალური შეთავაზება ან შევიწროება და განუცხადოს ვინმეს ამის შესახებ?

ასევე, შესაძლოა, სასარგებლო იყოს იმის შეფასება, თუ რამდენად აქვს მსხვერპლს სექსუალური აქტის შესახებ თანხმობის ან უარის სათანადოდ გადმოცემის უნარი. ამასთან კავშირში, მნიშვნელოვანია, ასევე შეფასდეს, რამდენად აცნობიერებს პირი სქესობრივი აქტივობის რისკებსა და შედეგებს:

- რამდენად აცნობიერებს მსხვერპლი, რას ნიშნავს უსაფრთხო სექსი და როგორ შეიძლება ორსულობისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების თავიდან აცილება?
- რამდენად აცნობიერებს მსხვერპლი მოსალოდნელი ორსულობისა და მშობიარობის შედეგებს?[96]

ჩადენილი სექსუალური ქმედების/სექსუალური ძალადობის კონტექსტის შესამოწმებლად შემდეგი გარემოებების გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი:

- არსებობს თუ არა საქმეში იძულების ნიშნები ან მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებები?
- ხომ არ იმყოფებოდა მსხვერპლი ზეწოლის ქვეშ ან დაქვემდებარებულ ძალაუფლებრივ მდგომარეობაში (მაგალითად, მოძალადე იყო ოჯახის წევრი, მზრუნველი, თანამშრომელი ან სხვა პირი, ვისაც, მსხვერპლი ფიქრობდა, რომ უნდა დამორჩილებოდა)?[97]

AEQUITAS ასევე აღნიშნავს, რომ, მართალია, ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განსაკუთრებით მოწყვლადი არიან სექსუალური ძალადობის მიმართ, თუმცა, ბევრ მათგანს შეუძლია, ნების დამთრგუნველი გარემოებების არარსებობის პირობებში, გასცეს თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობა სქესობრივ აქტზე. ამასთან, ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის

95 პროკურორთა რესურსი სექსუალური ძალადობის საქმეებზე, რომელშიც მსხვერპლი ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია (AEQUITAS) 2019, გვ. 3.

96 პროკურორთა რესურსი სექსუალური ძალადობის საქმეებზე, რომელშიც მსხვერპლი ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია (AEQUITAS) 2019, გვ. 3.

97 პროკურორთა რესურსი სექსუალური ძალადობის საქმეებზე, რომელშიც მსხვერპლი ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია (AEQUITAS) 2019, გვ. 3.

მქონე პირებს, რომელთაც ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უნარი აქვთ, ისევე აქვთ სექსუალური ურთიერთობების უფლება, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობა მყარდება მზრუნველებთან, ოჯახის წევრებთან და სხვა ისეთ პირებთან, რომელთანაც რთულია, დადგინდეს, მოქმედებდა თუ არა შშმ პირი თავისუფალი ნებით. მიუხედავად სირთულისა, თუკი დგინდება, რომ ქალი თავისუფალი ნებით მოქმედებდა, სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ნაცვლად, სოციალურმა მუშაკმა ან სხვა უფლებადამცველმა უნდა უზრუნველყოს ოჯახის რეფერირება შესაბამის სერვისებთან შშმ პირისა და მისი ოჯახის მხარდაჭერის მიზნით.[98]

ზემოხსენებულის ანალოგიურად, ინგლისსა და უელსში სასამართლოები, იმის დასადგენად, ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირს აქვს თუ არა თანხმობის მიცემის შესაძლებლობა და უნარი, იკვლევენ შემდეგ ფაქტორებს: აქვს თუ არა ადამიანს საკმარისი ცოდნა სქესობრივი აქტის ხასიათსა და ბუნებაზე; ესმის თუ არა სქესობრივი კავშირის გონივრულად განჭვრეტადი შედეგები; შეუძლია თუ არა, აირჩიოს, მიიღებს თუ არა მონაწილეობას ასეთ აქტში; აქვს თუ არა შესაძლებლობა, გადაწყვიტოს, მისცეს თუ არა თანხმობა სქესობრივ კავშირზე და, საჭიროების შემთხვევაში, თავისი არჩევანის შესახებ შეატყობინოს სხვა პირს.[99] გარდა ამისა, პირი უნდა ფლობდეს ელემენტარულ ცოდნას სქესობრივი აქტის არსსა და მის შედეგებზე, მათ შორის იმის თაობაზე, რომ ვაგინალურმა სქესობრივმა კავშირმა შეიძლება გამოიწვიოს ორსულობა და/ან სერიოზული დაავადებები, ხოლო სიფრთხილის ზომების მიღება, როგორიცაა პრეზერვატივის გამოყენება, ამ რისკებს ამცირებს.[100]

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში (სახელმწიფო თუ კერძო) სახელმწიფოს მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი ქალები განსაკუთრებით ხშირად განიცდიან ძალადობას. მათ ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, ძალადობის შესახებ შეატყობინონ. მათი ნათქვამი ნაკლებად სანდოდ მიიჩნევა. ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისი კომისიის (IACHR) თანახმად, ჯანდაცვის დაწესებულებებში სექსუალური ძალადობის თავისებურებები მოითხოვს სპეციალური პროცედურების დანერგვას საჩივრების წარდგენის, გამოძიებისა და სასამართლო განხილვისთვის, იმ კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, რომლებშიც მსხვერპლები შეიძლება აღმოჩნდნენ ექიმ-პაციენტს შორის ურთიერთდამოკიდებულების გამო.[101]

6.7. ნარკოტიკების მომხმარებელი, უსახლკარო, დაუდგენელი ბინადრობის სტატუსის მქონე ქალები

ქალები შეიძლება მოწყვლადნი იყვნენ სპეციფიკური გარემოებების გამო, როგორიცაა ნარკოტიკების მოხმარება და დაუდგენელი/გაურკვეველი ბინადრობის სტატუსი მიგრანტი ქალების შემთხვევაში. ამ ჯგუფებს მიკუთვნებული ქალები შეიძლება დაექვემდებარონ მოძალადის მხრიდან ექსპლუატაციას იმის შიშით, რომ მათ სახელისუფლებო ორგანოებს გადასცემენ, ან დასჯიან ნარკოტიკების მოხმარებისა ან

98 პროკურორთა რესურსი სექსუალური ძალადობის საქმეებზე, რომელშიც მსხვერპლი ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია (AEQUITAS) 2019, გვ. 3.

99 იხილეთ, მაგ. D CC v LS [2006] EWHC 1544 (Fam), პარ. 12.

100 მაგ. გაერთიანებული სამეფოს სასამართლო საქმეზე A Local Authority v. H, COP11895254, 2012 2012 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, პარ. 23.

101 იხ. ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია - IACHR (2011) „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის: განათლება და ჯანდაცვა“.

არალეგალური ბინადრობის გამო.[102]

გარდა ამისა, ნარკოტიკების მომხმარებელი ქალები შეიძლება დამოკიდებულნი იყვნენ მოძალადეზე, რადგან იგი აწვდის მათ ნარკოტიკს. უსახლკაროდ დარჩენილი ქალებიც შეიძლება დამოკიდებულნი იყვნენ მოძალადეზე, რადგან იგი უზრუნველყოფს მათ თავშესაფრით. მიგრანტი ქალები ან თავშესაფრის მაძიებლები შეიძლება სოციალურად იზოლირებულნი იყვნენ, ჰქონდეთ ენობრივი ბარიერი, ან თავი ვერ დააღწიონ ძალადობრივ გარემოს ცოდნის ნაკლებობისა არსებულ სერვისებზე წვდომის არქონის გამო.[103] ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა, საკუთარ ქვეყანაშიც იყო ძალადობის მსხვერპლი, რაც მის მოწყვლადობას აძლიერებს.[104]

6.8. პროსტიტუციაში ჩაბმული ქალები

პროსტიტუციაში ჩართული ქალები განსაკუთრებით დაუცველნი არიან სექსუალური ძალადობის მრავალი ფორმისგან. ისინი არიან სტიგმატიზებულნი და აღიქმებიან ამორალურ, არასანდო ადამიანებად, რომლებიც დაცვას არ იმსახურებენ. ხშირად პროსტიტუციაში ჩართული ქალები არ განიხილებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლებად, რადგან მიიჩნევა, რომ ისინი ყოველთვის თანახმანი არიან, დაკავდნენ სექსით. ამასთან, პროსტიტუციაში ჩართულობა შეიძლება იყოს ამ ნიშნით დისკრიმინაციული მოტივით სექსუალური ძალადობის ჩადენის საფუძველი (იხილეთ პირველი თავი, 6.8. ქვეთავი).

პროსტიტუციაში ჩართული ქალები, როგორც წესი, შიშით და უნდობლობით არიან განწყობილნი ხელისუფლებისა და პოლიციის მიმართ, ვინაიდან ეშინიათ დაპატიმრების ან დეპორტაციის, ან ურთიერთობა ჰქონიათ სამართალდამცავი ორგანოების კორუმპირებულ წარმომადგენლებთან.[105] მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობა პროსტიტუციაში ჩართული ქალების მიმართ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 172[3]), ნაცვლად იმისა, რომ ისინი მიიჩნეოდნენ მსხვერპლებად იმ პირთა მხრიდან, ვინც მათ პროსტიტუციისთვის იყენებს და ექსპლუატაციას უწევს. სახელისუფლებო ორგანოებისთვის სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინება პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებს, პროსტიტუციისა და მასთან დაკავშირებული ქმედებების გამო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის სანქციების რისკის ქვეშ დააყენებს.[106] ეს გარემოებები ხელს უწყობს დაუსჯელობის კლიმატის ფორმირებას მოძალადეების სასარგებლოდ, რომლებსაც შეუძლიათ, მიზანში ამოიღონ პროსტიტუციაში ჩართული ქალები, ვინაიდან სჯერათ, რომ მათი ქმედება დაუსჯელი დარჩება. მოძალადე, შესაძლოა, მოქმედებდეს რწმენით, რომ, ზემოთ მოცემული

102 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

103 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 53; იხ. ასევე: გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

104 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 53; იხ. ასევე: გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

105 გენდერული ძალადობა სექსმუშაკების მიმართ და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერები: საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს გამოცდილება, გვ. 26; იხ. ასევე: პროსტიტუციის და ტრეფიკინგის მსხვერპლები: გაუპატიურების კრიზისის ცენტრის რეაგირება, გვ. 18.

106 გენდერული ძალადობა სექსმუშაკების მიმართ და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერები: საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს გამოცდილება, გვ. 4, 14-15; 23.

მიზეზების გამო, პროსტიტუციაში ჩართული ქალი ნაკლებად მიმართავს პოლიციას ძალადობის თაობაზე, ან ქალი თავს შეიკავებს იმიტომ, რომ ფიქრობს, შეტყობინების შემთხვევაში არავინ დაუჯერებს.

პროსტიტუციაში ჩართული ქალი ასევე შეიძლება მთელ რიგ ჯვარედინ/ინტერსექციურ მოწყვლადობას განიცდიდეს, მაგალითად, იყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი; მიგრანტი; უსახლკარო; ეთნიკური უმცირესობის წევრი; აივ-ინფიცირებული ან ნარკოტიკის მომხმარებელი. ხშირად უკიდურესი სიღარიბე აიძულებს ქალებს, ჩაერთონ პროსტიტუციაში. შედეგად, მათ, შესაძლოა, ჰქონდეთ განსხვავებული საპასუხო რეაქციები სექსუალურ ძალადობაზე და ინდივიდუალური გამოცდილება ნების დამთრგუნველ გარემოებებთან დაკავშირებით.

მოძალადე შეიძლება იყოს მსხვერპლზე გავლენის მქონე პირი, რომელიც მას სექსუალური კავშირისკენ უბიძგებს მისი სტატუსისა ან რაიმე სხვა ქმედების გაუმჟღავნებლობის სანაცვლოდ. მოძალადე ასევე შეიძლება იყოს პოლიციელი, რომელიც სექსუალურ კავშირს ამყარებს ქალთან მისი დაუსჯელობის პირობით, რაც მსხვერპლს დამატებით ბარიერებს უქმნის სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინების თვალსაზრისით.[107]

პროსტიტუციაში ჩართული ქალისთვის დამახასიათებელია თავის სუტენიორთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ტრავმით გამოწვეული მიჯაჭვულობა. ამის გამო მას, შესაძლოა, გაუჭირდეს ურთიერთობის დამყარება ადამიანებთან, რომლებიც მის დახმარებას ცდილობენ. მსხვერპლს სუტენიორის მიმართ შეიძლება ჩამოუყალიბდეს ერთგულება და პოზიტიური გრძნობებიც კი, ან ეცადოს მის დაცვას ხელისუფლების ორგანოებისგან, რაც მიღებული ტრავმის დაძლევის მექანიზმით და თვითგადარჩენის უნარ-ჩვევებით აიხსნება. ზოგჯერ პროსტიტუციაში ჩართული ქალები საკუთარ თავს ადანაშაულებენ, რომ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.[108]

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არ არიან ძალადობის მსხვერპლები და დამნაშავეები არ უნდა დაისაჯონ.

6.9 სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული მოწყვლადობა

ცალკეული ადამიანები, შესაძლოა, სექსუალური ძალადობის მსხვერპლები გახდნენ მათი რეალური ან მათ შესახებ აღქმული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ან/და გამოხატვის გამო. ასევე, შეიძლება მათ მიმართ ძალადობა ჩადენილი იყოს სწორედ ამ საფუძვლით, დისკრიმინაციული მოტივით. საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული დისკრიმინაციის პირობებში, სექსუალური ძალადობა შეიძლება გამოყენებული იყოს ამ პირთა წინააღმდეგ, „ამორალური“ საქციელისა და „ეროვნული ღირებულებების“ შელახვის გამო, ასევე, მათ დასასჯელად, ჰეტეროსექსუალობისა და ოჯახის ტრადიციული განმარტების მხარდაჭერის მიზნით. გარდა ამისა, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით მოწყვლად პირებს შეიძლება მიზანმიმართულად შეეზღუდოთ კონსტიტუციით გარანტირებული ისეთი უფლებები, როგორიცაა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება.

107 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნდა ჩატარდეს შეფასება იმის დასადგენად, არის თუ არა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლი.
108 პროსტიტუციის და ტრეფიკინგის მსხვერპლები: გაუპატიურების კრიზისის ცენტრის რეაგირება, გვ. 19.

პროსტიტუციაში ჩართული ტრანსგენდერი ქალები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან. მათ მიმართ სექსუალური ძალადობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია.[109] პროსტიტუცია ხშირად მათთვის თავის რჩენის მცირედი საშუალებებიდან ერთ-ერთია. საზოგადოებაში ამ პირთა მიმართ განსაკუთრებით მძლავრია დისკრიმინაცია და სტიგმა, რაც მათ მხარდაჭერის შესაძლებლობებს უზღუდავს. ეს დამნაშავეს უადვილებს ტრანსგენდერი ქალის ექსპლუატაციას და მის მიმართ სექსუალური ძალადობის ჩადენას.

თავისუფლებააღკვეთილი პირები ასევე იმყოფებიან უსაფრთხოების პერსონალის მხრიდან სექსუალური ძალადობის, ფიზიკური ძალადობისა და დისკრიმინაციის რისკის ქვეშ, მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო.[110] გარდა ამისა, ზოგიერთ ადგილას ლესბოსელი და ბისექსუალი ქალების მიმართ შეიძლება მოხდეს შეუწყნარებლობით მოტივირებული სექსუალური ძალადობა მსხვერპლის ორიენტაციის „გამოსწორების" მიზნით.[111] ეს პრაქტიკა ემსახურება მსხვერპლის სექსუალობის „ნორმალიზებას" საზოგადოებაში არსებული გენდერული და სექსუალური ნორმების შესაბამისად, გამოიყენება ლბ ქალებისა და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების დასჯის მიზნით და აჩვენებს კავშირს ჰომოფობიასა და სექსიზმს შორის.[112] ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ქალები შეიძლება ასევე დაექვემდებარონ ქორწინების იძულებას და მასთან დაკავშირებულ სექსუალურ ძალადობას.[113]

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისა, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ლბ ქალებისა და ტრანსგენდერი ადამიანებისთვის დამატებითი დაბრკოლებებიც არსებობს:

- შიში, რომ სერვისის მიმწოდებელთა მხრიდან შეიძლება გახდნენ ჰომოფობიური მოპყრობის მსხვერპლები, რაც დამატებითი ვიქტიმიზაციის წყაროა;
- შიში, რომ სამართალდამცავები არასერიოზულად შეხედავენ სექსუალური ძალადობის გამოცდილებას, განსაკუთრებით, როდესაც მსხვერპლიც და მოძალადეც ქალია;

109 გაეროს ერთობლივი პროგრამა შიდს-ზე/აივ-ზე; ჯანმო, გაეროს მოსახლეობის ფონდი, სექსსამუშაოს პროექტების მსოფლიო ქსელი, მსოფლიო ბანკი. სექსმუშაკებთან ფართო აივ/სსგდ პროგრამების იმპლემენტაცია, პრაქტიკული მიდგომები ერთობლივი ინტერვენციებიდან, ჟენევა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 2013.

110 ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია (IACHR), ძალადობა ლგბტი პირების მიმართ, 2015, პარ. 148.

111 ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია (IACHR), ძალადობა ლგბტი პირების მიმართ, 2015, პარ. 170.

112 ჰომოფობიური გაუპატიურების შოკისმომგვრელი რეალობა, ნავი პილეი, გამოქვეყნებულია აზიურ ერასა და 8 სხვა გაზეთში, 20 ივნისი, 2011, იხ. ასევე: გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზების და შედეგების შესახებ, A/HRC/4/34/Add.1, პარ, 633. სამხრეთ აფრიკის კომიტეტის დასკვნითი დაკვირვებები CEDAW/C/ZAF/CO/4, პარ. 39-40; გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ყირგიზეთის მისიაზე, A/HRC/14/22/Add.2, პარ. 38; დისკრიმინაციული კანონები და პრაქტიკა და ინდივიდების მიმართ ძალადობრივი ქმედებები მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე A/HRC/19/41.

113 დისკრიმინაციული კანონები და პრაქტიკა და ინდივიდების მიმართ ძალადობრივი ქმედებები მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე, A/HRC/19/41, პარ. 66-67; გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ადამიანის უფლებათა დამცველებზე, A/HRC/16/44, პარ. 23-24; გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ადამიანის უფლებათა დამცველების მდგომარეობის შესახებ, E/CN.4/2002/106, პარ. 90-92; გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ, E/CN.4/2002/83, პარ. 57, 101- 102; გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის სიღრმისეული შესწავლა, A/61/122/Add.1, პარ. 57, 73, 84, 151. WISG-ის მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 26% (N=39) ამბობდა, რომ ის ძალით დააქორწინეს, ან განიცდიდნენ ზეწოლას იმის გამო, რომ არ არიან დაქორწინებულები. 2014 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ასეთი რესპონდენტების რიცხვი 34%-მდე გაიზარდა.

- ე.წ. "ქამინგ აუთის შიში" და ამის გამო სახლის, ოჯახის, ან თავშესაფრის დაკარგვის ან ფიზიკური ძალადობის შიში;
- ლგბტ ჯგუფის წევრთა უმრავლესობა, პოტენციური ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური საფრთხიდან გამომდინარე, თავს არიდებს საჯაროდ საკუთარი სტატუსის გაცხადებას, რადგან მისი გამჟღავნების შემთხვევაში შეიძლება დაემუქროთ სახლის, ოჯახის, თავშესაფრის დაკარგვა, გახდნენ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი.[114] შიში, რომ სამართალდამცავები ან სერვისის მიმწოდებლები დაარღვევენ კონფიდენციალურობას და გაავრცელებენ ინფორმაციას მესამე პირებთან მისი სექსუალური იდენტობის შესახებ;
- შიში, რომ დაკარგავს ლგბტქი თემის მხარდაჭერას ინტიმური პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხშირად აწყდება წინააღმდეგობას ჯგუფის წევრთა მხრიდანაც. ლგბტ ჯგუფის წევრთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამგვარი პრობლემების საჯაროდ გამოტანა კიდევ უფრო გააძლიერებს საზოგადოებაში არსებულ ნეგატიურ განწყობებს. ლგბტ ადამიანთა უმეტესობას არ აქვს სათანადო მხარდაჭერა ოჯახის წევრებისა და მეგობრების მხრიდან. შესაბამისად, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თემის მხარდაჭერა. ამიტომ, ინტიმური პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი თემის წარმომადგენლები ორმაგი რისკის ქვეშ არიან: მათ შეიძლება დაკარგონ ოჯახის წევრების, მეგობრების მხარდაჭერა, თუ ისინი „ქამინგ აუთს“ მიმართავენ და, მეორე მხრივ, დაკარგონ მხარდაჭერა თემის მხრიდანაც.
- ინტერნალიზებული (გაშინაგანებული) ჰომოფობია მაგალითად, თუ გეის ან ლესბოსელს სჯერა, რომ ჰომოსექსუალობა დაავადება, ხოლო ჰომოსექსუალური ურთიერთობები პათოლოგიურია, ძალადობის შემთხვევაში შეიძლება ჩათვალოს, რომ იგი იმსახურებს ამგვარ დამამცირებელ მოპყრობასა და ძალადობას, შესაბამისად, ვალდებულია ის აიტანოს.[115]

7. სექსუალური ძალადობის უარყოფითი ზემოქმედების გაცნობიერება

გაუპატიურება და სხვა სახის სექსუალური ძალადობა მსხვერპლებისა და მათი ოჯახის წევრების ცხოვრებაზე შეუქცევად გავლენას ახდენს. სექსუალური ძალადობის უარყოფითი ზემოქმედებისა და ზიანის სრულად გათვალისწინება აუცილებელია ამ სახის ძალადობის მსხვერპლთათვის სამართლიანობის აღდგენისთვის და მომავალი ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

გაუპატიურებას, სხვა სახის ფიზიკურ ძალადობასთან შედარებით, ნაკლებად ახასიათებს ხილული ფიზიკური დაზიანებები, თუმცა მსხვერპლი შეიძლება დიდხანს იტანჯებოდეს სხვადასხვა ფიზიკური და ფსიქოლოგიური გართულებით.[116] ფსიქოლოგიური სტრესი, რომელსაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლები იღებენ, ხშირად უფრო

114 2010 წელს WISG-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 72.2%–ს „ქამინგ აუთში“ ხელს საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება უშლის, რაც გამოიხატება უარყოფის, სოციალური იზოლაციის, მარგინალიზაციის შიში „სექსუალური და თვითდესტრუქციული ქცევების კვლევა ლბ ჯგუფში“. WISG. 2010. თბილისი.

115 ურთიერთობის ხარისხი და ოჯახში ძალადობა ერთი და იმავე სქესის მქონეთა, ქალთა ურთიერთიერთობებში: უმცირესობათა სტრესის გავლენა, ბალსამ კ. ფ., & შუმანსკი, დ. მ., ქალთა ფსიქოლოგია - კვარტალური გამოცემა. 2005, გვ. 258-269.

116 კანადის უზენაესი სასამართლო საქმეზე R. v. McCraw, 3 SCR 72; საქმე N: 21684, 1991 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება.

მძიმე და ხანგრძლივია, ვიდრე ნებისმიერი სახის ფიზიკური ზიანი.[117] სექსუალური ძალადობის არაერთი მსხვერპლი განიცდის გაუპატიურების ტრავმის სინდრომს, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის დამახასიათებელი სტრესის სახეობაა.[118] სხვა მსხვერპლებს კი, განსაკუთრებით მათ, ვის მიმართაც სექსუალური ძალადობა ჩადენილი იყო იარაღის ან სასტიკი ძალადობის გამოყენებით, შეიძლება აღენიშნებოდეთ პოსტტრავმული სტრესული აშლილობა.[119]

ტრავმა სუბიექტური გამოცდილებაა, ამიტომ მსხვერპლის მიერ განცდილი სექსუალური ძალადობის ტრავმის მასშტაბის გაზომვა ძალზე ძნელია. შეიძლება მსხვერპლს წლები დასჭირდეს, რომ მის მიმართ ჩადენილ ძალადობაზე საუბარი შეძლოს.[120] ბევრი მათგანი ამას საერთოდ ვერ ახერხებს.[121] ზოგიერთ მსხვერპლს კი წლები სჭირდება, რომ ტრავმა დასძლიოს.

გაუპატიურების შედეგად, მსხვერპლი შეიძლება დაორსულდეს, შეეყაროს სქესობრივი გზით გადამდები დაავადება, ან დაკარგოს ბავშვის გაჩენის უნარი. სექსუალური ძალადობის პოტენციური ფსიქოლოგიური გვერდითი მოვლენები მოიცავს შფოთვას, ნივთიერებების ბოროტად გამოყენებას და დეპრესიას, რომელთაგან თითოეულს მრავალი სხვადასხვა სახის სიმპტომი ახასიათებს, მათ შორის: უძილობა, შიში, დანაშაულისა და სირცხვილის შეგრძნება, თვითშეფასების დაცემა, სექსუალური სურვილის დაკარგვა, „გარყვნის“ შეგრძნება და სხვა. სექსუალურ ძალადობასთან კავშირში პირის გარდაცვალების შემთხვევები შეიძლება გამოწვეული იყოს თვითმკვლელობით, აივ-ინფექციის შეყრით ან „ღირსების“ აღდგენის მიზნით მკვლელობით.

სექსუალურმა ძალადობამ, დისკრიმინაციასთან ერთობლიობაში, შეიძლება განსაკუთრებით ძლიერი გავლენა იქონიოს მსხვერპლ ქალებზე. ასეთი თავდასხმების სამიზნე ქალი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ქალია, არამედ იმ გარემოებების გამოც, რომელშიც ის იმყოფება ან იმ თემის გამო, რომელშიც ცხოვრობს (იხ. თავი I, ქვეთავი 6; თავი II, ქვეთავი 3.7). დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, ტრავმა შეიძლება ხანგრძლივი იყოს. ამგვარი დანაშაულები გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, რადგანაც ესაა გზავნილი სხვა ქალების დასაშინებლად. სქესობრივი დანაშაულების დაუსჯელობა ხელს უწყობს დისკრიმინაციული სტერეოტიპების და სოციალური ცრურწმენების გამყარებას, დაუსჯელობის გარემოს შექმნას, რაც შემდგომ ძალადობას წაახალისებს.

117 კანადის უზენაესი სასამართლო საქმეზე R. v. McCraw, 3 SCR 72; საქმე N: 21684, 1991 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება იხ. ასევე: ჯანმოს ანგარიში ძალადობისა და ჯანდაცვის შესახებ, 2002, თავი 6, გვ. 149.

118 გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, გვ. 14-15.

119 გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, გვ. 15-16.

120 საქართველოში გაუპატიურების შემთხვევების გამოძიება რთულია, ნინო ღვედაშვილი, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი.

121 საქართველოში გაუპატიურების შემთხვევების გამოძიება რთულია, ნინო ღვედაშვილი, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი.

II. სექსუალური ძალადობის გამოძიება

1. სექსუალური ძალადობის მსხვერპლზე ორიენტირებული გამოძიება - ზოგადი საკითხები

კონტექსტზე დაფუძნებული მიდგომა

სახელმწიფოს ვალდებულებაა, გაუპატიურებისა და სხვაგვარი სექსუალური ძალადობის ფაქტებზე[122] ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა აწარმოოს გენდერული პერსპექტივის გათვალისწინებით.[123] გენდერული პერსპექტივა მოიცავს იმ განსხვავებების მხედველობაში მიღებას, რომლებიც უკავშირდება „ქალებისა და კაცების სტატუსს, ძალაუფლებას, როლებსა და საჭიროებებს, ასევე, გენდერის გავლენას ადამიანების შესაძლებლობებსა და ინტერაქციაზე“.[124]

გენდერული პერსპექტივა დაეხმარება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აქტორებს, გააცნობიერონ, რა შემთხვევებში შეიძლება ქალთა მიმართ თანაბარი ან განსხვავებული მიდგომა იყოს დისკრიმინაციული. ეს პერსპექტივა დაეხმარება გამომძიებლებს, პროკურორებსა და მოსამართლეებს, ხელი შეუწყონ სისხლის სამართლის სისტემაში ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომას.

გენდერული პერსპექტივა დაეხმარება პოლიციელებს, პროკურორებსა და მოსამართლეებს, დააიდენტიფიცირონ სტერეოტიპები და თავიდან აიცილონ ამგვარი აზროვნება თავიანთი მუშაობის ნებისმიერ ასპექტში, მათ შორის, მსხვერპლის სანდოობის შემოწმების, კანონმდებლობის ინტერპრეტაციისა და გამოყენების დროს. ის ასევე გავლენას მოახდენს გამოყენებულ ენასა და სასამართლო სტრატეგიებზე.

ეფექტიანი გამოძიება პოლიციისა და პროკურორების მხრიდან მოითხოვს ყველა გონივრული ნაბიჯის გადადგმას ინციდენტის შესახებ მტკიცებულებების დროულად შეგროვებისა და დაცვის მიზნით, საქმის სწრაფი და ყოვლისმომცველი ანალიზის უზრუნველსაყოფად.[125] ეს გულისხმობს შესაბამისი ფაქტების დადგენას, ყველა მოწმის გამოკითხვას და, საჭიროების შემთხვევაში, დაზარალებულის თანხმობით, სასამართლო ექსპერტიზისა ან სხვა კვლევების ჩატარებას გაუმართლებელი დაყოვნებების გარეშე.[126] სექსუალური ძალადობის საქმეებისთვის დაბალი პრიორიტეტის მინიჭება ხელს უწყობს დამნაშავეებში დაუსჯელობის განცდის ჩამოყალიბებას და სექსუალური

122 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v Bulgaria, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 166; იხ. ასევე: სტამბოლის კონვენცია, მუხლები 5(2), 40, 49; ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 255-256.

123 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 6.

124 პოლიტიკის დოკუმენტი სექსუალურ და გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო, 2014, გვ. 3.

125 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 49(1); ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 255-256; იხ. ასევე: ლათინური ამერიკის სამოდელო ოქმი ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების გამოძიების თაობაზე, გვ. 28, პარ. 81.

126 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე Volodina v. Russia, App. No. 41261/17, 2019 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 92; ასევე: საქმეზე Opuz v. Turkey; ასევე: საქმეზე Maslova v. Russia, App. No. 839/02, 2008 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, პარ. 91; იხ. ასევე: სტამბოლის კონვენცია, მუხლი 49(1); ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 255, 256, 280.

ძალადობისადმი მიმღებლობის ამაღლებას.[127] ამრიგად, ამ დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობისთვის, აუცილებელია, პროცესი იყოს **დროული, საფუძვლიანი და მიუკერძოებელი.**

კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიება ითვალისწინებს გენდერული ნორმების ადგილობრივი დინამიკის მხედველობაში მიღებას კულტურის, რელიგიისა და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს სექსუალური ძალადობისადმი დამოკიდებულებაზე. ეს მიდგომა არის გასაღები, რომელიც ხსნის, თუ რატომ არის ჩადენილი სექსუალური ძალადობა, ვინ ჩაიდინა და რამდენად არაერთგვაროვანი/ფართო სპექტრის გავლენა აქვს მას მსხვერპლებზე. ეს მოითხოვს მტკიცებულებების მოპოვებას არა მხოლოდ უშუალოდ დანაშაულზე, არამედ იმ კონტექსტზეც, რომელშიც ის განხორციელდა.[128]

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მექანიზმებმა უნდა უზრუნველყოს სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლა „ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული უთანასწორობის, სტერეოტიპების, გენდერული როლებისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის კონტექსტის გათვალისწინებით."[129] გენდერული პერსპექტივის მხედველობაში მიღებით გამოძიების წარმართვა უზრუნველყოფს მისი მიმდინარეობის პროცესში შესაბამისი კითხვების დასმას, მსხვერპლის უფლებებისა და ღირსების დაცვას და ხელახალი ტრავმირების თავიდან აცილებას. გენდერული სტერეოტიპები და მცდარი წარმოდგენები ქალებისა და მათი როლის შესახებ გავლენას არ უნდა ახდენდეს სისხლის სამართლის საქმის რაიმე ასპექტზე. ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა და მსხვერპლთა მხარდაჭერის სამსახურები სათანადოდ უნდა აცნობიერებდნენ ქალებზე სექსუალური ძალადობის გენდერულ გავლენას და შესაბამისად მოქმედებდნენ.[130] ეს მოითხოვს კონტექსტზე დაფუძნებულ გამოძიებას და მტკიცებულებების შეფასებას,[131] ასევე დაზარალებულის კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებას,[132] რათა მას სისხლის სამართლის პროცესში ეფექტიანად მონაწილეობის საშუალება ჰქონდეს.

სექსუალური ძალადობის გამოძიება უნდა ჩატარდეს სისხლის სამართლის პროცესის ქვემოთ აღწერილი **ძირითადი პრინციპების** გათვალისწინებით. ეს პრინციპები უფრო დეტალურად განმარტებულია სახელმძღვანელოს სხვადასხვა ნაწილში, რომელიც პროცედურულ ასპექტებს ეხება.

<u>არ ავნო</u>

არ ავნო არის ძალადობის მსხვერპლზე ორიენტირებული ეთიკური პრინციპი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა და სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას. ის სექსუალური ძალადობის დანაშაულის გამოძიების ერთ-ერთ ძირითად პრინციპადაა აღიარებული.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლები, რომლებსაც ზიანი მიაყენეს მოძალადეებმა,

127 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, მუხლი 49, პარ. 255.
128 საერთაშორისო პროტოკოლი, ტომი 2, გვ. 14, 17; მურადის სამოდელო კოდექსი, პრინციპი 1.1.
129 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 18; ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 43
130 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 18; ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 116.
131 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 191-192.
132 გოგონათა უფლებების საქმეებზე დაყრდნობით შეძენილი ცოდნა, თანასწორობა ახლა, 2008 წ, გვ. 3.

შეიძლება უფრო მეტად დაზარალდნენ მათი ოჯახებისა და თემის მხრიდან. მათ შეიძლება ემუქრებოდეთ გარიყვა, შურისძიება, იზოლაცია და სტიგმატიზაცია.[133] შესაძლოა, ისინი იძულებულნი გახდნენ, მიატოვონ საცხოვრებელი, დაკარგონ მეურვეობა შვილებზე, განქორწინდნენ ან გაჭირვებაში აღმოჩნდნენ.

ძალადობის მსხვერპლებს შეიძლება ზიანი მიაყენოს სამართალწარმოების პროცესმაც,[134] თუკი მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებს მათი არ სჯერათ, არასათანადოდ აფასებენ მსხვერპლის მიმართვის მნიშვნელობას ან აიგნორებენ მას. ძალადობის მსხვერპლები შეიძლება დაექვემდებარონ გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეების მხრიდან შეუსაბამო რეაგირებას, ემპათიის ნაკლებობას, ან მათ მიმართ განხორციელდეს არაადეკვატური და არაჯეროვნად მომზადებული ინტერვენციები. ეს იწვევს მსხვერპლის არა მხოლოდ ტრავმირებას და სტიგმატიზაციას, არამედ აფერხებს მისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას.[135] „არ ავნო“ არის პრინციპი, რომელიც, მსხვერპლთა უსაფრთხოებისა და ღირსების გათვალისწინებით, მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებისგან მოითხოვს იმის სათანადოდ გაცნობიერებას, თუ რა უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს სამართალწარმოების პროცესმა მსხვერპლსა და მის ოჯახზე, მოწმეებზე, ფართო საზოგადოებაზე და რა შესაბამისი ზომები უნდა იყოს მიღებული ამ ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანისა და პრევენციისთვის (ეს ზომები მოცემულია მე-2 თავის მე-9 და მე-10 ქვეთავებში).[136]

„არ ავნო” პრინციპი გულისხმობს მსხვერპლისა და მოწმეების უსაფრთხოების, პირადი ცხოვრების, ჯანმრთელობისა და სხვა მსგავსი საკითხების სათანადოდ გაცნობიერებას. პრინციპი მიემართება როგორც გამომძიებლების, ასევე პროკურორებისა და მოსამართლეების მუშაობას. იგი საფუძვლად უდევს სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპს და მოითხოვს შესაბამისი ზომების გატარებას მსხვერპლსა ან მოწმესთან ნებისმიერი კონტაქტის დაწყებამდე, მისი მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ, გამოძიების მთელი პერიოდის განმავლობაში. პრინციპი „არ ავნო“ მსხვერპლებს მათი პოზიციის ჩამოყალიბებაში ეხმარება უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების დაცვის უზრუნველყოფით და ხელს უწყობს მათი მხარდაჭერის პოტენციური მექანიზმების იდენტიფიცირებას.[137]

<u>ინფორმირებული თანხმობა და ინფორმაციის გაზიარება</u>

ინფორმირებული თანხმობა არის ეთიკის პრინციპი, რომელიც ემყარება პირადი ავტონომიის დაცვას და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა შესაძლებლობას, ისარგებლონ დამოუკიდებელი არჩევანის უფლებით.[138] იგი უზრუნველყოფს, რომ

133 გლობალური ანგარიში ძალადობისა და ჯანდაცვის შესახებ, ჯანმო, 2002, თავი 6, გვ. 149.
134 ლათინური ამერიკის სამოდელო ოქმი ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების გამოძიების თაობაზე, პარ. 61, გვ. 24.
135 ლათინური ამერიკის სამოდელო ოქმი ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების გამოძიების თაობაზე, პარ. 61, გვ. 24.
136 საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 85; იხ. ასევე: სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 255; იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 30.
137 საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 85.
138 კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 15.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლებმა შეინარჩუნონ სრული კონტროლი განცდილ ძალადობაზე და სისხლის სამართლის პროცესების ინფორმირებული და აქტიური მონაწილეები იყვნენ.[139] მსხვერპლს ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეს მთელი პროცესის მანძილზე. ეს ნიშნავს, რომ მას უნდა ესმოდეს, როგორ შეიძლება იყოს გამოყენებული ინფორმაცია, რომელსაც სამართალწარმოების პროცესში ჩართულ პირებს აწოდებს გამოძიების ყველა ეტაპზე და გაცნობიერებული ჰქონდეს მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.[140] შესაბამისად, გამომძიებელმა, პროკურორმა და მოსამართლემ პროაქტიულად და ყურადღებით უნდა აუხსნან მსხვერპლს, თუ რა მოხდება საქმისწარმოების სხვადასხვა ეტაპზე, გასაგებად განუმარტონ, როგორ იქნება გამოყენებული მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და ჰკითხონ, თანახმაა თუ არა მის გამოყენებაზე. ეს პრინციპი ასევე მნიშვნელოვანია მსხვერპლის ნდობის მოსაპოვებლად.[141]

საქმისწარმოების ყველა ეტაპზე გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები ვალდებულნი არიან, **პროაქტიულად და გასაგებად** აცნობონ დაზარალებულებს მათი უფლებებისა და საქმის მიმდინარეობის შესახებ და დაეხმარონ მათთვის საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებაში.[142] ინფორმაციის გაზიარება არ უნდა იყოს ფორმალისტური,[143] არამედ ეს უნდა განხორციელდეს სისტემატურად, დაუყოვნებლივ და არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, <u>მიენიჭა თუ არა მსხვერპლს ოფიციალურად დაზარალებულის სტატუსი.</u>[144]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსხვერპლის ინფორმირება იმის შესახებ, (1) თუ როდის აქვს უფლება, მოითხოვოს დამცავი ზომები და რა პროცედურა არსებობს ამასთან დაკავშირებით, ასევე, (2) რა გარანტიები არსებობს იმისთვის, რომ იგი დაცული იყოს ხელახალი ტრავმირებისგან (იხ. თავი II, მე-9 და მე-10 ქვეთავები). ინფორმირებულ თანხმობასა და ინფორმაციის გაზიარებასთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის როლი სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, კომუნიკაციის სისტემატურობა,

139 საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 89-90; იხ. ასევე: კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 15.

140 საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 89-91, 146.

141 კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 16.

142 იხ. ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, პრეამბულა, პარ. 26, მუხლები 4-6; იხ. ასევე: სტამბოლის კონვენცია, მუხლი 56(1); ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 285-286; იხ. ასევე: ეუთო (OSCE) ODIHR-ის მოსაზრება ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მასთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ცვლილებების პროექტზე, 2013, გვ. 17; იხ. ასევე: ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონი, მუხლი 171; იხ. ასევე: ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში „ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზების და შედეგების შესახებ“, შემუშავებული საქართველოში ვიზიტზე დაყრდნობით, 2017, პარ. 93, იხ. ასევე: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 57 (მსხვერპლის უფლებები); იხ. ასევე: გაეროს ნარკოტიკებთან და დანაშაულთან ბრძოლის ოფისი - სახელმძღვანელო ქალთა და გოგონების მიმართ ჩადენილი ძალადობის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ (2014), გვ. 44, საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 88.

143 იხ. ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, პრეამბულა, პარ. 26, მუხლები 4 და 6.

144 საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულის სტატუსის მინიჭება შესაძლებელია სისხლის სამართლის პროცედურით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 56-ე მუხლი), შემაკავებელი ან დამცავი ორდერების გამოცემისა და დაზარალებულის სტატუსის მინიჭების გზით მსხვერპლთა სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მიერ (კანონი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ, მუხლი 161).

ხელმისაწვდომობა როგორც გამომძიებელთან, ასევე პროკურორთან.

<u>კონფიდენციალურობა</u>

კონფიდენციალურობა არ არის მხოლოდ ეთიკური ვალდებულება - ეს არის სამართლის იმპერატიული მოთხოვნა.[145] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ზომების მიღება ხშირად კრიტიკულად მნიშვნელოვანია მსხვერპლისა და მოწმის ნდობის განსამტკიცებლად, რათა მათ შეძლონ გამოძიებისთვის ინფორმაციის გამჟღავნება.

კონფიდენციალურობა[146] მოითხოვს, რომ გამომძიებლებმა, პროკურორებმა და მოსამართლეებმა უზრუნველყონ იმ ინფორმაციის დაცვა, რომელსაც ისინი მსხვერპლების შესახებ აგროვებენ სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე.[147]

დაზარალებულთან კონტაქტის დროს, მათ შორის, სასამართლო პროცესის განმავლობაში, მას უნდა ეცნობოს, თუ რა პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა იქნება უზრუნველყოფილი,[148] როგორ მოხდება მისი დაცვა, ვის ექნება ამ ინფორმაციაზე წვდომა და რომელ ეტაპზე. მსხვერპლმა უნდა იცოდეს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები საჯაროდ ხელმისაწვდომია (საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული წესების თანახმად), მაგრამ დაზარალებულის, დამნაშავისა და მოწმეების სახელები და პირადი ინფორმაცია იქნება დაშტრიხული. გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, თუ რა ზომები არსებობს დაზარალებულების, მოწმეებისა და მათი ჩვენებების კონფიდენციალურობის დასაცავად და სრულად და მკაფიოდ უნდა აუხსნან მათ ასეთი ზომების არსისა და დაწესებული გამონაკლისების შესახებ.[149]

დაზარალებულის და მოწმის ინტერესები ყოველთვის უნდა იყოს პრიორიტეტული ინფორმაციის მოპოვებასთან შედარებით.[150] ეს ითვალისწინებს მსხვერპლის მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლების სრულ პატივისცემას, აგრეთვე, მის უფლებას, იცოდეს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული შესაძლო რისკებისა და დადებითი მხარეების შესახებ. ეს ასევე მოიცავს მსხვერპლის ინფორმირებას დახმარებისა და დაცვის სერვისების თაობაზე კონკრეტული ინფორმაციის სისხლის სამართლის მასალებში შეტანისა და შემდგომ პერიოდში.[151]

2. სექსუალური ძალადობის შესახებ გაცხადება და გამოძიების დაწყება

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სექსუალური ძალადობის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება ***ex officio*** წესით,[152] რაც იმას ნიშნავს,

145 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 7; სტამბოლის კონვენცია, მუხლი 1, 18, 56(1)(ა) და (ვ).
146 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 7; სტამბოლის კონვენცია, მუხლი 1, 18, 56(1)(ა) და (ვ).
147 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 7(2).
148 იხ. მაგ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლი.
149 საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 95.
150 იხ. მაგ. საერთაშორისო პროტოკოლი, ტომი 2, გვ. 180.
151 საერთაშორისო პროტოკოლი, ტომი 2, გვ. 282.
152 სტამბოლის კონვენციის 55(1) მუხლის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც: მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ კონვენციის 35-ე, 36-ე, 37-ე, 38-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად დადგენილი დანაშაულის გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებასა ან საჩივარზე, თუ დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ კონვენციის მონაწილე მხარის ტერიტორიაზე იყო ჩადენილი, ასევე, სასამართლო პროცესი გაგრძელდეს მაშინაც, თუ მსხვერპლი გაიტანს განცხადებას ან საჩივარს.

რომ გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება სახელმწიფოს ვალდებულებაა. მტკიცების ტვირთი დაზარალებულს არ აკისრია და გამოძიების დასაწყებად აუცილებელი არ არის, დანაშაულის შესახებ შეტყობინება მან გააკეთოს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 და 101-ე მუხლების შესაბამისად, გამომძიებლები და პროკურორები ვალდებულნი არიან, დაიწყონ გამოძიება შესაძლო დანაშაულის შესახებ ნებისმიერი წყაროდან, მათ შორის, შემდეგი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (ჩამონათვალი არასრულია):

- დაზარალებულის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ (რომელიც დაზარალებულის თანხმობით ან მის გარეშე მოქმედებს) გაკეთებული შეტყობინება; ინფორმაცია შეიძლება მიწოდებული იყოს არასრულწლოვნის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ;
- მედიაში, მათ შორის, სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია;
- სხვა დანაშაულის გამოძიების პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ინფორმაცია.

ზემოხსენებული ვრცელდება სავარაუდო სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინების ყველა შემთხვევაზე. გამოძიების დასაწყებად საჭირო არ არის გასაუბრების, გამოკითხვის ან სხვა მოქმედების განხორციელება თავდაპირველი ინფორმაციის დასადასტურებლად.

დანაშაულის შესახებ ინფორმაცია შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი ან სხვაგვარად დაფიქსირებული (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 101(2)). გამომძიებელი უფლებამოსილია, დანაშაულის შესახებ ანონიმური შეტყობინების საფუძველზე დაიწყოს გამოძიება (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 101(3)).

მნიშვნელოვანია სექსუალურ ძალადობაზე სერიოზული რეაგირება, რაც ნიშნავს, რომ გამოძიება შესაძლო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. ე.წ. „წინასაგამოძიებო საქმე“ (წინასწარი საგამოძიებო ზომები, რომელთა მიზანია გამოძიების დაწყების საჭიროების დადგენა) კანონით არ არის გათვალისწინებული და ასეთი პრაქტიკა არ უნდა არსებობდეს.

ადამიანის უფლებათა დაცვის საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, პოლიციამ დაზარალებულს წერილობით უნდა დაუდასტუროს მისი საჩივრის მიღება.[153] ამას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც (მუხლი 101(2^1) - პირს, რომელიც დანაშაულის შესახებ განაცხადებს, უფლება აქვს, მიიღოს დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი წერილობითი ცნობა).

შესაძლოა, მსხვერპლის მიერ გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი იყოს გამომძიებლის სქესიც. ქალები ხშირად თავს არაკომფორტულად გრძნობენ კაც პოლიციელებთან.[154] ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს საქმეში შესაბამისი სქესის გამომძიებლისა და პროკურორის ჩართვას.

153 იხ. ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, პრეამბულა, პარ. 24.
154 სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, კავშირი საფარი, 2020, გვ. 16.

ეს დაზარალებულს გაუადვილებს ამ პირებთან კომუნიკაციას, რაც უზრუნველყოფს სამართალწარმოებაში მათ მონაწილეობას დამატებითი სტრესის გარეშე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო დაზარალებული არის ქალი, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საქმეში ქალი გამომძიებლისა და პროკურორის ჩართვას).[155]

გამომძიებლებმა და პროკურორებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ სექსუალური ძალადობა, შესაძლოა, ჩადენილი იყოს მაშინ, როდესაც:

- წარდგენილია ინფორმაცია **ოჯახში ძალადობის შესახებ** (იხ. თავი I, ქვეთავი 6.1.);
- წარდგენილია ინფორმაცია **გოგონას ორსულობის შესახებ;**
- წარდგენილია ინფორმაცია **იძულებითი ქორწინების, მათ შორის, ქალის, გოგონას მოტაცების შესახებ** (იხ. თავი I, ქვეთავი 6.3.);
- წარდგენილია ინფორმაცია ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, პროსტიტუციაში ჩაბმული** ან სხვა ქალების მიმართ, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის თვალსაზრისით, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით (იხ. თავი I, მე-6 ქვეთავი).

<u>დაგვიანებით შეტყობინება</u> არ უნდა გახდეს დანაშაულის დარეგისტრირებასა და გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის ან ძალადობის მსხვერპლის სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველი სისხლის სამართლის პროცესის არცერთ სტადიაზე.[156] ქვემოთ მოცემულია დაგვიანებით შეტყობინების ზოგიერთი განმაპირობებელი მიზეზის საილუსტრაციო ჩამონათვალი, რომელიც არ არის ამომწურავი (იხ. მე-2 თავის მე-6 ქვეთავი):

- სექსუალური ძალადობის ფსიქოლოგიური და სხვა სახის ზეგავლენა მსხვერპლზე (იხ. პირველი თავის მე-7 ქვეთავი);
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა ან გოგონების შემთხვევაში** დაგვიანებით შეტყობინების განმაპირობებელი მიზეზები შეიძლება იყოს: სექსუალური ძალადობის სიმძიმის არასრულად და არასათანადოდ გაცნობიერება; შეტყობინებისა და სისხლის სამართლის პროცესის ყველა ასპექტში მონაწილეობისთვის არასაკმარისი მხარდაჭერა (სამედიცინო, ტექნიკური ან სხვა).[157] სპეციალურად გადამზადებული პირების ნაკლებობა (როგორიცაა ფსიქოლოგი, კომუნიკაციის შესაბამისი საშუალებების მცოდნე პირები), რომლებიც მსხვერპლის გვერდით იქნებიან სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში და მის საუკეთესო ინტერესებს დაიცავენ; გონივრული მისადაგების არარსებობა;
- **პროსტიტუციაში ჩართული ქალების შემთხვევაში** დაგვიანებით შეტყობინების განმაპირობებელი მიზეზები შეიძლება იყოს: კანონმდებლობა, რომელიც პროსტიტუციას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად

155 ლიკა ჯალაღანია, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“.

156 ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, პრეამბულა, პარ. 25.

157 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე; იხ. ასევე: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 117 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან/და მძიმედ დაავადებულის გამოკითხვა/დაკითხვა.

აცხადებს; პოლიციის მხრიდან არასათანადო ან დამამცირებელი მოპყრობა; პირადი ინფორმაციის გავრცელების შიში; უნდობლობა პოლიციის მიმართ; საზოგადოებასა და მართლმსაჯულების სისტემაში გავრცელებული მიდგომა, რომ პროსტიტუციაში ჩართული ქალი ყოველთვის თანახმაა სექსზე;

- **სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან** დაკავშირებულ შემთხვევებში დაგვიანებით შეტყობინების განმაპირობებელი მიზეზები შეიძლება იყოს: კონფიდენციალურობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები; სენსიტიური ინფორმაციის გამჟღავნების შიში, რამაც შეიძლება ამ ადამიანებს ფიზიკური ზიანის საფრთხე შეუქმნას; უნდობლობა პოლიციის მიმართ;
- იძულებითი ქორწინების, მათ შორის, **გოგონას/ქალის მოტაცების** შემთხვევაში დაგვიანებით შეტყობინების განმაპირობებელი მიზეზები შეიძლება იყოს: გოგონამ/ქალმა სექსუალური ძალადობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლოს, თუ იგი თავს დააღწევს მოძალადეს; აგრეთვე, შესაძლოა, გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენდეს მოტაცებული ქალის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება და ღირსებაშელახულებად მათი აღქმა.
- **ოჯახში ძალადობის** კონტექსტში ჩადენილი სექსუალური ძალადობის შემთხვევაში დაგვიანებით შეტყობინების განმაპირობებელი მიზეზები შეიძლება იყოს: მოძალადეზე ოჯახური, მატერიალური, ემოციური ან სხვაგვარი დამოკიდებულება; მეუღლის მხრიდან გაუპატიურების დანაშაულად არმიჩნევა.

სექსუალური ძალადობის წარსული ინციდენტების შესახებ შეტყობინებების შესწავლა და გამოძიება უნდა მოხდეს ისეთივე სტანდარტებით და პრიორიტეტულობით, როგორც ახალი ფაქტების შემთხვევაში.

სექსუალური ძალადობის ყოველი ინციდენტი, რომელიც ცნობილი გახდება საგამოძიებო ორგანოსთვის (წარდგენილი შეტყობინებების ან სხვა წყაროების საშუალებით), გულდასმით და საფუძვლიანად უნდა იყოს დოკუმენტირებული და მასზე უნდა დაიწყოს გამოძიება. წინასწარი განწყობა არ უნდა არსებობდეს მტკიცებულებების მიმართ იმის გადასაწყვეტად, იმსახურებს თუ არა კონკრეტული ფაქტი დოკუმენტირებას და გამოძიების დაწყებას. სექსუალური ძალადობის ფაქტების არასათანადო დოკუმენტირება და მათზე გამოძიების არდაწყება ხელს უწყობს დამნაშავეთა დაუსჯელობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას და იძლევა დანაშაულის არაზუსტ სტატისტიკურ მაჩვენებლებს.

როგორც ამ სახელმძღვანელოს სხვადასხვა ნაწილში იყო განხილული, მსხვერპლებს შეიძლება არ სურდეთ სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინების გაკეთება მრავალი მიზეზიდან გამომდინარე, მათ შორის, კანონების მუდმივად ხისტი და ზედმეტად ფორმალისტური ინტერპრეტაციების საფუძველზე დამნაშავეთა დაუსჯელობის გამო. ამიტომ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, გამომძიებლებმა და პროკურორებმა მიიღონ სათანადო ზომები მსხვერპლთათვის უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შესაქმნელად, სადაც ისინი თავს დაცულად იგრძნობენ დანაშაულის გაცხადების დროს.[158] ეს ხელს შეუწყობს ნდობის განმტკიცებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს

158 საერთაშორისო პროტოკოლი, ტომი 2, გვ. 130.

სისხლის სამართლის სისტემა დროულად, ეფექტიანად და მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვით რეაგირებს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე. ამის მიღწევა შეიძლება წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული ზოგიერთი მითითებისა და პრაქტიკის გამოყენებით. მაგალითად, პროკურორები და გამომძიებლები მზად უნდა იყვნენ, რომ მსხვერპლი უზრუნველყონ სათანადო დამცავი ზომებით, ასევე, გადაამისამართონ ის მიზნობრივი პროფესიული კონსულტაციის, ჯანმრთელობისა და დახმარების სერვისებზე. გარდა ამისა, ისინი უნდა ეძებდნენ ალტერნატიულ, ნაკლებად ტრავმულ გზებს მსხვერპლისგან მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რაც ამ სახელმძღვანელოს მე-4 თავის მე-2 სექციაშია განხილული.

3. გამოძიების დაწყებისას დაუყოვნებლივ მოსაპოვებელი ინფორმაცია

სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ მოპოვებულ ინფორმაციას შეუძლია, პირდაპირი გავლენა იქონიოს გამოძიების ეფექტიანად და დროულად წარმოებაზე, ისევე, როგორც მსხვერპლისა და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე.[159] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის შესახებ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მტკიცებულებები დროულად, შეტყობინებიდან უმოკლეს ვადებში შეგროვდეს. ეს დაეხმარება გამომძიებელსა და პროკურორს საგამოძიებო პროცესის დაგეგმვაში, რისკის შეფასებასა და დაზარალებულისა და მისი ოჯახისთვის სათანადო სერვისების მიწოდებაში. შესაძლოა, ეს ინფორმაცია მოიცავდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების დამადასტურებელ პირველ მტკიცებულებასაც, რომელიც, დაყოვნების შემთხვევაში, შეიძლება დაიკარგოს.

3.1. მოწყვლადობა

გამოძიების პროცესში მოპოვებული უნდა იყოს ძალადობის მსხვერპლის მოწყვლადობის შესახებ ინფორმაცია ნებისმიერი ნიშნით, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლშია განსაზღვრული. ეს მონაცემები ასევე უნდა აისახოს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის შესაბამისი ველების შევსებით, ხოლო თუ გამოძიება არ დაიწყო, ამ ინფორმაციის მითითება შესაძლებელია გასაუბრების ოქმში (გამოძიების დაწყების ვალდებულება, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა შემთხვევაში არსებობს). მოწყვლადობა შეიძლება იყოს ურთიერთგადამკვეთი/ჯვარედინი/ინტერსექციური, რამაც შესაბამისი გავლენა უნდა იქონიოს რისკის შეფასებასა და დაზარალებულის დაცვის ზომების მიღებაზე. მოწყვლადობის გამოკვლევა მნიშვნელოვანია ასევე მსხვერპლისთვის ყველაზე შესაფერისი მხარდაჭერის ღონისძიებების დასადგენად (რაც მას საშუალებას მიცემს, სრულად ჩაერთოს საგამოძიებო და სასამართლო პროცესებში). მსხვერპლის მოწყვლადობა განეკუთვნება დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელ, პასუხისმგებლობისა ან სასჯელის დამამძიმებელ გარემოებებს.[160]

დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისას

159 სტამბოლის კონვენცია, მუხლები 19, 26 და 46.

160 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 46(გ); ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 87, 238; იხ. ასევე: სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები 137(3)(დ), 138(2)(დ), 139(3)(დ), 140(2)(ა); იხ. ასევე: ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენცია და აღმოფხვრა, სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების პროფესიონალთათვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი, ევროპის საბჭო, 2016, გვ. 25.

ამ ინფორმაციის მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე მოპოვება გააადვილებს საგამოძიებო მოქმედებების სწორად დაგეგმვას.

3.2. სამედიცინო დახმარება

შეტყობინების მიღებისთანავე უნდა დადგინდეს, სჭირდება თუ არა დაზარალებულს სამედიცინო დახმარება. თუ ასეა, მას უნდა გაეწიოს სათანადო მხარდაჭერა ამ მომსახურების მიღებაში.[161] უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას და ამის შემდეგ უნდა იყოს განხილული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება.[162]

თუმცა, ასევე შესაძლებელია საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება სამედიცინო დახმარების გაწევის პროცესში. დაზარალებულს უნდა განემარტოს, რომ ის არცერთ ეტაპზე არ არის ვალდებული, დათანხმდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას და რომ ექსპერტიზაზე თანხმობა არ არის სამედიცინო მომსახურების მიღების წინაპირობა. გამომძიებელმა მას ასევე უნდა აუხსნას, რომ ორსულობის გამოკვლევა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და აივ-ინფექციის ანალიზები შეიძლება ჩაუტარდეს სამედიცინო დაწესებულებებში.[163]

3.3. ფიზიკური დაზიანებები

ნებისმიერი დაზიანების აღწერა აუცილებელია მათი მიყენებიდან უმოკლეს დროში, რადგან დაზიანების შესახებ დოკუმენტური მტკიცებულება, შესაბამისი ფოტოსურათებით და წერილობითი შენიშვნებით, ექსპერტიზის დასკვნებთან ერთად, ბრალდების დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულებები იქნება. ეს ინფორმაცია ასევე პირდაპირ კავშირშია მსხვერპლისა და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების მიღებასთან. ფიზიკური დაზიანებების შესახებ ინფორმაცია გამომძიებლის მიერ რისკის შეფასების კითხვარში უნდა აისახოს, რათა მოხდეს ყველაზე შესაფერისი და ეფექტიანი დამცავი ზომების დაგეგმვა.

იმ დაზიანებების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელთა გამოც პირი გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას საჭიროებს, ისევე, როგორც ძალადობის ხასიათი, ინტენსივობა და ხანგრძლივობა, მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, ხომ არ არის დანაშაული ჩადენილი „განსაკუთრებული სისასტიკით“ ან უკიდურესი ფორმის ძალადობის გამოყენებით, რაც დამამძიმებელი გარემოებებია.[164] შესაბამისად, ასეთმა მტკიცებულებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და დანაშაულის კვალიფიკაციაზე მისი სიმძიმის შესაბამისად (იხ. მე-3 თავის პირველი ქვეთავი).

161 სტამბოლის კონვენცია მუხლი 25; იხ. ასევე: აშშ იუსტიციის დეპარტამენტის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ტრენინგის ეროვნული კურიკულუმი, გვ. 50. იხ. ასევე: გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 32.

162 კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 17; იხ. ასევე: გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 32.

163 კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 17.

164 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები 137(4)(ა) და 138(3)(ბ); იხ. ასევე: სტამბოლის კონვენციის მუხლი 46(ვ); ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 241.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული ნიშნით ძალადობის მრავალი ფორმა, გაუპატიურების ჩათვლით, ყოველთვის არ იწვევს ფიზიკურ დაზიანებებს. მიუხედავად ამისა, ძალადობის ეს ფორმები უარყოფითად მოქმედებს ქალის ემოციურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.[165] ამიტომ, ფიზიკური დაზიანებების მტკიცებულებების საჭიროებას, თუკი ასეთი ნიშნები ობიექტურად არ ფიქსირდება, გადაჭარბებული ყურადღება არ უნდა დაეთმოს.

3.4. ნივთიერების ზემოქმედებით გამოწვეული უუნარობა

გამომძიებლებმა უნდა შეძლონ ნარკოტიკების ან ალკოჰოლის ზემოქმედებით გამოწვეულ უმწეობასთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის ნიშნების ამოცნობა.[166] სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე საჭიროა მსხვერპლის გამოკვლევა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ან ინტოქსიკაციის ნიშნებთან დაკავშირებით. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახება აუცილებელია, თუ დაზარალებულს სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა სჭირდება. უმწეო მდგომარეობაში ყოფნის დაფიქსირება (არ აქვს მნიშვნელობა, ნებაყოფლობით აღმოჩნდა მსხვერპლი ამ მდგომარეობაში თუ მოძალადის მოქმედების შედეგად) გამოძიებას დაეხმარება, შეაფასოს, რამდენად შეეძლო მსხვერპლს სექსუალურ კონტაქტზე გაცნობიერებულად დათანხმება.[167]

ზოგიერთმა დამნაშავემ შეიძლება მსხვერპლს ფარულად მიაღებინოს ნარკოტიკი ან აიძულოს მისი მოხმარება დაზარალებულის დისკრედიტაციის მიზნით იმ შემთხვევისთვის, თუკი იგი სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვას გადაწყვეტს. ასევე, შესაძლებელია, მსხვერპლი ნებაყოფლობით იღებდეს ნარკოტიკს. გარემოებების მიუხედავად, დროულად უნდა მოხდეს სისხლისა და შარდის ნიმუშების აღება და შესაბამის დაწესებულებებში გამოსაკვლევად წარდგენა, რაც გაზრდის ნებისმიერი ისეთი ნივთიერების გამოვლენის ალბათობას, რომელიც დაზარალებულს თავად არ მიუღია.[168]

3.5. იარაღის გამოყენება ან იარაღის გამოყენების მუქარა

თუ დანაშაულის ჩადენისას იარაღია გამოყენებული, აუცილებელია მისი ადგილმდებარეობის დადგენა და ამოღება. იარაღის გამოყენება ან იარაღის გამოყენების მუქარა პირდაპირ უკავშირდება დაზარალებულის, მისი ოჯახის წევრებისა და საზოგადოების უსაფრთხოებას. ის მნიშვნელოვანია რისკის შეფასებისა და დამცავი ზომების განსაზღვრისთვის, ასევე ბრალდების კვალიფიკაციისა და დამამძიმებელი გარემოებების დადგენისთვის (იხ. მე-2 თავის მე-10 ქვეთავი და მე-4 თავის 3.1. ქვეთავი).

165 გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ქალების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა, პრაქტიკოსთა სახელმძღვანელო, გვ. 167.

166 გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 8.

167 საერთაშორისო პროტოკოლი, ტომი, გვ. 59; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v Bulgaria, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 79, 150; იხ. ასევე: „დაბრკოლებები მართლმსაჯულებაში: რატომ ვერ იცავს ევრაზიის კანონმდებლობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს", Equality Now, 2019, სქოლიო 22; იხ. ასევე: სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის ქალების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თაობაზე, თავი საქართველოს შესახებ, 2016 წლის დეკემბერი, გვ. 26.

168 გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 8.

თუ მოძალადე პოლიციის ან უსაფრთხოების ძალების წარმომადგენელია, უნდა ივარაუდებოდეს, რომ იგი ფლობს იარაღს, შესაბამისად, მის ამოსაღებად ჩხრეკისას მეტი ძალისხმევა და ზომები უნდა იყოს გამოყენებული.

3.6. დაზარალებული ან მოწმე ბავშვები

თუ მსხვერპლი არასრულწლოვანია, ან დანაშაული ჩადენილია ბავშვის თანდასწრებით, ამას პირდაპირი გავლენა აქვს საქმის წარმოებაზე. ამ დროს სისხლის სამართლის პროცესი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური ნორმების საფუძველზე ჩატარდება და მასში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში სპეციალიზებული პირები მიიღებენ მონაწილეობას. არასრულწლოვანთა დაცვის სპეციალური ღონისძიებები უნდა გატარდეს მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. მაგალითად, შეიძლება გაიცეს შემაკავებელი ორდერი ოჯახის მოძალადე წევრებისგან ბავშვის განცალკევების მიზნით (იხ. მე-2 თავის მე-10 ქვეთავი). შესაძლოა, საჭირო გახდეს ოჯახიდან/შენობიდან ბავშვის გაყვანა მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, იგი შეიძლება მოწმის სტატუსით წარდგეს სასამართლოს წინაშე.[169]

ის ფაქტი, რომ სექსუალური ძალადობა ბავშვის თანდასწრებით მოხდა, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს კონტექსტის გათვალისწინებით გარემოებების შეფასებისთვის, რათა დადგინდეს, შეეძლო თუ არა მსხვერპლს თავისუფალი, ნამდვილი და ნებაყოფლობითი თანხმობის მიცემა შესაბამის ქმედებებზე. შესაძლოა, მსხვერპლმა სექსუალურ კონტაქტზე უარი ვერ თქვა შვილების მიმართ არსებული საფრთხის შიშით. ბავშვების საკითხი ასევე მნიშვნელოვანია დამამძიმებელი გარემოებების დადგენის თვალსაზრისით - მაგალითად, შეიძლება გამოვლინდეს დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვნის თანდასწრებით (იხ. მე-4 თავის 3.1. ქვეთავი).[170]

3.7. კომუნიკაციის ბარიერები

მსხვერპლისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია განსაკუთრებული მხარდაჭერის საჭიროების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება.[171] თუ დაზარალებულს არ ესმის ოფიციალური ენა, მას თარჯიმანი უნდა დაენიშნოს გამოძიების საწყისი ეტაპიდან, რათა სათანადოდ მიეწოდოს ინფორმაცია, სრულად განემარტოს მისი უფლებები და შეეძლოს შესაბამისი მხარდაჭერის სერვისების მიღება.

დაუშვებელია, თარჯიმნის ფუნქციები მსხვერპლის ოჯახის წევრებმა ან თემის წარმომადგენლებმა შეასრულონ, რადგან ეს საფრთხეს შეუქმნის მართლმსაჯულების სისტემასთან მსხვერპლის ურთიერთობის კონფიდენციალურობას.[172] გარდა ამისა, დაზარალებულები შეიძლება აღმოჩნდნენ საზოგადოების ზეწოლის ქვეშ, რომ

169 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 26.

170 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 46(დ).

171 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

172 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე;

მათი განცხადების რეაგირების გარეშე დატოვება მოითხოვონ. ამის მიუხედავად, როდესაც მსხვერპლს კომუნიკაცია მხოლოდ ოჯახის წევრთან შეუძლია და ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობს, შესაძლებელია, იგი კანონიერი წარმომადგენლის სტატუსით დაესწროს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს და, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმანს დაეხმაროს. დამატებით გასათვალისწინებელია, რომ, თუ დაზარალებულს აქვს ენობრივი ბარიერი, ამას შეეძლო, გავლენა მოეხდინა სქესობრივ კავშირზე ნებაყოფლობითი თანხმობის მიცემის უნარზე. შესაბამისად, ეს საკითხი განსაკუთრებული ყურადღებით გამოკვლევას საჭიროებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოხდეს გონივრული მისადაგება და კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სურდო თარჯიმნის ჩართვა სმენის პრობლემის მქონე ადამიანებთან კომუნიკაციისთვის ან კითხვაზე პასუხის წერილობით გაცემის შესაძლებლობის მიცემა მეტყველებისა და სმენის შეზღუდვის მქონე პირებისთვის. მძიმედ დაავადებულის გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს ექიმის ნებართვით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - მისი დასწრებით.[173] მოწვეული უნდა იყოს ფსიქოლოგი ან/და ოჯახის წევრი მსხვერპლის სპეციალური საჭიროებების დასადგენად, კომუნიკაციის დასამყარებლად ან გასაადვილებლად. დამხმარე პირი არ შეიძლება იყოს დანაშაულის სავარაუდო მონაწილე ან ადამიანი, რომელსაც მსხვერპლზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

3.8. ინფორმაცია სავარაუდო დამნაშავის/დამნაშავეების შესახებ

სავარაუდო დამნაშავეთა სიმრავლის შემთხვევაში, შესაძლოა, საჭირო გახდეს დამატებითი საგამოძიებო ადამიანური რესურსის გამოყოფა, ასევე მტკიცებულებების მოპოვება იმის დასადგენად, ხომ არ იყო დანაშაული ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით ან მაღალი ინტენსივობის ძალადობის გამოყენებით, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. დანაშაულის ჯგუფურად ჩადენა ასევე არის დამამძიმებელი გარემოება.

დაზარალებულის ჩვენებით ყოველთვის უნდა დადგინდეს, თუ რა ურთიერთობა აქვს სავარაუდო დამნაშავესთან. თუ მოძალადე ოჯახის წევრი, ნათესავი ან ინტიმური პარტნიორია, დანაშაული შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც სექსუალური ძალადობა, ჩადენილი ოჯახური დანაშაულის ფარგლებში. დაზარალებულსა და მოძალადეს შორის ურთიერთობის ხასიათისა და მათი საცხოვრებელი ადგილის/პირობების შესახებ ინფორმაცია ასევე შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყოს იმის დასადგენად, არსებობდა თუ არა მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებები, რომლებიც მისი მხრიდან ნებაყოფლობით თანხმობას გამორიცხავდა.

პირი, რომელიც მსხვერპლის ნდობით სარგებლობს, გარკვეული უფლებამოსილება ან ვალდებულება აქვს, იზრუნოს მასზე, შეიძლება იყოს მასწავლებელი, ძიძა, ბავშვის, ხანდაზმულის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანის მეურვე, მზრუნველი ან მხარდამჭერი, დამსაქმებელი, ხელმძღვანელი, ზედამხედველი, ციხის თანამშრომელი,

173 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

მენტორი ან სამედიცინო სფეროს სპეციალისტი და სხვა. ამგვარი ურთიერთობის დროს ჩამოყალიბებული ნდობის დაკარგვამ, შესაძლოა, დამახასიათებელი ემოციური ზიანიც მიაყენოს მსხვერპლს, რაც ასევე დამატებით დამამძიმებელ გარემოებად შეიძლება განიხილებოდეს.[174]

4. მტკიცებულებათა კატეგორიები

სექსუალური ძალადობის გამოძიების დროს მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის მტკიცებულების მოპოვება, რომელთაგან ზოგიერთი ქვემოთაა განხილული.

4.1. მოწმეთა ჩვენებები

ძირითადი ინფორმაციის შეგროვება შესაძლებელია მსხვერპლისა და იმ მოწმეების გამოკითხვით (იხ. მე-2 თავის მე-8 ქვეთავი მსხვერპლის გამოკითხვის მეთოდოლოგიის შესახებ), რომლებმაც მომხდარის თაობაზე განაცხადეს; დაინახეს ინციდენტი; გაიგონეს ან შეიტყვეს მის შესახებ; ჰქონდათ კონტაქტი მსხვერპლთან დანაშაულის ჩადენამდე პერიოდში; დაზარალებულს ესაუბრნენ დანაშაულის შემდეგ. ასევე, მნიშვნელოვანია იმ მოწმეების გამოკითხვა, რომელთა მიერ მოწოდებულმა მტკიცებულებებმა შეიძლება გამოავლინოს მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებები. მათ შორის არიან: მეზობლები; კოლეგები; მასწავლებლები; სპეციალიზებული მხარდაჭერის ორგანიზაციების პერსონალი; პირველადი რეაგირების ფარგლებში მოქმედი საპატრულო პოლიციის თანამშრომლები; გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პერსონალი და ექიმები, ბებიაქალები, ექთნები და ჯანდაცვის სხვა პროფესიონალები, რომლებიც, შესაძლოა, სამედიცინო დახმარებას უწევდნენ დაზარალებულს.

ამ მოწმეთაგან ასევე შესაძლებელია, მოპოვებული იყოს ინციდენტის შემდეგ დაზარალებულის სტრესული მდგომარეობის შესახებ მტკიცებულებები, რაც საქმეს გაამყარებს.

<u>მსხვერპლის სანდოობის პრეზუმფცია</u>

დოკუმენტური, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის, ფიზიკური, სამედიცინო ან ციფრული მტკიცებულებების არარსებობა არ ნიშნავს, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის მართლმსაჯულების აღსრულება შეუძლებელია. გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ქმედებების შემთხვევაში (მე-2 თავის მე-5 და მე-6 ქვეთავები), მსხვერპლის ჩვენებებიდან გამომდინარე, შეიძლება დადგინდეს, რომ სექსუალური ძალადობის ფაქტი მოხდა; ასევე დადგინდეს თავდასხმის ხასიათი; მოხდეს სავარაუდო დამნაშავის იდენტიფიცირება; გამოირკვეს საქმის დეტალები და მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების არსებობა.[175] ამგვარ პრაქტიკას ავითარებენ საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები, რომლებიც დიდწილად ეყრდნობიან მსხვერპლის ჩვენებებს (იხ. მე-2 თავის მე-5 ქვეთავი).

174 სტამბოლის კონვენციის მუხლი 46(ა)(თ); საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53 - 3, 137(2)(ა)(3)(ე), 138(2)(ბ)(ვ), 139(3)(ე); განმარტებითი ანგარიში, პარ. 236.

175 საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 148.

4.2. მტკიცებულებები, რომლებიც დამნაშავის ან დაცვის მხარის მოწმეების სანდოობას გააქარწყლებს

გამომძიებლები და პროკურორები უნდა ეცადონ, მოიძიონ ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, შესაძლოა, პირდაპირ არ ამტკიცებს მომხდარს, მაგრამ ადასტურებს ან აქარწყლებს სავარაუდო დამნაშავის/ბრალდებულის ან დაცვის მხარის მოწმეების ჩვენებების სანდოობას. შესწავლილი უნდა იყოს ცრუ ჩვენებების მიცემის განმაპირობებელი ნებისმიერი მოტივი, როგორიცაა, მაგალითად, განქორწინების ან მეურვეობის შესახებ სასამართლო წარმოება, შურისძიება ან კარიერული დაწინაურების პერსპექტივები. სექსუალური ძალადობის ჩამდენი ბევრი პირი შეიძლება რეციდივისტი იყოს და ადრეც ჰქონდეს ჩადენილი სექსუალური ძალადობის ან გენდერული ნიშნით ძალადობის სხვა დანაშაული ამავე მსხვერპლის ან სხვა ქალების მიმართ. საჭიროა სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა რეესტრის გადამოწმება იმ მოძალადეთა იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც მანამდე მსჯავრდებულნი იყვნენ ამ დანაშაულისთვის და ჩამორთმეული/შეზღუდული ჰქონდათ შესაბამისი უფლებები (როგორიცაა საგანმანათლებლო დაწესებულებასა ან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მუშაობის უფლება, ტრანსპორტის, მათ შორის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის უფლება, მგზავრთა გადაყვანის უფლება და სხვა).[176] უფლებების ჩამორთმევის ფაქტი უნდა შემოწმდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბაზაში, რომელშიც თავმოყრილია მონაცემები სქესობრივ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა შესახებ. მნიშვნელოვანია ასევე სხვა შესაძლო დაზარალებულების არსებობისა და ვინაობის დადგენა.

4.3. მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების, ძალადობის და ძალადობის მუქარის ცალკეული ფორმების მტკიცებულებები

არსებობს მრავალი დამატებითი მტკიცებულება, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს გამოძიებისთვის, ამყარებდეს მსხვერპლის ჩვენებას და ფიზიკური ძალადობის, **ფსიქოლოგიური ძალადობის, მუქარის, იძულების ან მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების დადგენას ემსახურებოდეს.** ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი:

- სატელეფონო ზარების ჩანაწერები და დოკუმენტაცია, მათ შორის, 112-ის, პოლიციის/სამედიცინო სამსახურების ან დაზარალებულთა დახმარების ცხელი ხაზების მეშვეობით ინციდენტების შესახებ გაკეთებული შეტყობინებები;
- წერილების, ელ-ფოსტის, ტექსტური და სხვა შეტყობინებების ასლები, ასევე სოციალური მედიის პლატფორმებზე გასაჯაროებული შეურაცხმყოფელი ან მუქარის შემცველი შეტყობინებების ან კომუნიკაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- დანაშაულის ადგილზე არსებული კვალი და სხვა მტკიცებულებები. მეუღლის ან ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში, ეს შეიძლება მოიცავდეს ქონების დაზიანების ან ავეჯის გადაყირავების დამადასტურებელ მტკიცებულებებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დანაშაულის ადგილის

176 იხ. საქართველოს კანონი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულებთან ბრძოლის შესახებ, მუხლი 8.

ფოტოები, ასევე მტკიცებულებები ინტიმური პარტნიორის მხრიდან მანამდე ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების შესახებ;

- ექსპერტიზის დასკვნები ფიზიკური დაზიანებების შესახებ და ნებისმიერი მიყენებული/ხილული ზიანის ამსახველი ფოტოსურათები, მაგალითად, მკლავებზე ტრავმები, რომლებიც მიუთითებს, რომ მსხვერპლი თავის დაცვას ცდილობდა; სისხლნაჟღენთები, რომლებიც მიანიშნებს, რომ მოძალადემ მკლავის ზედა ნაწილში ჩაავლო ხელი მსხვერპლს; თავის არეში არსებული სისხლჩაქცევები; ამოგლეჯილი თმა და ა.შ. შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს მსხვერპლის დახრჩობის ნიშნების შესწავლა. ამ დეტალებზე აქცენტირება სულ უფრო ხშირად ხდება სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამოძიებისას. ასეთი ნიშნები შეიძლება დაუყოვნებლივ არ გახდეს შესამჩნევი (ასევე მოიცავს ნიშნებს, როგორიცაა თვალის გუგების გაფართოება) და საჭიროებდეს სამედიცინო სფეროს პროფესიონალების ჩართვას დაზარალებულის მდგომარეობის შესასწავლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლჩაქცევები შეიძლება შემთხვევის ადგილზე მისვლისთანავე არ იყოს ხილული და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გამოიკვეთოს. ამიტომ, მსხვერპლი ინფორმირებული უნდა იყოს ძალადობის ნებისმიერი ახალი კვალის აღმოჩენის შესახებ შეტყობინების აუცილებლობაზე, თუ ისინი პირველი სამედიცინო გამოკვლევიდან რამდენიმე დღის შემდეგ იჩენს თავს. მას ასევე უნდა განემარტოს შესაბამისი პროცედურა;
- კადრები სამკერდე კამერებიდან;
- სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები. მაგალითად, ამ კამერებზე შეიძლება აღბეჭდილი იყოს ინციდენტის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ჩანაწერებით, შესაძლოა, დადგინდეს დამნაშავისა და დაზარალებულის მიერ გავლილი მარშრუტი და გამყარდეს გამოძიების ვერსია;
- მობილურ მოწყობილობებთან დაკავშირებული ადგილმდებარეობის ნებისმიერი მტკიცებულება - მობილური მოწყობილობები ძალზე გამოსადეგია იმის დასადგენად, იყო თუ არა დამნაშავე შესაბამის დროს დანაშაულის ადგილზე;
- ბავშვების ან ოჯახის სხვა წევრების მიმართ განხორციელებული წინარე ძალადობის დამადასტურებელი მტკიცებულება;
- სავარაუდო მოძალადის ნასამართლობის და მისი, როგორც მოძალადის მიმართ წარსულში ადმინისტრაციული რეაგირების შესახებ ინფორმაცია;
- მსხვერპლის იზოლირების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ეს შეიძლება იყოს ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან კონტაქტის არარსებობა; მსხვერპლის იზოლირება სოციალური აქტივობებიდან; ან სავარაუდო დამნაშავე დაზარალებულს თან ახლავს სამედიცინო ვიზიტებისას;
- ოჯახის ან მეგობრების ჩვენებები იმის დასადასტურებლად, თუ როგორ მოქმედებს მსხვერპლზე მათგან იზოლირება;
- მსხვერპლის მიერ წარმოებული დღიური;
- საბანკო ჩანაწერები (რომლებიც შეიძლება მიუთითებდნენ ფინანსურ კონტროლზე). იმ შემთხვევაში, როდესაც მოძალადეა მეურვე, ფინანსების განკარგვის გეგმის დამადასტურებელი მტკიცებულება შეიძლება სასარგებლო

იყოს, რადგან მასში დეტალურად იქნება აღწერილი თანხების გამოყენების მიზნობრიობა.[177]

4.4. სექსუალური ძალადობის მავნე ზემოქმედების დამადასტურებელი მტკიცებულებები

მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ძალადობის დროს შეიძლება ფიზიკური ძალა არ იყოს გამოყენებული, მას სხვადასხვა გართულება ახლავს თავს, რომლებიც გამომძიებლებმა და პროკურორებმა მსხვერპლებსა და მათ ოჯახებზე დანაშაულის მავნე ზეგავლენის შეფასებისას უნდა გაითვალისწინონ. მათ ასევე უნდა შეაგროვონ მსხვერპლებსა და მათ ოჯახებზე მავნე ზეგავლენის დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ. მე-2 თავის 4.5.2, ქვეთავი). სექსუალური ძალადობის ყველაზე გავრცელებულ შედეგებს შორისაა რეპროდუქციული, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სოციალური კეთილდღეობის პრობლემები.[178]

უარყოფითი ზეგავლენის მაგალითებია:[179]

- პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD);
- ტრავმის გახსენება და ხელახალი განცდა;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და ქცევის აშლილობები, მათ შორის, დეპრესია, დისოციაცია, თვითდაზიანება, პანიკის შეტევები;
- თვითმკვლელობა;
- ნივთიერებების ბოროტად გამოყენება.

დაზარალებულზე დანაშაულის ზემოქმედების მტკიცებულება შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს სასამართლო განხილვისა და განაჩენის გამოტანის დროს. ქვემოთ მოცემულია სექსუალური ძალადობის ზეგავლენის დამადასტურებელი მტკიცებულებების მაგალითები:[180]

- დაზარალებულის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, თუ როგორ შეიცვალა იგი ძალადობის შემდეგ;
- სექსუალური ძალადობის შემდეგ დაზარალებულის ცვლილების შესახებ ინფორმაცია ასევე შეიძლება მოიცავდეს მეგობრების, ოჯახის წევრებისა და კოლეგების ჩვენებებს. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსხვერპლისთვის, რომელსაც თავად არ შეუძლია ამ ცვლილებების სიტყვიერად გამოხატვა ჯანმრთელობის მდგომარეობის, ტრავმის, შემეცნებითი ან კომუნიკაციის უნარის შეზღუდვის გამო, ან მსხვერპლის გარდაცვალების შემთხვევაში;

177 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: დომინანტური ან მაიძულებელი ქცევა ინტიმურ ან საოჯახო ურთიერთობებში; იხ. ასევე: გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

178 გლობალური ანგარიში ძალადობისა და ჯანდაცვის შესახებ, ჯანმო, 2002, თავი 6, გვ. 162.

179 გაუპატიურება, შევიწროება & ინცესტი, ეროვნული ქსელი (Rape, Abuse & Incest National Network), სექსუალური ძალადობის ეფექტები.

180 რეალურ დროში სექსუალური დანაშაულის დინამიკაზე დაფუძნებული ტექნიკები, მსხვერპლის გამოკითხვა, სერჟანტი ჯოან არქამბაულტი, დოქტორი კიმბერლი, ა. ლონსვეი, თებერვალი 2006, (განახლებული 2019), გვ. 22.

- მოწმეთა ჩვენებები, რომლებმაც შეიტყვეს და განაცხადეს ძალადობის შესახებ (ადამიანები, რომლებსაც დაზარალებულმა უთხრა სექსუალური ძალადობის შესახებ, უშუალოდ ამ ინციდენტის შემდეგ ან მოგვიანებით);
- ექსპერტი მოწმე, როგორიცაა ფსიქოლოგი.

აუცილებელია დაზარალებულის ჩვენებების სანდოობასთან დაკავშირებული იმ არასწორი მოსაზრებების გაბათილება, რომელთა თანახმად, მას აუცილებლად ფიზიკური წინააღმდეგობა უნდა გაეწია. მსხვერპლის მიერ სოციალური ცხოვრებისა და შრომისუნარიანობის აღდგენა ან მისი აშკარა გამოჯანმრთელების ნიშნები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს აღქმული, თითქოს მას სექსუალური ძალადობით ტრავმა არ განუცდია.

4.5. სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, რომელიც რელევანტურია სექსუალური ძალადობის საქმეებზე

სექსუალური ძალადობის საქმეებზე, შესაძლოა, რელევანტური იყოს სხვადასხვა სახის ექსპერტიზის ჩატარება. ის შეიძლება მოიცავდეს არა მხოლოდ ბიოლოგიურ (როგორიცაა სპერმის, ნერწყვის ან სისხლის ლაქების შესწავლა) და ფიზიკური დაზიანებების ექსპერტიზას, ასევე, ფიზიკური, დოკუმენტური და ციფრულ ინფორმაციის შესწავლასაც (მაგალითად, თითის ანაბეჭდები; ტანსაცმელი; ხელთათმანები; პირსახოცები; გამოყენებული პრეზერვატივი; თმა; ნიადაგი; საბურავის ნიშნები; ლენტი; თოკები/შებოჭვის სხვა საშუალებები; ფოტოსურათები (მაშინაც კი, თუ დანაშაულის ადგილი აღარ წარმოადგენს ცხელ კვალს); მობილური ან სხვა სატელეფონო ჩანაწერები, მათ შორის, ცხელ ხაზზე ან სხვა გადაუდებელი დახმარების სამსახურებში განხორციელებული ზარები და ა.შ.).

ექსპერტიზისთვის მტკიცებულებების სიზუსტით შეკრებამ და ანალიზმა შეიძლება ხელი შეუწყოს დაზარალებულის ვერსიის დადასტურებას, მაშინაც კი, თუ ინციდენტიდან დიდი დროა გასული.

სამედიცინო, ფსიქოლოგიური ან ფსიქიატრიული ექსპერტიზა შეიძლება მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყოს. მიუხედვად ამისა, თუ ექსპერტიზა ვერ იპოვის ფიზიკურ დაზიანებების ან პირის სხეულში შეღწევის მტკიცებულებას, ვერ დაიიდენტიფიცირებს დამნაშავის ბიოლოგიურ მასალას, ან არ დაადგენს, რომ პირმა განიცადა ფსიქოლოგიური ტანჯვა, არ უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ სექსუალური ძალადობა არ მომხდარა.

4.5.1. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზა და სხვა სახის ექსპერტიზების ჩატარება

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, შესაძლოა, მოიაზრებდეს სხვადასხვა სახის გამოკვლევას ფიზიკური დაზიანებების დასაფიქსირებლად, ბიოლოგიური მასალის/ნიმუშების ასაღებად და ტანსაცმლისა და შემთხვევის ადგილის შესასწავლად. გარდა ბიოლოგიური ექსპერტიზისა, ტრასოლოგიური, ქიმიური, სასაქონლო და სხვა ექსპერტიზებით უნდა მოხდეს ტანისამოსისა და შემთხვევის ადგილას აღმოჩენილი მტკიცებულებების გამოკვლევა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და

ბიოლოგიური ნიმუშის აღება უნდა უზრუნველყონ კვალიფიციურმა და მომზადებულმა სასამართლო ექსპერტებმა, ექსპერტ-კრიმინალისტებმა და სპეციალისტებმა. ნიმუშის აღება საშოდან, როგორც წესი, ტარდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისას შესაბამისი ექსპერტის მიერ, პირის ღრუდან ნერწყვის, ასევე თმის ნიმუშის აღება ხდება ექსპერტ-კრიმინალისტის მიერ, ხოლო სისხლის ნიმუშის აღება - ექთნის მონაწილეობით.

ბიოლოგიური მასალის აღება უნდა განხორციელდეს სავარაუდო ინციდენტიდან მოკლე დროში, მსხვერპლის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ, როგორიცაა მისი უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ექსპერტიზები ტარდება კომპლექსურად. ბიოლოგიური ექსპერტიზის დროს შეიძლება დადგინდეს სისხლის ბიოლოგიური შემადგენლობა, ბიოლოგიური მასალის (თმა, სისხლი, ნერწყვი, სპერმა) არსებობა, სახეობა და კუთვნილება; ქიმიური ექსპერტიზისას - ორგანიზმში ალკოჰოლის, ნარკოტიკული თუ სხვა ნივთიერების შემადგენლობის გამოკვლევა; ტრასოლოგიური ექსპერტიზისას - სამოსზე დაზიანებების არსებობა და სხვა. ბიოლოგიური მასალა აიღება როგორც მსხვერპლისგან, ასევე მოძალადისგან.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც ითვალისწინებს სასქესო ორგანოების გამოკვლევას, არ უნდა მიიჩნეოდეს სავალდებულოდ. იგი მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში[181] და მსხვერპლის ინფორმირებული თანხმობით უნდა ჩატარდეს[182] (იხ. მე-2 თავი, 1-ლი ქვეთავი). გამომძიებლებმა/პროკურორებმა უნდა შეაფასონ ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ინციდენტიდან გასული დროის გათვალისწინებით.[183]

ამასთან, გაუპატიურების საქმეზე ექსპერტს უფლება აქვს, გასცდეს მისთვის მიწოდებული კითხვების ფარგლებს და ყურადღება გაამახვილოს, მისი აზრით, გამოძიებისთვის მნიშვნელოვან სხვა დეტალებზე.

ინფორმირებული თანხმობის მისაღებად გამომძიებელმა დაზარალებულს წინასწარ გასაგებ ენაზე უნდა განუმარტოს სასამართლო ექსპერტიზისა და გამოკვლევების ჩატარების მიზანი და საფუძველი.[184] მას უნდა ეცნობოს, ექსპერტიზის დროს როდის და სხეულის რა ნაწილზე შეიძლება გახდეს საჭირო შეხება და უნდა მიეცეს კითხვების დასმის შესაძლებლობა.[185] სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მიმართ პატივისცემითა და თანაგრძნობით მოპყრობა გამოკვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში მას დაეხმარება სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობით გამოწვეული დისკომფორტის/სტრესის გადალახვაში.[186] დაზარალებულს, რელიგიური,

181 ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 20(d); იხ. ასევე: მართლმსაჯულების განხორციელება ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე, გვ. 32.

182 გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 30.

183 ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო საქმეზე, Espinoza Gonzáles v. Peru, 2014 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება, პარ. 257.

184 კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 17; გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 30.

185 გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 30.

186 გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 30.

ფსიქოლოგიური თუ სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, უნდა ჰკითხონ, სურს თუ არა, რომ გამოკვლევას მესამე პირი დაესწროს.

დაზარალებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, აირჩიოს იმ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის სქესი, რომელიც მას გამოკვლევებს ჩაუტარებს, რათა თავიდან აიცილოს ნებისმიერი შესაძლო მეორეული ვიქტიმიზაცია ან ტრავმა. როდესაც შეუძლებელია იმავე სქესის ექსპერტის მოძიება, გამომძიებელმა პროაქტიულად უნდა აცნობოს მსხვერპლს მისი უფლების შესახებ, აირჩიოს დამხმარე/თანმხლები პირი, რომელიც მის ექსპერტიზას დაესწრება. მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლს საშუალება მიეცეს, თან ახლდეს მხარდამჭერი პირი გამოკვლევის დროს, სასამართლო ექსპერტის სქესისგან დამოუკიდებლად, რელიგიური, ფსიქოლოგიური ან სხვა პირადი მიზეზების გამო.

ფსიქიკური ან ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ახლობელი ადამიანი ესწრებოდეს გამოკვლევებს (ეს შეიძლება იყოს კანონიერი წარმომადგენელი ან ოფიციალურად დანიშნული პირი), რათა მსხვერპლმა თავი უსაფრთხოდ იგრძნოს უცხო გარემოში და უცხო პირებთან შეძლოს კომუნიკაცია. კანონიერი წარმომადგენელი არ უნდა იყოს სავარაუდო დანაშაულის შესაძლო მონაწილე ან პირი, რომელიც არასათანადო გავლენას მოახდენს მსხვერპლზე ამ პროცესში მონაწილეობისას.

თუ შემთხვევიდან დიდი დრო არ არის გასული და არსებობს მტკიცებულებების დაზიანების ან განადგურების საფრთხე, გამომძიებელმა უნდა გააფრთხილოს მსხვერპლი, რომ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, არ დაიბანოს და არ მიიღოს საკვები გამოკვლევამდე. დაზარალებულს (ან პირს, რომელიც ინახავს ტანსაცმელს - მშობელი, მეურვე, მხარდამჭერი) უნდა ეცნობოს, რომ ტანსაცმელი შეიძლება მტკიცებულების სახით იყოს ამოღებული.[187] დაზარალებულის მიერ გამოკვლევებზე უარის შემთხვევაში, გამომძიებელმა მას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, თუ როგორ და სად შეუძლია მათი მოგვიანებით ჩატარება. ამასთან, უნდა განუმარტოს, რომ სასამართლო ექსპერტიზის მტკიცებულების მოპოვებისა და დაზიანების დოკუმენტირების შესაძლებლობა მცირდება კვლევების დაგვიანებით ჩატარებისას.[188] გამომძიებელმა, შესაძლოა, მიმართოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორს, რომელიც, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებით, განუმარტავს, რატომ არის მნიშვნელოვანი იმ მომენტში გამოკვლევების ჩატარება (იხ. მე-2 თავის მე-10 ქვეთავი).

დაზარალებულის მიერ სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებაზე უარი არ არის გამოძიების შეწყვეტის საფუძველი. გარდა ამისა, ქალები, რომლებიც ირჩევენ, რომ არ გაიარონ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, არ უნდა ჩაითვალონ ნაკლებად სანდოდ. ასეთ შემთხვევაში საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები უნდა შეგროვდეს ამ სახელმძღვანელოში აღწერილი სხვა საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებით.

187 კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 17.

188 კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 18.

საქალწულე აპკის მდგომარეობიდან გამომდინარე არასწორი დასკვნის გაკეთების თავიდან აცილება

სექსუალურ ძალადობის შედეგად სასქესო ორგანოების დაზიანების შემთხვევაში, ის ძირითადად აღინიშნება საშოს კარიბჭის ბოლქვზე, მცირე სასქესო ბაგეებზე, საქალწულე აპკსა და/ან ნავისებრი ფოსოს (fossa navicularis) მიდამოში.[189] ამასთან, საქალწულე აპკის მდგომარეობიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეუძლებელია იმის დადგენა, იყო თუ არა ქალი გაუპატიურების მსხვერპლი, ჰქონდა თუ არა სქესობრივი კავშირი, ან არის თუ არა იგი სქესობრივად აქტიური,[190] ვინაიდან საქალწულე აპკის მთლიანობა შეიძლება არ დაირღვეს ან არ დაზიანდეს სქესობრივი აქტის ან იძულებითი სქესობრივი შეღწევის შედეგად.[191] მეორე მხრივ, საქალწულე აპკის მთლიანობა შეიძლება დაირღვეს რიგი მიზეზების გამო, რომლებიც არ არის დაკავშირებული სქესობრივ აქტსა ან სექსუალურ ძალადობასთან,[192] როგორიცაა, მაგალითად, ვარჯიში, სხვა ფიზიკური აქტივობა (ცხენით ჯირითი) ან ტამპონის გამოყენება.[193]

არ არსებობს ფაქტობრივი, სამეცნიერო ან სამედიცინო საფუძველი საქალწულე აპკის ზომის, მორფოლოგიის ან მთლიანობის შესაფასებლად, ან იმის დასადგენად, განიცადა თუ არა ქალმა ვაგინალური შეღწევა და რამდენად შესაძლებელია ამის საფუძველზე ზუსტად განსაზღვროს მისი „ქალწულობა“.[194] ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია საქალწულე აპკის შემოწმებას „ქალწულობის ტესტს“ უწოდებს და მას აფასებს, როგორც „დამამცირებელს, დისკრიმინაციულს და არამეცნიერულს“.[195]

საქალწულე აპკის მდგომარეობის კვლევა მხოლოდ სექსუალური ძალადობის დასამტკიცებლად და ძალის გამოყენებით ტრავმის მიყენების დასადასტურებლად უნდა იყოს გამოყენებული და არა მსხვერპლის წინარე სქესობრივი ცხოვრების გამოძიების მიზნით (რაც დანაშაულს არ უკავშირდება). შესაბამისად, ამ ინფორმაციის საფუძველზე, არასათანადოდ არ უნდა შეფასდეს დაზარალებულის მიერ განცდილი ტრავმის სიმძიმე.

4.5.2. ფსიქოლოგიური შეფასება

ფსიქოლოგიური გამოკვლევის, ანუ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის მონაწილეობის იმგვარად დაგეგმვისთვის, რომ მას ამით ხელახალი ტრავმა არ მიადგეს. ამ გამოკვლევით შესაძლებელია დადგინდეს, სჭირდება თუ არა მსხვერპლს სპეციალისტის დახმარება. ამგვარი საჭიროება უნდა შეფასდეს მსხვერპლის პირველადი ფსიქოლოგიური

189 გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 12.
190 ექიმები ადამიანის უფლებებისთვის, კვლევებზე დაყრდნობით ცვლილება შესაძლებელია, გვ. 1.
191 გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 78-79.
192 ექიმები ადამიანის უფლებებისთვის, კვლევებზე დაყრდნობით ცვლილება შესაძლებელია, გვ. 1.
193 გაერთიანებული სამეფოს ეროვნული ჯანდაცვის სერვისები - აღენიშნება თუ არა ყველა ქალს სისხლდენა პირველი სქესობრივი კავშირის შემდეგ.
194 ექიმები ადამიანის უფლებებისთვის, კვლევებზე დაყრდნობით ცვლილება შესაძლებელია, გვ. 1.
195 ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების ჯანმრთელობის დაცვა, კლინიკური სახელმძღვანელო, ჯანმო, 2014, გვ. 46. CEDAW-ს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N35, CEDAW/C/GC/35, პარ. 29 (c) (ii).

დაკვირვებითაც, დაზარალებულთან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის კომუნიკაციის გზით. შეფასების გამოყენება შესაძლებელია მსხვერპლზე ძალადობის შედეგად მიყენებული ფსიქოლოგიური ტანჯვისა და ზიანის დასადასტურებლად, რაც, შესაძლოა, ქმნიდეს მაკვალიფიცირებელ გარემოებას, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი.

ფსიქოლოგიური შეფასების მიზანია მსხვერპლზე სექსუალური ძალადობის გავლენის შეფასება, მხარდაჭერის სერვისების დაგეგმვა ან საგამოძიებო და გამოკითხვის სტრატეგიებთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემა (სპეციალურად მომზადებული პირების მიერ, საჭიროების შემთხვევაში), რათა უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებით მოქმედება.

დაზარალებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა აირჩიოს მოწმის/დაზარალებულის კოორდინატორის სქესი (იხილეთ მე-2 თავის მე-8 ქვეთავი.) იმ შემთხვევაში, თუ საქმეში ჩართულია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, მან შეიძლება ჩაატაროს დაზარალებულის საწყისი ფსიქოლოგიური შეფასება ნახევრად სტრუქტურირებული გამოკითხვის გზით, ინციდენტისა და მისი გავლენის შესახებ - თუ არსებული რესურსები ამის შესაძლებლობას იძლევა. შემდეგ კოორდინატორმა უნდა აცნობონ გამომძიებელს ან პროკურორს, მისი აზრით, დაზარალებულს ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდება თუ არა.

4.5.3. ფსიქიატრიული ექსპერტიზა

დაუშვებელია მოწმის/დაზარალებულის სანდოობის შესახებ ექსპერტიზის ჩატარება.[196] ამიტომ, ექსპერტებს არ უნდა დაევალოთ მოსაზრების გამოხატვა, შეუძლიათ თუ არა მსხვერპლს ან სხვა მოწმეებს სანდო ჩვენების მიცემა. მხოლოდ მოსამართლეს ევალება, შეაფასოს განსახილველი საქმის საფუძველზე მტკიცებულებების წონა და სანდოობა.[197] ფსიქიატრიული ექსპერტიზის მიზანი უნდა იყოს მსხვერპლზე სექსუალური ძალადობის გავლენის შეფასება, მის შედეგებზე დაყრდნობით დახმარების სერვისების დაგეგმვა, ან ინფორმაციის გაცემა გამოძიებისა და გამოკითხვის (საჭიროების შემთხვევაში სპეციალურად მომზადებული პირების მიერ) სპეციალური სტრატეგიების საჭიროების შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იყოს მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა. ფსიქიატრიული შეფასება არასდროს არ უნდა გამოიყენებოდეს იმის დასადგენად, ამბობს თუ არა მსხვერპლი სიმართლეს.

დაუშვებელია **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფსიქიატრიული შეფასების,** ანუ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის გამოყენება მათი სანდოობის დასადგენად. შეზღუდული შესაძლებლობა უპირობოდ არ უნდა დაედოს საფუძვლად ვარაუდს, რომ ადამიანი არის უმწეო მდგომარეობაში, ან არ შეუძლია, გაიგოს, დაიმახსოვროს ან გადმოსცეს სექსუალური ძალადობის დანაშაულის დეტალები. ფსიქიატრიული ექსპერტიზის საფუძველზე ავტომატურად არ უნდა შეფასდეს, თუ რამდენად შესწევს პირს უნარი, სწორად აღიქვას და გადმოსცეს ფაქტები -ამის თაობაზე დასკვნა სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობით უნდა გაკეთდეს.

196 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 51(3).
197 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 51(3).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50(2)-ე მუხლის შესაბამისად, დაუშვებელია, გამოიკითხოს ან მოწმედ დაიკითხოს შშმ პირი, რომელსაც შესაძლებლობის შეზღუდვის გამო, არ შეუძლია, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები, მიაწოდოს ინფორმაცია ან მისცეს ჩვენება. ამავე კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ ის ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს, ან, თუ დადგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის გამო, მას არ შეუძლია, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.

ზემოხსენებული მუხლების გამოყენება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასამართლო-ფსიქოლოგიური და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზები ერთად ინიშნება, არ უნდა მოხდეს ფსიქიატრის მიერ ფსიქიკური თვალსაზრისით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსხვერპლის ჩვენების სანდოობისა და რელევანტურობის შეფასებისთვის. ამან ხელი არ უნდა შეუშალოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მონაწილეობა მიიღონ სისხლის სამართლის პროცესში და ჰქონდეთ წვდომა მართლმსაჯულებაზე. როგორი თანმიმდევრული და სანდოც არ უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსხვერპლის ჩვენება, ფსიქიატრიული დასკვნა იმის შესახებ, რომ მას არ შეუძლია, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები, მიაწოდოს ინფორმაცია ან მისცეს ჩვენება, გამორიცხავს სასამართლოს მიერ ფსიქიკური შეზღუდვის მქონე პირის ჩვენების მტკიცებულების სახით მიღებას და მასზე დაყრდნობას. შესაბამისად, ასეთი შეფასებები არ უნდა წარმოადგენდეს ბრალის წაყენებაზე უარის თქმის ერთადერთ საფუძველს და სასამართლომ ავტომატურად არ უნდა თქვას უარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისგან მიღებული მტკიცებულების შეფასებასა და მხედველობაში მიღებაზე.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა ამგვარ სიტუაციებში გულისხმობს ექსპერტ-ფსიქიატრის მიერ იმის შეფასებას, თუ როგორ შეუძლია მსხვერპლს წვლილის შეტანა სისხლის სამართლის პროცესში. გამომძიებლებმა, პროკურორებმა და მოსამართლეებმა კი უნდა იხელმძღვანელონ სპეციალისტების მითითებებით და შეიმუშაონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გამოკითხვის მეთოდოლოგია, რათა მსხვერპლი, შეზღუდული შესაძლებლობების გამო, უპირობოდ არ გამოირიცხოს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობიდან და მართლმსაჯულებაზე წვდომა არ შეეზღუდოს.

გამომძიებელმა/პროკურორმა არ უნდა გამოიყენოს „არაფორმალური“ ზეწოლა, რათა აიძულოს დაზარალებული, ჩაიტაროს ფსიქიატრიული ან რაიმე სხვა გამოკვლევა. მსხვერპლს მკაფიოდ უნდა განემარტოს, რომ მას ასეთ გამოკვლევაზე უარის თქმის უფლება აქვს. მას და მის ადვოკატს ასევე უნდა ეცნობოთ, რომ დაზარალებულს შეუძლია ადვოკატის თანხლება ფსიქიატრიული გამოკვლევის დროს.

5. მტკიცებულებათა საკითხები: რელევანტურობა, კონტექსტზე დაფუძნებული მიდგომის მნიშვნელობა და მტკიცებულების გამყარების პრობლემები

დასაშვებობის პრინციპები საერთაშორისო სისხლის სამართალში

დასაშვებობის პრინციპების მიზანია, განსაზღვროს, კონკრეტული მტკიცებულება რამდენად შეიძლება მიიღოს სასამართლომ გარკვეული საკითხის გადასაწყვეტად.[198] მტკიცებულებებთან დაკავშირებული წესები მოსამართლეს დიდ დისკრეციას აძლევს დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.[199] ამ პრინციპის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს **სასამართლო პროცესზე** და ის ავტომატურად არ უნდა გამოირიცხოს.[200]

დასაშვებობის პრინციპები ad hoc ტრიბუნალებში

იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალების მოსამართლეებს აქვთ დისკრეცია, მიიღონ „ნებისმიერი რელევანტური მტკიცებულება, რომელიც საქმის გადაწყვეტისთვის ღირებულია“ და არ მიიღონ მტკიცებულება, „თუ სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფის საჭიროება მნიშვნელოვნად გადაწონის მის ღირებულებას საქმისთვის“.[201]

დასაშვებობის პრინციპები საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო, პრაქტიკაში, დასაშვებობისთვის უპირატესობის მინიჭების პრეზუმფციით მუშაობს.[202] ეს ეხება ირიბი ჩვენების დასაშვებობასაც. მტკიცებულებებთან დაკავშირებული წესები რომის სტატუტის 69-ე მუხლშია მოცემული, **თუმცა მტკიცებულებათა დასაშვებობის ტესტი განვითარებულია სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიერ.**

Lubanga-ს საქმის თანახმად, არსებობს 3-საფეხურიანი ტესტი, რომელიც გამოიყენება თითოეულ საქმეზე დაყრდნობით:

(i) არის მტკიცებულება *prima facie* რელევანტური?

(ii) აქვს მტკიცებულებას *prima facie* ღირებულება საქმის გადაწყვეტისთვის?

(iii) გადაწონის თუ არა მტკიცებულების ღირებულება პოტენციურ ზიანს?[203]

198 დასაშვებობა, ოქსფორდის იურიდიული ლექსიკონი, მე-5 გამოცემა, 2006, გვ. 13.
199 კრიტიკული შესავალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, სტანი, გვ. 343.
200 კრიტიკული შესავალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, სტანი, გვ. 343.
201 იხ. მაგ. ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი, პროცედურისა და მტკიცების წესები, 13 მაისი 2015 (‘ICTY-ს პროცედურისა და მტკიცების წესები’), წესი 89(D); რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი, პროცედურისა და მტკიცების წესები, 13 მაისი 2015 (‘ICTR-ის პროცედურისა და მტკიცების წესები’), წესი 89(C); ლიბანის სპეციალური ტრიბუნალი, პროცედურისა და მტკიცების წესები, 18 დეკემბერი, 2020 (‘STL-ის პროცედურისა და მტკიცების წესები), წესი 149(c), (d); სიერა ლეონეს სპეციალური სასამართლოს პროცედურისა და მტკიცების წესები (‘SCSL-ის პროცედურისა და მტკიცების წესები’), წესი 89(c); შესავალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრიერი, გვ. 433.
202 შესავალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრიერი, გვ. 434.
203 Prosecutor v. Lubanga, Case No. ICC-01/04-01/06-1399, გადაწყვეტილება ოთხი დოკუმენტის დასაშვებობის თაობაზე , 13 ივნისი 2008, პარ. 25–32.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მტკიცებულებების და პროცედურების წესდება მტკიცებულების გამორიცხვის მხოლოდ ორ შესაძლებლობას ითვალისწინებს. რომის სტატუტის ან საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება გამოირიცხება, თუ: „დარღვევა არსებითი ეჭვის ქვეშ აყენებს მტკიცებულების სანდოობას ან თუ მტკიცებულების დაშვება სამართალწამოების სამართლიანობას ეწინააღმდეგება და მნიშვნელოვნად აზიანებს. "[204]. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო, როგორც წესი, მხედველობაში მიიღებს მტკიცებულების რელევანტურობას და ღირებულებას სასამართლოში წარდგენილი ყველა მტკიცებულების „სრულყოფილი შეფასებისთვის" და საქმის განხილვამდე გადადებს თითოეული მტკიცებულების დასაშვებობის გადაწყვეტის საკითხს.[205] ის ფაქტორები, რომლებსაც სასამართლო ეყრდნობა, ქვემოთ არის განხილული.

სექსუალური ქცევის წინარე ან შემდგომი ისტორია სასამართლოსთვის დაუშვებელი მტკიცებულებაა.[206]

დასაშვებობის გადაწყვეტის დროს მხედველობაში მისაღები ფაქტორები

ხელევანტურობა

მტკიცებულების რელევანტურობის შეფასება ითვალისწინებს, გაირკვეს დამოკიდებულება მტკიცებულებასა და ფაქტს შორის, რომელზეც მიმდინარეობს გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა. გამომძიებლებმა, პროკურორებმა და მოსამართლეებმა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ყველა ეტაპზე, მტკიცებულებებთან მიმართებით, რელევანტურობის პრინციპით უნდა იხელმძღვანელონ. მოსამართლისთვის რელევანტურობა ნიშნავს მტკიცებულების იმ საკითხთან შესაბამისობას, რომელზეც პროცესი მიმდინარეობს.[207] რელევანტურობით ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ყველა შესაძლო მტკიცებულების მოპოვებას, წარდგენასა და განხილვას ყველაზე ქმედითი, ეფექტიანი და სათანადო ფორმით.

მტკიცებულებათა აღმოჩენა და მოპოვება გამოძიების ძირითადი მიზანია. მათი რელევანტურობის შეფასების ფარგლები გამოძიების ეტაპზე განსაკუთრებით ფართოა. გამომძიებელმა **ყველა** ის მტკიცებულება უნდა მიიჩნიოს რელევანტურად, რომელიც დაადასტურებდა ან გამორიცხავდა გამოსაძიებელი საქმის არსებით ფაქტს. ამისთვის საჭიროა ყოველმხრივი, კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიების ჩატარება. გამოძიების ეტაპზე რელევანტურობის შეფასება უნდა მოხდეს უფრო ფართოდ, ვიდრე ნებისმიერ სხვა ეტაპზე.

ბრალის წარდგენის შემდეგ მტკიცებულების რელევანტურობას განაპირობებს წარდგენილი ბრალდების ფარგლები. ამ ეტაპზე რელევანტურია მტკიცებულება, რომელიც დაამტკიცებდა ან გამორიცხავდა განსახილველი საქმის არსებით საკითხს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მტკიცებულება რელევანტურია, თუკი იგი განსახილველ

204 რომის სტატუსი, მუხლი 69 (7).
205 შესავალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრიერი, გვ. 434.
206 ICC პროცედურისა და მტკიცების წესები, წესი 71.
207 შესავალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრიერი, გვ. 433; კრიტიკული შესავალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, სტანი, გვ. 343.

ფაქტს მეტად ან ნაკლებად შესაძლებელს გახდის. არსებითია საკითხები, რომლებიც ბრალდების ნაწილს წარმოადგენს.

რელევანტურობა არის სტანდარტი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, ვიდრე სასამართლო შეაფასებს მტკიცებულების მნიშვნელობას გამოსაკვლევი ფაქტის დამტკიცების ან უარყოფის თვალსაზრისით.[208] მტკიცებულების რელევანტურობა არ არის განცალკევებული ცნება და იგი ყოველთვის მიემართება გამოსაკვლევ ფაქტ(ებ)ს. შესაბამისად, მტკიცებულება, განსაკუთრებით - არაპირდაპირი, **ყოველთვის** უნდა შეფასდეს კონტექსტურად, რათა მისი რელევანტურობა განისაზღვროს.

მტკიცებულებითი ღირებულება

რელევანტურობის ცნება თავის თავში გულისხმობს მტკიცებულებითი ღირებულების კომპონენტს. მტკიცებულებითი ღირებულება არის მტკიცებულების პოტენციალი, რომ კონკრეტული მტკიცება/განაცხადი გახადოს მეტად ან ნაკლებად შესაძლებელი. **სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი აჩვენებს, რამდენად შეუძლია კონკრეტულ მტკიცებულებას, „დაამტკიცოს ან უარყოს განსახილველი საკითხი“.**[209]

მაგალითად, დროის მაჩვენებლიანი ფოტო იმ პირისა, რომელიც იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, ასევე ვიდეოჩანაწერი, სადაც პირი სჩადის დანაშაულს, ამყარებენ ფაქტს, რომ დანაშაული, შესაძლოა, ჩადენილი იყოს ამ პირის მიერ.

მტკიცებულება, რომელიც არის რელევანტური და აქვს მტკიცებულებითი ღირებულება, ასევე უნდა შეიცავდეს უტყუარობის გარკვეულ კომპონენტს.[210]

უტყუარობა

უტყუარობა დამოკიდებულია ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა მტკიცებულების წარმომავლობა, შინაარსი, გამყარება, სისწორე, ნებაყოფლობითობა ან სანდოობა.[211] უტყუარობა ეხება არა მხოლოდ უშუალოდ მტკიცებულებას, არამედ მისი მოპოვების პროცესსაც. მაგალითად, აღიარებითი ჩვენების ან მოწმის ჩვენების უტყუარობა სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგება, თუკი იგი მოპოვებულია ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევით, როგორიცაა, მაგალითად, წამება.[212]

ამგვარად, ორი მაჩვენებელი განსაზღვრავს მტკიცებულებით ღირებულებას: უტყუარობა და რამდენად შეუძლია მას, გავლენა მოახდინოს გამოსაკვლევი საკითხის გადაწყვეტაზე.[213]

208 მტკიცებულებითი სამართალი: ხასიათის მტკიცებულების რელევანტურობისა და დასაშვებობის წესი.

209 შესავალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრიერი, გვ. 433-434; კრიტიკული შესავალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, სტანი, გვ. 343.

210 Prosecutor v. Tadić, Case No. IT-94-1-T, გადაწყვეტილება შუამდგომლობაზე ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობის თაობაზე, 5 აგვისტო 1996, პარ. 15–16, 19; იხ. ასევე: შესავალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრიერი, გვ. 465.

211 შესავალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრიერი, გვ. 434; Prosecutor v. Aleksovski, Case No. IT-95-14/1, გადაწყვეტილება პროკურორის სააპელაციო საჩივარზე მტკიცებულების დასაშვებად ცნობის თაობაზე, 16 თებერვალი 1999 (‘Aleksovski-ს საქმეზე გადაწყვეტილება პროკურორის სააპელაციო საჩივარზე მტკიცებულების დასაშვებად ცნობის თაობაზე’), პარ. 15.

212 კრიტიკული შესავალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, სტანი, გვ. 345.

213 Prosecutor v. Germain Katanga & Matthew Ngudjolo Chui, Case No. ICC-01/04-01/07 გადაწყვეტილება პროკურორის შუამდგომლობაზე, 17 დეკემბერი 2010 (‘Katanga and Chui, გადაწყვეტილება პროკურორის შუამდგომლობაზე’) პარ. 20.

უტყუარობა ფართო ცნებაა. შესაბამისად, იგი მოიცავს სანდოობას (რამდენად სანდოა მტკიცებულების წყარო) და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, დაკვირვების სიზუსტესა და ავთენტურობას.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მტკიცებულება შეიძლება ჩაითვალოს სანდოდ მისი არათანმიმდევრულობის მიუხედავადაც. მაგალითად, მოწმის ჩვენებები, რომლებიც იყო არათანმიმდევრული და შეუსაბამო, დასაშვებად მიიჩნიეს საერთაშორისო სასამართლოებმა, ვინაიდან მტკიცებულება ერთიანობაში შეფასდა უტყუარად და სანდოდ (მაგალითად, გარკვეული საკითხები გამყარდა სხვა მოწმეთა ჩვენებებით).[214]

არაპირდაპირი მტკიცებულება - ირიბი მტკიცებულებები

ირიბი მტკიცებულებები

ირიბია მტკიცებულება, რომელიც შეეხება სასამართლოს გარეთ გაკეთებულ განაცხადს და წარდგენილია სასამართლოში, რათა **დადასტურდეს მასში მოცემული საკითხის ნამდვილობა.**[215] ირიბი მტკიცებულება შეიძლება იყოს პირველადი, როდესაც მოწმე აძლევს ჩვენებას სხვა პირის მიერ მისთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე; ასევე, შეიძლება იყოს მეორადი (ორმაგი ირიბი მტკიცებულება); ან კიდევ უფრო შორეული კავშირის მქონე, როდესაც ინფორმაცია ორ ან მეტ პირს გადაეცა, ვიდრე მიეწოდებოდა მოწმეს, რომელიც სასამართლოს წინაშე წარდგება.[216]

საქართველოს სისხლის სამართლის პრაქტიკა განასხვავებს პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებებს. ირიბი მტკიცებულება განიმარტება „ირიბ ჩვენებასთან"[217] მიმართებით (პირველადი ან მეორადი ირიბი ჩვენება), ხოლო ყველა სხვა მტკიცებულება, გარემოებითი მტკიცებულებების ჩათვლით, მიიჩნევა „პირდაპირ მტკიცებულებად". ორივე მათგანი შესაძლებელია იყოს **რელევანტური** მტკიცებულება განსახილველი არსებითი ფაქტისთვის.

ჩვენება ხშირად შეიცავს როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ მტკიცებულებას. მაგალითად, ბავშვმა უამბო დედას, რომ გააუპატიურა პირმა, რომელიც ბრალდებულია ამ დანაშაულის ჩადენისთვის. დედის ჩვენება ბავშვის განცხადებაზე იქნება „ირიბი ჩვენება". ის ცალსახად რელევანტურია და მტკიცებულებითი ძალა აქვს განსახილველი არსებითი ფაქტისთვის. გარდა ამისა, თუ ბავშვმა უკვე მისცა ჩვენება და თქვა, რომ მან ამის თაობაზე განუცხადა დედას, დედის „ირიბი ჩვენება" იქნება რელევანტური, როგორც ბავშვის ჩვენების გამამყარებელი მტკიცებულება. დედის ჩვენება, შესაძლებელია, ასევე იყოს ბავშვის ემოციური სტრესული მდგომარეობის დამადასტურებელი რელევანტური მტკიცებულება. დაბოლოს, შეიძლება დადგინდეს, რომ ბავშვი დედასთან ამ განცხადების გაკეთებისას დანაშაულისგან ემოციურად იმდენად იყო დათრგუნული, რომ მისი მხრიდან ძალადობის შესახებ ინფორმაციის შეთხზვა გამოირიცხება. **ეს მაგალითები**

214 Prosecutor v. Popović et al., Case No. IT-05-08-T, გადაწყვეტილება, 10 ივნისი 2010 ('Popović et al., გადაწყვეტილება'), პარ. 506.

215 იუგოსლავიის ტრიბუნალის სახელმძღვანელო ჩამოყალიბებული მიდგომების შესახებ, გვ. 106-107; გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, გაერთიანებული სამეფოს პროკურორთა კოდექსი.

216 გაეროს დანაშაულისა და სამართლიანობის რეგიონთაშორისი კვლევითი ინსტიტუტი (UNICRI), იუგოსლავიის ტრიბუნალის სახელმძღვანელო ჩამოყალიბებული მიდგომების შესახებ, გვ. 107.

217 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი.

მიუთითებს მტკიცებულების კონტექსტზე დაფუძნებით შეფასების მნიშვნელობაზე მისი რელევანტურობის დასადგენად. იმავდროულად, დედის ჩვენება შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას პირადი დაკვირვებით შემჩნეული ფიზიკური დაზიანებების, ბავშვის ემოციური მდგომარეობისა ან სავარაუდო დანაშაულის პერიოდისთვის ბავშვის ქცევის ცვლილებების შესახებ, რაც ქართული მართლმსაჯულების პრაქტიკაში „პირდაპირ ჩვენებადაა" მიჩნეული. ეს დაკვირვებები კი ცალსახად რელევანტურია განსახილველ ფაქტებთან მიმართებით.

ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან მიმართებით არსებული წესების მკაცრმა ინტერპრეტაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი მტკიცებულების დასაშვებობის ბარიერი შექმნას. საერთო სამართლის სისტემებსა და საერთაშორისო სამართალში ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებული წესები ისეა განვითარებული, რომ, ფაქტობრივად, გამოირიცხება მისი დასაშვებობის მკაცრი აკრძალვა.[218] ქვემოთ რამდენიმე მაგალითია მოცემული.

ირიბი ჩვენება საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით

ირიბი ჩვენების მნიშვნელობა აღიარებულია საერთაშორისო პრაქტიკით. **აუცილებელია, მისი შეფასება მოხდეს სასამართლო პროცესზე და იგი ავტომატურად არ გამოირიცხოს საქმიდან.[219]**

***ad hoc* ტრიბუნალებში ირიბი ჩვენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ის საქმისთვის რელევანტური და ღირებულია**. ტრიბუნალებს აქვთ დისკრეცია, მიიღონ და, მიღების შემთხვევაში, დაეყრდნონ ირიბ ჩვენებას.[220] საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს არ აქვს პროცედურული აკრძალვა ირიბი ჩვენების გამოყენებასთან მიმართებით. მისი მოსაზრებით, **ირიბი ჩვენება ავტომატურად არ ნიშნავს, რომ მას საქმისთვის ღირებულებითი წონა არ აქვს.[221] ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სახის მტკიცებულების შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ ირიბ ჩვენებას, შესაძლოა, ნაკლები წონა ჰქონდეს, საბოლოოდ, მისი შეფასება დამოკიდებული უნდა იყოს**

218 იხ. მაგ. „კანონიერი მტკიცებულებები", მარტინ გოლდინგი & ვილიამ ედმუნსონი (რედაქტორები), ბლექველის ფილოსოფიის გზამკვლევი ფილოსოფიასა და სამართლის თეორიაში (შპს ბლექველ ფაბლიშინგი, 2005. გვ. 174.

219 კრიტიკული შესავალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, სტანი, გვ. 343.

220 რომის წესდება, მუხლი 69(3),(4); ICTY-ს პროცედურისა და მტკიცების წესები, წესი 89(c); 'ICTR-ის პროცედურისა და მტკიცების წესები, წესი9(c); SCSL-ის პროცედურისა და მტკიცების წესები, წესი 89(c); STL-ის პროცედურისა და მტკიცების წესები, წესი 149(c); კამბოჯის სასამართლოს საგანგებო პალატები, შიდა წესები, მე-8 რედაქცია, 3 აგვისტო 2011 ('წესი 87(1). იხ. ასევე, Prosecutor v. Aleksovski, Case No. IT-95-14/1, გადაწყვეტილება პროკურორის სააპელაციო საჩივარზე მტკიცებულების დასაშვებად ცნობის თაობაზე, 16 თებერვალი 1999 ('Aleksovski გადაწყვეტილება პროკურორის სააპელაციო საჩივარზე მტკიცებულების დასაშვებად ცნობის თაობაზე'), პარ. 15; Prosecutor v. Galić, Case No. IT-98-29-AR73.2, გადაწყვეტილება შუალედურ სააპელაციო საჩივარზე 92(C) მუხლის შესაბამისად, 7 ივნისი 2002, პარ. 27; Prosecutor v. Gotovina et al., Case No. IT-06-90-T, სასამართლო გადაწყვეტილება, 15 აპრილი 2011 ('Gotovina et al. სასამართლო გადაწყვეტილება), პარ. 43; Prosecutor v. Popović et al., Case No. IT-05-88-A, სასამართლო გადაწყვეტილება, 30 იანვარი 2015 ('Popović et al. სააპელაციო გადაწყვეტილება), პარ. 1307; Prosecutor v. Akayesu, Case No. ICTR-96-4-A, Judgment, 1-ლი ივნისი 2001 ('Akayesu სააპელაციო გადაწყვეტილება'), პარ. 286; Prosecutor v. Kajelijeli, Case No. ICTR-98-44A-T, გადაწყვეტილება და სასჯელის განსაზღვრა, 1-ლი დეკემბერი 2003 ('Kajelijeli გადაწყვეტილება და სასჯელის განსაზღვრა'), პარ. 45; Prosecutor v. Brima et al., Case No. SCSL-04-16-PT, გადაწყვეტილება დაცვის ერთობლივ შუამდგომლობაზე, 24 მაისი 2005 ('Brima et al. გადაწყვეტილება დაცვის ერთობლივ შუამდგომლობაზე'), პარ. 12-13; Prosecutor v. Brima et al., Case No. SCSL-04-16-T, სასამართლო გადაწყვეტილება, 20 ივნისი 2007, para. 100; ECCC-ის შიდა წესები, წესი 87(1); Co-Prosecutors v. Kaing Guek Eav, Case No. 001/18-07-2007/ECCC/TC, სასამართლო გადაწყვეტილება, 26 ივლისი, 2010, პარ. 43.

221 Prosecutor v. Bosco Ntaganda, Case No. ICC-01/04-02/06, 08 ივლისი 2019, პარ. 67.

სხვადასხვა გარემოებაზე, რომელიც მას უკავშირდება.[222]

კანადის მიდგომის პრინციპები ირიბ ჩვენებასთან მიმართებით

კანადის უზენაესმა სასამართლომ ირიბი ჩვენების აკრძალვის წესის შესახებ იმსჯელა 2006 წელს საქმეში *R v. Khelawon*.[223] ამ საქმის სააპელაციო საჩივარი ეხებოდა ირიბი ჩვენების დასაშვებობას საგამონაკლისო წესით, ირიბი ჩვენების წესის შესაბამისად, რომელიც ეფუძნებოდა საჭიროებისა და უტყუარობის კრიტერიუმებს.[224] მოსამართლე ჩარონმა, რომელიც საქმეს ერთპიროვნულად განიხილავდა, დაადგინა:

> **„როდესაც საჭიროა ირიბი ჩვენების მოხმობა, იგი შეიძლება დასაშვები იყოს: იმაზე დაყრდნობით, თუ როგორ მოხდა მისი მოპოვება; თუ მისი შინაარსი სანდოა; ან, თუ გარემოებები საშუალებას იძლევა, საბოლოო ჯამში, შეაფასოს მისი ღირებულება.[225]**

საჭიროება და უტყუარობა განისაზღვრება *voir dire პრინციპით*.[226] ისინი არ უნდა შეფასდეს იზოლირებულად. ერთმა კრიტერიუმმა, შესაძლებელია, გავლენა მოახდინოს მეორეზე.[227]

სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა, რომ საჭიროებისა და უტყუარობის მოთხოვნებს გარკვეულ კონტექსტში უპირატესობა უნდა ჰქონდეს გამორიცხვისა და დასაშვებობის ფორმალურ წესებთან მიმართებით.[228] შესაბამისად, კონტექსტზე დაფუძნებული მიდგომა დასაშვებობის განხილვისას გამოყენებული უნდა იყოს ყველა ჯერზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ირიბი ჩვენება წარმოდგენილია ბრალდებულის ან მხარის მიერ.[229]

ირიბი ჩვენების ტრადიციულ გამონაკლისებს შორის მოიაზრება უტყუარობის საკითხები. ჩვენება წინანდელი სასამართლო პროცესიდან შეიძლება იყოს უტყუარი, თუ მოწმე მას ფიცის ქვეშ აძლევდა და მოწინააღმდეგე მხარეს ჰქონდა ჯვარედინად დაკითხვის სათანადო შესაძლებლობა. მეორე მხრივ, *res gestae* განაცხადები (ისეთი, როგორიც ზემოთ არის განხილული გაუპატიურების მსხვერპლი ბავშვის შემთხვევაში, რომელმაც დედას უამბო ინციდენტის გარკვეული ფაქტების შესახებ) შეიძლება იყოს უტყუარი, როგორც იმპულსური გამონათქვამები. ასევე გამონაკლისია ინტერესების საწინააღმდეგო განაცხადები. ამის ლოგიკა ის არის, რომ „ხალხი, როგორც წესი, არ ამბობს იმას, რაც მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედებს, თუკი ეს სიმართლეს არ შეესაბამება“.[230]

კონტექსტზე დაფუძნებული მიდგომის მნიშვნელობა

სახელმძღვანელო არაერთხელ შეეხო კონტექსტის მხედველობაში მიღებისა და

222 Prosecutor v. Bosco Ntaganda, Case No. ICC-01/04-02/06, 08 ივლისი 2019, პარ. 67; Prosecutor v. Zlatko Aleksovski, Case No. IT-95-14/1-AR73, გადაწყვეტილება პროკურორის სააპელაციო საჩივარზე მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ, 16 თებერვალი 1999, პარ. 15.
223 R. v. Khelawon, პარ. 2.
224 R. v. Khelawon, პარ. 1.
225 R. v. Khelawon, პარ. 2.
226 R. v. Khelawon, პარ. 47
227 R. v. Khelawon, პარ. 46.
228 ირიბი მტკიცებულება, კანკლიფი და ბოილი. გვ. 2.1.4.
229 ირიბი მტკიცებულება, კანკლიფი და ბოილი. გვ. 2.1.4.
230 ირიბი მტკიცებულება, კანკლიფი და ბოილი. გვ. 2.1.9-2.1.0.

კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიების მნიშვნელობას გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის საქმეების წარმოებისას. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გვთავაზობს მნიშვნელოვან გზამკვლევს ქართველი გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის, განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, რომლებიც შეიცავს მოვლენათა განვითარების ორ შეუსაბამო ვერსიას და შედარებით ნაკლები „პირდაპირი მტკიცებულებაა" წარმოდგენილი.[231] ასეთ საქმეებში სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფოებმა უნდა „გამოიყენონ ყველა ხელმისაწვდომი შესაძლებლობა საქმის ყველა გარემოების დასადგენად" და „შეაფასონ ურთიერთშეუსაბამო განცხადებების საკმარისობა და სანდოობა".[232] გაუპატიურების „პირდაპირი" მტკიცებულების არარსებობისას „სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, გამოიძიონ ყველა ფაქტი და გადაწყვეტილება მიიღონ ყველა გარემოების გათვალისწინებით"[233] (იხ. მე-2 თავის 1-ლი ქვეთავი კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიების შესახებ).

უფრო კონკრეტულად, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „ორი შეუთავსებელი ვერსიის არსებობა ცალსახად მიანიშნებდა, რომ საჭირო იყო ამ განცხადებების **დამაჯერებლობის შეფასება კონტექსტის გათვალისწინებით** და ყველა გარემოების შემოწმება. ამის მიღწევა შეიძლებოდა განმცხადებლისა და მოძალადის ნაცნობი ადამიანების, მეგობრების, მეზობლებისა და სხვა პირების გამოკითხვით, რომელთაც შეეძლოთ, ნათელი მოეფინათ მათი განცხადებების სანდოობისთვის, ან სპეციალიზებული ფსიქოლოგის მოსაზრების მოპოვებით. ამ კონტექსტში ხელისუფლების ორგანოებს ასევე შეეძლოთ, შეემოწმებინათ, რამდენად არსებობდა რაიმე მიზეზი, რომ მსხვერპლს ცრუ ბრალდება წაეყენებინა სავარაუდო მოძალადისთვის"[234] (იხ. ასევე მე-2 თავის მე-4 ქვეთავი: მტკიცებულებათა კატეგორიები).

მტკიცებულების გამყარების საკითხები

როგორც უკვე აღინიშნა (იხ. მე-2 თავის მე-5 ქვეთავი), არ უნდა არსებობდეს სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მიერ წარდგენილი ჩვენების სხვა მტკიცებულებით გამყარების ცალსახა მოთხოვნა, რათა ეს ჩვენება მიჩნეული იყოს გამამტყუნებელი განაჩენისთვის სანდოდ, დამაჯერებლად და საკმარისად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.[235] იგი ასევე განსაზღვრავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება, ეყრდნობოდეს მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებს.[236]

231 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v. Bulgaria, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 176.

232 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v. Bulgaria, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 178.

233 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v. Bulgaria, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 181.

234 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე E.B. v. Romania, App. no. 49089/10, 2019 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, პარ. 56; I.G. v. Moldova, App. no 53519/07, 2012 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება, პარ. 43.

235 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 13 (2).

236 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, მუხლი 13-ის შენიშვნა; მუხლი 76.

ამ მუხლის **ერთგვაროვანი** განმარტების თანახმად, ბრალდებისა და მსჯავრდებისთვის აუცილებელია ორი **მტკიცებულება**, ხოლო ერთი ტიპის ჩვენება მიიჩნევა ერთ მტკიცებულებად. ე**ს არის ფორმალისტური, ვიწრო განმარტება სიტყვათა ერთობლიობისა.** მოცემული მუხლი არ აკონკრეტებს, რომ საჭიროა ორი მტკიცებულება.

ამგვარი მიდგომა მოქმედებს იმის მიუხედავად, რამდენი ცალკეული ფაქტის ან მტკიცებულების შესახებ შეიძლება ისაუბროს მოწმემ თავის ჩვენებაში. იგი ასევე ვერ ახერხებს, გაითვალისწინოს, რომ მტკიცებულებათა **ერთობლიობა** შედგება სხვადასხვა მტკიცებულებისგან, ხოლო მტკიცებულება, როგორიცაა განაცხადი ან ჩვენება, შესაძლებელია, ასევე იყოს თვისებრივად შეჯერებული/თანმიმდევრული, განსაკუთრებით, ჯვარედინი დაკითხვის შემდეგ.

მტკიცებულებათა საკმარისობის ტესტი არ არის რაოდენობრივი.

ხანდახან მსხვერპლი შეიძლება იყოს ერთადერთი მოწმე, რომელიც ბრალდების მხარეს ჰყავს, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის საქმეებზე.

სექსუალური ძალადობა არის გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაული, რომელიც, უმეტესწილად, მიმართულია ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ. ის, როგორც წესი, ხდება ისეთ ადგილებსა და სიტუაციებში, სადაც მოძალადეს გარკვეული ზეგავლენა აქვე მსხვერპლზე და იზოლირებული ჰყავს იგი დანაშაულის ჩადენის მიზნით. ეს ფაქტი ცალსახადაა აღიარებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, რომელმაც განმარტა, რომ „განსახილველი დანაშაული, თავისი ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, როგორც წესი, არ არის საჯარო და არ გამოირჩევა თვითმხილველ მოწმეთა სიმრავლით.“[237]

ამასთანავე, ორი მტკიცებულების მოთხოვნა ნიშნავს, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალისა ან გოგონას ჩვენება, **დამაჯერებელი და სანდოც რომ იყოს,** თუ სხვა მტკიცებულებით არ გამყარდება, დამოუკიდებლად ვერასდროს დაედება საფუძვლად მსჯავრდებას.

ეს არის კიდევ ერთი მაგალითი, თუ როგორ **ეზღუდებათ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა** გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალებს სამართლებრივი ნორმის ფორმალისტური განმარტების გამო. **ამ ტიპის საქმეებზე ორი მტკიცებულების ბარიერის დაწესება** საქმის არსებით განხილვას შეუძლებელს ხდის, ვინაიდან მსხვერპლი ქალების სხვა მტკიცებულებით გაუმყარებელი საჩივრები სასამართლოში ვერ მიდის. ეს, შესაძლოა, მიჩნეული იყოს დისკრიმინაციულ პრაქტიკად და ადამიანის უფლებათა კონვენციის მეცამეტე მუხლით დადგენილი სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების, ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის დარღვევად.

მტკიცებულების გამყარება ყოველთვის კარგია, მაგრამ სექსუალური ძალადობის საქმეებზე მისი აუცილებლად მოთხოვნა განამტკიცებს გავრცელებულ მცდარ წარმოდგენას, რომ ქალი თუ მართლა გააუპატიურეს, მას უნდა ჰქონდეს ჩვენების გამამყარებელი მტკიცებულებები, ხოლო თუ მათ ვერ წარმოადგენს, ეს ნიშნავს,

237 საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N253-15, პარ. 3.

რომ სინამდვილეში არ გაუუპატიურებიათ. მსხვერპლთა რეალური გამოცდილებები სხვადასხვაგვარია. გამამყარებელი მტკიცებულებები გაუპატიურების საქმეში, როგორც წესი, მოიცავს ძალადობის შედეგად ფიზიკურ დაზიანებებს, დაზიანებულ სამოსს ან სხვა მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევას. საქმეთა უმრავლესობაში მათი მოპოვება ვერ ხერხდება.

მტკიცებულების გამყარება ავტომატურად არ განაპირობებს მტკიცებულების სანდოობას.

საერთაშორისო სისხლის სამართალში ჩვენების გამყარება მრავალი მოწმის ჩვენებითაც კი ავტომატურად არ განაპირობებს მტკიცებულების სანდოობას, უტყუარობას და საქმისთვის მის მნიშვნელობას. მტკიცებულების გამყარება არ უზრუნველყოფს მის უტყუარობას. არ არსებობს დასაბუთება ორი მტკიცებულების მოთხოვნის დაწესებაზე. გამყარება არის ელემენტი, რომელიც შეიძლება მტკიცებულებათა გონივრული გამოკვლევისას იყოს გამოყენებული მტკიცებულების შესაფასებლად. საკითხი, უნდა იყოს თუ არა განხილული გამამყარებელი მტკიცებულება, დისკრეციულად უნდა შეფასდეს.[238]

ფაქტი, რომ მოწმე აძლევს ჩვენებას, რომელიც განსხვავდება სხვა მოწმეების, თუნდაც რამდენიმე მოწმის ჩვენებებისგან, ანდა არ არის მაინცდამაინც სისხლისსამართლებრივი დევნისთვის ხელსაყრელი მტკიცებულება, მის სანდოობაზე აუცილებლად უარყოფითად არ მოქმედებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია მტკიცებულების გამყარებაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს ერთზე მეტი მტკიცებულების არსებობას სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. ამასთან დაკავშირებით მან მიუთითა, რომ „როდესაც საკმარისად ძლიერი მტკიცებულებაა წარმოდგენილი და არ არსებობს ამ მტკიცებულების უტყუარობის რისკი, მისი სხვა მტკიცებულებით გამყარების საჭიროება, შესაბამისად, არის დაბალი."[239]

საერთაშორისო სისხლის სამართალი მტკიცებულების გამყარების თაობაზე

საერთაშორისო სისხლის სამართლის დამკვიდრებული პრინციპის თანახმად, შესაძლებელია, მოსამართლე დაეყრდნოს ერთი სანდო მოწმის ჩვენებას გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, მისი სხვა მტკიცებულებებით გამყარების მოთხოვნის გარეშე.[240] ამას ეწოდება ინდივიდუალური შეფასების პრინციპი.

238 Prosecutor v. Fatmir Limaj, Haradin Bala, Isak Musliu, IT-03-66-A, სასამართლო გადაწყვეტილება, 27 სექტემბერი, 2007 წელი, პარ. 203.

239 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეებზე: Khan v. the United Kingdom, App. no. 35394/97, 12 მაისი 2000, პარ 35-37; Allen v. the United Kingdom, App. no. 25424/09, 12 ივლისი 2003, პარ. 43, Bykov v. Russia, App. no. 4378/02, 10 მარტი 2009, პარ. 90; Haxhia v. Albania, App. no. 29861/03, 8 ოქტომბერი 2013, პარ. 129.

240 იხ. მაგ. Prosecutor v Ntaganda, საქმე No. ICC-01/04-02/06-2359, სასამართლო გადაწყვეტილება, 8 ივლისი 2019, პარ. 75 - 76; Prosecutor v Haradinaj, საქმე No. IT-04-84-A, სააპელაციო გადაწყვეტილება, 19 ივლისი 2010, პარ. 145, 219; Prosecutor v Tadic, საქმე No. IT-94-1-A, სააპელაციო გადაწყვეტილება, 15 ივლისი 1999, პარ. 65; Prosecutor v Bagilishema, საქმე No. ICTR-95-1A-A, სააპელაციო გადაწყვეტილება, 3 ივლისი 2002, პარ. 79; Prosecutor v Dragomir Milosevic, საქმე No. IT-98-29/1-A, სააპელაციო გადაწყვეტილება, 12 ნოემბერი 2009,

ეს პრინციპი შეიძლება ასევე გამოყენებული იყოს საქართველოს სასამართლოებისა და სისხლის სამართლის პროფესიონალების მიერ. მაგალითად, სააპელაციო გადაწყვეტილებაში საქმეზე Kordić და Čerkez იუგოსლავიის ტრიბუნალმა დაადგინა, რომ მას შეუძლია, გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი „**ერთი მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობით, თუმცა ასეთი ჩვენება უნდა შეფასდეს შესაფერისი სიფრთხილით.** სიფრთხილის გამოჩენა აუცილებელია მოწმის მხრიდან შეფარული მოტივით მოქმედების თავიდან ასაცილებლადაც".[241]

ეს პრინციპი კოდიფიცირებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროცედურისა და მტკიცების წესებში, რომლის 63(4) მუხლი განსაზღვრავს შემდეგს:

66-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის შეზღუდვის გარეშე: პალატა არ დააწესებს სამართლებრივ მოთხოვნას, რომ საჭიროა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ რომელიმე დანაშაულზე, **განსაკუთრებით კი სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე,** ჩვენების გამყარება სხვა მტკიცებულებებით.[242]

სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა სექსუალური ძალადობის საქმეებზე მტკიცებულების გამყარების საკითხზე

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაუქმდა კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც აწესებდა მტკიცებულების გამყარების **მკაცრ** მოთხოვნას ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე, ვინაიდან ამ მოთხოვნას ჰქონდა დისკრიმინაციული გავლენა. ქვემოთ მოყვანილი პრეცედენტების, როგორც მაგალითების, გამოყენება შესაძლებელია საქართველოს სისხლის სამართლის სასამართლო სისტემაშიც.

ჯერ კიდევ 1992 წელს კანადის უზენაესმა სასამართლომ, პრეცედენტულ საქმეზე R v Seaboyer, ამგვარ წესებზე დაყრდნობით გამოტანილ „არასწორ დასკვნებზე" განმარტება გააკეთა,[243] რომელიც ნაწილობრივ ციტირებულია ქვემოთ.

„საერთო სამართალი ყოველთვის ეჭვითა და უნდობლობით უყურებდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს. ამის შედეგად კი, ჩამოყალიბდა უნიკალური მტკიცების წესები. სექსუალური ძალადობის განმცხადებელს სხვებისგან განსხვავებულად ექცეოდნენ. სექსუალური ძალადობის საქმეებზე საერთო სამართალმა „შეითვისა" არსებული მითები და სტერეოტიპები, ჩამოაყალიბა ორ წესები, რომლებიც უკიდურესად ართულებს განმცხადებლის სანდოობის დადგენას და მის „მორალსა" ან „ხასიათთან" დაკავშირებული გამოძიებისა და სპეკულაციების თავიდან აცილებას."... **გაუგებარია განმცხადებლის სანდოობაზე სამართლის მიერ ასეთი შეუსაბამო ხაზგასმა ამგვარ საქმეებში და მომჩივნების ბლანკეტური აღქმა არასანდო პირებად. როგორც ვხედავთ, სექსუალური ძალადობა**

პარ. 215; Prosecutor v Kupreskic, საქმე No. IT-95-16-A, სააპელაციო გადაწყვეტილება, 23 ოქტომბერი 2001, პარ. 220; Prosecutor v Lukic & Lukic, საქმე No. IT-98-32/1-A, სააპელაციო გადაწყვეტილება, 4 დეკემბერი 2012, პარ. 375.

241 Prosecutor v Kordić & Čerkez, საქმე No. IT-95-14/2-A, იუგოსლავიის ტრიბუნალი (ICTY), სააპელაციო გადაწყვეტილება, 17 დეკემბერი 2004, პარ. 274.

242 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, პროცედურისა და მტკიცების წესები (ICC-PIOS-LT-03-004/19_Eng), წესი 63(4); სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება (მიღებულია: 17 ივლისი 1998წ., ძალაში შევიდა: 1-ლი ივლისი 2002წ.) 2187 UNTS 90 (რომის წესდება), მუხლი 66(3): მიზანშეწონილია, აღინიშნოს, რომ რომის წესდების მუხლი 66(3) (რომელსაც მიემართება წესი 63(4)) ეხება მტკიცების სტანდარტს, რომელიც საჭიროა ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისთვის, ანუ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

243 R v Seaboyer [1991] 2 SCR 577 (გაძლიერებულია აქცენტი).

ყველაზე ნაკლებად შეტყობინებადი დანაშაულია ძალადობრივ დანაშაულებს შორის. შეტყობინების შემდეგაც კი პოლიცია და პროკურორები ფილტრავენ საჩივრების მნიშვნელოვან რაოდენობას გაუპატიურების მითებისა და სტერეოტიპების მიმართ მიმღებლობის გამო. ლოგიკურად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ცრუ საჩივრების ალბათობა ამ კონტექსტში უნდა იყოს გაცილებით დაბალი, სხვა დანაშაულებთან შედარებით. მართლაც, არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც საწინააღმდეგოს დაამტკიცებდა.[244]

კანადაში მტკიცებულების გამყარება **არ არის** სექსუალური ძალადობისთვის მსჯავრდების „პრერეკვიზიტი“.

კანადის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სექსუალური დანაშაულის საქმეებზე **არ არის დაწესებული ჩვენების დამატებითი მტკიცებულებებით გამყარების მოთხოვნა პირის დამნაშავედ ცნობისთვის და მოსამართლემ არ უნდა განუმარტოს მსაჯულებს, რომ გამყარების გარეშე არ არის მიზანშეწონილი პირის დამნაშავედ ცნობა.**

ეს მიდგომა ასევე ასახულია ინგლისისა და უელსის 1994 წლის სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და საჯარო წესრიგის აქტში (გამყარების წესების გაუქმება), რომელიც ადგენს, რომ:

„გაუქმებულია ნებისმიერი მოთხოვნა, რომლითაც მსჯავრდების სხდომაზე სასამართლოს ევალება, მსაჯულებს მისცეს გაფრთხილება პირის მიერ წარდგენილი გაუმყარებელი მტკიცებულებების საფუძველზე ბრალდებულის მსჯავრდებასთან დაკავშირებით, მხოლოდ იმის გამო, რომ ეს პირი არის (a) ბრალდებულის სავარაუდო თანამონაწილე, ან (b) **ბრალად წარდგენილი ქმედება არის სექსუალური ძალადობა, ხოლო მტკიცებულების წარმდგენია პირი, რომლის მიმართაც, სავარაუდოდ, ჩადენილია დანაშაული.“**

ამის შესაბამისად, 2020 წლის ოქტომბრის ინგლისის სამეფო პროკურორთა შუალედური სახელმძღვანელო გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის შესახებ ადგენს: „აუცილებელია, პროკურორებმა მათ მიერ საქმის შესწავლის პროცესში არ დააწესონ მტკიცებულების გამყარების მოთხოვნა, ან მტკიცებულებათა შეფასების პროცესში არ მიიჩნიონ, რომ მახასიათებელი „ერთი ერთის წინააღმდეგ“ საქმის სისუსტის მაჩვენებელია. ერთი ადამიანის სიტყვა შეიძლება საკმარისი იყოს გამამტყუნებელი განაჩენის რეალური პერსპექტივის შესაქმნელად.“[245]

საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები

სექსუალური ძალადობა გენდერული დანაშაულია და საქართველოში, უმეტესწილად, ქალებისა და გოგონების მიმართ არის ჩადენილი. **ყოვლისმომცველი გამოყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმგვარი ინტერპრეტაციისა, რომლის თანახმადაც, აუცილებელია ორი მტკიცებულების არსებობა მსჯავრდებისთვის,**

244 ქალბატონი მოსამართლე L'Heureux-Dubé საქმეზე R v Seaboyer (n 7).
245 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, გაუპატიურება და სექსუალური დანაშაულები.

იწვევს იმას, რომ საქართველოში ქალებისა და გოგოების გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის საქმეები, რომლებიც ხშირად მხოლოდ მსხვერპლისა და მოძალადის ურთიერთშეუსაბამო ჩვენებებს ეყრდნობა, როგორც წესი, რჩება გამოუძიებელი და არ იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა.

ეს მიდგომა არის დისკრიმინაციული და, შესაძლოა, გამოიწვიოს საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს თანახმად, სახელმწიფოებმა „უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და პოლიტიკური ზომები, რათა უზრუნველყონ სწრაფი და ადეკვატური გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და მოძალადეთა პასუხისმგებლობა, ასევე სისხლის სამართლის სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება,“[246] კონკრეტულად, „გააუქმონ დისკრიმინაციული დებულებები, რომლებიც სექსუალური ძალადობის საქმეებზე ჩვენების გამყარების მოთხოვნას აწესებს.“[247]

CEDAW-ს კომიტეტი, რომელიც იძლევა CEDAW-ს კონვენციის **ავტორიტეტულ განმარტებას მხარეთა ვალდებულებების შესახებ,** 33-ე ზოგად რეკომენდაციაში განმარტავს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ქალთა თანასწორობა კანონის წინაშე „ისეთი კანონების, პროცედურების, რეგულაციების, იურისპრუდენციის, ჩვეულებებისა და **პრაქტიკების გაუქმებით, რომლებიც იწვევს ქალთა და გოგონათა პირდაპირ ან არაპირდაპირ დისკრიმინაციას, განსაკუთრებით კი, სასამართლოსადმი მათი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. მათ უნდა გააუქმონ მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის დისკრიმინაციული ბარიერები**“, მათ შორის, „**მტკიცების წესები**, რომლებიც იწვევს ქალ მოწმეთა, **მომჩივანთა** და ბრალდებულთა დისკრიმინაციას, მათთვის უფრო მაღალი მტკიცების ტვირთის დაკისრებით, ვიდრე მამაკაცებს მოეთხოვებათ დანაშაულის დასადგენად ან ზიანის ანაზღაურებისთვის.“[248]

მეტიც, 35-ე ზოგად რეკომენდაციაში CEDAW-ს კომიტეტი განიხილავს მთელ რიგ ზომებს, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ, რათა „აღმოფხვრან სტერეოტიპები და მიდგომები, რომლებიც ასაზრდოებს ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობას“, მათ შორისაა სასამართლო ორგანოების მიმართ მოთხოვნა, რომ: „განუხრელად გამოიყენონ სისხლის სამართლის ყველა ნორმა ასეთი ძალადობის დასასჯელად, უზრუნველყონ, რომ ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის ბრალდებათა შემცველი საქმეების ყველა სამართლებრივი პროცედურა იყოს სამართლიანი და თავისუფალი გენდერული სტერეოტიპებისა და სამართლებრივი ნორმების, მათ შორის, **საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დისკრიმინაციული განმარტებებისგან**“. იმავდროულად, მიუთითებს, რომ ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის დასასაბუთებლად საჭირო მტკიცებულებით სტანდარტს შეუძლია გავლენის მოხდენა კანონის წინაშე ქალთა თანასწორობის უფლებაზე.[249]

სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულება, უზრუნველყოს სამართლებრივ

246 ადამიანის უფლებათა საბჭო, რეზოლუცია N23/25, A/HRC/RES/23/25, 2013, პარ. 7 (გაძლიერებულია აქცენტი).
247 ადამიანის უფლებათა საბჭო, რეზოლუცია N23/25, A/HRC/RES/23/25, 2013, პარ. 8 (გაძლიერებულია აქცენტი). იხილეთ ასევე გაეროს ქალთა ორგანიზაციის სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ, 2012წ. გვ. 41-42; CEDAW-ს ზოგადი რეკომენდაცია No. 33, პარ. 25(a)(iii).
248 CEDAW/C/GC/33, 25 ივლისი 2015, პარ. 25(a)(iii).
249 CEDAW/C/GC/35, 14 ივლისი 2017, პარ. 33.

პროცედურებში სამართლებრივი ნორმების დისკრიმინაციული ინტერპრეტაციის თავიდან აცილება, მოითხოვს ნებისმიერი ისეთი პრაქტიკის აღმოფხვრას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ იწვევს ქალთა დისკრიმინაციას. მათ შორისაა მსხვერპლის ჩვენების გამყარების მკაცრი მოთხოვნის გაუქმება ქალთა გაუპატიურებისა და მათ მიმართ სხვა სახის სექსუალური ძალადობის საქმეებზე. მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასებისას პროკურორებმა და მოსამართლეებმა უნდა მიიღონ ზომები გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველსაყოფად,, ეს, სულ მცირე, უნდა გამოიხატებოდეს ისეთი პრაქტიკის, მიდგომებისა და პოლიტიკის შემუშავებაში, რაც დაასრულებს მტკიცებულების გამყარების მკაცრ მოთხოვნას ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე.

წმინდად ტექნიკური მოთხოვნების დაწესების უარყოფითი მხარეები

მტკიცებულების გამყარებასთან მიმართებით არსებული ტექნიკური მოთხოვნები იწვევს იმას, რომ მტკიცებულებათა რაოდენობას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მათ ხარისხს.

გაუპატიურებისა და ქალთა მიმართ სხვა სახის სექსუალური ძალადობის საქმეთა გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, იდეალურ შემთხვევაში, არ უნდა იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მტკიცებულებებზე.[250] ამის მიუხედავად, არ შეიძლება მსხვერპლის პოზიციის მტკიცებულებებით გამყარების მკაცრი მოთხოვნის დაწესება იმის საჩვენებლად, რომ მის ჩვენებას აქვს პოტენციალი, დააკმაყოფილოს მტკიცების ტვირთი ამ სახის საქმეებზე. არ არსებობს მიზეზი, რის გამოც ერთი უდავო მტკიცებულების წყარო არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად ამ საქმეებთან მიმართებით.

დასკვნა

მტკიცებულებათა გამყარების დაუსაბუთებელი და მკაცრი მოთხოვნის გაუქმება პრივილეგირებულ მდგომარეობაში არ აყენებს გაუპატიურების და ქალთა მიმართ სხვა სახის სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს, სხვა ტიპის სისხლის სამართლის დანაშაულთა მსხვერპლებთან შედარებით. ამგვარი მკაცრი მოთხოვნის გაუქმება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ არ იარსებებს ზოგადი ნორმა, რომელიც მსხვერპლთა გარკვეული ჯგუფების სისტემური დისკრიმინაციის რისკს წარმოშობს, ხოლო მათი მტკიცებულებები „შეფასდება რაციონალურად და ობიექტურად, სასამართლოში წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, მტკიცების ტვირთის მხედველობაში მიღებით".[251]

250 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 55; განმარტებითი ანგარიში, პარ. 280; გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები: ოჯახში ძალადობის გზამკვლევი პროკურორებისთვის; გენდერული თანასწორობა საქართველოში, ბარიერები და რეკომენდაციები, 2018, ტომი 1, გვ. 58.

251 R. v. Solomon, 2020 ONSC 2640 (CanLII), კანადის უმაღლესი სასამართლო.

6. გაუპატიურებასთან დაკავშირებული ცრუ წარმოდგენებისა და სტერეოტიპების დაძლევა

6.1. ზოგადი მოსაზრებები

სექსუალური ძალადობის მსხვერპლზე ორიენტირებული პრაქტიკა და პროცედურები მოითხოვს, რომ მისი ღირსების და ავტონომიის დაცვა იყოს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ამოსავალი წერტილი. ეს გულისხმობს მტკიცებულებათა შეფასებას კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასება მხედველობაში უნდა იღებდეს სექსუალურ ძალადობაზე მსხვერპლის საპასუხო ქცევის მრავალფეროვან გამოვლინებებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის და ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტების შესაბამისად,[252] გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის სხვა ქმედებების სისხლისსამართლებრივ დევნაზე გავლენას არ ახდენდეს გენდერული სტერეოტიპები და მითები მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა სექსუალობის შესახებ. საქმის განხილვასა და მტკიცებულებების შეფასებაზე გავლენა არ უნდა იქონიოს პირადმა შეხედულებებმა გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის შესახებ,[253] გენდერული ან სხვა ნიშნით მიკერძოებამ, ზოგადად, ქალთა შესახებ ან პირველი თავის მე-6 ქვეთავში ასახულ ჯგუფებთან დაკავშირებულმა სტერეოტიპებმა.

CEDAW კონვენციის მე-5 და სტამბოლის კონვენციის 12.1 მუხლებით დადგენილი ვალდებულებების შესაბამისად, უნდა აღმოიფხვრას ის ცრურწმენები, ადათ-წესები, ტრადიციები და ყველა სხვა პრაქტიკა, რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპულ წარმოდგენებს. ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში „წინასწარგანწყობილმა და სტერეოტიპულმა წარმოდგენებმა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ქალის მიმართ გენდერული ძალადობა, რა საპასუხო რეაქცია უნდა ჰქონდეთ ქალებს მასზე და მტკიცებულების სტანდარტმა, რომელიც საჭიროა ძალადობის დასამტკიცებლად, შეიძლება გავლენა მოახდინოს ქალების მიერ კანონის წინაშე თანასწორობის, სამართლიანი სასამართლო განხილვის და ეფექტიანი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის უფლებით სარგებლობაზე“.[254]

„სტეიეოტიპები გავლენას ახდენს ქალთა უფლებაზე, ჰქონდეთ წვდომა სამართლიან სასამართლო პროცესზე. მართლმსაჯულების სისტემამ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რომ არ დაამკვიდროს ხისტი სტანდარტები იმის შესახებ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ, ან არ გაეკეთებინათ ქალებს და გოგონებს, როდესაც ისინი გაუპატიურების საფრთხის წინაშე დადგნენ, რომლებიც ეფუძნება წინასწარ წარმოდგენებს გაუპატიურების ან გენდერული ძალადობის მსხვერპლის ცნებების შესახებ“.[255]

252 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Konstantin Markin v. Russia, App. no. 30078/06, პარ. 142-3, განმარტებულია გენდერზე დაფუძნებული სტერეოტიპების იდენტიფიცირებისა და გაქარწყლების მნიშვნელობა.

253 ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენცია და აღმოფხვრა, სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების პროფესიონალთათვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი, ევროპის საბჭო, 2016, გვ. 43.

254 იხ. CEDAW-ს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N35, CEDAW/C/GC/35, პარ. 26 (c).

255 იხ. CEDAW-ს კომიტეტი საქმეზე Vertido v Philippines, 2007 წლის 29 ნოემბრის კომუნიკაცია No. 18/2008, CEDAW/C/46/D/18/2008, პარ. 8.4.

მაგალითად, მითია, რომ ქალები იტყუებიან გაუპატიურების შესახებ ვინაიდან მამაკაცზე შურისძიება სურთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მასთან უკვე აკავშირებდათ ნებაყოფლობითი სექსუალური ურთიერთობა. ასევე მითია, თითქოს კონკრეტულ პირთან ადრე არსებული ნებაყოფლობითი სექსუალური ურთიერთობა გაუპატიურებით გამოწვეულ ტრავმას ამსუბუქებს. ეს მოსაზრებები ეყრდნობა სტერეოტიპებს. ასევე არასწორია დასკვნა, რომ ქალისთვის მარტივია გაუპატიურებაზე ჩივილი ან საჩივრის შეტანის უფლების ბოროტად გამოყენება ცრუ ბრალდებების წასაყენებლად. კიდევ ერთი მითია, რომ თუ ქალი ქორწინების გარეთ სექსს დათანხმდა, იგი ყოველთვის თანახმა იქნება სექსზე.

მტკიცებულებათა სანდოობის შეფასება არ უნდა ეყრდნობოდეს მსხვერპლის ქცევას. მასზე ფოკუსირება ყურადღების მიღმა ტოვებს სექსუალურ ძალადობას და აიგნორებს მოძალადის ქმედებებს.

კონკრეტული მსხვერპლის ქცევაზე ფოკუსირების ნაცვლად, კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიება, რომელიც სტამბოლის კონვენციით და სხვა საერთაშორისო სისხლის სამართლისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტებითაა რეკომენდებული, მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აქტორებმა ყურადღება გაამახვილონ თავად მოძალადეზე, ასევე სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ კონტექსტზე, რომელშიც ქალთა მიმართ სექსუალური აგრესიის აქტებია ჩადენილი. შემდეგ ნაწილებში მოცემულია პრაქტიკული ინსტრუქციები სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ფართოდ გავრცელებული იმ სტერეოტიპების დასაძლევად, რომლებიც, საბოლოოდ, ხელს უწყობს დამნაშავეთა დაუსჯელობას.

6.2. სანდოობასთან დაკავშირებული შეცდომების თავიდან აცილება

ქალებს კვლავ დაბრკოლებები ექმნებათ იმის დასამტკიცებლად, რომ მათ მიმართ მომხდარ ინციდენტს არ აქვს ალტერნატიული ახსნა და, რომ ისინი გაუპატიურების „ნამდვილი მსხვერპლები“ არიან. ასეთი მიდგომა ემყარება მცდარ წარმოდგენებს.

დაუშვებელია მცდარი დასკვნის გამოტანა მსხვერპლის/მოწმის სანდოობასთან დაკავშირებით მიკერძოებულობის, სტერეოტიპების ან იმ მოსაზრების საფუძველზე, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო მსხვერპლი კონკრეტულ შემთხვევაში. მსხვერპლის/მოწმის სანდოობა უნდა შეფასდეს მხოლოდ მტკიცებულებებზე და არა მის ქცევაზე დაყრდნობით.[256] დამაჯერებელი მტკიცებულების გამოკვლევა უნდა მოხდეს მიუკერძოებლად, მიუხედავად იმისა, ვინ არის საჩივრის ავტორი.

<u>ინციდენტის შესახებ დაგვიანებით შეტყობინება</u> არ უნდა დაედოს საფუძვლად უარყოფით დასკვნებსა და შეფასებებს დაზარალებულის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სანდოობის შესახებ.[257] არ არსებობს შეტყობინების გონივრული ვადა. დაზარალებულებმა შეიძლება დაგვიანებით მიმართონ პოლიციას, რადგან მათ შურისძიების, დამცირების ან სტიგმატიზაციის ეშინოდათ, ან სხვა გარემოებები არსებობდა[258] (იხ. მე-3 თავის მე-2 ქვეთავი). აუცილებელია იმის გათვალისწინება,

256 იხ. ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, პრეამბულა, პარ. 25.
257 იხ. ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, პრეამბულა, პარ. 25.
258 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 13(1) (მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა).

რომ მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი ქალების წინაშე დამატებითი ბარიერები არსებობს ასეთი ძალადობის შეტყობინების თვალსაზრისით, რაც გამოწვეულია ურთიერთგადამკვეთი/ჯვარედინი/ინტერსექციური დისკრიმინაციით (იხ. მე-2 თავის 7.2. ქვეთავი).

ანალოგიურად, ქალები, რომლებიც არ შორდებიან მოძალადეს და/ან არ აღენიშნებათ ფიზიკური ძალადობის ნიშნები, არ უნდა ჩაითვალონ ნაკლებად სანდოდ. გარდა ამისა, შეტყობინების სარწმუნოობაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს დაზარალებულის ჩაცმულობა ინციდენტის დროს ან სასამართლოში ყოფნისას, მისი სექსუალური კავშირები და ქცევის ისტორია.

განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეფასდეს მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელ ქალთა გამოცდილება. მათ მიმართ არსებულმა სტერეოტიპებმა და ნეგატიურმა აღქმებმა არ უნდა იმოქმედოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენელთა მოსაზრებებზე მსხვერპლის სანდოობასთან დაკავშირებით. სექსუალურ ორიენტაციასთან, გენდერულ იდენტობასთან, პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებული სტერეოტიპები აღწერილია პირველი თავის მე-6 ქვეთავში.[259]

გარდა ამისა, გამომძიებლებმა, პროკურორებმა და მოსამართლეებმა **ტრავმის ნიშნები** არ უნდა მიიჩნიონ მსხვერპლის არასაკმარისი სანდოობის მტკიცებულებად.[260] ტრავმული მოვლენის გახსენება შეიძლება ყოველთვის არ მიჰყვებოდეს ლოგიკური და ქრონოლოგიური თხრობის სტრუქტურას. შეუსაბამობები, სინამდვილეში, შეიძლება მატრავმირებელ მოვლენაზე რეაგირებისა და მასთან გამკლავების გზაა, რომელიც სექსუალური ძალადობის დროს მოსალოდნელი და დამახასიათებელია. ტრავმირებულ ადამიანებს ყოველთვის არ შეუძლიათ, ზუსტად და სრულად გაიხსენონ, რა შეემთხვათ. მათ შეიძლება ჰქონდეთ მეხსიერების ჩავარდნები, დაბლოკონ გარკვეული მოგონებები, მწვავედ განიცდიდნენ გადატანილ ფაქტს, რაც ხელს უშლით მომხდარის ამომწურავად გადმოცემაში. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დაზარალებულის მონათხრობი ნაკლებად სანდოა.[261] რეკომენდებულია, რომ კითხვების დაგეგმვისას ყურადღება გამახვილდეს დანაშაულის ძირითად ელემენტებზე. ქრონოლოგია შეიძლება მოგვიანებით დაზუსტდეს, როდესაც დაზარალებული ტრავმას გადალახავს.[262]

არ არსებობს უპირობო ან სავალდებულო კორელაცია ტრავმასა და სანდოობის ნაკლებობას შორის. ტრავმირებული ადამიანი შეიძლება იყოს როგორც სანდო, ასევე სარწმუნო. ფაქტობრივად, ტრავმირებულმა დაზარალებულებმა და მოწმეებმა შეიძლება ზოგჯერ ტრავმასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები დაწვრილებით და უაღრესი სიზუსტით გაიხსენონ.

259 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 13(1) (მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა).

260 IICI გამომძიებლის სახელმძღვანელო, სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევების გამოძიება, ნიამ ჰაიესი, თავი 21; კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 17.

261 კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 17.

262 მსხვერპლის გამოკითხვა ტრავმის გათვალისწინებით, ადამიანით ვაჭრობის სამუშაო ჯგუფის ელექტრონული გზამკვლევი.

ამ დეტალებისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა მნიშვნელოვანია, რადგან გამომძიებლებმა და პროკურორებმა შეიძლება ამ გზით მოიძიონ მტკიცებულებები, რომლებიც დაზარალებულის მონათხრობს ადასტურებს.[263]

ქვემოთ მოცემული ნაწილები მიემართება მოწმის სანდოობის შეფასების საკითხებს.

6.3. დაზარალებულის ქცევა სექსუალურ ძალადობამდე, ძალადობისას და მის შემდეგ

არსებობს მითი, რომ ქალი, რომელსაც არ სურს სქესობრივი კავშირი, აქტიურ ფიზიკურ და სიტყვიერ წინააღმდეგობას გაუწევს მოძალადეს და ამ წინააღმდეგობის დამტკიცება უნდა იყოს შესაძლებელი. გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების მსხვერპლს, როგორც აღინიშნა, სამართლებრივად არ მოეთხოვება მოძალადისთვის ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა სქესობრივ კავშირზე უარის ნიშნად. მისგან ასეთი ქმედების მოლოდინი არც პროფესიონალებს უნდა ჰქონდეთ.[264] პასიურობა (დაზარალებულის გაშეშება/გახევება ან დახმარების თხოვნის უუნარობა) არ უნდა ჩაითვალოს აქტში ნებაყოფლობითი მონაწილეობის მაჩვენებლად.[265] ანალოგიურად, დაზარალებულის აქტიური მონაწილეობა სექსუალურ აქტში ან აქტზე ფიზიოლოგიური რეაქცია (მაგალითად, ორგაზმი და აღგზნება) არ მიუთითებს მის თანხმობაზე და მოითხოვს გარემოებების სრულყოფილ ანალიზს.[266]

გაუპატიურების და სხვა სახის სექსუალური ძალადობის მსხვერპლები ძალადობისას, ძალადობის შემდეგ და ძალადობრივი გამოცდილების შესახებ განმეორებითი თხრობისას სხვადასხვა სახის ქცევით რეაქციებს ავლენენ. შესაბამისად, გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები მსხვერპლის სანდოობის და სარწმუნოობის შეფასებისას მსხვერპლისთვის დამახასიათებელი ქცევის შესახებ საკუთარ ვარაუდებს არ უნდა დაეყრდნონ.[267]

მსხვერპლები სექსუალური ძალადობისას და ძალადობის შემდეგ, დამატებითი ზიანისა და ტრავმისგან თავის დაცვის მიზნით, შემდეგ რეაქციებს ავლენენ:[268]

263 ტრავმის ზეგავლენა სექსუალური ძალადობის სრულწლოვან მსხვერპლებზე, კანადის იუსტიციის დეპარტამენტი.

264 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 36; ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 191; იხ. ასევე: მსოფლიოს სირცხვილი: გაუპატიურების გლობალური ეპიდემია, Equality Now, 2017, გვ. 13; იხ. ასევე: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე E.B. v. Romania, App. no. 49089/10, 2019 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, პარ. 56; იხ. ასევე: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე M.C. v. Bulgaria, App. no. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 143, 156-158, 166; იხ. ასევე: საერთაშორისო სისხლის სასამართლოს „რეგლამენტი და მტკიცების წესი"; წესი 70(a).

265 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე E.B. v. Romania, App. no. 49089/10, 2019 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, პარ. 56; იხ. ასევე: საერთაშორისო სისხლის სასამართლოს „რეგლამენტი და მტკიცების წესი", წესი 70(a); იხ. ასევე: გრევიოს საბაზისო შეფასების ანგარიში შვედეთში არსებული ვითარების თაობაზე, 2019, პარ. 181, გვ. 45; გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 11.

266 იუგოსლავიის ტრიბუნალის 2001 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Kunarac et al., IT-96-23-T& IT-96-23/1-T, პარ. 644.

267 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 36; ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 192; იხ. ასევე: დახურული საქმე: გაუპატიურება და ადამიანის უფლებები ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში, ამნესტი ინტერნეშენალი, გვ. 50; იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 14, 29-30; იხ. ასევე CEDAW-ს კომიტეტი საქმეზე Vertido v. Philippines, კომუნიკაცია No. 18/2008, 2007 წლის 29 ნოემბრის შეტყობინება, CEDAW/C/46/D/18/2008, პარ. 8.5; იხ. ასევე: CEDAW-ს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N35, CEDAW/C/GC/35, პარ. 26 (c) (ii).

268 ბრძოლის ან გაქცევის საპასუხო რეაქცია, გაუპატიურების კრიზისი ინგლისსა და უელსში.

- **შეწინააღმდეგება:** ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა, ხელის კვრა, ბრძოლა და სიტყვიერი შეწინააღმდეგება, მაგალითად, დაზარალებული ამბობდა „არა“-ს;
- **თავის დაღწევა:** დაზარალებულის მიერ მოძალადისგან დისტანცირება, მაგალითად, გაქცევა, დამალვა ან უკან დახევა;
- **გაშეშება:** დაძაბვა, გაუნძრევლად ყოფნა, ჩუმად ყოფნა. ეს არის დამახასიათებელი რეაქცია გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობაზე. გაშეშება არ ნიშნავს, რომ ადამიანი თანახმაა, არამედ ეს არის თვითგადარჩენის ინსტინქტური რეაქცია;
- **მოცელვა:** გაშეშების ანალოგიური რეაქციაა. ამ დროს კუნთები დუნდება და ადამიანი ვერ მართავს სხეულს. ესაა ავტომატური რეაქცია, რომელსაც შეუძლია, შეამციროს მსხვერპლის ფიზიკური ტკივილი. ასევე, შეიძლება დაიბლოკოს მსხვერპლის გონება თავდაცვის მიზნით;
- **დამეგობრება:** დახმარებისთვის „მეგობრისა“ ან გამვლელისთვის დაძახება, ყვირილი, და/ან საშიშ ადამიანთან „დამეგობრება“, მაგალითად, მათი დაწყნარების, მოლაპარაკების, მოსყიდვის ან თხოვნის გზით. ეს არ ნიშნავს, რომ მსხვერპლი თავდამსხმელს თანხმდება. ეს არის გადარჩენის ინსტინქტური მექანიზმი.

ქალებმა და გოგონებმა შეიძლება ფიზიკურად არ გაუწიონ წინააღმდეგობა მოძალადეს, ან არ გაიქცნენ, კონკრეტულ შემთხვევაში არსებული ნების დამთრგუნველი გარემოებების გამო. მაგალითად, შეიძლება მოძალადის ფიზიკურმა ძალამ სრულიად დაიმორჩილა მსხვერპლი; ან მსხვერპლი მოიტაცეს ქორწინების იძულების მიზნით და მან იფიქრა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა; შესაძლოა, მსხვერპლი დაკავებული იყო იზოლირებულ ადგილას; მსხვერპლი დანებდა მოძალადეს საფუძვლიანი შიშის გამო, რაც მოძალადის წინა ძალადობრივი ქცევითაა გამოწვეული; მსხვერპლს შეიძლება ეშინოდეს სიტუაციის ესკალაციის, შურისძიების, ან მიაჩნდეს, რომ აქტიური წინააღმდეგობით კიდევ უფრო ძალადობრივი, შეურაცხმყოფელი ქცევის პროვოცირებას გამოიწვევს; ან მას შეიძლება, უბრალოდ, შეეშინდა.

კერძოდ, CEDAW კომიტეტმა გააკრიტიკა შემდეგი სტერეოტიპები და არასწორი მოსაზრებები: „როგორც გადაწყვეტილებიდან ირკვევა, მოსამართლე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მომჩივანს ურთიერთგამომრიცხავი დამოკიდებულება ჰქონდა და მან ეს პრობლემად მიიჩნია. სასამართლომ არ გამოიყენა შემდეგი პრინციპი - „ის გარემოება, რომ დაზარალებული არ ეცადა, გაქცეულიყო, არ უარყოფს გაუპატიურების ფაქტს“. ამის ნაცვლად, ის გარკვეულ საქციელს ელოდა მომჩივნისგან, რომელიც, სასამართლოს აზრით, არ იყო „მორიდებული ქალი, რომლის დაჩაგვრაც ადვილი იქნებოდა“. გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ მომჩივნის მიერ გადმოცემული მოვლენების სანდოობის შეფასებაზე გავლენა იქონია მრავალმა სტერეოტიპმა. კერძოდ იმან, რომ ამ სიტუაციაში მომჩივანი არ მოიქცა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო რაციონალური და „იდეალური მსხვერპლისგან“, ან ისე, რასაც მოსამართლე მიიჩნევდა გაუპატიურების საფრთხის წინაშე მყოფი ქალის მხრიდან რაციონალურ და იდეალურ რეაგირებად“.[269]

269 იხ. CEDAW-ს კომიტეტი, საქმეზე Vertido v. Philippines, კომუნიკაცია No.18/2008, 2007 წლის 29 ნოემბრის შეტყობინება, CEDAW/C/46/D/18/2008, პარ. 8.5; იხ. ასევე: გრევიოს მესამე მხარის სახით ინტერვენცია საქმეზე Kurt v. Austria, 62903/15, პარ. 10-11.

6.4. მცდარ წარმოდგენებზე, მიკერძოებასა და მსხვერპლის დადანაშაულებაზე დაფუძნებული კითხვებისა და მიდგომების თავიდან აცილება

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებმა განსაკუთრებული სიფრთხილე, თავაზიანობა, პატივისცემა და მოთმინება უნდა გამოიჩინონ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთან კომუნიკაციისას.[270] დაუშვებელია მსხვერპლთან მედიდურად, დამამცირებლად, განსჯით, უნდობლობით ან სკეპტიკურად საუბარი და გამოკითხვა.[271] ასევე, გამომძიებელს არ უნდა ემჩნეოდეს, რომ იგი შოკირებული ან შეურაცხყოფილია მსხვერპლის მიერ კონკრეტული აქტის აღწერისას გამოყენებული ლექსიკით. მსხვერპლი მაშინვე იგრძნობს, რომ გამომძიებელს ეს არ სიამოვნებს.[272]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოთხოვნების შესაბამისად, დაუშვებელია მსხვერპლის დადანაშაულება, დაშინება და დისკრიმინაციული ან სექსისტური ენის გამოყენება. არ შეიძლება მსხვერპლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება მისი ჩაცმულობის, საქმიანობის, სექსუალური ქცევის, სავარაუდო დამნაშავესთან წინარე ურთიერთობის ან ნათესაური კავშირის გამო.[273]

გამომძიებლებმა, პროკურორებმა და მოსამართლეებმა არ უნდა დასვან შეუფერებელი, გენდერულად არასენსიტიური კითხვები, როგორიცაა: ***„ისიამოვნე?“*** და ***„განიცადე ოჰგაზმი?“*** - ეს კითხვები არა მხოლოდ გენდერული თვალსაზრისით არასენსიტიური და დამამცირებელია მსხვერპლისთვის, არამედ, ასევე, შეუფერებელია, ვინაიდან ფიზიოლოგიური რეაქციები არ მიუთითებს თანხმობაზე.

ამგვარი კითხვები მსხვერპლს ადანაშაულებს. ისინი გენდერულ სტერეოტიპებზეა დაფუძნებული, ხოლო ადამიანი, რომელიც ამგვარ კითხვებს სვამს, მიკერძოებულია. ეს შეკითხვები ეფუძნება უსამართლო დაშვებებს, რომ ქალს სქესობრივი კავშირი ნებაყოფლობით ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ინანა და მიმართა მართლმსაჯულების სისტემას. ასევე მიკერძოებულია მინიშნება, რომ ქალმა მოკრძალებულად უნდა ჩაიცვას, რათა არასასურველი სექსუალური კონტაქტის პროვოცირება არ გამოიწვიოს.

კითხვის ფორმულირება - ***„ხოგორ იყავი ჩაცმული?“*** - გაუპატიურების არსის არასწორ გაგებაზე მიუთითებს. გაუპატიურება არა ბიოლოგიური მოთხოვნილება, არამედ ქალებზე ძალაუფლებისა და კონტროლის სურვილის დაკმაყოფილებაა. ძალადობის მომენტში ქალის ჩაცმულობა არ ამართლებს თანხმობის გარეშე სქესობრივ

270 აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ტრენინგის ეროვნული კურიკულუმი, გვ. 50.

271 იხ. სამართალდამცავი და მართლმსაჯულების სექტორის წარმომადგენლების მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაუმჯობესება, სახელმძღვანელო ტრენერთა ტრენინგისთვის, ევროპის საბჭო, 2016, გვ. 65; იხ. ასევე: ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენცია და აღმოფხვრა, სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების პროფესიონალთათვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი, ევროპის საბჭო, 2016, გვ. 43; იხ. ასევე: აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ტრენინგის ეროვნული კურიკულუმი, გვ. 50, 54.

272 რეალურ დროში სექსუალური დანაშაულის დინამიკაზე დაფუძნებული ტექნიკები, მსხვერპლის გამოკითხვა, სერჟანტი ჯოან არქამბაულტი, დოქტორი კიმბერლი, ა. ლონსვეი, თებერვალი 2006, (განახლებული 2019), გვ. 92.

273 იხ. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ამერიკაში, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია (2007).

კონტაქტს. ერთადერთი გარემოება, როდესაც გამართლებულია დაზარალებულისთვის ტანსაცმელთან დაკავშირებული კითხვების დასმა, ეს არის იმ ნივთების სასამართლო ექსპერტიზისთვის მოპოვების საჭიროება, რომლის ჩატარების შესაძლებლობა დროშია შეზღუდული. დროში შეზღუდულია თავად ნივთების დროულად ამოღებაც, რათა კვალი არ წაიშალოს. ექსპერტიზისთვის სწორად ამოღებული ნივთმტკიცება, როგორც წესი, გარკვეული ვადით ინარჩუნებს ნიშან-თვისებებს.

შეკითხვა ***„ჰაგომ იყავი გაჰეთ გვიან ღამით?“*** და მასზე დაყრდნობით უარყოფითი დასკვნების გამოტანა ასევე მსხვერპლის დადანაშაულებაა. ამის ნაცვლად, გამოძიება „თავისუფალი უნდა იყოს მსხვერპლის დადანაშაულებაზე მიმართული საყოველთაოდ გავრცელებული დამოკიდებულებისგან, როდესაც ქალებს ადანაშაულებენ და მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა საკუთარ უსაფრთხოებასა და განცდილ ძალადობაზე“.[274]

6.5. წარსული სექსუალური ცხოვრება

ვინაიდან თითოეულ სქესობრივ აქტზე თანხმობა ცალკე უნდა იყოს განხილული, კითხვები მსხვერპლის წინანდელი სქესობრივი კავშირების და ქცევის შესახებ სრულებით შეუსაბამოა გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის სხვა ქმედებების გამოძიებისას. მათზე პასუხი არ იძლევა ინფორმაციას სავარაუდო დანაშაულისას თანხმობის გამოხატვის შესახებ, შესაბამისად, უსარგებლოა ბრალდების დადასტურებისა ან უარყოფის თვალსაზრისით.[275] სტამბოლის კონვენციის თანახმად, „მტკიცებულება, რომელიც ეხება მსხვერპლის სქესობრივი ცხოვრების ისტორიას და სქესობრივ ქცევას, ნებადართული იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ეს შეესაბამება საქმის არსს და აუცილებელია.''[276]

წინა სქესობრივი კავშირების შესახებ კითხვების დასმა, რითაც მსხვერპლის სანდოობას ამოწმებენ, გენდერულ მიკერძოებას და სტერეოტიპებს ეყრდნობა. მათ საფუძვლად უდევს მცდარი მოსაზრება, თითქოს ნაკლებად სავარაუდოა, ქალი გაუპატიურების მსხვერპლი ყოფილიყო, თუკი მან წარსულში გამოხატა თანხმობა სქესობრივ კავშირზე. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები, რომლებიც პროსტიტუციაში არიან ჩაბმულნი, შეიძლება განსაკუთრებით დაუცველები იყვნენ ამ ტიპის არაადეკვატური შეფასებებისგან. ეს არის კარგი ილუსტრაცია კონტრასტისა ,,იდეალურ“ და ,,ცუდ“ დაზარალებულებს შორის, სადაც ,,იდეალურია“ დაზარალებული, რომელიც მიიჩნევა უდანაშაულოდ, ხოლო ,,ცუდია“ დაზარალებული, რომელიც, სრულად თუარა, ნაწილობრივ მაინც მიიჩნევა დამნაშავედ და ნაკლებად იმსახურებს წვდომას მართლმსაჯულებაზე. ,,ცუდი“ დაზარალებულების სანდოობა ყველაზე მკაცრ ტესტს გადის მას შემდეგ, რაც იგი ,,იდეალური“ დაზარალებულის კონტექსტიდან ამოვარდება. ზოგჯერ ითვლება, რომ გაუპატიურების ჩადენა პროსტიტუციაში ჩართული ქალების მიმართ არ არის შესაძლებელი, ვინაიდან მათი სამსახური სექსუალურად ხელმისაწვდომობას

274 მსხვერპლის დადანაშაულება, კანადური რესურსცენტრი დანაშაულის მსხვერპლთათვის, 2009.

275 გენერალური ასამბლეის 2010 წლის 21 დეკემბრის რეზოლუცია, „დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეაგირების გაძლიერება ქალთა მიმართ ძალადობაზე“, A/RES/65/228, პუნქტი 15; იხ. ასევე: სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის შემუშავების თაობაზე, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2012; იხ. ასევე: სტამბოლის კონვენცია, მუხლი 54; ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 277.

276 იხ. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 54.

გულისხმობს. ანალოგიურად, გავრცელებულია მცდარი მოსაზრება, რომ ნარკოტიკების მომხმარებელი ქალები, როგორ წესი, თანახმა არიან სქესობრივ კავშირზე და, რომ ნარკოტიკების მოხმარება შეიძლება ჩაითვალოს „გარყვნილ'' ქცევად.

მსხვერპლის მიერ მოძალადესა ან სხვა პირებთან წარმოებული პირადი კორესპონდენციის (ელექტრონული ფოსტის, ტექსტური შეტყობინებების) შესწავლა დასაშვებია მხოლოდ იმ მოცულობით, რამდენადაც ეს აუცილებელია ბრალის დასადასტურებლად. მტკიცებულებათა შეგროვების პროცესი არ უნდა იყოს გამოყენებული დაზარალებულის პირადი ცხოვრებისა და წინა სექსუალური კავშირების შესახებ ისეთი ინფორმაციის შესაგროვებლად, რომლებიც საქმის ფაქტების დადგენას არ უკავშირდება. იგი ასევე არ უნდა იყოს გამოყენებული მსხვერპლის სანდოობის გამოსაკვლევად, როგორიცაა, მაგალითად, ფსიქოლოგთან გავლილი კონსულტაციის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და სტერეოტიპზე დაფუძნებული დასკვნების გაკეთება. წარსულში მომხდარი სექსუალური კავშირების შესახებ ინფორმაციის მტკიცებულების სახით წარდგენა აძლიერებს სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან დაკავშირებით გავრცელებულ საზიანო სტერეოტიპებს, თითქოს ისინი „გარყვნილები" და „ამორალურები'' არიან. ამგვარი მიდგომა დამამცირებელია, დაზარალებულის ხელახალი ტრავმირების რისკს შეიცავს[277] და მიზნად ისახავს, მას დაბრალდეს ის, რომ ძალადობის მსხვერპლი გახდა. აღსანიშნავია, რომ გამოძიების მიზანი არ არის მსხვერპლის ე.წ. ზნეობრიობის დადგენა, რადგან ეს არ არის დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი ან გამომრიცხველი მტკიცებულება.

მსგავსად ამისა, ქალწულობის შესახებ ინფორმაცია არ უნდა იყოს გამოყენებული ან დაშვებული მტკიცებულების სახით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს რელევანტური და აუცილებელია სავარაუდო დანაშაულის სოციალური, ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ზემოქმედების საილუსტრაციოდ.[278] ასეთ შემთხვევაში, მტკიცებულებები სასამართლოს მხოლოდ მსხვერპლის თანხმობით და ისეთი სახით უნდა წარედგინოს, რომ ამან მეორადი ვიქტიმიზაცია არ გამოიწვიოს.[279]

277 იხ. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 54; ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 277; იხ. ასევე: ,,დაბრკოლებები მართლმსაჯულებაში: რატომ ვერ იცავს ევრაზიის კანონმდებლობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს", თანასწორობა ახლა, 2019, გვ. 22.

278 იხ. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 54; ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 278; იხ. ასევე: ,,დაბრკოლებები მართლმსაჯულებაში: რატომ ვერ იცავს ევრაზიის კანონმდებლობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს", Equality Now, 2019, გვ. 18-19; საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 62. იხ. ასევე: გენერალური ასამბლეის 2010 წლის 21 დეკემბრის რეზოლუცია, „დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეაგირების გაძლიერება ქალთა მიმართ ძალადობაზე", A/RES/65/228, პუნქტი 15; იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 29-30.

279 იხ. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 54; იხ. ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 278; საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 62; იხ. ასევე გენერალური ასამბლეის 2010 წლის 21 დეკემბრის რეზოლუცია A/RES/65/228, § 15; სექსუალური ძალადობის საქმეებზე მართლმაჯულების განხორციელება, გვ. 29-30;

7. დისკრიმინაციული მოტივის გამოვლენა

7.1. სექსუალური ძალადობა, როგორც ქალების მიმართ დისკრიმინაციის გამოვლინება

სექსუალური ძალადობა არის გენდერზე დაფუძნებული ძალადობის ფორმა და, თავისი არსით, გენდერული დისკრიმინაციის შემცველი დანაშაულია. სექსუალური ძალადობა ქალების წინააღმდეგაა მიმართული მათი სქესის/გენდერის გამო და იგი არაპროპორციულ ზეგავლენას ახდენს ქალებზე - ანუ, მისი მსხვერპლები, უმეტესად, ქალები და გოგონები ხდებიან. სექსუალური ძალადობა ქალთა მიმართ სტრუქტურული უთანასწორობის, დაქვემდებარების და ძალადობის ზოგადი კონტექსტის ნაწილია.[280] აქედან გამომდინარე, სქესის/გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის გამოკვეთა უნდა იყოს სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტი.

არ არის აუცილებელი, რომ დისკრიმინაციული მოტივი დანაშაულის ერთადერთი საფუძველი იყოს. თითქმის არცერთი დანაშაული არ არის ჩადენილი მხოლოდ ერთი მოტივით.[281] თუმცა, ამის მიუხედავად, საკმარისია, რომ დისკრიმინაციული მოტივი იყოს დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი ფაქტორი.[282]

დისკრიმინაციული მოტივი შეიძლება დადგინდეს მტკიცებულებით, რომელიც ასახავს ინციდენტამდე, მისი მიმდინარეობისას ან ინციდენტის შემდეგ არსებულ გარემოებებს.[283] დისკრიმინაციული მოტივი შეიძლება დადასტურდეს მტკიცებულებით, რომელიც ასახავს მოძალადის სტერეოტიპულ მეტყველებას, განცხადებებს ან მსხვერპლთან კომუნიკაციას სოციალურ წრეში ან საჯაროდ. მისი მოძიება შესაძლებელია მოძალადის სოციალურ ქსელებში განხორციელებულ აქტივობებს შორის.

დისკრიმინაცია შეიძლება ცხადად იკვეთებოდეს მტკიცებულებიდან, რომელიც აჩვენებს მოძალადის დამოკიდებულებას მსხვერპლის მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. მოძალადე ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს ქსენოფობიურ, რასისტულ ან ჰომოფობიურ ჯგუფებთან. ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები გაამყარებს დისკრიმინაციული მოტივის ბრალდებას.[284]

გამომძიებლებმა და პროკურორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ დანაშაულის ჩადენის გარემოებებს, რადგან დისკრიმინაციული მოტივი შეიძლება გამოვლინდეს დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის კონკრეტული ხერხის ან მეთოდის შესწავლის საფუძველზე. მაგალითად, დანაშაულს შეიძლება თან ახლდეს

280 იხ. CEDAW-ს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N35, CEDAW/C/GC/35, პარ. 21, იხ. ასევე: კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ, მუხლი 1; იხ. ასევე: სტამბოლის კონვენცია, პრეამბულა, მუხლი 3(ა); იხ. ასევე: ლათინური ამერიკის სამოდელო ოქმი ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების გამოძიების თაობაზე, შესავალი, გვ. 3.

281 სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა - პრაქტიკული სახელმძღვანელო, პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია, ეუთო (OSCE) ODIHR, 2014, გვ. 63.

282 აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ტრენინგის ეროვნული კურიკულუმი, გვ. 16-17.

283 სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა - პრაქტიკული სახელმძღვანელო, პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია, ეუთო (OSCE) ODIHR, 2014, გვ. 60.

284 სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა - პრაქტიკული სახელმძღვანელო, პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია, ეუთო (OSCE) ODIHR, 2014, გვ. 60-61.

დამამცირებელი გამონათქვამები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ეთნიკურ წარმომავლობასთან, სექსუალურ ორიენტაციასა ან პროსტიტუციაში ჩართულობასთან. ინციდენტის დრო და ადგილი შეიძლება ასევე მნიშვნელოვანი იყოს, როგორც დისკრიმინაციული მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულება.

დისკრიმინაციული მოტივი უნდა დადგინდეს გენდერული ნიშნით ძალადობისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით. ის შეიძლება გამოვლინდეს, როდესაც მოძალადე მოქმედებდა:

- დაქვემდებარებულ სუბიექტად ქალის აღქმის გამო, რომელიც უნდა ემორჩილებოდეს დომინანტ და მასზე ძალაუფლების მქონე მამაკაცს;
- ქალზე უფლებებისა ან უპირატესობის შეგრძნებით;
- იმ მოსაზრებით, რომ ქალი მისი საკუთრებაა;
- ქალის ქცევის კონტროლის სურვილით;
- სქესთან ან გენდერთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მიზეზით.

დისკრიმინაციული მოტივის ნათელი მაგალითებია სექსუალური ძალადობის დანაშაულის ჩადენა იძულებითი ქორწინებით ან ქალის მოტაცებით, როდესაც აშკარაა ქალის აღქმა დაქვემდებარებულ სუბიექტად; ანდა ოჯახში ძალადობა, სადაც დანაშაულის წინაპირობაა ძალაუფლების არათანაბარი დინამიკა.

გენდერული დისკრიმინაციის/შეუწყნარებლობის მოტივი, შესაძლოა, ასევე გამოვლინდეს, როდესაც მოძალადე ეკუთვნის ქალთა მიმართ დისკრიმინაციულად განწყობილ დაჯგუფებას; როდესაც იკვეთება, რომ პირს გენდერული ძალადობა წარსულშიც ჩაუდენია; როდესაც პირი თავს ესხმის ქალთა უფლებების დამცველ, ფემინისტ აქტივისტს მისი საქმიანობის გამო; როდესაც პირი სჩადის ძალადობას ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ დღეს - მაგალითად, 8 მარტს ან 25 ნოემბერს. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული მოტივი შეიძლება გამოიკვეთოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ დგინდება, რომ პირს რაიმე სხვა მოტივი ამოძრავებდა.[285]

7.2. სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და ურთიერთგადამკვეთი მოწყვლადობა

ქალები შესაძლებელია, სექსუალური დანაშაულების მსხვერპლები გახდნენ ინტერსექციური (და, შესაბამისად, შერეული) დისკრიმინაციის მოტივით. თუ დამნაშავემ მსხვერპლი მიზანმიმართულად შეარჩია მისი ურთიერთგადამკვეთი მოწყვლადობის ნიშნით, თუ ამის შედეგად დამნაშავისთვის დანაშაულის ჩადენა გაადვილდა, ან, თუ დამნაშავეს სჯეროდა, რომ მსხვერპლის მოწყვლადობის გამო იგი სასჯელისგან თავის არიდებას შეძლებდა - ამგვარი მოტივები უნდა გამოიკვეთოს და შეფასდეს, როგორც დისკრიმინაციული მოტივები. ურთიერთგადამკვეთი სახის მოწყვლადობის მაგალითებია ბავშვთა ადრეული ქორწინება, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, განათლებაზე უარის თქმა, საზოგადოებისგან გარიყვა ან იმ მოწყვლადი ჯგუფებისადმი კუთვნილება, რომლებიც პირველი თავის მე-6 ქვეთავშია აღწერილი.

დისკრიმინაციის ურთიერთგადამკვეთი ფორმები ავლენს ინდივიდუალური,

285 სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა - პრაქტიკული სახელმძღვანელო, პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია, ეუთო (OSCE) ODIHR, 2014.

კონტექსტზე დაფუძნებული მიდგომის აუცილებლობას სისხლის სამართლის პროცესის ყველა ასპექტში. ამ ფორმების შესახებ მტკიცებულებები მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველყოფილი იყოს: მსხვერპლის (და მისი ოჯახის) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და უსაფრთხოება; სისხლის სამართლის პროცესში მისი მონაწილეობა; მისი მხარდაჭერის საჭიროებების დადგენა. ასეთი მტკიცებულებები მნიშვნელოვანია მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების გამოსაკვეთად და სასჯელის დამამძიმებელი შესაძლო გარემოებების დასადგენად.

სტამბოლის კონვენციის 46(გ) მუხლის შესაბამისად, დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა, თუ „დანაშაული ჩადენილი იყო პირის მიმართ, რომელიც გარკვეული გარემოებების გამო მოწყვლადია". გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს, რომ დანაშაულის ჩადენა დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. დისკრიმინაციის საფუძვლებს მიეკუთვნება: რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, გენდერი, გენდერული იდენტობა, ასაკი, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებები, შეზღუდული შესაძლებლობები, მოქალაქეობა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილება, წარმოშობა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშანი (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 53[1](1)). ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

დისკრიმინაციის დასადგენად <u>არ არის აუცილებელი,</u> დადასტურდეს, რომ მსხვერპლი კონკრეტული ჯგუფის წევრია. ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს დისკრიმინაციის მსხვერპლი, იმის მიუხედავად, მიეკუთვნება თუ არა რეალურად რომელიმე ჯგუფს.[286] დისკრიმინაციული მოტივის დადგენისთვის გადამწყვეტია დამნაშავის აღქმა, რომ მსხვერპლს აქვს გარკვეული ნიშან-თვისებები.[287]

მსხვერპლი შეიძლება მონაწილეობდეს კონკრეტული ჯგუფის მხარდაჭერაში, რომლის მიმართაც მოძალადე მტრულად არის განწყობილი.[288] ან შეიძლება ეწეოდეს ამ ჯგუფის ადამიანების უფლებათა ადვოკატირებას, იმყოფებოდეს მათ წარმომადგენლებთან ერთად, ჰყავდეს ინტიმური პარტნიორი, რომელიც ამ კონკრეტული ჯგუფის წევრია ან იყოს მასზე დაქორწინებული.[289]

მაშინაც კი, თუ მოძალადე ცდებოდა აღქმაში მსხვერპლის რომელიმე ჯგუფისადმი კუთვნილების თაობაზე, დანაშაული მაინც ჩადენილია დისკრიმინაციული მოტივით, თუკი მას ეს მოტივი ამოძრავებდა.[290]

თუ მოძალადემ მსხვერპლი აარჩია მისი ინტერსექციური მოწყვლადობის ნიშნით, ან ასეთმა მოწყვლადობამ მოძალადეს გაუადვილა დანაშაულის ჩადენა, ან, თუ მოძალადეს

286 სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა - პრაქტიკული სახელმძღვანელო, პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია, ეუთო (OSCE) ODIHR, 2014, გვ. 48.

287 აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ტრენინგის ეროვნული კურიკულუმი, გვ. 18.

288 აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ტრენინგის ეროვნული კურიკულუმი, გვ. 16-17.

289 აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ტრენინგის ეროვნული კურიკულუმი, გვ. 16-17.

290 აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ტრენინგის ეროვნული კურიკულუმი, გვ. 17.

სჯეროდა, რომ მოწყვლადობის გამო იგი თავიდან აიცილებდა პასუხისმგებლობას ჩადენილ დანაშაულზე - ეს გარემოებები გამოკვლეული უნდა იყოს, როგორც დისკრიმინაციული მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

გამომძიებლებმა და პროკურორებმა პროაქტიულად უნდა მოიძიონ და წარუდგინონ სასამართლოს ზემოხსენებული მოტივების, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1](1) მუხლით დადგენილი[291] დამამძიმებელი გარემოებების, დამადასტურებელი მტკიცებულებები, რათა მოსამართლეებმა გაითვალისწინონ ისინი განაჩენის გამოტანისას. ეს მოთხოვნა შესაბამისობაშია საერთაშორისო და ადამიანის უფლებების საუკეთესო პრაქტიკასა და პრინციპებთან და მიზნად ისახავს ეფექტიანი, დროული, მსხვერპლზე ორიენტირებული და ყოვლისმომცველი გამოძიების უზრუნველყოფას. თუ ამ მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულება[292] შესაბამის სტანდარტს აკმაყოფილებს, მოსამართლეები შეძლებენ, დაეყრდნონ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1](1) მუხლს სასჯელის შეფარდებისას.

7.3. ძალადობრივი ქმედებების წინაისტორია და განმეორებით ჩადენილი დანაშაული

ოჯახში ძალადობას ხშირად განმეორებითობა ახასიათებს. ეს შეიძლება ეხებოდეს სექსუალური ძალადობასაც. ასეთ შემთხვევებში პოლიციაში შეტანილი საჩივრები ხშირად არ ასახავს პირველად ჩადენილ დანაშაულს.

სექსუალური ძალადობის ყველა შემთხვევაში გამომძიებლებმა და პროკურორებმა პროაქტიულად უნდა შეისწავლონ სავარაუდო მოძალადის ქმედებების წინაისტორია. ეს უნდა მოიცავდეს სისხლის სამართლის დანაშაულში ნასამართლობის ჩანაწერების შემოწმებას, მათ შორის, იმის გამორკვევას, იყო თუ არა სავარაუდო დამნაშავე ნასამართლევი სექსუალური ძალადობისა ან სხვა ძალადობრივი დანაშაულისთვის; ჰქონდა თუ არა მას მანამდე ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები. უნდა დადგინდეს, ფიქსირდება თუ არა შეტყობინებები ან გამოძახება დანაშაულის თაობაზე სავარაუდო დამნაშავის შესახებ (პოლიციასა ან სოციალური და იურიდიული დახმარების სამსახურებში), მათ შორის, შემთხვევები, რომლებსაც რეაგირება არ მოჰყოლია და უნდა დადგინდეს მიზეზები, თუ რატომ არ მიეცა საქმეს შემდგომი მსვლელობა. მოწმეებმა/დაზარალებულებმა, შესაძლოა, გაამხილონ ინფორმაცია წინა ძალადობრივი ქმედებების თაობაზე, რომელთა შესახებაც პოლიციისთვის არ შეუტყობინებიათ.

გამომძიებლებმა მსხვერპლის დაცვისა და რისკის შეფასების მუდმივი ვალდებულების ფარგლებში უნდა შეისწავლონ შემაკავებელი ორდერების დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა,[293] როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბაზაში, ასევე მსხვერპლებსა და მოწმეებთან გასაუბრების გზით.

291 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 531(1) აღწერს დისკრიმინაციის ნიშნებს: რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, გენდერი, გენდერული იდენტობა, ასაკი, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებები, შეზღუდული შესაძლებლობები, მოქალაქეობა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილება, წარმოშობა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშანი.

292 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ აუცილებელია, შესაბამისმა შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა გამოიძიონ კონკრეტული კონტექსტი და ყველა გონივრული ნაბიჯი გადადგან შესაძლო დისკრიმინაციული მოტივების გამოსავლენად, პარ. 77.

293 იხ. გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე: მსხვერპლთა და მოწმეთა მხარდაჭერა და უსაფრთხოება.

8. გამოკითხვა

დაზარალებულის გამოკითხვა არის სექსუალური ძალადობის საქმეებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმისწარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. ქვემოთ მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა ჩატარდეს გამოკითხვა პროფესიული ეთიკისა და ადამიანის უფლებების მიდგომების გათვალისწინებით.

განმეორებითი გამოკითხვის თავიდან აცილება

სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში განმეორებითმა გამოკითხვამ შეიძლება გამოიწვიოს გაუპატიურების და სხვა სახის სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ხელახალი ტრავმირება, განცდილის ხელმეორედ გადმოცემის შედეგად. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება რამდენიმეჯერ გამოიკითხოს:

- მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან გასაუბრება (თუ ის ჩართულია საქმეში) ფსიქოლოგიური შეფასების მოსამზადებლად და მოწმის/დაზარალებულის ძირითადი საჭიროებების დასადგენად;
- გამომძიებლის მიერ გამოკითხვა;
- სამედიცინო, ფსიქოლოგიურ ან ფსიქიატრიულ სამედიცინო პროფესიონალთან გასაუბრება საქმესთან დაკავშირებული გამოკვლევების დროს;
- მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ჩვენების მიცემა, თუ დაზარალებულს არ შეუძლია, დაესწროს სასამართლო პროცესს;[294]
- დაზარალებულის მიერ გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, იგი შეიძლება გამოძახებული იყოს ჩვენების მისაცემად მაგისტრატი მოსამართლის წინაშე;
- სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემა;
- სააპელაციო სასამართლოში ჩვენების მიცემა, თუ დამნაშავე ძებნილი იყო და დაკავების შემდეგ გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებისგან მოითხოვს სისხლის სამართლის გამოძიების დროს დაზარალებულთა გამოკითხვების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირებას და მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩატარებას, როდესაც ეს აუცილებელია გამოძიების მიზნებისთვის.[295] გარდა ყოველივე ზემოხსენებულისა, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ნდობის დამყარებას დრო სჭირდება. შესაძლოა, მსხვერპლი თავიდან არ გრძნობდეს თავს კომფორტულად იმისთვის, რომ ყველაფერი გაამჟღავნოს. შეიძლება ერთზე მეტი გამოკითხვა გახდეს საჭირო, ვიდრე იგი ინციდენტზე საუბარს დაიწყებს.[296]

გამოკითხვების რაოდენობის შემცირებაზე მიმართული და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს გამომძიებლისა და მოწმისადა დაზარალებულის კოორდინატორის შეთანხმებულ მუშაობას, რათა მსხვერპლის ერთობლივი და ყოვლისმომცველი გამოკითხვა ჩაატარონ მაქსიმალურად მხარდაჭერაზე მიმართულ გარემოში. კარგად დაგეგმილი, სრულყოფილი, დაზარალებულზე ორიენტირებული გამოკითხვის ჩატარება ნიშნავს, რომ მსხვერპლთან კონტაქტის საჭიროება მხოლოდ

294 იხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 114.

295 იხ. ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 20 (b); იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 36; იხ. ასევე: კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 14, 16.

296 ადამიანით ვაჭრობის სამუშაო ჯგუფის ელექტრონული გზამკვლევი, მსხვერპლის გამოკითხვა ტრავმის გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში იარსებებს, თუ გამომძიებელი დამატებით განმარტებებს მოითხოვს პირველი გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის გარკვეული საკითხების შესახებ.

გარდა ამისა, გამომძიებლებმა, პროკურორებმა და მოსამართლეებმა შეიძლება პრაქტიკული მითითებები მიიღონ მხედველობაში, რაც გააადვილებს კარგად მომზადებული და ყოვლისმომცველი გამოკითხვის ჩატარებას. შეიძლება მომზადდეს ერთი ჩვენება წერილობით, აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის ფორმატში, რომელიც სასამართლოს წარედგინება და დაზარალებული დაადასტურებს მის სიზუსტესა და სანდოობას.[297] ეს პოტენციურად შეამცირებს გამოკითხვის ხანგრძლივობას, რაც შემოიფარგლება მხოლოდ ჩაწერილი მტკიცებულებების დაზუსტების მიზნით დასმული კითხვებით და, იმავდროულად, ბრალდებულის ადვოკატს საშუალებას მისცემს, მთელ ჩვენებასთან დაკავშირებით ჩაატაროს ჯვარედინი დაკითხვა. მოწმის მიერ წინასწარ ჩაწერილი ჩვენების სისწორის დამოწმება შეესაბამება სასამართლო პროცესზე ზეპირი განხილვის პრინციპს და ამგვარად შესაძლებელია სხდომაზე ჩვენების მიცემასთან დაკავშირებული სტრესის თავიდან აცილება. სასამართლო განხილვის დროს დაზარალებულთა გამოკითხვის საკითხები უფრო დეტალურად განხილულია მე-4 თავის მე-2 ქვეთავში.

გამოკითხვის მეთოდოლოგია: PEACE

სწორად მომზადებული და ჩატარებული გამოკითხვა ხელს უწყობს მსხვერპლის გაძლიერებას, ეფექტიან გამოძიებას, მოძალადის სათანადოდ დასჯას და, საბოლოო ჯამში, უკეთ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას.[298] პოლიციამ, პროკურორებმა, გამომძიებლებმა და მაგისტრატმა მოსამართლეებმა შეიძლება ღირებული მტკიცებულებები მიიღონ მსხვერპლის ტრავმირების რისკის მინიმუმამდე დაყვანით, დადგენილი მეთოდოლოგიის გამოყენებით, კონტექსტის გათვალისწინებით საფუძვლიანი გამოკითხვის ჩატარებით.

გამოკითხვის კარგი მეთოდოლოგია	არათანმიმდევრული მეთოდოლოგია
პროფესიონალიზმის გამოვლენა	გამოკითხვაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ ნდობის დაკარგვის რისკი
გამოკითხვაზე პასუხისმგებელი პირის სანდოობის ამაღლება	გამოძიების პროცესისადმი ნდობის დაკარგვის რისკი
ხელახალი ტრავმირების თავიდან აცილება	კრიტიკულად მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დაკარგვის რისკი
საშუალებას აძლევს გამოკითხვაზე პასუხისმგებელ პირს, მიიღოს სრული ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც მოხდა და უზრუნველყოფს ღირებული ინფორმაციის მოპოვებას	გამოკითხვაზე პასუხისმგებელმა პირმა შეიძლება სათანადოდ ვერ გაითვალისწინოს გამოსაკითხი პირის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები
ხელს უწყობს გამოსაკითხი პირის დამშვიდებას	პროკურორი ან მოსამართლე შეიძლება არაზუსტი ან არასრული ინფორმაციის შემცველ ანგარიშზე დაყრდნობით მოქმედებდნენ
ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას	საფრთხეს უქმნის ნდობის შენარჩუნებას

297 იხ. ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, პრეამბულა, პარ. 53.
298 საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 161.

PEACE მეთოდოლოგია[299] არის პოლიციის საგამოძიებო ინტერვიუების (გამოკითხვის) საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე შექმნილი პროტოკოლი, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში ინგლისში შემუშავდა. ახლა ის საერთაშორისო მასშტაბითაა აღიარებული, როგორც ეფექტიანი გამოკითხვის მოდელი. მისი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის გამოსაკითხ პირთან მიმართებით სხვადასხვა სიტუაციაში, სექსუალური ძალადობის მსხვერპლების ჩათვლით.

მოცემული მოდელის ხუთი ეტაპის აბრევიატურა ინგლისურ ენაზე ქმნის სიტყვას PEACE:

დაგეგმვა და მომზადება; ჩართვა და განმარტება; ანგარიშგება; დასრულება; შეფასება (**P**lanning and preparation; **E**ngage and explain; **A**ccount; **C**losure, and **E**valuation).[300]

დაგეგმვა და მომზადება

გამოკითხვა რომ წარმატებული იყოს, საჭიროა მისი სათანადოდ დაგეგმვა და სტრუქტურირება PEACE მეთოდოლოგიის გამოყენებით. დაგეგმვის პირველი ნაბიჯია გამომძიებლებისა და პროკურორების მიერ გამოკითხვის მიზნის განსაზღვრა.

გამოკითხვის ეფექტიანად დაგეგმვისას გარკვეული დრო უნდა დაეთმოს მოწმის/დაზარალებულის შესახებ ინფორმაციის გაცნობას. სწორედ ამით იწყება კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიება, ვინაიდან ეს ინფორმაცია, სხვა ფაქტებთან ერთად, მოიცავს დეტალებს მსხვერპლის პირადი ცხოვრების, ოჯახური მდგომარეობისა და სიტუაციის თაობაზე.

ასევე, საჭიროა მსხვერპლის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება.[301] მაგალითად, ფსიქიკური ან ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გამოკითხვის დაწყებამდე შეიძლება საჭირო გახდეს გასაუბრება მასთან, მის მასწავლებელთან და/ან ფსიქოლოგთან, რაც გამომძიებელს გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება. ძალზე მნიშვნელოვანია კომუნიკაციის შესაბამისი ტექნიკის იდენტიფიცირება და კითხვების იმგვარად შედგენა, რომ დაზარალებულმა მათი გაგება შეძლოს. საჭიროა, გამომძიებელი დარწმუნდეს, რომ მხარდამჭერი პირი არ არის დანაშაულის შესაძლო მონაწილე და ის მსხვერპლზე მავნე ზეგავლენას არ მოახდენს. გამომძიებელმა ასევე უნდა დაადგინოს ნებისმიერი პირადი გარემოება, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს პირს ინფორმაციის გაზიარებასა და დეტალური ჩვენების მიცემაში.

ჩვენებებს შორის შეუსაბამობა და არასრული ჩვენებები შეიძლება გამოსაკითხ პირსა და გამოკითხვის ჩამტარებელს შორის არაეფექტიანმა კომუნიკაციამ გამოიწვიოს. ადამიანის მიერ მოვლენების გახსენება, შეგრძნებების, დაკვირვებების გადმოცემა, ქცევა და ჩვენებაში გამოყენებული სიტყვები კულტურული თავისებურებებითაა განპირობებული. ზოგჯერ გარკვეული ქმედების შესატყვისი სიტყვები შეიძლება არც კი არსებობდეს.

გამომძიებლებმა და პროკურორებმა უნდა გადაწყვიტონ, რამდენად დაეხმარება

299 საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 163.
300 საგამოძიებო გამოკითხვა, გამოსაკითხი პირი, მერი შოლუმი, ახალი ზელანდიის პოლიცია, 2005.
301 საგამოძიებო გამოკითხვა, College of Policing.

პირის გამოკითხვა გამოძიების პროგრესს. ეს გულისხმობს დაზარალებულის წინარე ჩვენებების (ასეთის არსებობისას), სხვა მოწმეთა ჩვენებების, სხვა დოკუმენტირებული განცხადებებისა და მტკიცებულებების განხილვას და კრიტიკულად გაანალიზებას. ეს ხელს შეუწყობს კითხვების სწორად ფორმულირებას გამოსაკითხი პირის ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

თუ გამოკითხვა პირველად არ ტარდება, დაზარალებულს უნდა მიეცეს წინა ჩვენებების გაცნობის შესაძლებლობა, რათა გაიხსენოს, თუ რა განაცხადა. მას შეიძლება სურდეს ჩვენების შეცვლა ან დაზუსტება, ან მანამდე მიცემული ჩვენების კიდევ ერთხელ დადასტურება. ეს იძლევა ხელახალი ტრავმირების რისკის შემცირებისა და მხოლოდ დამატებითი, დამაზუსტებელი კითხვების დასმის შესაძლებლობას, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის შესახებ სრულფასოვანი და თანმიმდევრული ინფორმაციის მოპოვებას.

თუ იკვეთება, რომ დაზარალებული ინციდენტის შესახებ ვინმეს ესაუბრა, ეს საქმეზე სხვა პოტენციური მოწმეების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა.

გამომძიებლებმა და პროკურორებმა გამოკითხვისთვის მომზადებისას უნდა გაითვალისწინონ შემდეგი საკითხები:

გაეცნონ დანაშაულის შესახებ განცხადებას/შეტყობინებას;

- განსაზღვრონ სავარაუდო დანაშაულის ხასიათი;
- განსაზღვრონ დანაშაულის სავარაუდო კვალიფიკაცია;
- შეამოწმონ სავარაუდო ქმედების შემადგენლობის ელემენტები და განსაზღვრონ,რაარისსაჭიროამელემენტებისარსებობისდასადასტურებლად/ გამოსაკვეთად.[302]

გამომძიებლებმა და პროკურორებმა შეიძლება გამოავლინონ, რომ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი. შესაბამისად, მათ უნდა შეაფასონ, რისი შევსება შეიძლება მოწმის ჩვენებით; ასევე - ჩატარდა თუ არა კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიება? რამდენად არის შესწავლილი მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებები? რამდენადაა გამოძიებული დამამძიმებელი გარემოებები? შესწავლილი იყო თუ არა ძალადობის სისტემატურობა?

გამოკითხვის ჩატარების ადგილი და გარემო

დაზარალებულებს და მოწმეებს შეიძლება ძლიერ რცხვენოდეთ, საჯაროდ გადმოსცენ ფაქტები პირადი გამოცდილების შესახებ. მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა მოითხოვს, შესაძლებლობის შემთხვევაში, გამოკითხვა ისეთ გარემოში ჩატარდეს, სადაც პირადი სივრცე იქნება დაცული.[303] ეს შეიძლება გულისხმობდეს დაზარალებულის გამოკითხვას არა პოლიციის დაწესებულებაში, არამედ სხვა [304]

კომფორტულ და უსაფრთხო გარემოში გამოკითხვის ჩატარებამ შეიძლება მნიშვნელოვანი დადებითი ზეგავლენა იქონიოს ზოგადად პროცესზე.

302 საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 125.
303 ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, პრეამბულა, მუხლი 23.2(a).
304 იხ. საგამოძიებო გამოკითხვა, პოლიციის დაწესებულების სივრცის გარეთ გამოკითხვა, College of Policing.

გასათვალისწინებელია, როგორ აღიქვამს მოწმე გამოკითხვის ადგილსა და გარემოს და გრძნობს თუ არა იქ თავს დაცულად (არა მხოლოდ გამოკითხვის დროს, არამედ ასევე შენობაში მისვლისას და მისი დატოვებისას)?[305] მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლის გამოკითხვა ყოველთვის მოძალადისგან განცალკევებულად ტარდება, გამოკითხვის ადგილას ხომ არ იმყოფებიან სხვა ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მისი ამოცნობა? ხომ არ ხედავენ მას სხვა პირები ან ისმენენ მის საუბარს? გასათვალისწინებელია ასევე დაზარალებულისთვის გამოკითხვის ადგილზე მისასვლელად საჭირო დრო, მისაწვდომობა, მანძილი, ადგილმდებარეობა და ტრანსპორტთან დაკავშირებული ხარჯები.[306]

გამოკითხვის პროცესში მშობლის/მეურვის/მხარდამჭერის დასწრება

დაზარალებულებს გამოკითხვისას, შესაძლოა, სურდეთ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის დასწრება. გარდა ამისა, მათ შეიძლება ახლდეთ კანონიერი წარმომადგენელი ან[307] მათ მიერ არჩეული სხვა პირი,[308] რომელიც მსხვერპლს მხარდაჭერას აღმოუჩენს (კანონიერი წარმომადგენელი, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი და სხვ.).

გამომძიებლებმა პროაქტიულად უნდა განუმარტონ დაზარალებულს მისი უფლება გამოკითხვაზე მხარდამჭერი პირის დასწრების შესახებ.[309] გამომძიებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მხარდამჭერი იყოს ადამიანი, რომელსაც მსხვერპლი ენდობა.[310] მიუხედავად იმისა, რომ სასურველია, დამხმარე პირი არ იყოს მსხვერპლის ოჯახის წევრი, მოწმე ან პოტენციური მოწმე, მეურვის, მზრუნველის ან მხარდამჭერის დასწრება შეიძლება საჭირო გახდეს დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანდაზმული ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობის გამო. დამხმარე პირი არ უნდა მონაწილეობდეს გამოკითხვაში და უნდა ესწრებოდეს მხოლოდ ქვემოთ აღწერილ „ჩართვისა და განმარტების'' ეტაპზე.

ინფორმაციის კონფიდენციალურობა და უსაფრთხოების საკითხები

დაზარალებულის (ან მოწმის) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დაცული უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ინფორმაციის საპროცესო წესით გაფორმებამდე მნიშვნელოვანია დაზარალებულისთვის კონფიდენციალურობის პირობებისა და ფარგლების განმარტება.[311] მოწმეებს შეიძლება არ სურდეთ, მოყვნენ, რა შეემთხვათ, შიშის, სირცხვილისა ან სტიგმის გამო (სხვა მიზეზებთან ერთად).

მსხვერპლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაში შეუსაბამობები შეიძლება იმ

305 იხ. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 50; ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 258; საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 165; იხ. კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 14, 16; იხ. ასევე: აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ტრენინგის ეროვნული კურიკულუმი, გვ. 54.

306 საერთაშორისო პროტოკოლი, p. 165.

307 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის შესახებ იხილეთ: საქართველოს პროკურატურა, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური.

308 ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, პრეამბულა, მუხლი 20 (c).

309 აღნიშნულში არ იგულისხმება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მხარდამჭერი, რომელიც შშმ პირებს ენიშნებათ გარკვეულ შემთხვევებში.

310 ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენცია და აღმოფხვრა, სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების პროფესიონალთათვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი, ევროპის საბჭო, 2016, გვ. 43.

311 საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 96.

შემთხვევაშიც არსებობდეს, როდესაც იგი შიშობს, რომ მოძალადე შურს იძიებს, თუ ცნობილი გახდება მოწმეების ვინაობა ან მათი სექსუალური იდენტობა, ან ის ფაქტი, რომ მათ განაცხადეს სექსუალური ძალადობის შესახებ. შესაძლებელია, მსხვერპლმა/მოწმემ მხოლოდ ინფორმაციის ნაწილი გაამჟღავნოს, შეეცადოს არასწორი მიმართულებით წაიყვანოს გამოძიება, ან დაფაროს ინფორმაცია სხვა მსხვერპლების, მოწმეების ან მოძალადეების შესახებ.

გამოკითხვის ჩამტარებელმა პირმა უნდა განუმარტოს მოწმეებს მათთვის ხელმისაწვდომი უსაფრთხოების/დაცვის ზომების თაობაზე. დაზარალებულისთვის კონფიდენციალურობის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა მოიცავდეს შემდეგ დეტალებს:

- როგორ იქნება დაცული მსხვერპლის განცხადებების ანონიმურობა;
- უსაფრთხო ადგილას შეხვედრის შესაძლებლობები, რათა შეხვედრამ არ მიიპყროს არასასურველი ყურადღება (მაგალითად, შეხვედრა მათი სახლის, უბნის ან პოლიციის შენობის გარეთ);
- ნაწილობრივ ან სრულად დახურული სასამართლო სხდომების ჩატარება;
- რა რეაგირება მოჰყვება, თუ დაზარალებული გამოკითხვის მწარმოებელს მიაწოდებს ინფორმაციას მის მიმართ არსებული ძალადობის ან შურისძიების საფრთხის შესახებ.

ჩართვა და განმარტება

გამოკითხვის ჩატარებაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა შექმნას გარემო, რომელიც გამოსაკითხ პირს სასაუბროდ განაწყობს. ეს ასევე გულისხმობს გამოკითხვაში მონაწილე პირთა ადგილმდებარეობის სათანადოდ განსაზღვრას ოთახში. გამოსაკითხ სივრცეში ადამიანების განლაგებამ შეიძლება მსხვერპლი დათრგუნოს, უთანასწორო ურთიერთობაზე მიანიშნოს, ან გაახსენოს ძალაუფლების არათანაბარი განაწილება, რომელსაც სექსუალური ძალადობის დროს ჰქონდა ადგილი. ოთახის სივრცითი განაწილება უნდა იყოს გახსნილი, ხაზს უსვამდეს თანასწორუფლებიანობას, არ იყოს დამთრგუნველი და გამოსაკითხი პირის გაძლიერებასა და მისდამი პატივისცემის გამოხატვაზე იყოს ორიენტირებული.

გამოკითხვის ჩამტარებელმა თითოეულმა პირმა უნდა წარადგინოს საკუთარი თავი და განმარტოს, თუ ვინ არის, რატომ ესწრება ამ შეხვედრას, რას ემსახურება გამოკითხვა, რა საკითხების განხილვა იგეგმება და რატომ არის გამოსაკითხი პირის მოსმენა მნიშვნელოვანი. თუ გამოსაკითხი პირი უკვე მზად არის ინტერვიუსთვის, ამ ეტაპზე შეიძლება კითხვების შინაარსის განმარტება.[312]

გამოკითხვის მწარმოებელმა გამოსაკითხ პირს უნდა ურჩიოს, ილაპარაკოს სიმართლე და, იმავდროულად, დარწმუნდეს, რომ მას ესმის, რას ნიშნავს სიმართლის თქმა. ამ უკანასკნელს უნდა განემარტოს, რომ თუ კითხვის არსს ვერ გაიგებს, უნდა განაცხადოს ამის შესახებ. ასევე, მან უნდა იცოდეს, რომ შეუძლია დამაზუსტებელი კითხვების დასმა და არასწორი ინფორმაციის შესწორება. გამოსაკითხი პირი უნდა გრძნობდეს, რომ გამოკითხვაზე კონტროლი მას აქვს და აცნობიერებდეს, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია გამოკითხვის დასრულება.

312 აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ტრენინგის ეროვნული კურიკულუმი, გვ. 50.

გამოკითხვის ჩამტარებელი პირები უნდა იყვნენ კარგი მსმენელები. ეს უნდა ჩანდეს მათი სხეულის პოზასა და ჟესტებში, რათა მსხვერპლმა იგრძნოს, რომ მას ყურადღებით ექცევიან და ესმით მისი ნათქვამი. ეს მიდგომა მსხვერპლს გაუმარტივებს ინფორმაციის გაზიარების პროცესს. გამოკითხვის ჩამტარებელი პირები უნდა აკონტროლებდნენ სახის გამომეტყველებას და თავი უნდა შეიკავონ განსჯასა და უნდობლობაზე მიმანიშნებელი გამონათქვამებისგან.

მონათხრობი

გამოკითხვის ჩამტარებელმა პირებმა ყურადღებით უნდა მოისმინონ მონათხრობი.

ყურადღებიანი მსმენელის მახასიათებლები
ხელს უწყობს ნდობის მოპოვებას.
ამჩნევს ცვლილებებს ქცევაში (როგორიცაა შიში, დისკომფორტი, უხერხულობა ან უხალისობა), რაც მიანიშნებს პროცესში კორექტირების შეტანის აუცილებლობაზე. მაგალითად, საჭიროა შეჩერება, თემის შეცვლა ან შესვენება.
კარგად შეუძლია დეტალების იდენტიფიცირება და დამახსოვრება.
გამოხატავს ინტერესს და აუმჯობესებს კომუნიკაციის ეფექტიანობას მიღებული ინფორმაციის პერიფრაზირების/გამეორების/შეჯამების გზით.

სექსუალური ძალადობის შესახებ კითხვები ძალიან პირადულია და მსხვერპლისთვის შეიძლება რთული იყოს ამ საკითხზე საუბარი. შესაძლოა, მსხვერპლებს ჰქონდეთ უხერხულობისა ან სირცხვილის შეგრძნება, ან საკუთარი თავი დაადანაშაულონ მომხდარში (განსაკუთრებით მათ, ვინც ძალადობაზე გაშეშების რეაქცია გამოავლინა). გამომძიებლებმა და პროკურორებმა უნდა იცოდნენ, რომ დაცვის მხარემ შეიძლება ეს მითი (გაშეშების რეაქცია) გამოიყენოს სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. ამიტომ, გამოკითხვისას საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე და კონტექსტის სათანადოდ შესწავლა.[313]

გამოკითხვის ჩამტარებელი პირი უნდა დარწმუნდეს რომ იყენებს კომუნიკაციის გასაგებ ენას. გამოყენებული უნდა იქნეს მოკლე, მარტივი და ღია შეკითხვები ინფორმაციის მისაღებად, როგორიცაა - „ვინ/რა/სად/როდის/საიდან იცით“, ან - ე.წ. „TED“ შეკითხვები, რაც ნიშნავს დაზარალებულის წახალისებას, თქვას, განმარტოს ან აღწეროს (Tell, Explain, Describe).

თუ დაზარალებულს ეშინია, თავს იკავებს ინფორმაციის მიწოდებისგან, ან ტრავმირებულია, კითხვების ჩამონათვალის ნაცვლად, საწყისი ინფორმაციის მისაღებად გამოიყენეთ საუბარზე ორიენტირებული მიდგომა.[314]

ამის მაგალითია: „რის თქმა შეგიძლიათ განცდილის შესახებ?“ „საიდან გსურთ, რომ დაიწყოთ?“ ეს ხელს შეუწყობს დაზარალებულის მიერ ინციდენტის საკუთარი სიტყვებით აღწერას.[315] უნდა დასვათ შეკითხვები, რომლებიც სენსორული დეტალების შესახებ ინფორმაციის გახსენებას გამოიწვევს (მაგალითად, „გთხოვთ, გაიხსენოთ,

313 ტრავმის ზეგავლენა სექსუალური ძალადობის სრულწლოვან მსხვერპლებზე, კანადის იუსტიციის დეპარტამენტი.
314 მსხვერპლის გამოკითხვა ტრავმის გათვალისწინებით, ადამიანით ვაჭრობის სამუშაო ჯგუფის ელექტრონული გზამკვლევი.
315 ტრავმის ზეგავლენა სექსუალური ძალადობის სრულწლოვან მსხვერპლებზე, კანადის იუსტიციის დეპარტამენტი.

რა გაიგონეთ?), რაც დაეხმარება გამოკითხვის ჩამტარებელ პირებს ამ ინფორმაციის დაზარალებულის მიერ მანამდე მიცემულ ჩვენებასთან შეჯერებაში.[316]

უნდა აღინიშნოს, რომ კითხვა „რისი თქმა შეგიძლიათ განცდილის შესახებ'' მაგისტრატ მოსამართლესთან გამოკითხვისას არ გამოდგება, ვინაიდან, შესაძლოა, მსხვერპლმა უპასუხოს - არაფრის. ასევე არასასურველია ასე დაწყება, როდესაც გამოკითხვის პროცესი იწერება ვიდეო ან აუდიო წესით. ამგვარი პასუხი შემდგომში მოწმის დამაჯერებლობასა ან ჩატარებული გამოკითხვის მტკიცებულებით ძალაზე, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს. ამიტომ, მაგისტრატ მოსამართლესთან გამოკითხვამდე, მნიშვნელოვანია მსხვერპლთან მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება. არ უნდა დასვათ მიმანიშნებელი კითხვები, რადგან ისინი პასუხს შეიცავს ან გულისხმობს.

არ უნდა დასვათ არჩევანის შემცველი შეკითხვები, რადგან დაზარალებული შეიძლება ეცადოს, პასუხი გამოიცნოს.[317] ასევე, არ უნდა დასვათ შეკითხვები, რომლებიც „კი" ან „არა" პასუხს მოითხოვს. ისინი ზღუდავს გამოსაკითხი პირის პასუხების არჩევანს და შეიძლება მიმანიშნებელ კითხვებად ჩაითვალოს. ღია შეკითხვები დაზარალებულისგან მეტი ინფორმაციის მიღების საშუალებას მოგცემთ.

არ უნდა გამოიყენოთ ზუსტი სიტყვები გაუპატიურების და სხვა სახის სექსუალური ძალადობის სამართლებრივი განმარტებიდან, რადგან ადამიანს შეიძლება განსხვავებულად ესმოდეს, რა არის „ძალადობა" ან „იძულება". ანალოგიურად, თავი უნდა შეიკავოთ ისეთი ფრაზების გამოყენებისგან, როგორიცაა „ურთიერთშეთანხმებით/თანხმობით", რადგან ადამიანს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ მან უარი „საკმარისად" ცხადად არ გამოხატა და ეს აქტი მისი თანხმობით მოხდა.[318]

გამომძიებლებმა უნდა დააფიქსირონ და გამოიყენონ ზუსტად ის ტერმინოლოგია, რომელსაც მსხვერპლი იყენებს. მათ არ უნდა გაფილტრონ მსხვერპლის ნათქვამი და არ უნდა შეცვალონ იგი სამართლებრივი ტერმინოლოგიით.

თავი უნდა შეიკავოთ დაზარალებულის საუბრის შეწყვეტისგან.[319]

თუ დაზარალებული/მოწმე ამბობს რაიმეს, რაც არ შეესაბამება მის წინა ჩვენებას, განსხვავდება დადგენილი ფაქტისგან ან განმარტებას საჭიროებს, გამოკითხვის ჩამტარებელი პირი არ უნდა დაუპირისპირდეს მას. ამის ნაცვლად, უნდა დასვას კონკრეტული დამაზუსტებელი შეკითხვები, როგორიცაა: „რა სიტყვები გამოიყენა მან?" ან „სად მოხდა ეს?".[320]

დაზარალებულებსა და სხვა მოწმეებს შეიძლება ბუნდოვნად ახსოვდეთ ან აერიოთ ისეთი ფაქტები, როგორიცაა თარიღები, დრო, ადგილმდებარეობა, ან ამ დეტალების დამახსოვრების პრობლემა ჰქონდეთ. მათ მეხსიერებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს

316 ტრავმის ზეგავლენა სექსუალური ძალადობის სრულწლოვან მსხვერპლებზე, კანადის იუსტიციის დეპარტამენტი.
317 საგამოძიებო გამოკითხვა; დაკვირვება, დაზუსტება, შემოწმება.
318 რეალურ დროში სექსუალური დანაშაულის დინამიკაზე დაფუძნებული ტექნიკები, მსხვერპლის გამოკითხვა, სერჟანტი ჯოან არქამბაულტი, დოქტორი კიმბერლი, ა. ლონსვეი, თებერვალი 2006, (განახლებული 2019), გვ. 92.
319 საგამოძიებო გამოკითხვა, თავისუფალი თხრობა.
320 საგამოძიებო გამოკითხვა; დაკვირვება, დაზუსტება, შემოწმება.

მოცემული ინციდენტით გამოწვეულმა ტრავმამ. შეიძლება ვერ გაიხსენონ ფაქტები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ასეთ შემთხვევაში, უმჯობესია, დაისვას კითხვა „კიდევ რა მოხდა?“ ნაცვლად კითხვისა „შემდეგ რა მოხდა?“.[321]

ინფორმაციის წყარო

გამომძიებლებმა უნდა უზრუნველყონ გამოკითხული პირის მიერ მითითებული ყველა სახის ინფორმაციის წყაროს დადგენა.[322] გამოკითხული პირი შეიძლება იყოს სავარაუდო დანაშაულის მსხვერპლი, თვითმხილველი, ან გაუგია ამის თაობაზე. თუ მოწმეს დანაშაულზე სმენია, უნდა დადგინდეს, ვისგან ან როგორ შეიტყო; კიდევ ვინ იცის ამის შესახებ; იყო თუ არა ეს ფაქტი საქვეყნოდ ცნობილი; საუბრობდნენ თუ არა მასზე საჯაროდ; ეს ინფორმაცია გავრცელდა თუ არა მედიასა ან სოციალურ ქსელებში.

მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების გამოძიება/დადგენა

ქვემოთ მოცემულია მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებებისა და იძულების ინდიკატორთა ჩამონათვალი (ის საილუსტრაციოა და არ არის ამომწურავი). ირიბი მოწმეების გამოკითხვის დროს მიზანშეწონილია კითხვების დასმა ამ საკითხებზე:

- დაზარალებულის მიერ სოციალური ურთიერთობების შეწყვეტა ან შეცვლა;
- დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესება;
- საკვების მიღების, საშინაო საქმეებისა და რუტინის შეცვლა;
- დაზარალებულისა ან მისი ოჯახის წევრების სკოლაში დასწრების ცვლილებები/გაცდენა;
- ზომების მიღება სახლში საკუთარი თავისა და შვილების დასაცავად;
- ცვლილებები სამუშაო გარემოში, დასაქმების სტატუსსა ან სამუშაოზე წასვლის მარშრუტში.[323]

იძულებისა და ნების დამთრგუნველი გარემოებების კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიებისთვის მთავარი საკითხია მსხვერპლსა და მოძალადეს შორის ურთიერთობის ხასიათის დადგენა. ეს მოიცავს მსხვერპლისთვის კითხვის დასმას წარსულში განცდილი ძალადობის შესახებ, რაც ასევე გათვალისწინებული იქნება რისკის შეფასებისას. იმის გამოსარკვევად, ჰქონდა თუ არა ძალადობას სისტემატური სახე, გამომძიებლებმა შეიძლება დასვან შემდეგი კითხვები:

- როგორ გაიცანით ერთმანეთი?
- რა ფორმით გქონდათ კომუნიკაცია?
- ეს მანამდე თუ მომხდარა?
- ნერვიულობთ თქვენი შვილების უსაფრთხოებაზე?
- შეგიძლიათ აღწეროთ როგორ გექცევათ X, როგორც პიროვნებას?
- რა იყო ყველაზე საშინელი, რაც X-ს თქვენთვის გაუკეთებია?
- შეგიძლიათ, მოგვიყვეთ, რამდენად თავისუფალი ხართ თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში?

321 მსხვერპლის გამოკითხვა ტრავმის გათვალისწინებით, ადამიანით ვაჭრობის სამუშაო ჯგუფის ელექტრონული გზამკვლევი.
322 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 75(1) და 76(2).
323 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: დომინანტური ან მაიძულებელი ქცევა ინტიმურ ან საოჯახო ურთიერთობებში.

- ვინ წყვეტს, როგორ უნდა დახარჯოთ თქვენი ფული?
- რაიმეზე ხომ არ წუხხართ, შიშობთ ან ღელავთ?
- როდისმე დაგჭირვებიათ სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვა სახლში მომხდარი რაიმე ინციდენტის გამო?
- რაიმე ინციდენტს ჰქონდა ადგილი, რომელიც დაინახა ოჯახის არაწევრმა პირმა?
- რა ხდება, როდესაც მას სექსი უნდა და თქვენ ეს არ გსურთ?
- მოცემული ჩამონათვალი მხოლოდ მაგალითის სახითაა მოყვანილი და არ არის ამომწურავი.

დასრულება და შეფასება

ზოგადად, მსხვერპლისგან/მოწმისგან ჩვენებების ჩამორთმევით გამოძიება არ სრულდება. ხშირად ეს მხოლოდ დასაწყისია. გამოკითხვის ჩამტარებელმა პირებმა გამოკითხვა მოულოდნელად არ უნდა დაამთავრონ.[324] ამისთვის მათ შესაფერისი მომენტი უნდა შეარჩიონ. მათ უნდა ჰკითხონ გამოსაკითხ პირს, არის თუ არა რაიმე, რისი დამატება ან განმარტებაც სურს, ან ხომ არ აქვს კითხვები. გამოკითხვის ჩამტარებელ პირებს უნდა ესმოდეთ, რომ ამ პროცესმა, შესაძლოა, დაზარალებულში მოგონებები და ემოციები გამოიწვიოს, რაც სრულებით ნორმალურია. ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ მსხვერპლი გამოვიდა ემოციური მდგომარეობიდან და, რომ მას ჰყავს ადამიანი, რომელთანაც დარეკვა ან მისვლა შეუძლია გამოკითხვის შემდეგ. ორივე მხარე უნდა შეთანხმდეს, თუ როგორ დაუკავშირდებიან ერთმანეთს, მათ შორის, კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით. დაზარალებულს უნდა ეცნობოს, რომ მას შეუძლია დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, თუკი რაიმეს გაიხსენებს. გამოკითხვის დასასრული შესაფერისი მომენტია, რომ დაზარალებულმა თავისი ინფორმირებული თანხმობა დაადასტუროს. მსხვერპლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს შეცვალონ პოზიცია სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის შესახებ.

გამოძიების შედეგად მიღებული ინფორმაცია პროკურორთან ერთად უნდა შეფასდეს. ეს სასარგებლოა გამოძიების შემდეგი ეტაპების დასაგეგმად.

9. მსხვერპლის დაცვა და მხარდაჭერა

9.1. მომსახურებების მისაღებად გადამისამართება

სექსუალური ძალადობით გამოწვეული ზეგავლენის დასაძლევად, ყველა მსხვერპლს უფლება აქვს, ისარგებლოს მსხვერპლის მხარდაჭერისა და დაცვის სერვისებით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით „ქალთა მიმართ ძალადობის და/ან ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. იგი მოიცავს შემდეგ სერვისებს (იხ. მუხლი 17):

- თავშესაფრით, კრიზისული ცენტრით და იქ არსებული მომსახურებით სარგებლობა;
- „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობა;

324 საგამოძიებო გამოკითხვა, დასრულება, College of Policing.

- საქართველოში ყოფნის დროებითი ბინადრობის ნებართვის მისაღებად მიმართვა, თუ მსხვერპლი უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირია;
- „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობა.

გამომძიებელმა პროაქტიულად უნდა აცნობოს დაზარალებულს ზემოთ ჩამოთვლილი სერვისების შესახებ, როდესაც დაზარალებული პოლიციას შეატყობინებს სექსუალური ძალადობის თაობაზე და დაწყებულია გამოძიება. იმისათვის, რომ მსხვერპლმა ისარგებლოს სერვისებით (მაგალითად, თავშესაფრითა და კრიზისული ცენტრის მომსახურებებით), მას უნდა ჰქონდეს მსხვერპლის სტატუსი. სტატუსის შეძენა კი შესაძლებელია, მათ შორის, პირის დაზარალებულად ცნობის ან შემაკავებელი/დამცავი ორდერის გამოცემის გზით. ამიტომ, ამის გათვალისწინებითაც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირის დროულად ცნობა დაზარალებულად და არსებული რისკების შეფასება. შემაკავებელი ორდერის გამოცემა (იხ. მე-2 თავის მე-10 ქვეთავი) ასევე საშუალებას მისცემს მსხვერპლს, ისარგებლოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მომსახურებით.

სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, „მსხვერპლი“ არის ნებისმიერი ადამიანი, რომლის მიმართაც ხორციელდება ძალადობა.[325] კონვენცია ითვალისწინებს მომსახურების ხელმისაწვდომობას ყველა მსხვერპლისთვის[326] და არ აწესებს პირისთვის „მსხვერპლისა“ და „დაზარალებულის“ ოფიციალური სტატუსის მინიჭების წინაპირობას, რათა მან შეძლოს სპეციალიზებული მხარდაჭერის სერვისებით სარგებლობა. აქედან გამომდინარე, კონვენციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად სახელმწიფო სერვისები მხოლოდ მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე პირებს მიეწოდებათ, გამომძიებელმა უნდა გადაამისამართოს სავარაუდო მსხვერპლი იმ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც არ მოითხოვენ ოფიციალურ სტატუსს საჭირო მომსახურების გასაწევად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი და რესურსი უკიდურესად შეზღუდულია.

ევროპარლამენტის დირექტივა, რომელიც განსაზღვრავს მინიმალურ სტანდარტებს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის შესახებ, ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს მსხვერპლებისთვის უზრუნველყონ მათი საჭიროების შესაბამისი მხარდამჭერი სერვისების ხელმისაწვდომობა სისხლის სამართლის საქმისწარმოების დაწყებამდე, მისი მიმდინარეობისას ან დასრულების შემდგომ, სათანადო დროს.[327] მომსახურების გაწევა არ უნდა იყოს დამოკიდებული სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის მონაწილეობაზე.[328]

საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს ნებისმიერი წარმომადგენელი, რომელიც სექსუალური ძალადობის საქმეებზე და მსხვერპლებთან მუშაობს, უნდა ფლობდეს ინფორმაციას მსხვერპლის მხარდამჭერი სოციალური, იურიდიული, სამედიცინო და სხვა სერვისების თაობაზე, რათა მათი გადამისამართება უზრუნველყონ. სადაც ეს შესაძლებელია, სისხლის

325 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 3(ე).
326 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 22(2).
327 ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 8 (1).
328 იხილეთ, მაგალითად, სტამბოლის კონვენცია მუხლი 18(4).

სამართლის მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებმა ხელი უნდა შეუწყონ მსხვერპლისთვის სოციალური და სხვა მხარდაჭერის ქსელების ხელმისაწვდომობას.[329]

გამომძიებელმა, პროკურორმა ან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორმა უნდა აღრიცხოს, რომელი მომსახურების მისაღებად რეფერირდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. საჭიროა ჩანაწერების წარმოება, რა ფსიქოსოციალური ან სხვა მომსახურების მისაღებად გადამისამართდა მსხვერპლი, რათა გარანტირებული იყოს, რომ ეს მომსახურება მისი საჭიროებების შესაფერისია და არ ატარებს ფორმალურ ხასიათს.

9.2. რისკების შეფასება და მართვა

გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები ერთობლივად არიან პასუხისმგებელი სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დაცვაზე გამოძიებისა და სასამართლო პროცესის ყველა ეტაპზე.[330] ეს უნდა გაკეთდეს რისკის საფუძვლიანი შეფასების გზით. რისკის შეფასება გულისხმობს ყველა პოტენციური საფრთხის იდენტიფიცირებას, რამაც შეიძლება ზიანი (ფიზიკური, ემოციური, ქონებრივი ან სხვა სახის) მიაყენოს მსხვერპლს, მათი რეალიზების ალბათობის შეფასებას და რისკისა და ზიანის შემცირებაზე მიმართული ზომების მიღებას.

რისკის შეფასება ერთ-ერთი პირველი[331] და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც ხელისუფლებამ უნდა გადადგას სექსუალური ძალადობის დანაშაულის გამოძიებისას. რისკის შეფასება სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში პერიოდულად უნდა გადაისინჯოს და განახლდეს.[332] ის უნდა იყოს ინდივიდუალური ყოველ ცალკეულ შემთხვევასთან მიმართებით[333] და სხვადასხვა სახის და დონის რისკებს ითვალისწინებდეს.[334] ეს მოიცავს მსხვერპლის ურთიერთგადამკვეთი მოწყვლადობის განხილვას, რაც დაკავშირებულია მის პირად მახასიათებლებსა და დამნაშავესთან ურთიერთობასთან.[335] ამ რისკებს შეიძლება განსხვავებული წონა მიენიჭოს, ინდივიდუალური კონტექსტიდან გამომდინარე.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის კონფიდენციალურობას შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს.[336] შესაბამისად, მისი შესაძლო დარღვევით გამოწვეული ზიანი ასევე უნდა წარმოადგენდეს რისკის შეფასების კრიტერიუმს და

329 ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 8(2), პრეამბულა, პარ. 38, 40; მუხლი 8-9; იხ. ასევე: სტამბოლის კონვენცია, მუხლი 56(1)(გ); საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 94, 164; იხ. ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 138-142, 255; იხ. ასევე: სექსუალური ძალადობის გამოძიების საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო სამართალდამცავი ორგანოებისთვის, ალბერტას ღია მმართველობის პროგრამა; გვ. 10; იხ. ასევე: აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ტრენინგის ეროვნული კურიკულუმი, გვ. 50-51, 54.

330 იხ. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 56; ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 260.

331 ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 22(1).

332 იხ. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 51; ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 260; საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 92; იხ. ასევე: გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

333 იხ. ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, პარ. 22; იხ. ასევე: პოლიციის მიერ რისკის შეფასება და მართვა, ევროპული ინსტიტუტი გენდერული თანასწორობისთვის.

334 პოლიციის მიერ რისკის შეფასება და მართვა, ევროპული ინსტიტუტი გენდერული თანასწორობისთვის.

335 ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 22(3).

336 აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ტრენინგის ეროვნული კურიკულუმი, გვ. 51.

გათვალისწინებული უნდა იყოს გამოძიების მთელი პროცესის განმავლობაში.

რისკის შეფასება უნდა განხორციელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის სხვა ფორმების მსხვერპლთა რისკის შეფასების ინსტრუმენტის საფუძველზე და ამ სახელმძღვანელოში მოცემული დამატებითი სახელმძღვანელო მითითებების გათვალისწინებით. ეს შეფასება სისხლის სამართლის საქმის მასალების ნაწილს უნდა განეკუთვნებოდეს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და CEDAW-ს მოთხოვნების შესაბამისად, რისკის შეფასება და მართვა უნდა იყოს დროული.[337] რისკის არსებობის და მისი სიმძიმის მტკიცების ტვირთი მთლიანად ხელისუფლებას ეკისრება და არა მსხვერპლს.

რისკის შეფასებისას შემდეგი სამი ნაბიჯი უნდა გადაიდგას:

პირველი ნაბიჯი: კონკრეტული საფრთხის გამოვლენა (მაგალითად, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების, რეპუტაციის და ა.შ.). განსაზღვრა, თუ ვის ან რას ემუქრება საფრთხე და ვინ ან რა ქმნის საფრთხეს.[338]

შეფასება მოიცავს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა იარაღის გამოყენება დანაშაულის ჩადენისას, იარაღის არსებობა შემთხვევის ადგილზე ან იარაღის გამოყენების მუქარა.[339]

მსხვერპლზე ორიენტირებული რისკის შეფასების მიდგომა ასევე მოიცავს ისეთ ფსიქოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, როგორიცაა:

- ხელახალი ტრავმირების, დაშინების ან შურისძიების შესაძლებლობა;
- ოჯახის ან/და საზოგადოების მიერ მსხვერპლის სტიგმატიზაციის რისკი;
- ჯანმრთელობის რისკები, მათ შორის, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების ან ორსულობა;
- რისკი, რომ მსხვერპლი (და, თუ ის დედაა, მისი შვილები) უსახლკაროდ დარჩება, რადგან იგი გააძევეს სახლიდან, სადაც თავის პარტნიორთან ან ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.[340]

გარკვეულ მსხვერპლებთან დაკავშირებით, მაგალითად, ნარკოტიკების მომხმარებლებსა ან პროსტიტუციაში ჩართულ პირებთან მიმართებით შეიძლება სპეციალური დამცავი ზომების მიღება გახდეს საჭირო მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მეორე ნაბიჯი: პირველი ნაბიჯის დროს გამოვლენილი საფრთხეების მასშტაბის, რეალურობის, განმეორების ალბათობის, მსხვერპლსა და მის ოჯახზე შესაძლო

337 მაგ. საქმეზე O.G. v Russia კომუნიკაცია No. 91/2015, CEDAW-ს კომიტეტმა დაადგინა, რომ მოწმის (მსხვერპლის) დაცვის სქემის ფარგლებში, განმცხადებლის თხოვნის სამი კვირის მანძილზე განხილვით, ხელისუფლებამ დაარღვია მისი ვალდებულება, დაეცვა იგი ძალადობის განმეორებისგან. ანალოგიურად, მოლდოვას შესახებ თავისი გადაწყვეტილებებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა ხელისუფლება იმის გამო, რომ დროულად არ ჩატარდა რისკის შეფასება და მართვა.

338 საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 93.

339 პოლიციის მიერ რისკის შეფასება და მართვა, ევროპული ინსტიტუტი გენდერული თანასწორობისთვის; იხ. ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 263.

340 ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 22.

ზეგავლენის შეფასება, საქმის შედეგსა და საჯარო ინტერესთან მიმართებით.[341] შეფასების ამ ეტაპზე ჩატარებული ანალიზი უნდა იყოს მაქსიმალურად ყოვლისმომცველი, რათა ყველა სახის რისკთან გამკლავება საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მოხდეს.[342] აუცილებელია თავად მსხვერპლის შეფასების მხედველობაში მიღება რისკების თაობაზე.[343]

სექსუალური ძალადობის სამიზნეები შეიძლება გახდნენ მოწყვლადი პირები, რომლებსაც, მოძალადეების შეფასებით, ნაკლები წვდომა აქვთ მართლმსაჯულებაზე და იმედოვნებენ, რომ მათი ქმედება დაუსჯელი დარჩება. ნებისმიერი რისკის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს მსხვერპლთა ამ კატეგორიის სპეციფიკურ საჭიროებებს, როგორიცაა სოციალური დახმარების არარსებობა; იზოლაცია; ეთნიკური კუთვნილება; ასაკი ან საიმიგრაციო სტატუსი (მათ შორის).[344]

ოჯახში სექსუალური ძალადობის მსხვერპლების მიმართ ძალადობის განმეორების რისკი მაღალია.[345] შესაბამისად, იძულებასა ან კონტროლზე მიმართული ქცევის მტკიცებულება და ძალადობის ესკალაცია რისკის შეფასების მნიშვნელოვანი ფაქტორია.[346]

მესამე ნაბიჯი: რისკების შემცირების ან აღმოფხვრის გზების იდენტიფიცირება და მათი განხორციელება.[347] განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოწყვლადი მსხვერპლების უსაფრთხოებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს შესაბამისი კოორდინირებული გეგმა, რომელშიც ჩართული იქნება სხვადასხვა უწყება და ორგანიზაცია, მათ შორის, პოლიცია, გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები.[348]

დამცავი ზომები

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულია შემაკავებელი და დამცავი ორდერები, რომლებიც ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის ყველა მსხვერპლისთვის არის განკუთვნილი.[349] შემაკავებელი ორდერები გამოიცემა პოლიციის მიერ, ხოლო დამცავ ორდერებს სასამართლო გამოსცემს მსხვერპლის, ოჯახის წევრებისა ან მათთვის მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების/პირების მოთხოვნის საფუძველზე.[350]

341 საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 93; იხ. ასევე: პოლიციის მიერ რისკის შეფასება და მართვა, ევროპული ინსტიტუტი გენდერული თანასწორობისთვის.
342 პოლიციის მიერ რისკის შეფასება და მართვა, ევროპული ინსტიტუტი გენდერული თანასწორობისთვის.
343 პოლიციის მიერ რისკის შეფასება და მართვა, ევროპული ინსტიტუტი გენდერული თანასწორობისთვის.
344 იხ. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 46(გ); ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 87, 238; პოლიციის მიერ რისკის შეფასება და მართვა, ევროპული ინსტიტუტი გენდერული თანასწორობისთვის.
345 განმარტებითი ანგარიში, პარ. 260.
346 განმარტებითი ანგარიში, პარ. 260; იხ. ასევე: პოლიციის მიერ რისკის შეფასება და მართვა, ევროპული ინსტიტუტი გენდერული თანასწორობისთვის.
347 განმარტებითი ანგარიში, პარ. 261; საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 93.
348 განმარტებითი ანგარიში, პარ. 64, 261, იხ. ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლები 67-68.
349 ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონი, მუხლები 10, 11.
350 ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონი, მუხლები 10, 11.

შემაკავებელი და დამცავი ორდერით გათვალისწინებული დაცვის ზომები მოიცავს დამნაშავისთვის მსხვერპლთან მიახლოების ან მასთან ნებისმიერი გზით კონტაქტის (სატელეფონო ზარები, შეტყობინებები) აკრძალვას; სავარაუდო დამნაშავის სახლიდან გარიდებას; დამნაშავის სახლიდან გაყვანას მაშინაც კი, თუ ის მისი საკუთრებაა; დამნაშავის მსხვერპლისგან გაცალკევებას; მისთვის იარაღის ფლობის ან გამოყენების შეზღუდვას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე განსაზღვრავს სხვადასხვა დამცავ ზომას სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის, მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიებების ფარგლებში.[351]

შემაკავებელი ორდერი უნდა გამოიცეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე და 138-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის,[352] იმის მიუხედავად, არის თუ არა დანაშაული ოჯახური. დამატებით დისკრიმინაციული მოტივის, როგორც ორდერის გამოცემის საფუძვლის, გამოკვეთა არ არის საჭირო, ვინაიდან ისინი, თავისი არსით, უკვე გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული დანაშაულებია და მათზე ორდერის გამოცემა კანონით არის დადგენილი. ამასთან, კანონი არ ითვალისწინებს ორდერის გამოცემას, როგორც სავალდებულო ზომას, 139-ე ან 140-ე მუხლებით განსაზღვრული დანაშაულის შემთხვევაში. თითოეული მსხვერპლის დასაცავად გამომძიებელმა/პროკურორმა ნებისმიერი სახის სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე უნდა განიხილოს შემაკავებელი ორდერის გამოცემის საკითხი, წინა ნაწილში მოცემულ რისკების შეფასებაზე დაყრდნობით. პროკურორს შეუძლია, მიიღოს ზომები ორდერთან დაკავშირებით, კერძოდ, მიმართოს პოლიციას/გამომძიებელს მისი გამოცემის თაობაზე და გააკონტროლოს, რომ ის ნამდვილად გამოიცა. ორდერის გამოცემის შესახებ ეცნობება პროკურორს. ამრიგად, მას ამ საკითხთან მიმართებით აქვს გარკვეული ზედამხედველობითი ფუნქცია. რისკის შეფასებისა და დაზარალებულის მდგომარეობის გათვალისწინებით, შემაკავებელი ორდერის პირობები უნდა იყოს ინდივიდუალური.

სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინების მიღებისა და შემაკავებელი ორდერის გამოცემისთანავე საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელმა გამომძიებელმა მსხვერპლს შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და დამცავი ორდერის მიღების პროცედურები უნდა გააცნოს. გამომძიებელმა დაზარალებული უნდა გადაამისამართოს იურიდიული დახმარების სამსახურებში, რომლებიც მას დამცავი ორდერის მისაღებად სასამართლოსთვის მიმართვაში დაეხმარებიან. ამასთან, პოლიციელმა მსხვერპლს უნდა განუმარტოს, რომ შემაკავებელი ორდერის ვადის გასვლის შემდეგ მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით.

პოლიციის უფლებამოსილმა თანამშრომელმა რისკების შეფასებისას, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ძალადობის განმეორების რეალური საფრთხის არსებობისას, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად მოძალადეს დაუწესდეს ელექტრონული ზედამხედველობა, რაც უფრო მეტად უზრუნველყოფს მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვას.

სექსუალური ძალადობის უკიდურესად მძიმე შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლისა ნ მისი

351 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 49, 57, 198, 199.

352 ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონი, მუხლი 10.11.

ოჯახის წევრების უსაფრთხოება ვერ იქნება უზრუნველყოფილი მხოლოდ შემაკავებელი და დამცავი ორდერებით, შესაძლებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება. ასეთებია: საიდენტიფიკაციო ინფორმაციის შეცვლა; გარეგნობის შეცვლა, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ გაყვანა (რელოკაცია) და ა.შ.[353] ამ ღონისძიებების გამოყენება შეუძლია პროკურორს საქართველოს გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით. ვითარების სიმძიმე, როდესაც ასეთი ზომები შეიძლება განხორციელდეს, ასევე უნდა შეფასდეს წინა ნაწილში აღწერილი რისკის შეფასების პროცედურის მიხედვით. ამასთან, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს შემაკავებელი ორდერების გამოცემას, რადგან მსხვერპლის დაუყოვნებლივ დასაცავად ამის უზრუნველყოფა უფრო მარტივად არის შესაძლებელი. დაცვის ზომები მუდმივად უნდა შეფასდეს და რეგულარულად განახლდეს. დაცვის სპეციალური ღონისძიებები ვერ დაიწყება დასაცავი პირის თანხმობის გარეშე, ვინაიდან ეს მოითხოვს მის პირად ცხოვრებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას და მაღალია თავისუფლების შეზღუდვის ხარისხიც. გარდა ამისა, ეს ღონისძიებები სახელმწიფოსგან დიდ რესურსს საჭიროებს. ამიტომ, მათი გამოყენება უნდა მოხდეს სწორად განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები და საკონტაქტო პირები

გამომძიებლები, რომლებთანაც მსხვერპლებს პირველადი შეხება აქვთ სისხლის სამართლის პროცესში, საგანგებოდ უნდა შეირჩნენ. მათ უნდა დაევალოთ სექსუალური ძალადობის საქმეების გამოძიება მსხვერპლთა მიმართ გენდერულად სენსიტიური მიდგომების სფეროში მათი გამოცდილების გათვალისწინებით. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც მსხვერპლის მიერ სტრესის დაძლევის, ისე, მთლიანობაში, გამოძიებისა და სისხლის სამართლის საქმის წარმოებისთვის.[354]

თუკი სექსუალური ძალადობის შემთხვევაზე პირველადი რეაგირების ან საგამოძიებო ჯგუფში არიან ქალი და მამაკაცი გამომძიებლები, მსხვერპლს უნდა შეეძლოს არჩევა, თუ ვისთან ურჩევნია კონტაქტი და ვინ გამოჰკითხავს მას.[355] მსხვერპლს შეიძლება ინტენსიური კომუნიკაცია ჰქონდეს საქმის გამომძიებელთან. მოსალოდნელია, რომ მისი მთავარი საკონტაქტო პირი გახდება გამომძიებელი, რომელმაც იგი გამოჰკითხა.

ვინაიდან მსხვერპლს ყველაზე მეტად დახმარება სჭირდება გამოძიების პირველ ეტაპზე, მნიშვნელოვანია, კოორდინატორის ჩართვის საკითხი განხილული იყოს გამოძიების დაწყებისთანავე და არა სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპზე. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი საქმეში უნდა ჩართოს საქმის მწარმოებელმა პროკურორმა. ეს ხორციელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და, ასევე, პროკურორის გადაწყვეტილების საფუძველზე. პროკურატურის დანაყოფებს ჰყავს თავისი კოორდინატორები. მნიშვნელოვანია, ამგვარი კოორდინატორი დაინიშნოს ყველა იმ საქმეზე, რომლებზეც დამნაშავეს

353 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის IX თავი და 68-ე მუხლი.

354 კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 13.

355 ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 23 (2)(d); იხ. ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 258; საერთაშორისო პროტოკოლი, გვ. 166; იხ. ასევე; კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 16.

ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე, 138-ე, 139-ე ან 140-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში. ამ შემთხვევაში, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი შეიძლება გახდეს მსხვერპლის მთავარი საკონტაქტო პირი.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები საქმეში მხოლოდ დაზარალებულის თანხმობით მონაწილეობენ. თუ მსხვერპლს არ სურს, რომ საქმეში სხვა პირი იყოს ჩართული, მისი მთავარი საკონტაქტო პირები გამომძიებელი და პროკურორი იქნებიან.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები, სხვა საკითხებთან ერთად, პასუხისმგებელნი არიან მსხვერპლისთვის სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის გაზიარებაზე; მსხვერპლთა ემოციურ მხარდაჭერაზე; მათი უსაფრთხოების, სამედიცინო, იურიდიული, ფსიქოსოციალური მხარდაჭერის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შეფასებაზე; ამ სერვისების მისაღებად მის რეფერირებასა და სამართალწარმოების პროცესის განმავლობაში ხელახალი ვიქტიმიზაციისგან მის დაცვაზე.

III. სექსუალური ძალადობის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება

1. სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები

დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი და პროკურორი ვალდებულნი არიან, დაიწყონ გამოძიება (იხ. მე-2 თავის მე-2 ქვეთავი).[356] პროკურორს შეუძლია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებასთან მიმართებით.[357] ქვემოთ მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების თაობაზე საჯარო ინტერესის ტესტების შესაბამისად, მაშინ, როცა მტკიცებულებითი ტექსტი დაკმაყოფილებულია[358] ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დაცვით.

საჯარო ინტერესის ტესტი

ნებისმიერ სიტუაციაში ნებისმიერი პირის მიერ ქალის მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობა არის ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევა. სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის გამოვლენისას მიჩნეული უნდა იყოს, რომ საჯარო ინტერესის ტესტი ავტომატურად დაკმაყოფილებულია. აქედან გამომდინარე, მტკიცებულებათა საკმარისობის შემთხვევაში, პროკურორმა, როგორც წესი, დევნის დაწყების გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, მათ შორის, როდესაც მსხვერპლი ითხოვს თავისი განცხადების რეაგირების გარეშე დატოვებას და ამბობს, რომ მოძალადეს შეურიგდა, ან, როდესაც მოძალადე აცხადებს, რომ აღიარებს და ინანიებს საკუთარ ქმედებებს (იხ. მე-3 თავის მე-2 ქვეთავი). ასევე, დამნაშავის მიერ მსხვერპლისთვის ზიანის ანაზღაურებამ გავლენა არ უნდა მოახდინოს საჯარო ინტერესის გათვალისწინებით დევნის დაწყებაზე.[359]

2. გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

2.1. მსხვერპლის მოთხოვნა, რეაგირების გარეშე დარჩეს მისი განცხადება და სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმა

კანონის თანახმად, დაზარალებული ვალდებულია, მისცეს ჩვენება (სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლის შესაბამისად), ხოლო მასზე უარის თქმამ შეიძლება

356 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 100.
357 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 16.
358 იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება N181 სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ.
359 სქესობრივი დანაშაულები, თ. გეგელია, ი. კელენჯერიძე, ბ. ჯიშკარიანი, იურისტების სამყარო, თბილისი, 2020, გვ. 163.

გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამასთან, დაზარალებულს უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ. ამ დროს ის თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან ჩვენების მიცემაზე უარის გამო.[360] გამოძიების ეტაპზე ტარდება მსხვერპლის გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა ნებაყოფლობითია. ანუ, პირს ჩვენების მიცემის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში.

მსხვერპლის მოთხოვნა, რეაგირების გარეშე დარჩეს მისი განცხადება, არ არის გამოძიების შეწყვეტის საფუძველი.[361] გამომძიებლების და პროკურორების ვალდებულებაა, დაზარალებულის მიერ მიცემული ჩვენების გარდა, მოიპოვონ საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს საქმის გაგრძელების შესაძლებლობას, თუკი დაზარალებული მოითხოვს თავისი განცხადების რეაგირების გარეშე დატოვებას, ან სხვა ფორმით გახდება ჩვენების მისაცემად მიუწვდომელი.[362] გამომძიებლები და პროკურორები ვალდებულნი არიან, დარწმუნდნენ, რომ ყველა მტკიცებულება შეგროვდა და განიხილონ მტკიცებულებების სხვა, ალტერნატიული წყაროები.[363]

2.2. განცხადების რეაგირების გარეშე დატოვების მოთხოვნის მიზეზები

დაზარალებულმა შეიძლება სხვადასხვა მიზეზით ითხოვოს საკუთარი განცხადების დატოვება რეაგირების გარეშე. მათ შორის, სხვა მიზეზებთან ერთად, შეიძლება იყოს მოძალადის მიმართ შიში, საკუთარი ოჯახის მხრიდან ზეწოლა, სირცხვილი, გაჭიანურებული პროცედურები ან სისხლის სამართლის სისტემისადმი უნდობლობა.[364]

მნიშვნელოვანია მსხვერპლის მიერ სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევებისა და მიზეზების სათანადო შესწავლა.[365] გამოძიებამ შეიძლება გამოავლინოს სერიოზული საფრთხე, რომელიც ემუქრება მსხვერპლსა და მის ოჯახს. შესაძლოა, საჭირო გახდეს დამატებითი ბრალდების წარდგენა და სპეციალური ზომების გატარება მათ დასაცავად. მსხვერპლის მიერ პროცესში მონაწილეობისგან თავის შეკავებაზე ან განცხადების რეაგირების გარეშე დატოვების მოთხოვნის ფაქტზე გამოძიების დაწყებისას ძირითად საქმეზე გაკეთებული რისკის შეფასება უნდა

360 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 371. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 113 (2).

361 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 55; იხ. ასევე: გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

362 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 55; იხ. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე Opuz v. Turkey, App. no. 33401/02, 2009 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, პარ. 145, იხ. ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 280; იხ. ასევე: სტამბოლის კონვენცია, მუხლი 55; იხ. ასევე: გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

363 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 55; იხ. ასევე: გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

364 ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო, საქმეზე Jessica Lenahan (Gonzáles) & others v. United States, N80/11, 2011 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 134, იხ. ასევე: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე Opuz v. Turkey, App. No. 33401/02, 2009 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, პარ. 136.

365 იხ. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 18, 26, 50, 56; ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 59; იხ. ასევე: გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე; იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 19.

გადაისინჯოს.

ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში ასახულია რეაგირების გარეშე განცხადების დატოვების მოთხოვნის ზოგიერთი შესაძლო მიზეზი. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი:

- შიში შემდგომი ზიანის მიყენებისა ან საკუთარი და ოჯახის უსაფრთხოების გამო;
- მოძალადესთან პირისპირ შეხვედრის შიში;
- მოძალადის, მისი ოჯახის წევრების ან თანამზრახველების მხრიდან მუქარა, დაშინება ან ზეწოლის სხვა ფორმები;
- მსხვერპლზე ნათესავების, საზოგადოების წევრების ან თემის „უხუცესების“ მხრიდან ზეწოლა, მათ შორის, მოძალადესთან შერიგების, „უთანხმოების“ მოგვარების მიზნით, მხარეებს შორის მედიაციის ან თემში დამკვიდრებული წესების შესაბამისად;
- საზოგადოებისგან საჯაროდ შერცხვენის, უარყოფის ან განდევნის შიში;
- მოძალადესთან შერიგების სურვილი (თუ ის უკვე არ არის შერიგებული), ან ოჯახში დაბრუნების სურვილი, თუ ოჯახიდან გარიყულია;
- მსხვერპლს აღარ აქვს ურთიერთობა დამნაშავესთან, და/ან არ სურს ინციდენტის თავიდან გახსენება და განცდა;
- ბავშვების ჩამორთმევის და სახელმწიფო მზრუნველობაში გადაყვანის შიში;
- შვილებზე, სხვა დამოკიდებულ პირებზე ზემოქმედებისა ან ფინანსური შედეგების შიში (მაგალითად, ბავშვის შემწეობის, საგადასახადო შეღავათების ან ფინანსური დახმარების დაკარგვა), თუ დამნაშავეს თავისუფლების აღკვეთა მიესჯება;
- სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებამ შეიძლება მსხვერპლში გამოიწვიოს პასუხისმგებლობის განცდა მოძალადის ნასამართლობის გამო, რაც შემდგომში გავლენას მოახდენს მის დასაქმებაზე, ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზე და ა.შ.
- მოძალადე შეიძლება დათანხმდეს სხვა წარმოების, მაგალითად, ბავშვებზე მეურვეობის შესახებ სარჩელის განხილვის შეჩერებაზე, თუ მსხვერპლი უარს იტყვის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობაზე;
- ფსიქოლოგიური დაღლილობა/რეტრავმატიზაცია სამართალწარმოების პროცესის მიმდინარეობისა და მისი ხანგრძლივობის გამო;
- შიში, რომ მას არ დაუჯერებენ და, რომ სისხლის სამართლის სისტემა მიკერძოებულია დამნაშავის მიმართ;
- შიში, რომ მსგავსად მედიის მიერ გაშუქებული გახმაურებული შემთხვევებისა, მას უარყოფით კონტექსტში წარმოაჩენენ. შიში, რომ მედია მიკერძოებულია საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების ზეგავლენით, განწყობილია მსხვერპლის წინააღმდეგ და მის რეპუტაციას შელახავს;
- იზოლირების ან დაუცველობის შეგრძნება და ამით გამოწვეული შიში, რომ მას არ დაუჯერებენ;
- შიში, რომ ბრალდების მხარის პოზიციის გაზიარება/თანამშრომლობა მას შემდგომში ზიანის საფრთხის ქვეშ დააყენებს;

- შიში, რომ სამართალდამცავი ორგანოებისთვის ცნობილი გახდება მსხვერპლის საიმიგრაციო სტატუსი, რომელიც, შესაძლოა, არ იყოს კანონიერი;
- შიში, რომ მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის შესახებ გაიგებენ და ამის გამო გარიყავენ;
- აივ-სტატუსის ან სხვა განსაკუთრებით სენსიტიური პირადი ინფორმაციის გამოვლენის შიში, თუ ეს სხვებისთვის ჯერ არ არის ცნობილი;
- პროსტიტუციაში ჩაბმული მსხვერპლების შემთხვევაში, იმის შიში, რომ მათი საჩივარი სერიოზულად არ იქნება მიღებული, ან ძალადობაზე შეტყობინების შემთხვევაში, პირიქით, მას დაეკისრება სანქციები პროსტიტუციაში მონაწილეობის გამო;
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს უწყებების მხრიდან ჩართულობის ან კომუნიკაციის ნაკლებობა, ან შიში იმის გამო, რომ მსხვერპლმა არ იცის, რა მოხდება, თუ იგი მოძალადის სისხლისსამართლებრივ დევნას დაეხმარება;
- შიში იმის გამო, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირებს არ ესმით, რა პრობლემების წინაშე დგას მსხვერპლი, ან იმის განცდა, რომ შეიძლება ისინი არ იყვნენ საკმარისად სენსიტიურები მსხვერპლის კონკრეტული სიტუაციის მიმართ.[366]

პროცესში მონაწილეობისგან თავის შეკავება ან უარის თქმა ასევე შეიძლება განპირობებული იყოს ძალადობრივ სიტუაციასთან დაკავშირებულ სხვა ფაქტორებთან, მაგალითად, „ძალადობის ციკლის“ დინამიკასთან, რომელიც წყვილს შორის არსებობს. ძალადობის ციკლი სამი ფაზისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება მათი ხანგრძლივობით და ინტენსივობით როგორც ერთსა და იმავე წყვილის, ასევე სხვადასხვა წყვილის შემთხვევაში. ეს ფაზებია: დაძაბულობის ზრდის ფაზა, აფეთქების ფაზა და „შეყვარებულობის“, ანუ სიმშვიდის ფაზა.[367]

ევროპის საბჭოს 2016 წლის სახელმძღვანელოში „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“[368] ასახულია შეკითხვების ჩამონათვალი (თავდაპირველად შეიმუშავა ორგანიზაციამ „ქალები ძალადობის წინააღმდეგ“ - WAVE), რომელიც პოლიციას, პროკურორებსა და გამომძიებლებს დაეხმარება იმ მიზეზების იდენტიფიცირებაში, რომელთა გამოც მსხვერპლი უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, ასევე იმის დადგენაში, მოხდა თუ არა მსხვერპლის იძულება ან დაშინება, რათა მას პოზიცია შეეცვალა:

- რატომ იკავებთ თავს ჩვენების მიცემისგან (რატომ ამბობთ უარს ჩვენების მიცემაზე)?
- როდის გადაწყვიტეთ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა?
- ბრალდებულთან ერთად ცხოვრობდით, როდესაც ინციდენტი მოხდა?
- ამჟამად ბრალდებულთან ერთად ცხოვრობთ?

366 იხ. მაგ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე Opuz v. Turkey, App. no. 33401/02, 2009 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, პარ. 143; იხ. ასევე: გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

367 ლეონორ უოლკერი, ძალადობას დაქვემდებარებული ქალები, Harper Colophon Books, ნიუ იორკი, 1979. თარგმანი: ლიკ მარია კრისტინა ვილა დე სერილო.

368 ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენცია და აღმოფხვრა, სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების პროფესიონალთათვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი, ევროპის საბჭო, 2016, გვ. 74.

- (თუ ბრალდებულთან ერთად არ ცხოვრობს) იცის ბრალდებულმა ამჟამად სად ცხოვრობთ?
- ფინანსურად დამოკიდებული ხართ ბრალდებულზე?
- თქვენ და ბრალდებულს საერთო შვილები გყავთ?
- თქვენ ეს საქმე განიხილეთ ბრალდებულთან?
- ბრალდებული დაგპირდათ, რომ რამეს გააკეთებს თქვენთვის, თუ ჩვენებას არ მისცემთ?
- ეს დაპირება არის იმის მიზეზი, რომ თქვენ არ გინდათ წარმოების გაგრძელება ან ჩვენების მიცემა?
- ბრალდებული ან ვინმე სხვა დაგემუქრათ თქვენ, თქვენს შვილებს ან თქვენს ოჯახს და გითხრათ, რომ არ მისცეთ ჩვენება?
- არის კიდევ რაიმე მიზეზი, რის გამოც გეშინიათ ბრალდებულის?
- იცით თუ არა, რომ სასამართლოს შეუძლია, გამოსცეს დამცავი ორდერი, ხოლო პოლიციელს - შემაკავებელი ორდერი, რომლითაც ბრალდებულს აეკრძალება თქვენთან და თქვენს ოჯახთან კონტაქტი და მოახლოება?
- ინფორმირებული ხართ, რომ, თუ ამ საქმეზე წარმოება განხორციელდება, ბრალდებულს შეიძლება მოეთხოვოს ქცევის კორექციის პროგრამაში მონაწილეობა, დაეკისროს თქვენთვის მოყენებული ზიანის ანაზღაურება და აეკრძალოს თქვენთან და თქვენს ოჯახთან მოახლოება?
- (თუ დაზიანებები ეტყობა) როგორ მიიღეთ ეს დაზიანებები (მიუთითეთ პოლიციის ანგარიშებზე, სამედიცინო დასკვნებზე, ფოტოებზე, სასამართლო პროცესის განმავლობაში ჯერ კიდევ ხილულ დაზიანებებზე და ა.შ.)?
- ადგილობრივ ქალთა თავშესაფარს, საკონსულტაციო ცენტრს, მსხვერპლის მხარდაჭერის სერვისებს ესაუბრეთ იმის თაობაზე, რომ არ გსურთ ჩვენების მიცემა?
- გსურთ თუ არა მათთან საუბარი?[369]

ასევე უნდა დადგინდეს, მსხვერპლს სხვა დროს აქვს თუ არა შეცვლილი პოზიცია, ან უთქვამს თუ არა უარი ჩვენების მიცემაზე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე ან/და სხვა გამოძიების მიმდინარეობისას. თუ ასეთი ფაქტი დადასტურდება, საჭიროა მისი მიზეზების დადგენა და წინა დანაშაულის ხასიათის გამოკვლევა.[370]

მსხვერპლები, რომლებიც თავს იკავებენ ან უარს ამბობენ საგამოძიებო ან სასამართლო პროცესებში მონაწილეობაზე, უნდა გადამისამართდნენ მხარდაჭერის პროგრამებში და მიეწოდოთ ინფორმაცია პირადი უსაფრთხოების თაობაზე.[371] გარდა ამისა, მსხვერპლებს უნდა განემარტოთ სისხლის სამართლის მექანიზმების გამოყენების მნიშვნელობა სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე, საჭიროა მათი ინფორმირება სისხლის სამართლის პროცესში არსებული მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ, რომლებიც შესაძლო ზიანის შემცირებაზეა მიმართული.

მსხვერპლებს ასევე უნდა ეცნობოთ, რომ მათ მომავალში შეუძლიათ ამ და სხვა

369 იხ. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენცია და აღმოფხვრა, სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების პროფესიონალთათვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი, ევროპის საბჭო, 2016, გვ. 74.

370 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

371 ევროპის საბჭოს პარლამენტის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, პრეამბულა, პარ. 40.

ინციდენტების შესახებ ინფორმაციის წარდგენა (განმეორებითი ძალადობის შემთხვევაში).

ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული პრაქტიკის მსგავსად, როდესაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი უარს აცხადებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობაზე და არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც წარმოების გაგრძელებაა შესაძლებელი (მიუხედავად ამგვარი მტკიცებულების მოპოვების მცდელობისა), პროკურორმა დაუყოვნებლივ არ უნდა შეწყვიტოს გამოძიება. მან ის 3-4 თვით უნდა გადადოს და მსხვერპლთან რეგულარულად გადაამოწმოს, განმეორდა თუ არა ძალადობა, ან ხომ არ შეცვალა მსხვერპლმა პოზიცია სისხლის სამართლის პროცესებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. მსხვერპლის მხრიდან გამოძიებასა და ბრალდების მხარესთან თანამშრომლობის სურვილის შემთხვევაში, საქმის წარმოება უნდა გაგრძელდეს დამატებითი ბრალდების წაყენების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ამგვარი პრაქტიკა მნიშვნელოვანი ნაბიჯია სისხლის სამართლის სისტემისადმი მსხვერპლთა ნდობის ამაღლებისა და მათი დაცვის თვალსაზრისით.

2.3. „ცრუ ბრალდებების“ არგუმენტთან გამკლავება

არსებობს მითი, რომ ქალები სამართალდამცავ ორგანოებს ხშირად აწოდებენ ცრუ ინფორმაციას გაუპატიურების შესახებ. ეს მითი ფართოდაა მიღებული, რაც განსაკუთრებით ართულებს მსხვერპლების მხრიდან სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინებას, რადგან ეშინიათ, რომ სისხლის სამართლის სისტემის წარმომადგენლები მათ არ დაუჯერებენ.[372] სინამდვილეში, გაუპატიურების შესახებ შეტყობინებების ძალიან მცირე პროცენტი წარმოადგენს ცრუ ბრალდებას.[373]

სექსუალური ძალადობის დანაშაული თუ ვერ დასტურდება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრალდება ცრუ იყო. ანალოგიურად, დაზარალებულის მიერ მოვლენების შესახებ თავისი ვერსიის შეცვლა არ ნიშნავს, რომ მისი ბრალდება ცრუ იყო. თუ ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც დანაშაულის შესახებ ცრუ ინფორმაციაა წარდგენილი და ამის თაობაზე ცნობილი გახდა გამოძიებისა ან საქმის სასამართლოს განხილვის ეტაპზე (მაგალითად, თუ სავარაუდო დაზარალებულმა განცხადება შეიტანა საგამოძიებო ორგანოში სავარაუდო სექსუალური ძალადობის ფაქტზე და შემდგომში, პირველივე გამოკითხვისას უარყო ის, ან საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა ცრუ დასმენას), უმჯობესია, პროკურორმა არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა საჩივრის ავტორის წინააღმდეგ იმ საფუძვლით, რომ ეს ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს, რადგან ასეთ დევნას შეიძლება მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს სხვა მსხვერპლებზე. მათ შეიძლება თავი შეიკავონ ძალადობის ფაქტების გაცხადებისგან, რაც გაზრდის დანაშაულის დაუსჯელობას. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც დევნის დაწყება აუცილებელია, სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ამგვარი დევნის პოტენციური ზემოქმედება და გატარდეს

372 ტრავმის ზეგავლენა სექსუალური ძალადობის სრულწლოვან მსხვერპლებზე, კანადის იუსტიციის დეპარტამენტი.

373 გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 11.

შესაბამისი ზომები (მაგალითად, ასეთი დევნის საჯაროობისგან თავის შეკავება) იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამან ხელი არ შეუშალოს სხვა მსხვერპლთა მიერ ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინებას. ამავე დროს, პროკურორებმა სათანადოდ უნდა შეისწავლონ მსხვერპლის მიერ საჩივარსა ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, ასევე ჩვენების შეცვლის მიზეზები, რადგან ხშირად ეს შეიძლება იყოს ზეწოლით, სირცხვილის შეგრძნებით ან მართლმსაჯულების სისტემისადმი ნდობის ნაკლებობით განპირობებული გადაწყვეტილება (იხ. მე-3 თავის მე-2 ქვეთავი).

სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები მიდრეკილნი არიან, უარყონ დანაშაულის ფაქტი, ვიდრე აღიარონ ძალადობრივი ქცევა. მათ შეიძლება შეიტანონ საჩივარი ცრუ ბრალდების თაობაზე, რათა თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მსხვერპლის მხრიდან ჩვენებების უარყოფა, უზუსტობა, შეუსაბამობა ან დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობა სულაც არ ნიშნავს ცრუ ბრალდებას.

კონტექსტზე დაფუძნებული საგამოძიებო მიდგომის გამოყენებით, გამომძიებლებს საშუალება ექნებათ, შეაგროვონ მტკიცებულებები მსხვერპლსა და სავარაუდო მოძალადეს შორის ურთიერთობის ბუნებისა და კონტექსტის შესახებ, რომელშიც სექსუალური ძალადობა მოხდა. გამომძიებლებმა უნდა უზრუნველყონ საქმის ყოველმხრივი გამოძიება და ისეთი მტკიცებულებების მოპოვება, რომლებიც დანაშაულის შესახებ ცრუ ბრალდებას გამოავლენს.[374]

374 გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის გაიდლაინები, იურიდიული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე: სახელმძღვანელო პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

IV. სასამართლო პროცესი

1. მოსამართლის როლი სექსუალური ძალადობის საქმეების განხილვისას

მოსამართლეებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ქმედებების შესახებ საქმეების განხილვასა და არსებითი თანასწორობის დამკვიდრებაში. თავიანთი ავტორიტეტიდან გამომდინარე, ისინი საზოგადოებას მნიშვნელოვან შეტყობინებას უგზავნიან იმის შესახებ, რომ სახელმწიფო მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავს სისტემური უთანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის, ასევე, ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

მოსამართლეებს აქვთ უფლებამოსილება, სასამართლოში დაამკვიდრონ პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს უსაფრთხო და მხარდაჭერაზე მიმართული გარემოს ჩამოყალიბებას, რაც წაახალისებს ქალების აქტიურ მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში. ამგვარი მიდგომა ასევე ხელს შეუწყობს მსხვერპლთა დაცვას სტრესისგან, მეორადი ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ტრავმირებისგან, უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოსამართლეებმა ასევე უნდა შექმნან სათანადო პირობები, რათა მოწყვლად მოწმეებს ჩვენების სრულფასოვნად და უსაფრთხოდ მიცემის საშუალება ჰქონდეთ[375] (იხ. მე-4 თავის მე-2 ქვეთავი). მოსამართლეებზე გავლენა არ უნდა მოახდინოს პირადმა ვარაუდებმა, გენდერზე დაფუძნებულმა მითებმა ან სტერეოტიპებმა (იხ. მე-2 თავის მე-6 ქვეთავი).

კარგად დასაბუთებული განაჩენი, სადაც დანაშაულის სიმძიმე სათანადოდ არის შეფასებული, უზრუნველყოფს არა მხოლოდ მსხვერპლისთვის მართლმსაჯულების აღსრულებას, არამედ ასევე არის გზავნილი საზოგადოებისთვის, რომ სექსუალური ძალადობა ქალის უფლებების მძიმე დარღვევაა და ამ სახის დანაშაულისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება დაუშვებელია.

2. მსხვერპლზე/დაზარალებულზე ორიენტირებული სასამართლო პროცედურები

2.1 სექსუალური ძალადობის საქმეების პრიორიტეტულობა

სექსუალური ძალადობის გამოძიებისა და სასამართლო პროცესების გაჭიანურება ხელს უწყობს მსხვერპლთა დამატებით ტრავმირებას და აფერხებს სტრესის დაძლევას; ასუსტებს ქალების ნდობას მართლმსაჯულებისადმი და წაახალისებს დამნაშავეთა დაუსჯელობას. რაც უფრო დიდხანს გრძელდება საქმის წარმოება, მით მეტია ალბათობა, რომ მსხვერპლმა უარი თქვას საჩივარზე, შესაბამისად, მცირდება სამართლიანობის მიღწევის შანსი.

დანაშაულის სიმძიმისა და მსხვერპლზე მისი ზეგავლენის გათვალისწინებით, როდესაც ეს შესაძლებელია, სექსუალური ძალადობის შემთხვევების დროულად გამოძიებას და

375 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Y. v. Slovenia, App. no. 41107/10, 28 მაისი 2015, პარ. 108.

განხილვას უპირატესობა უნდა მიენიჭოს. სექსუალური ძალადობის ბრალდება, მისი სიმძიმის გამო, თავისთავად საკმარისი უნდა იყოს სასამართლო პროცესის დაგეგმვისა და განხილვების პრიორიტეტულად ჩატარებისთვის, იმ პირობების მიუხედავად, რომლებშიც ბრალდებული იმყოფება.[376]

საქმის პრიორიტეტულად განხილვა ასევე დამოკიდებულია მხარეთა მზადყოფნაზე (როგორც პროკურორის, ასევე დაცვის მხარის), ჩაერთონ სასამართლო პროცესში.

წარსულში მომხდარი სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინებები უნდა განიხილებოდეს ისეთივე საგამოძიებო სტანდარტებითა და პრიორიტეტულობით, როგორც ახლად მომხდარი ძალადობის შესახებ საჩივრები.[377]

2.2 კონფიდენციალურობის დაცვა სასამართლოში

სექსუალური ძალადობის საქმეებზე კონფიდენციალურობა მკაცრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182(3)(დ) მუხლის შესაბამისად, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია, მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ. შედეგად, სექსუალური ძალადობის თითქმის ყველა საქმე დახურულ სხდომებზე განიხილება. მოსმენების დახურვის პარალელურად, მნიშვნელოვანია ამ სხდომების მიუკერძოებელი მონიტორინგი დაზარალებულის უფლებების ეფექტიანი დაცვის მიზნით. ამისთვის მოსამართლეებს უფლება აქვთ, მსხვერპლის ინფორმირებული თანხმობით, ნება დართონ სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებს, დაესწრონ სექსუალური ძალადობის შესახებ საქმეების მოსმენებს.

დაზარალებული, მისი ადვოკატი და ნებისმიერი სხვა კანონიერი წარმომადგენელი, ასევე მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ყოველთვის უნდა დაუშვან დახურულ სხდომაზე.

2.3 ჯვარედინ დაკითხვასთან დაკავშირებული შეზღუდვები

ჯვარედინი დაკითხვა არ უნდა გახდეს მოწმეების დაშინებისა ან დამცირების საშუალება.[378] მოსამართლეებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ზომები მსხვერპლის პირად ცხოვრებაზე ისეთი კითხვების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც არ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულთან.[379]

მოწმის დაკითხვის დროს მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს შეკითხვების განრიდების თაობაზე. მნიშვნელოვანია, მოსამართლემ განარიდოს ისეთი კითხვები, რომლებიც არარელევანტურია და მსხვერპლის ტრავმირებას გამოიწვევს.

376 მაგ. ის, რომ ბრალდებული არასრულწლოვანია ან დაკავებულია, საქმე პრიორიტეტული წესით უნდა იყოს განხილული, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში მას პრიორიტეტი არ მიენიჭებოდა.

377 კანადის ჩარჩო პოლიციის კოლაბორაციული რეაგირებისთვის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე, 2019, გვ. 14.

378 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე Y. v. SLOVENIA, App. No. 41107/10, 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, პარ. 108.

379 ევროპარლამენტის და ევროპის საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 23.2(c).

შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის შემუშავების შემთხვევაში, მოსამართლის როლი ასევე შეიძლება მოიცავდეს ადვოკატისთვის მითითების მიცემას, რომ მან წინასწარ წარუდგინოს სასამართლოს განსახილველად ის შეკითხვები, რომელთა დასმასაც აპირებს ჯვარედინი დაკითხვისას. ამ გზით შესაძლებელი იქნება ბალანსის შენარჩუნება, ერთი მხრივ, ბრალდებულისა და, მეორე მხრივ, დაზარალებულის და მისი პირადი ცხოვრების უფლებების დაცვას შორის. ეს უზრუნველყოფს იმ შეუსაბამოდ აგრესიული, დამადანაშაულებელი, გაჭიანურებული და განმეორებითი ჯვარედინი დაკითხვების თავიდან აცილებას, რომლებმაც შეიძლება გაამძაფროს დაზარალებულის სტრესი და ტრავმა, გამოიწვიოს მის მიერ სამართალწარმოებაში მონაწილეობაზე უარი, ან საფუძვლად დაედოს მის გადაწყვეტილებას, რომ სხვა დროს აღარ მიმართოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას.

2.4 დაზარალებულისა და ბრალდებულის დაპირისპირების თავიდან აცილება

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა მსხვერპლის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად საგამოძიებო და სასამართლო პროცესების ყველა სტადიაზე.[380]

სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მოძალადესთან დაპირისპირებამ შეიძლება მისი ხელახალი ტრავმირება გამოიწვიოს.[381] დაზარალებულს უფლება აქვს, უარი თქვას მოძალადე ბრალდებულთან კონტაქტზე.[382] მოსამართლეებს შეუძლიათ, თავიდან აიცილონ მათი პირისპირ შეხვედრა სასამართლო დარბაზში და შეამცირონ მსხვერპლის განმეორებითი ტრავმირების ალბათობა არაერთი დამცავი ზომის გამოყენებით. ეს ზომები შეიძლება იყოს:

- განცალკევებული მოსაცდელი ადგილები;[383]
- მსხვერპლისთვის ნების დართვა, რომ ჩვენება დისტანციურად ან დამნაშავის დაუსწრებლად მისცეს.[384] 243(3) მუხლის შესაბამისად, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა. ასეთი დაკითხვა ტარდება ვიდეოსისტემების გამოყენებით, სადაც ეს შესაძლებელია.[385] გარდა ამისა, ორივე მხარის ხედვის არე შეიძლება შეიზღუდოს და მსხვერპლმა ჩვენება მისცეს სასამართლოს დარბაზში დადგმული ტიხრის მიღმა;[386]

380 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 56.
381 ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 7.
382 ევროპარლამენტის და ევროპის საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 19.
383 ევროპარლამენტის და ევროპის საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 19. იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 27.
384 ევროპარლამენტის და ევროპის საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 23(3)(b).
385 ევროპარლამენტის და ევროპის საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 23(3)(a).
386 ევროპარლამენტის და ევროპის საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 23(3)(a); იხ. ასევე: სტამბოლის კონვენცია, მუხლი 56(1); ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 292; იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 27.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას, ადვოკატის გარეშე გამოჰკითხოს ბრალდების მოწმეები. ეს აიძულებს დაზარალებულს, პირადად დაუპირისპირდეს მოძალადეს, მისი სურვილისა და პოტენციური კეთილდღეობის საწინააღმდეგოდ.[387] ზემოთ განხილული ზომების გარდა, ბრალდებულს შეიძლება დაენიშნოს ადვოკატი, რამაც შესაძლოა თავიდან ააცილოს მსხვერპლს მოძალადესთან პირდაპირი დაპირისპირებით გამოწვეული ზედმეტი ტრავმა[388].

2.5 დაზარალებულის სტრესისგან დაცვა

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები მოსამართლეებისგან მოითხოვს შესაბამისი ზომების გატარებას დანაშაულის მსხვერპლთა სტრესისგან, მეორეული ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ტრავმირებისგან დასაცავად, მაგალითად, შემდეგი გზით:

- სასამართლო დარბაზში მედიის დასწრების აკრძალვა, სასამართლო სხდომების მთლიანად ან ნაწილობრივ დახურვა;[389]
- მსხვერპლის მიერ ჩვენების მიცემის დროს სხდომის დარბაზიდან არასაჭირო პირების გაყვანა.[390] მსხვერპლს უფლება აქვს, მიუთითოს, თუ ვისი დასწრება არ სურს ჩვენების მიცემისას;
- მსხვერპლისთვის ხშირი შესვენებების ან, საჭიროების შემთხვევაში, ჩვენების მიცემის შეწყვეტის საშუალების მიცემა;[391]
- სასამართლო დარბაზში დამსწრეთა განლაგების შეცვლა, რომ იგი ნაკლებად ფორმალური იყოს;[392]
- დაზარალებულის ადვოკატის და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სასამართლოში დასწრების უზრუნველყოფა მსხვერპლის ფსიქოლოგიური ან ემოციური საჭიროებების გათვალისწინებით. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, დაზარალებულის თხოვნით, თან უნდა ახლდეს მას სასამართლოში ჩვენების მიცემისას და დარჩეს უშუალო სიახლოვეს, როგორც მხარდამჭერი პირი, რათა დაიცვას იგი სტრესისგან და სასამართლოს მისი საჭიროებების შესახებ აცნობოს.

387 სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის ქალების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თაობაზე, საქართველოს შესახებ თავი, 2016 წლის დეკემბერი, გვ. 40.

388 ქალთა მიმართ ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საკითხებში სამართალდამცავი ორგანოებისა და იუსტიციის ოფიცრების მუშაობის ეფექტურობის გაუჯობესების შესახებ ევროპის საბჭოს ტრენერთა ტრენინგის სახელმძღვანელო (2016), გვ. 77. სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება გვ 9, 32, 35.

389 ევროპარლამენტის და ევროპის საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 23(3)(b); იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 27.

390 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 56; ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 291; იხ. ასევე: სამართალდამცავი და მართლმსაჯულების სექტორის წარმომადგენლების მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაუმჯობესება, სახელმძღვანელო ტრენერთა ტრენინგისთვის, ევროპის საბჭო, 2016, გვ. 77.

391 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 56; ასევე: განმარტებითი ანგარიში, პარ. 292; იხ. ასევე: სამართალდამცავი და მართლმსაჯულების სექტორის წარმომადგენლების მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაუმჯობესება, სახელმძღვანელო ტრენერთა ტრენინგისთვის, ევროპის საბჭო, 2016, გვ. 77; იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 27.

392 ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 27.

2.6 არასათანადო მოპყრობისგან დაზარალებულის დაცვა

მოსამართლის მიუკერძოებლობა მოითხოვს, რომ მან არა მხოლოდ თავი შეიკავოს გენდერული სტერეოტიპების ამსახველი დამამცირებელი ენის გამოყენებისგან, არამედ, ასევე, აქტიური ჩარევით აღკვეთოს სასამართლო დარბაზში ბრალდებულის ადვოკატების, თავად ბრალდებულის, პროკურორის ან საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან ნებისმიერი სახის დამამცირებელი, მუქარის შემცველი, შეურაცხმყოფელი საუბარი.[393]

მოსამართლეებმა რეაგირება უნდა მოახდინონ აგრესიულ/მიუღებელ/შეუსაბამო კითხვებზე, იძულებაზე, მუქარაზე, შეურაცხყოფასა ან დაშინებაზე მსხვერპლის ან მისი ოჯახის რომელიმე წევრის მიმართ. ეს შეიძლება განხორციელდეს პროცესის მონაწილის სასამართლო დარბაზიდან გაძევების; ჯარიმის დაკისრების; პროკურორისთვის ამ ინციდენტის გამოძიების დავალების გზით, თუ პირის ქმედება მიზნად ისახავს პროცესის ჩაშლას ან სასამართლოს, მხარის ან მონაწილის მიმართ მკაფიო ან/და უხეში უპატივცემლობის გამოხატვას. ეს ასევე გულისხმობს მხარის ან პროცესის მონაწილის დაკავების ბრძანების გამოცემას.

3. გადაწყვეტილების გამოტანა და სასჯელის შეფარდება

სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა იყოს დასაბუთებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული.[394] შესაბამისად, სექსუალური ძალადობის შემთხვევებში გადაწყვეტილება უნდა ასახავდეს მტკიცებულებების ინდივიდუალურ შეფასებას და იმ კონტექსტს, რომელშიც დანაშაული იყო ჩადენილი.[395] სასამართლოს გადაწყვეტილებები არ უნდა წარმოშობდეს მისი მიკერძოებულობისა და თვითნებობის აღქმას, უნდა იყოს გამჭვირვალე და ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე თანაზომიერი სასჯელის დაკისრებას, რომელიც სრულად ასახავს დანაშაულის სიმძიმეს.[396] ეს

393 განმარტებითი ანგარიში, პარ. 83, 88; იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 27; იხ. ასევე: ლათინური ამერიკის სამოდელო ოქმი ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების გამოძიების თაობაზე, გვ. 27, პარ. 76.

394 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლები 19(1), 259(3), 273. იხ. ასევე: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 6: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ამ დებულებიდან გამომდინარეობს მოსამართლეების მიერ თავიანთი გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება, რაც მხარეებს დაარწმუნებს, რომ მათი საქმე სათანადოდ იყო განხილული და ხელს უწყობს გასაჩივრების უფლებით ეფექტიან სარგებლობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გზამკვლევი კონვენციის მე-6 მუხლზე განმარტავს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შესახებ (სამოქალაქო სამართლის ასპექტი, გადაისინჯა 2017 წლის 30 აპრილს), გვ. 56, ციტირებს სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებს: H. v. Belgium, საჩივარი No. 8950/80, 1987 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, პარ. 53; Hirvisaari v. Finland, საჩივარი No. 49684/99, 2001 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, პარ. 30, Hadjianastassiou v. Greece, საჩივარი No. 12945/87, 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 33; იხ. ასევე: გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC) (ICCPR-ის სათანადო შესრულების ზედამხედველობის ორგანო) აღნიშნავს, რომ მსჯავრდების გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლება „მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს, თუ მსჯავრდებულს აქვს წვდომა სათანადოდ დასაბუთებულ, წერილობით სასამართლო გადაწყვეტილებაზე და, სულ მცირე, პირველი საფეხურის სააპელაციო სასამართლოში შეუძლია მისი გასაჩივრება, თუ შიდასახელმწიფოებრივი სამართალი გასაჩივრების რამდენიმე ინსტანციას ითვალისწინებს. ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ICCPR-ის ზოგადი კომენტარი No. 32 მე-14 მუხლის შესახებ: სასამართლოს წინაშე თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება, UN Doc. CCPR/C/GC/32, 2007 წლის 23 აგვისტო, პარ. 49, ციტირებს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული საქმეებიდან Van Hulst v. Netherlands, კომუნიკაცია No. 903/1999, U.N. Doc. CCPR/C/82/D/903/1999, 2004, პარ. 6.4; Morrison v. Jamaica, კომუნიკაცია No. 663/1995, U.N. CCPR/C/D/663/1995, 1998 წლის 25 ნოემბერი, პარ. 8.5.

395 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 273(2).

396 კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის დასჯა, გაიდლაინები სასჯელთა შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, 2018, გვ. 55; იხ. ასევე: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 259(4).

სასჯელები უნდა იყოს „ქმედითი, პროპორციული და შემაკავებელი“.[397] [398]

3.1 პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გამოკვლევა

საქართველოში სექსუალური ძალადობის დანაშაულისთვის სასჯელის დაკისრებისას, აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები[399] და ამ გარემოებების წონა, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ შემთხვევაში დასანიშნ სასჯელს.

ა) პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების შესწავლა

მოსამართლეები ვალდებულნი არიან, გაითვალისწინონ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები ნებისმიერი სასჯელის განსაზღვრისას[400] და მიუთითონ განაჩენებში, თუ რა გავლენა იქონია ამ ფაქტორებმა მათ გადაწყვეტილებებზე.[401] დამამძიმებელი გარემოებების უგულებელყოფის შედეგად, დგება განაჩენი, რომელიც ზუსტად არ ასახავს დანაშაულის სიმძიმეს.

სექსუალური ძალადობის საქმეებზე დაკისრებული სასჯელები უნდა ასახავდეს დანაშაულის სიმძიმეს და მასშტაბებს, ითვალისწინებდეს ძალადობის წინა შემთხვევებს; ნებისმიერ დამამძიმებელ გარემოებას; ასევე, დანაშაულის ზეგავლენას მსხვერპლსა და ბავშვზე, არსებობის შემთხვევაში[402] (იხ. პირველი თავის მე-7 ქვეთავი). კონტექსტზე დაფუძნებულმა და ყოველმხრივმა გამოძიებამ უნდა უზრუნველყოს, რომ დამამძიმებელი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმის მასალების ნაწილი იყოს (იხ. მე-4 თავის 3.1. ქვეთავი).

სტამბოლის კონვენციის 46-ე მუხლითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული დამამძიმებელი გარემოებები გათვალისწინებული უნდა იყოს სექსუალური ძალადობის საქმეებში, რათა დამნაშავე დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად დაისაჯოს:

> ა. დანაშაული ჩადენილი იყო ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობით, ოჯახის წევრის მიერ, მსხვერპლთან ერთად მცხოვრები პირის მიერ ან პირის მიერ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი ძალაუფლება;

397 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 45.

398 კარგი პრაქტიკა გულისხმობს ციხის ან პრობაციის სამსახურის მიერ მსხვერპლის ინფორმირებას ისეთი მოძალადის ციხიდან გათავისუფლების შესახებ, რომელმაც ხელშესახები სასჯელი მოიხადა, მაგ. 12 თვე თავისუფლების აღკვეთა. მაგალითისთვის იხ. სასამართლოს შემდეგ მსხვერპლის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, დამოუკიდებელი საქველმოქმედო ორგანიზაცია: მსხვერპლთა მხარდაჭერა.

399 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 273(2).

400 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 273(2). იხ. ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 31.

401 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 273(2); იხ. ასევე: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, გვ. 10; იხ. ასევე: კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის დასჯა, გაიდლაინები სასჯელთა შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, 2018, გვ. 7.

402 ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენცია და აღმოფხვრა, სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების პროფესიონალთათვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი, ევროპის საბჭო, 2016, გვ. 67.

ბ. დანაშაული ან მასთან დაკავშირებული დანაშაულები ჩადენილი იყო არაერთხელ;
გ. დანაშაული ჩადენილი იყო პირის მიმართ, რომელიც გარკვეული გარემოებების გამო მოწყვლადია;
დ. დანაშაული ჩადენილი იყო ბავშვის მიმართ ან ბავშვის თანდასწრებით;
ე. დანაშაული ჩადენილი იყო ორი ან მეტი ადამიანის მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ ერთობლივად;
ვ. დანაშაულს წინ უსწრებდა ან თან სდევდა უკიდურესად მაღალი დონის ძალადობა;
ზ. დანაშაული ჩადენილი იყო იარაღით ან იარაღის მუქარით;
თ. დანაშაულმა მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა მსხვერპლს;
ი. დამნაშავე ადრეც ყოფილა ნასამართლევი მსგავსი ხასიათის დანაშაულისთვის.

ეს დამამძიმებელი გარემოებები უნდა შეფასდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან ერთობლიობაში, რომელიც ქვემოთ არის განხილული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული მუხლები ასევე მოიცავს დამატებით დამამძიმებელ გარემოებებს, რომლებიც ასევე ქვემოთ არის აღწერილი.[403]

დამამძიმებელი გარემოებები, რომელთა გათვალისწინება შესაძლებელია გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულებზე სასჯელის შეფარდების დროს, ასახულია სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე პრიმა მუხლის 1-ლ პუნქტსა და 137-ე-141-ე მუხლებში, რაც ამ სახელმძღვანელოს სხვადასხვა თავში იყო განხილული (იხ. მე-2 თავის მე-3 ქვეთავი). დამამძიმებელი გარემოებები ასევე ასახულია სტამბოლის კონვენციის დებულებებში, რომლებიც არა მხოლოდ დამამძიმებელი გარემოებების ინტერპრეტაციის გზამკვლევია, არამედ ზოგჯერ აფართოებს მათი გამოყენების სფეროს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამართლის მიერ ნებისმიერი სახის **დისკრიმინაციული მოტივისა** და **ძალადობის წინა ისტორიის** დამამძიმებელ გარემოებებად გათვალისწინება (იხ. მე-2 თავის მე-7 ქვეთავი).

დამამძიმებელი გარემოებების შესახებ ნებისმიერი მტკიცებულება პროკურორმა უნდა მოიპოვოს და წარუდგინოს სასამართლოს, ხოლო მოსამართლემ სათანადოდ უნდა შეაფასოს და გაითვალისწინოს.

დამამძიმებელი გარემოებები ქვემოთ მოცემულ მუხლებში შემდეგნაირად უნდა იყოს გაგებული:

<u>მუხლი 53.1(2) – დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ</u>

ოჯახის წევრი, საქართველოს კანონმდებლობისა (სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლი) და სტამბოლის კონვენციის 46-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაგებული უნდა იყოს, როგორც: ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლე, ყოფილი ან ამჟამინდელი არარეგისტრირებულ ქორწინებასა ან ფაქტობრივ თანაცხოვრებაში

403 იხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები 137-139.

მყოფი პარტნიორი, როგორც ამას ეროვნული სამართალი აღიარებს, ოჯახის წევრი ან მსხვერპლთან თანაცხოვრებაში მყოფი ნებისმიერი პირი.[404]

მუხლები 137(3)(ე) და 138(2)(ვ) – ჩადენილი დამნაშავის მზრუნველობის, მეუღლეობის ან მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ

ეს გარემოება უნდა განიმარტოს სტამბოლის კონვენციის 46-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული პარალელური დამამძიმებელი გარემოების გათვალისწინებით: დანაშაული ჩადენილია პირის მიერ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი ძალაუფლება.[405] „ძალაუფლების მქონე პირი“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, მსხვერპლზე ზემდგომია ან მასზე ძალაუფლება აქვს, მათ შორის, მაგალითად, მასწავლებელი ან დამსაქმებელი. ამ შემთხვევების საერთო ელემენტია ნდობა, რომელიც, ჩვეულებრივ, უკავშირდება ასეთ ურთიერთობას და ნების დათრგუნვაზე მიმართული გარემო და ემოციური ზიანი, რაც შეიძლება მსხვერპლს მიადგეს ნდობის ბოროტად გამოყენების შედეგად, როდესაც დანაშაული ამგვარი ურთიერთობის ფარგლებში არის ჩადენილი (იხ. პირველი თავის მე-3 ქვეთავი).[406]

მუხლები 137(2)(ბ) და 138(2)(ზ) - დანაშაული, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი

„ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება“ გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ ზიანსაც. პროკურორმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს დაზარალებულის სამედიცინო, ფსიქოლოგიური ან ფსიქიატრიული შეფასება, რათა ზიანის სიმძიმე სათანადოდ იყოს გათვალისწინებული ბრალდებულის მიმართ განაჩენის გამოტანისას.

მუხლები 137(3)(ა) და 138(2)(ა) – ჩადენილი არაერთგზის

იმის დასამტკიცებლად, რომ დანაშაული განმეორებით იყო ჩადენილი, პროკურორმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს წინა ნასამართლობის ჩანაწერები.

მუხლები 53.1(2), 137(4)(ა) და 138(4)(ბ) – ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით

ეს მუხლი შეიძლება ეხებოდეს მრავალი სხვადასხვა სახის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომლებიც არ არის აუცილებლად სექსუალური ხასიათის. ეს ეხმიანება სტამბოლის კონვენციის 46(ვ) მუხლს: დანაშაულს წინ უსწრებდა ან თან სდევდა უკიდურესად მაღალი დონის ძალადობა.[407] ეს ეხება ფიზიკური ძალადობის ქმედებებს, რომლებიც განსაკუთრებით ინტენსიურია, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მსხვერპლის სიცოცხლეს[408] და, სავარაუდოდ, მოიცავს დანაშაულებს, რომლებიც ჩადენილი იყო „უკიდურესი სისასტიკით“ (იხ. მე-2 თავის 3.3. ქვეთავი).

მუხლები 137(4)(ბ) და 138(3)(გ) – რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა

404 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 46(ა); განმარტებითი ანგარიში, მუხლი 236.
405 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 46(ა).
406 განმარტებითი ანგარიში, პარ. 236.
407 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 46(ვ).
408 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 241.

აქ კრიტიკულად აუცილებელია, დადგინდეს, არსებობდა თუ არა მიზეზობრივი კავშირი. მსხვერპლი შეიძლება გარდაიცვალა სექსუალური ძალადობის დროს ან იმავე ინციდენტისას გამოყენებული ძალის შედეგად.[409]

<u>მუხლები 137(4)(გ) და 138(4)(ა) – ჩადენილი წინასწარი შეცნობით ახასიათებლის მიმართ</u>

ეს დამამძიმებელი გარემოებები ემყარება იმ მოსაზრებას, რომ მსხვერპლს არ აქვს გონებრივი/ინტელექტუალური განვითარების დონე, ცოდნა ან აღქმა, რათა გააკეთოს სექსუალური კონტაქტის შესახებ ინფორმირებული არჩევანი. ამ შემთხვევაში არასრულწლოვნის თანხმობას არ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ბრალდების მხარემ უნდა აჩვენოს, რომ დამნაშავემ იცოდა მსხვერპლის არასრულწლოვანების შესახებ. 137(დ) მუხლის თანახმად, პროკურორს არ სჭირდება იმის ჩვენება, რომ დამნაშავემ იცოდა იმ პირის არასრულწლოვანების თაობაზე, რომელთანაც სქესობრივ კავშირს ამყარებდა (14 წელს მიუღწეველი 138-ე მუხლის შემთხვევაში), რათა დაამტკიცოს, რომ მან ბოროტად გამოიყენა ნდობა, ავტორიტეტი ან გავლენა.

<u>სტამბოლის კონვენციის მუხლი 46(გ) - დანაშაული ჩადენილი იყო პირის მიმართ, ხომელიც გახკვეული გახემოებების გამო მოწყვლადია</u>

სტამბოლის კონვენცია აჯამებს და აფართოებს სისხლის სამართლის კოდექსის 137(3)(დ), 138(2)(დ), 139(3)(დ), 140(2)(ა) მუხლებში მითითებულ მოწყვლად მსხვერპლებს და ასევე მოიცავს 53.1(1) მუხლში ჩამოთვლილ დისკრიმინაციულ საფუძვლებს: ორსული ქალები და ქალები მცირეწლოვანი შვილებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (მათ შორის, გონებრივი ან ინტელექტუალური თვალსაზრისით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები), სოფლად ან მოშორებულ რაიონებში მცხოვრები ადამიანები, ნივთიერებებზე დამოკიდებული პირები, სექსმუშაკები/პროსტიტუციაში ჩართული პირები, ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, მიგრანტები - მათ შორის, უდოკუმენტო მიგრანტები და ლტოლვილები, გეი მამაკაცები, ლესბოსელი ქალები, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირები, ასევე აივ-დადებითი ადამიანები, უსახლკაროები, ბავშვები და მოხუცები.[410]

ბ) პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების შესწავლა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული შემამსუბუქებელი გარემოებების გამოყენებისას სექსუალური ძალადობისა და ქალთა მიმართ სხვა სახის ძალადობის საქმეებზე სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. მათი გამოყენება გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს, იქონიოს საზიანო ეფექტი მსხვერპლზე და განამტკიცოს სტერეოტიპული მიდგომა, თითქოს სექსუალური ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა ზოგ შემთხვევაში გამართლებულია, რაც ქალთა მიმართ დისკრიმინაციული პრაქტიკაა. საქართველოს სისხლის სამართლის

409 გაიდლაინები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებზე სამედიცინო-სამართლებრივი ზრუნვის შესახებ, ჯანმო, 2003, გვ. 149.

410 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 46(გ); განმარტებითი ანგარიში, პარ. 87, 238; სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები 137(3)(დ), 138(2)(დ), 139(3)(დ), 140(2)(ა); იხ. ასევე: ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენცია და აღმოფხვრა, სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების პროფესიონალთათვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი, ევროპის საბჭო, 2016, გვ. 25.

კოდექსის 53.3 მუხლში მითითებული გარემოებები უნდა შემოწმდეს სიფრთხილით და შემამსუბუქებლად არ უნდა ჩაითვალოს შემდეგი ფაქტორები:

- დანაშაულის მოტივი - თუ ეს არის ეჭვიანობა, შურისძიება, დასჯა, საზოგადოებრივი ზნეობის დაცვა, ღირსების დაცვა, ტრადიციიდან, რელიგიიდან თუ კულტურიდან მომდინარე მოტივები;[411]
- პიროვნული თვისებები - ბრალდებული ხასიათდება, როგორც კარგი ადამიანი. შესაძლოა, ამგვარი დახასიათება მას დანაშაულის ჩადენას უმარტივებდეს;[412]
- სამაგალითო ქცევის წინა ისტორია, დანაშაულის პირველად ჩადენა - გენდერული ძალადობის (განსაკუთრებით, ოჯახში ძალადობის) შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინებული დანაშაული, ნაკლებად სავარაუდოა, რომ პირველი ინციდენტი იყოს;[413]
- ბრალდებულმა აანაზღაურა ზიანი;
- ბრალდებულმა ბოდიში მოუხადა მსხვერპლს, შეურიგდა მას, ან შესთავაზა ქორწინება/დაქორწინდა.[414]

მონანიება, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება, ასევე არ უნდა გამოიყენებოდეს. ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება გულდასმით უნდა იყოს განხილული და უპირატესობა მიენიჭოს დამნაშავის დასჯას დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით.

პროვოკაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს ეჭვიანობა, ღალატი, გულისწყრომა ან შურისძიება, არ უნდა განიხილებოდეს, როგორც შემამსუბუქებელი ფაქტორი. მათი გამოყენება შემამსუბუქებელ გარემოებად მიჩნეულია სექსისტურ პრაქტიკად და გენდერული სტერეოტიპების წამახალისებლად. პროვოკაციის არგუმენტზე დაყრდნობა აკანონებს ქალთა მიმართ ძალადობას და ამყარებს მოსაზრებას, რომ ზოგიერთი ქალი იმსახურებს გაუპატიურებას. პროვოკაციის არგუმენტის დაშვება რაიმე ფორმით, სხვადასხვა საფუძვლით, მათ შორის, გაუპატიურებაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმით, ქალს აკისრებს იმის მტკიცების ტვირთს, რომ მისი ბრალი არ იყო, რაც მოხდა.

გ) დაზარალებულის და სავარაუდო დამნაშავის შერიგებასთან დაკავშირებული მოსაზრებები

ბრალდებულის მსხვერპლთან შერიგება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ უნდა ჩაითვალოს შემამსუბუქებელ გარემოებად სექსუალური ძალადობის საქმეებზე. ამგვარ დანაშაულებზე შერიგების, მედიაციის და სასამართლოს გარეთ მორიგების გადაწყვეტილებების გამოყენება ან წახალისება არ უნდა მოხდეს, რადგან ეს ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების სტანდარტებს.[415]

411 ღირსების, ტრადიციისა და კულტურის თაობაზე იხ. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 42.
412 სახელმძღვანელო მოსამართლეთათვის ქალთა და გოგონათა მიმართ გენდერული ძალადობის ფაქტებზე ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი რეაგირების თაობაზე, გაერო, 2019, გვ. 119.
413 სახელმძღვანელო მოსამართლეთათვის ქალთა და გოგონათა მიმართ გენდერული ძალადობის ფაქტებზე ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი რეაგირების თაობაზე, გაერო, 2019, გვ. 119.
414 სახელმძღვანელო მოსამართლეთათვის ქალთა და გოგონათა მიმართ გენდერული ძალადობის ფაქტებზე ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი რეაგირების თაობაზე, გაერო, 2019, გვ. 119.
415 OAS, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯის და აღმოფხვრის ინტერამერიკული კონვენციის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი, მეორე ანგარიში; იხ. ასევე: სტამბოლის კონვენცია, მუხლი 48, სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 252.

მოსამართლეებმა უნდა გაითვალისწინონ სექსუალური ძალადობის შემთხვევებისთვის სტანდარტული სიტუაცია, როდესაც მომრიგებლის როლს ადვოკატები და ბრალდებულის ოჯახის წევრები ან ნათესავები ასრულებენ. შესაძლოა, ისინი სხვადასხვა დაპირებით, მათ შორის, ქორწინებისა და ფინანსური სარგებლის შეთავაზებით ხელს უწყობდნენ დაზარალებულისა და მოპასუხის „შერიგებას". ეს ძალისხმევა განსაკუთრებით წარმატებულია ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულებს შეუძლიათ, გამოიყენონ თავიანთი უფლება, არ მისცენ ჩვენება ახლო ნათესავის წინააღმდეგ. ამ უფლების გამოყენება დაზარალებულს შეიძლება ბრალდებულის ადვოკატებმაც ურჩიონ. ზოგჯერ მათ შეიძლება წარადგინონ სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ დაზარალებულს ბრალდებულის წინააღმდეგ არანაირი პრეტენზია არ აქვს. ეს დოკუმენტი აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის და უფრო მსუბუქი ზომის დადგენის ან უფრო მსუბუქი სასჯელის დაკისრების საფუძველი შეიძლება გახდეს.

მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ ზემოხსენებული პრაქტიკა არ გაიზიაროს, რადგან იგი ქალების მიმართ დისკრიმინაციულია და ცხადად ახალისებს ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობას. შერიგება არ შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების, გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი და ასევე არ უნდა მიიჩნეოდეს შემამსუბუქებელ გარემოებად.

გარდა ამისა, შერიგებასთან/მორიგებასთან დაკავშირებული სრულიად მიუღებელი ქმედებები შეიძლება მიჩნეული იყოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებულ იძულებად ან 372-ე მუხლით გათვალისწინებულ დაზარალებულზე ზემოქმედებად.[416] პროკურორებმა და მოსამართლეებმა შესაბამისი ზომები უნდა გაატარონ ამ ქმედებების საპასუხოდ.

3.2 საპროცესო შეთანხმება და პირობითი მსჯავრი

საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებასა ან ნაწილობრივ მოხსნაზე (სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლი). სექსუალური ძალადობის შემთხვევებში საპროცესო შეთანხმებამ შეიძლება გამოიწვიოს იმდენად დაბალი სასჯელის დაკისრება, რომ ის ეწინააღმდეგებოდეს მართლმსაჯულების მიზნებს.[417] ამასთან, სათანადო წესის დაცვის გარეშე დადებულმა საპროცესო შეთანხმებამ, რომელიც ბრალდებულს შეღავათიან პირობებს უდგენს, შეიძლება მსხვერპლებში გააჩინოს უმწეობის, იმედგაცრუების განცდა. საპროცესო შეთანხმებით დანიშნული სასჯელი ყოველთვის უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმის თანაზომიერი, რათა არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ სექსუალური ძალადობა დაუსჯელი დარჩა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობას (სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე

416 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 372.

417 კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის დასჯა, გაიდლაინები სასჯელთა შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, 2018, გვ. 56.

მუხლი) მსჯავრდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლებით გათვალისწინებული გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულების საქმეებზე. ანალოგიურად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი საპროცესო შეთანხმების მეშვეობით იმ სასჯელის ზომაზე უფრო დაბალი სასჯელის დაკისრების საშუალებას იძლევა, ვიდრე კონკრეტული დანაშაულისთვის კანონით არის გათვალისწინებული (სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი). ამ დებულებების გამოყენებამ სექსუალური ძალადობისთვის არათანაზომიერი სასჯელების დაკისრება არ უნდა გამოიწვიოს. სტამბოლის კონვენციისა[418] და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციების[419] თანახმად, ამგვარი ძალადობისთვის დაკისრებული სასჯელები უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და ჩადენილი დანაშაულის რეალური სიმძიმის შესაბამისი.[420]

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, საპროცესო შეთანხმება არ დადოს პროკურორმა და არ დაამტკიცოს სასამართლომ, თუ ეს არ გამოიწვევს მოძალადის შესაბამისი სიმძიმით დასჯას. საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საჯარო ინტერესი უნდა იყოს საპროცესო შეთანხმებაზე გადაწყვეტილების მიღების განმსაზღვრელი ფაქტორები იმის საჩვენებლად, რომ სექსუალური ძალადობა სერიოზულ დანაშაულად მოიაზრება. ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როდესაც მძიმე სქესობრივ დანაშაულებზე პირს ბრალი წარედგინება 139-ე მუხლით, ნაცვლად 137-ე ან 138-ე მუხლებისა (იხ. მე-3 თავის 1-ლი ქვეთავი).

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საპროცესო შეთანხმებამ, თუ იგი არ ითვალისწინებს არათანაზომიერ სასჯელს, შეიძლება დაზარალებულს საშუალება მისცეს, თავი აარიდოს სტრესულ პროცედურებს, რადგან მას აღარ მოუწევს სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემა. იმის გადაწყვეტისას, მიზანშეწონილია თუ არა საპროცესო შეთანხმების გაფორმება, პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის მოსაზრება შესაძლო უარყოფითი შედეგებისა და საზიანო ზემოქმედების შესახებ, რათა საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული სასჯელი არ იყოს არათანაზომიერი.

პროკურორებისა და მოსამართლეების როლი ასევე მნიშვნელოვანია საპროცესო შეთანხმების პირობების განსაზღვრის პროცესში. ეს გულისხმობს სტერეოტიპულ შეხედულებებზე დაფუძნებულ პირობებსა და მიდგომებზე უარის თქმას,[421] მსხვერპლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფას.

418 იხ. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 45(1); იხ. CEDAW-ს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N35, CEDAW/C/GC/35, პარ. 29.

419 იხ. CEDAW-ს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N35, CEDAW/C/GC/35, პარ. 29.

420 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 45; იხ. ასევე: CEDAW-ს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N35, CEDAW/C/GC/35, პარ. 29.

421 სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის ქალების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თაობაზე, საქართველოს შესახებ თავი, 2016 წლის დეკემბერი, გვ. 18.

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. მასში გაერთიანებულია 47 სახელმწიფო, რომელთაგან 28 ევროპული კავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

UN JOINT PROGRAMME FOR GENDER EQUALITY

Equality Now
A just world for women and girls.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE